

# სამოსამართლო სწავლების ცენტრი

კონსტანტინე კორკელია  
ირინე ქურდაძე

## აღამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

Council of Europe  
European Commission



Conseil de l'Europe  
Commission européenne

გამოცემა დაფინანსებულია  
ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის  
ერთობლივი პროგრამის ფარგლებში

Konstantin Korkelia. Irine Kurdadze.  
International Law of Human Rights with Emphasis on the European  
Convention on Human Rights (in Georgian), February, 2004.

სახელმძღვანელო გამოცემა ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული სტაბილურობის ხელშეწყობასა და განმტკიცებას, ასევე კონფლიქტების თავიდან აცილებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ შეიძლება ჩაითვალოს მოხსენიებული სამართლებრივი დოკუმენტების ოფიციალურ განმარტებად, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს წევრი სახელმწიფოების მთავრობებისათვის, ევროპის საბჭოს საწესდებო ორგანოებისა თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე შექმნილი ნებისმიერი ორგანოსათვის.

**გარეკანის დიზაინი – გ. დავითიანი, სტუდია „მედიატორი“**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლ. გოცირიძე, შპს „პეტიტი“**

წიგნზე მუშაობა დასრულდა 2003 წლის სექტემბერში.

ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში  
ერეკლე II-ის შესახვევი 7, თბილისი, 0105,  
ტელ.: 988977/989560; ფაქსი: 989657;  
ელ-ფოსტა: information.office@coe.ge  
ინტერნეტ-გვერდი: www.coe.ge

ISBN 99928-0-824-1

© კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, 2004 წლის თებერვალი.

# სარჩევნი

შესავალი.....	5
I. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია: მოკლე მიმოხილვა კ. კორკელია.....	9
II. ევროპული კონვენციის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობაში კ. კორკელია.....	25
III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი სასამართლოების პრაქტიკაში კ. კორკელია.....	42
IV. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პრინციპები კ. კორკელია.....	63
V. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება სასამართლოების მიერ კ. კორკელია.....	84
VI. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – ნესები და პროცედურები ი. ქურდაძე.....	102
VII. ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა ძირითადი დოკუმენტები და მექანიზმები ი. ქურდაძე.....	121
VIII. ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების კომენტარები .....	134
1. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი – ნამების აკრძალვა.....	134
2. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება .....	142
3. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება .....	155
4. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება .....	174
5. ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება .....	193

6. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი – გამოხატვის თავისუფლება .....	199
7. ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი – შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება .....	211
8. ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი – საკუთრების უფლება .....	216
<b>IX. შიშვენილი საქმეები .....</b>	<b>219</b>
1. კონვენციის მე-3 მუხლი – ნამების აკრძალვა .....	219
2. კონვენციის მე-5 მუხლი – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება .....	221
3. კონვენციის მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება .....	223
4. კონვენციის მე-8 მუხლი – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება .....	225
5. კონვენციის მე-9 მუხლი – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება .....	227
6. კონვენციის მე-10 მუხლი – გამოხატვის თავისუფლება .....	229
7. კონვენციის მე-11 მუხლი – შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება .....	230
8. კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი – საკუთრების უფლება .....	231
<b>ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები .....</b>	<b>232</b>
<b>ძირითადი ლიტერატურა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, შესახებ .....</b>	<b>234</b>
<b>ავტორთა შესახებ .....</b>	<b>244</b>



## შესავალი

საქართველოს სამოსამართლო სწავლების ცენტრმა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალურმა დირექტორატმა 2003 წლის აპრილში მიალნიეს შეთანხმებას, მომზადებულიყო სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, რომელშიც ყურადღება გამახვილდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე.

ასეთი გადწყვეტილების მიღება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, შესახებ ინფორმაციის გავრცელების მწვავე აუცილებლობამ განაპირობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები, აღიარებულია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, აუცილებელია ამ ხელშეკრულებების გამოყენება სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, რაც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებისათვის საჭიროა მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამიტომაც მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესახებ ლიტერატურის გამოცემა, რომლის ნაკლებობა ქართულ ენაზე ამკარაა.

ამის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოს მიზანია, დახმარება აღმოუჩინოს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს, მათ შორის: მოსამართლეებს, ადვოკატებსა და მოსამართლეთა თანაშემწეებს, უკეთ გაეცნონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლებების შინაარსს.

სახელმძღვანელო შედგება სამი ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში მიმოიხილება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების სტატუსი საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემა-

ში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ევროპული კონვენციის, განმარტებისა და გამოყენების ნესები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის ნესი და საქმეთა განხილვის პროცედურა, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებები;

მეორე ნაწილში განხილება ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლი და მათი განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ;

მესამე ნაწილში წარმოდგენილია კონვენციის მეორე ნაწილში განხილულ მუხლებთან დაკავშირებული ჰიპოთეზური საქმეები.

სახელმძღვანელო შეიცავს ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების სიას, რომელთა მონაწილეა საქართველო. იგი ასევე შეიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ ქართულენოვანი და უცხოენოვანი ძირითადი ლიტერატურის სიას, რაც დაეხმარება მკითხველს, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებით.

მკითხველი შენიშნავს, რომ სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონვენციის რამდენიმე მუხლს, კერძოდ: კონვენციის მე-3 მუხლს (წამების აკრძალვა); მე-5 მუხლს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება); მე-6 მუხლს (სამართლიანი სასამართლოს უფლება); მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების ჰატივისცემის უფლება); მე-9 მუხლს (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება); მე-10 მუხლს (გამოხატვის თავისუფლება); მე-11 მუხლს (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლება); და 1-ლი ოქმის პირველ მუხლს (საკუთრების უფლება).

თავიდანვე ნათელი იყო, რომ სახელმძღვანელოს მომზადებისათვის განსაზღვრულ ვადაში პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ყველა უფლების მიმოხილვა. მიუხედავად ამისა, ავტორები შეეცადნენ, ყურადღება გაემახვილებინათ ყველაზე „პრობლემურ“ მუხლებზე. ამასთანავე, მუხლების შერჩევისას ავტორებმა გაითვალისწინეს ამ მუხლებით დაცული უფლებების განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს დღევანდელი რეალობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო ძირითადად მომზადებულია მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეებისა და ადვოკატებისათვის, იგი ასევე შეიძლება გამოიყენონ იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებმა, ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისევე როგორც იურიდიული განხრის ფაკულტეტების სტუდენტებმა.

გვესურს, მაღლობა ვადავუხადოთ სამოსამართლო სწავლების ცენტრს და, განსაკუთრებით, მის დირექტორს, დავით სააკაშვილს, რომელმაც გაათვითცნობიერა ასეთი სახელმძღვანელოს მომზადების აუცილებლობა და მხარი დაუჭირა ამ იდეას.

ასევე მაღლობას ვუხდით ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალურ დირექტორატს და, განსაკუთრებით, კშიშტოფ ზიმანს. ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის ფინანსური დახმარებით შესაძლებელი გახდა ასეთი სახელმძღვანელოს მომზადება და მისი გამოცემა.

სახელმძღვანელოს ავტორები გამოთქვამენ იმედს, რომ იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ინფორმაციის გავრცელებაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, შესახებ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გაუმჯობესებას საქართველოში.

**კონსტანტინე კორკელია  
ირინე ქურდაძე**

*2003 წლის სექტემბერი*



# 1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია: მოკლე მიმოხილვა

## 1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს ქ. რომში. კონვენცია მიღებულია ევროპის საბჭოს (ქ. სტრასბურგი) ეგიდით, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა, პლურალისტური დემოკრატიის განმტკიცება და სამართლის უზენაესობის ხელშეწყობა.<sup>1</sup> ევროპული კონვენციის ავტორებმა მისი მიღებით განიზრახეს ისეთი საერთაშორისო მექანიზმის დაარსება, რომელიც არ დაუშვებდა დაუსჯელობას ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, ტირანიასა და ტოტალიტარულ მმართველობას ევროპაში.

ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ამჟამად კონვენციის მონაწილეა 44 სახელმწიფო, რომელთათვისაც იგი წარმოშობს იურიდიულ ვალდებულებებს.

ევროპულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციის რატიფიცირების შედეგად ქვეყნისათვის იგი ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ერთად მიღებულია კონვენციის დამატებითი ოქმები. ამჟამად მიღებულია 13 ოქმი, რომლებიც ადგენენ როგორც მატერიალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ისე განამტკიცებენ ევროპული სასამართლოს საზედამხედველო მექანიზმს.<sup>2</sup> კონვენციის 1-ლი, მე-4, მე-6, მე-7, მე-12<sup>3</sup> და მე-13 ოქმები ითვალისწინებს მატერიალური უფლებების დაცვას. საქართველომ მოახდინა ყველა ხსენებული ოქმის რატიფიცირება.<sup>4</sup> მას არ გაუკეთებია დათქმები ადამიანის უფლებათა

1 იხ. ევროპის საბჭოს წესდების პრეამბულა, 1-ლი და მე-3 მუხლები.

2 კონვენციის მე-11 ოქმმა შეცვალა პროცესუალური ხასიათის ყველა ოქმი, მე-9 ოქმის გარდა, რომელიც მან გააუქმა. მე-11 ოქმი ინკორპორირებულია კონვენციის ტექსტში.

3 ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი, რომელიც ზოგადად კრძალავს დისკრიმინაციას, ევრჯერობით არ შესულა ძალაში. იგი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც 10 სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიცირებას.

4 ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმი საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2002 წლის 7 ივნისს, მე-4 ოქმი – 2000 წლის 13 აპრილს, მე-6 ოქმი – 2000 წლის 1 მაისს, მე-7 ოქმი – 2000 წლის 1 ივლისს, მე-13 ოქმი – 2003 წლის 1 სექტემბერს. ინფორმაცია ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების მონაწილე სახელმწიფოებზე ხელმისაწვდომია [\[http://conventions.coe.int\]](http://conventions.coe.int).

ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების მიმართ, გარდა 1-ლი, მე-12 და მე-13 ოქმებისა.<sup>5</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ბევრი მიიჩნევს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებად, რომელმაც დააარსა განვითარებული საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმი.<sup>6</sup> კონვენციის ასეთი შეფასება განპირობებულია არა იმ უფლებათა და თავისუფლებათა უნიკალურობით, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით, არამედ მათი უზრუნველყოფის საზედამხედველო მექანიზმით.<sup>7</sup> ევროპული კონვენცია პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელმაც განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და შექმნა მათ შესრულებაზე საზედამხედველო მექანიზმი.

ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით ევროპული სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და ევროპულმა კომისიამ<sup>8</sup> კონვენცია აღიარეს „ევროპული საჯარო ნესრიგის კონსტიტუციურ აქტად“.<sup>9</sup>

5 ზოგადად დათქმების შესახებ, მათ შორის ევროპული კონვენციის მიმართ იხ. K. Korkelia, *New Challenges to the Regime of Reservations under the International Covenant on Civil and Political Rights*, *European Journal of International Law*, vol. 13, N2, 2002, 437-477.

6 A. Robertson & J. Merrills, *Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights*, 1993, 1.

7 K. Vasak, *The Council of Europe*, in: *The International Dimension of Human Rights*, K. Vasak, (Ed.) vol. 2, 1982, 673.

8 1998 წლის 1 ნოემბრამდე ოქმებზე და კონვენციის ორსაფეხურიანი საზედამხედველო სისტემა: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. კომისია იხილავდა განაცხადის დასაშვებობას, ხოლო ევროპული სასამართლო არსებითად იხილავდა მას (განაცხადს არსებითად ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტიც იხილავდა). საზედამხედველო ორგანოთა გადატვირთულობის გამო, 1994 წელს მიიღეს მე-11 ოქმი, რომელიც კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმირებასა და განაცხადთა განხილვის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებდა. 1998 წლის 1 ნოემბერს, მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად, ფუნქციონირება შეწყვიტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ამოქმედდა რეფორმირებული, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმა მხოლოდ 5 წლის წინ განხორციელდა, მიღებულ განაცხადთა რაოდენობის რადიკალური ზრდის გამო (რაზეც იმოქმედა უკანასკნელ წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოთა მიერ კონვენციის რატიფიცირებამ) ამჟამად სასამართლო დიდ სირთულეებს განიცდის მიღებულ განაცხადთა დროულ განხილვასთან დაკავშირებით.

9 *ბრისოსტომოსი თურქეთის წინააღმდეგ (Chrysostomos v. Turkey)*, 1991 წლის 4 მარტი, განაცხადი N15299-15311/89, 22-ე პუნქტი; *ლოიზიდო თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)*, 1995 წლის 23 მარტი, Series A, no. 310, 75-ე პუნქტი.

## 2. კონვენციითა და მისი ოქმებით დაცული უფლებები და თავისუფლებები

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში განმტკიცებულია ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.<sup>10</sup> ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით შემდეგი უფლებები და თავისუფლებებია დაცული:

### 2.1. ევროპული კონვენცია

- ა) *მეორე მუხლი*: სიცოცხლის უფლება;<sup>11</sup>
- ბ) *მესამე მუხლი*: ნამების აკრძალვა;
- გ) *მეოთხე მუხლი*: მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა;
- დ) *მეხუთე მუხლი*: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
- ე) *მექვესე მუხლი*: სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- ვ) *მეშვიდე მუხლი*: სასჯელის უკუქცევითი გამოყენების აკრძალვა;
- ზ) *მერვე მუხლი*: პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება;
- თ) *მეცხრე მუხლი*: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- ი) *მეთათე მუხლი*: გამოსატყვის თავისუფლება;
- კ) *მეთერთმეტე მუხლი*: შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება;
- ლ) *მეთორმეტე მუხლი*: ქორწინების უფლება;
- მ) *მეცამეტე მუხლი*: ფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უფლება;
- ნ) *მეთოთხმეტე მუხლი*: დისკრიმინაციის აკრძალვა.

### 2.2. პირველი ოქმი

- ა) *პირველი მუხლი*: საკუთრების დაცვა;
- ბ) *მეორე მუხლი*: განათლების უფლება;
- გ) *მესამე მუხლი*: თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

### 2.3. მეოთხე ოქმი

- ა) *პირველი მუხლი*: თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა ვალის გამო;
- ბ) *მეორე მუხლი*: გადაადგილების თავისუფლება;
- გ) *მესამე მუხლი*: მოქალაქეების გაძევების აკრძალვა;
- დ) *მეოთხე მუხლი*: უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა.

<sup>10</sup> გამონაკლისია პირველი ოქმის 1-ლი (საკუთრების უფლება) და მე-2 (განათლების მიღების უფლება) მუხლები.

<sup>11</sup> კონვენციის პირველი მუხლი არ ადგენს მატერიალურ უფლებას. იგი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებით.

## 2.4. მეექვსე ოქმი

მეექვსე ოქმი კრძალავს სიკვდილით დასჯას მშვიდობიან პერიოდში.<sup>12</sup>

## 2.5. მეშვიდე ოქმი

- ა) პირველი მუხლი: უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები;
- ბ) მეორე მუხლი: ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების უფლება;
- გ) მესამე მუხლი: კომპენსაცია არამართებული მსჯავრდებისათვის;
- დ) მეოთხე მუხლი: ერთი და იმავე დანაშაულისათვის ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა;
- ე) მეხუთე მუხლი: მეუღლეთა შორის თანასწორობა.

## 2.6. მეთორმეტე ოქმი

მეთორმეტე ოქმი კრძალავს დისკრიმინაციას ყველა იმ უფლებასთან დაკავშირებით, რომლებიც პირს ენიჭება ეროვნული კანონმდებლობით.

## 2.7. მეცამეტე ოქმი

მეცამეტე ოქმი კრძალავს სიკვდილით დასჯას ნებისმიერ დროს, მათ შორის საომარი მდგომარეობის დროს.

# 3. კონვენციის მოქმედებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედებასთან დაკავშირებით საყურადღებოა კონვენციის პირველი მუხლი, რომლის თანახმად: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველას უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით.“ ამ დებულებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია: 1) კონვენციის გამოყენებასთან „ყველას“ მიმართ; 2) კონვენციის მოქმედების ტერიტორიულ ფარ-

<sup>12</sup> მე-6 ოქმით არ იკრძალება სიკვდილით დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ომის ან მისი გარდაუვალი საფრთხის არსებობის დროს.



გლებთან; და 3) სახელმწიფოს ვალდებულებასთან, ყველა „უზრუნველყოს“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით.

### 3.1. კონვენციის გამოყენება „ყველას“ მიმართ

ტერმინი „ყველა“, რომელიც გამოყენებულია კონვენციის პირველ მუხლში, მოიცავს არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ უცხოელებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებსა და ქმედუწუნარო პირებს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა უნდა უზრუნველყონ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით. ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი *ნებისმიერი პირის* უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევისათვის. კონვენციის პირველი მუხლის მიუხედავად, ევროპული კონვენციის მე-16 მუხლი ადგენს, რომ დასაშვებია უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

### 3.2. კონვენციის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები

კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.<sup>13</sup> იგივე ვალდებულება ეკისრებათ სახელმწიფოებს დამატებითი ოქმებით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს *იურისდიქცია* და *ტერიტორია* შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.<sup>14</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ლოიზიდო თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)* – განაცხადა, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტერიტორია.<sup>15</sup> ხსენებული საქმე ეხებოდა საკუთრების უფლების დაცვას ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე, რომელიც ოკუპირებულია თურქეთის მიერ 1974 წლიდან. როგორც ცნობილია, ამ ტერიტორიაზე, რომელიც გამოცხადდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკად, განთავსებული იყვნენ თურქეთის სამხედრო შენაერთები.<sup>16</sup> ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

13 P. van Dijk & G. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998, 3.

14 განსხვავებული ნესია დადგენილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (1966 წელი) მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და უზრუნველყონ ყველა პირისათვის პაქტით გათვალისწინებული უფლებები თავისი ტერიტორიის ფარგლებში.

15 *ლოიზიდო თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)*, 1995 წლის 23 მარტი, Series A, no. 310, 62-ე პუნქტი.

16 F. Jacobs & R. White, *The European Convention on Human Rights*, 1996, 21.

„კონვენციის ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დადგეს, როდესაც სამხედრო მოქმედების შედეგად – მოუხედავად იმისა, კანონიერია თუ უკანონო – სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან კონტროლს თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს ასეთი კონტროლის ფაქტიდან, იმის მიუხედავად, იგი ხორციელდება სახელმწიფოს მიერ უშუალოდ, მისი შეიარაღებული ძალების, თუ მისდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით.“<sup>17</sup>

ევროპული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა იმ ტერიტორიაზეც, რომელზეც იგი ახორციელებს იურისდიქციას, თუმცა არ განეკუთვნება ამ სახელმწიფოს.

### 3.3. სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განიმარტა ისე, რომ იგი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც.<sup>18</sup> ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის მესამე მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ (პოზიტიური ვალდებულება). თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება თავად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

თუმცა კონვენციის მრავალი დებულების ძირითადი მიზანია საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის აკრძალვა, უდავოა, რომ სახელმწიფოს შეიძლება ასევე დაეკისროს ამ უფლებათა ეფექტიანი დაცვის ვალდებულება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოზიტიური ვალდებულება გამომდინარეობს

17 *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)*, 1995 წლის 23 მარტი, Series A, no. 310, 62-ე პუნქტი; ასევე იხ. *ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ (Bankovic and Others v. NATO Member States)*, 2001 წლის 12 დეკემბერი.

18 *ლ. ვილდაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2002 წელი, გვ. 59-60.*

კონვენციის მე-2,<sup>19</sup> მე-3,<sup>20</sup> მე-8<sup>21</sup> და მე-11<sup>22</sup> მუხლებიდან. პოზიტიური ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კონვენციის სხვა დებულებების საფუძველზეც.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საილუსტრაციოდ შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადანაცვტილებების მოშველიება. 1988 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ავსტრიის წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი (საქმე – *Plattform "Ärzte für das Leberl" v. Austria*), რომელიც ეხებოდა შეკრების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი).<sup>23</sup> ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეიტანა ავსტრიელ ექიმთა ასოციაციამ, რომელიც აბორტის სანინაალმდეგო კამპანიას ეწეოდა. განაცხადი ეხებოდა ასოციაციის ორ დემონსტრაციას, რომელთა ჩატარებას ხელი შეუშალა ამ კამპანიის მონინაალმდეგეთა ჯგუფმა. ასოციაციის წევრთა პირველი დემონსტრაციის დროს აბორტის მომხრეებმა ხელი შეუშალეს დემონსტრაციას, რისთვისაც გამოიყენეს ხმის გამაძლიერებლები და დემონსტრანტებს კვერცხები დაუშინეს. პოლიციელები, რომლებიც ესწრებოდნენ დემონსტრაციას, დაპირისპირებაში ჩაერივნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეებს შორის ურთიერთობა გამწვავდა და შეიქმნა ფიზიკურ ძალადობაში მისი გადაზრდის რეალური საფრთხე. აბორტის მონინაალმდეგეთა ჯგუფმა ასევე შეუშალა ხელი ასოციაციის მეორე დემონსტრაციას.

ევროპულ სასამართლოში შეტანილ განაცხადში ასოციაცია ამტკიცებდა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დემონსტრანტები შეკრების თავისუფლების უფლებით, რომელიც გათვალისწინებულია ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით.<sup>24</sup> ამის სანინაალმდეგოდ ავსტრიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს დემონსტრანტთა დაცვა. მთავრობის პოზიციით, საკმარისია, რომ დემონსტრანტებს თავად სახელმწიფომ არ შეუშალოს ხელი დემონსტრაციის ჩატარებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა:

„მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი, ეფექტიანი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ჩაურევლობის მოვალეობით: სახელმწიფოს როლის წმინდა ნეგატიური კონცეფცია შეუთავსებელი იქნება მე-

19 სხვა საქმეებთან ერთად იხ.: *მაკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann v. the United Kingdom)*, 1995 წლის 27 სექტემბერი, Series A, no. 324, 161-ე პუნქტი; *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, Reports 1998-VIII, 3159-61, 115-ე-116-ე პუნქტები.

20 სხვა საქმეებთან ერთად იხ. *ასსენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Assenov and Others v. Bulgaria)*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, Reports 1998-VIII, 3290, 102-ე პუნქტი.

21 სხვებთან ერთად, იხ. *გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaskin v. the United Kingdom)*, 1989 წლის 7 იულისი, Series A, no. 160, 42-ე-49-ე პუნქტები.

22 *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ (Plattform "Ärzte für das Leberl" v. Austria)*, 1988 წელი, Series A, no. 139.

23 იქვე.

24 ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებას, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების ჩათვლით.“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.

11 მუხლის ობიექტსა და მიზანთან. მე-8 მუხლის მსგავსად, მე-11 მუხლი ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვს პოზიტიური ღონისძიების გატარებას, ინდივიდებს შორის ურთიერთობების სფეროშიც კი, თუ არსებობს ამის საჭიროება.<sup>25</sup>

ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ნათელი მოპოვინა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების ფარგლებს. ამ გადაწყვეტილებით ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას – სახელმწიფომ უშუალოდ არ აკრძალოს დემონსტრაცია, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც – სახელმწიფომ უზრუნველყოს დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარება, მათ შორის, დაიცვას დემონსტრანტები მათი იდეური მოწინააღმდეგეებისაგან.<sup>26</sup> აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ იგი უშუალოდ არ არღვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებებს, არამედ მათი უფლებები ირღვევა მესამე მხარის (პირის ან პირთა ჯგუფის) მიერ.

### 3.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები იურიდიულად სავალდებულოა პროცესის მონაწილე სახელმწიფოებისათვის,<sup>27</sup> თავიანთი ბუნებით ეს გადაწყვეტილებები მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის არის: ისინი არ აუქმებენ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს, ადმინისტრაციულ თუ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებმაც გამოიწვიეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა თავის პრეცედენტებში, რომ, მიუხედავად სახელმწიფოს ვალდებულებისა, შეასრულოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სახელმწიფოები თავისუფალნი არიან, თავად განსაზღვრონ ის საშუალებანი, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.<sup>28</sup> ევროპული სასამართლო არ არის საკასაციო, მეოთხე, ინსტანცია.<sup>29</sup>

25 პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ (*Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria*), 1988 წელი, Series A, no. 139, 32-ე პუნქტი; ასევე იხ. X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (*X and Y v. Netherlands*), 1985 წლის 26 მარტი, 23-ე პუნქტი.

26 J. Merrials, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 105-106.

27 იხ. კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

28 *მარკსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 1979 წლის 13 ივნისი, Series A, no. 31, 58-ე პუნქტი; *სკოძარი და გიუნტა იტალიის წინააღმდეგ (Scozzari and Giunta v. Italy)*, 2000 წლის 13 ივლისი, 249-ე პუნქტი;

29 G. Ress, *The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 802.

## 4. კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა შეზღუდვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს მასში ჩამოყალიბებულ უფლებათა და თავისუფლებათა მართლზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ. ევროპული კონვენციით შეიძლება დანესდეს ძირითადად<sup>30</sup> სამი სახის შეზღუდვა:

### 4.1. შეზღუდვა კონკრეტული მუხლების მიმართ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლები ითვალისწინებს ამ მუხლებით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას.<sup>31</sup> ეს მუხლები, რომლებიც ორი პუნქტისაგან შედგება, სტრუქტურულად შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: პირველი პუნქტები ანიჭებს პირებს ამა თუ იმ უფლებას, ხოლო მეორე პუნქტები ადგენს ამ უფლების მართლზომიერი შეზღუდვის პირობებს. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით (ისევე როგორც ზოგიერთი სხვა მუხლით, მაგ., 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი) გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა მართლზომიერად ჩაითვალოს, ხსენებული მუხლების შეზღუდვამ უნდა დააკმაყოფილოს სამი პირობა. კერძოდ, შეზღუდვა უნდა:

- ა) იყოს კანონის შესაბამისად ან კანონით გათვალისწინებული;
- ბ) ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს (მაგ., ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა), რომელიც პირდაპირ გათვალისწინებულია კონკრეტული მუხლით;
- გ) იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მიზანშეწონილია თითოეული პირობის დეტალური განხილვა.

- ა) უფლების მართლზომიერი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი

როგორც უკვე აღინიშნა, მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს „კანონის შესაბამისად“<sup>32</sup> ან „კანონით გათვალისწინებული“<sup>33</sup> ანუ ხსენებულ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა უნდა იყოს ნორმატიულად განმტკიცებული.<sup>34</sup> ტერმინი „კანონი“ უნდა განიმარ-

30 K. Slarmer, *European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights*, 1999, 165-166; F. Jacobs & R. White, *The European Convention on Human Rights*, 1996, 309.

31 ასევე იხ. მე-4 ოქმის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

32 იხ. კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

33 იხ. კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების მე-2 პუნქტები.

34 ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს ეხებოდა, განაცხადა, რომ „კანონი“ შეიძლება იყოს „დაწერილი“ ან „დაუნერგლი“. სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Sunday Times v. the United Kingdom*), 1979 წლის 26 აპრილი, Series A, no. 30, 47-ე პუნქტი. ტერმინი „კანონი“ კონვენციის მნიშვნელობით აეტრონომიურად განიმარტება და მოიცავს ნორმატიული ხასიათის ყველა აქტს.

ტოს არა შეზღუდვითად, როგორც ნორმატიული აქტის ერთ-ერთი სახე, არამედ როგორც ნორმატიული აქტი ზოგადად.

თავისთავად უფლების შეზღუდვის დანესება „კანონით“ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კონკრეტული უფლების შეზღუდვამ დააკმაყოფილოს ევროპული კონვენციის ხსენებული მოთხოვნა. კანონმა უნდა დააკმაყოფილოს მისთვის დანესებული მოთხოვნები.<sup>35</sup> საქმეზე – სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Sunday Times v. the United Kingdom*) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ფორმულირიბიდან – „გათვალისწინებული კანონით“ – გამომდინარეობს ორი მოთხოვნა, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა:

„პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი: მოქალაქეებს, გარემოებების მიხედვით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაერკვნენ, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში; მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირიებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში, განჭვრიტოს ის შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“<sup>36</sup>

ამ საქმეში სასამართლომ, მართალია, მიუთითა, რომ არ არის საჭირო, მოქმედების შედეგები განიჭვრიტოს აბსოლუტური სიცხადით,<sup>37</sup> მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ნათელი მოჰფინა ნორმის სიცხადის აუცილებლობის მოთხოვნას. ევროპული კონვენციით, კანონი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საკმარისი სიცხადით ფორმულირიებული.<sup>38</sup> კონკრეტული უფლების შეზღუდვა და მისი ფარგლები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით. საქმეზე – მელონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*), რომელიც ეროვნული უშიშროების ინტერესთა გამო მოსმენის განხორციელებას ეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანონში საკმარისი სიცხადით უნდა მიეთითოს მოსმენის განმხორციელებელ ორგანოთა დისკრეციული უფლებამოსილება მოსმენის განხორციელების ფარგლებსა და მის მეთოდზე, რათა პირი, რომლის მიმართ ხორციელდება ასეთი მოსმენა, დაცული იყოს თავისი უფლების არამართლობიერი შეზღუდვისაგან.<sup>39</sup> იმის გამო, რომ ინგლისისა და უელსის კანონ-

35 G. Cohen-Jonathan, Respect for Private and Family Life, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Malscher & H. Petzold (Eds.), 1993, 241.

36 სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Sunday Times v. the United Kingdom*), 1979 წლის 26 აპრილი, Series A, no. 30, 49-ე პუნქტი.

37 იქვე.

38 M. Nowak, Limitations on Human Rights in a Democratic Society, in: *The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe*, E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski & J. Schokkenbroek (Eds.), 1993, 122.

39 მელონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*), 1984 წლის 2 აგვისტო, Series A, no. 82.

ნი ბუნდოვანი იყო (განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ სად იყო ზღვარი იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სამართლებრივი ნორმებით რეგულირდებოდა და რომლებიც შესაბამის ორგანოებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეეძლოთ განეხორციელებინათ), ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციის ეს მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, რადგან კანონი არ იყო საკმარისად ნათელი, რის გამოც იგი ვერ უზრუნველყოფდა პირის უფლებების დაცვის მინიმალურ მოთხოვნას.<sup>40</sup> ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა: განჭვრეტის მოთხოვნის არსებობა არ ნიშნავს, რომ პირმა უნდა შეძლოს იმის განჭვრეტა, საეარაუდოდ როდის განახორციელებენ შესაბამისი ორგანოები მის მოსმენას, რაც ამ პირს ადეკვატური მოქმედების საშუალებას მისცემს.<sup>41</sup>

ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია, კანონი იყოს როგორც *ხელმისაწვდომი*, ისე *საკმარისად ნათელი*, რათა გარკვეული იყოს, როდის და როგორ შეიძლება სახელმწიფომ შეზღუდოს პირის უფლება.<sup>42</sup>

#### ბ) უფლების შეზღუდვის კანონიერი მიზანი

მეორე პირობა, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-8-მე-11 მუხლები უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის მართლზომიერებისათვის, ისაა, რომ უფლებათა შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს.

კანონიერი მიზნები, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს ხსენებული მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, თითოეულ მუხლში პირდაპირ არის ჩამოყალიბებული (თუმცა ყველა ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის მიზანი ერთი და იგივე არ არის). ცალკეული მუხლით გათვალისწინებული უფლება მხოლოდ იმ მიზნით შეიძლება შეიზღუდოს, რომელიც პირდაპირ არის მასში მითითებული.<sup>43</sup>

კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს შემდეგი კანონიერი მიზნების მისაღწევად:

- ა) ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები;
- ბ) უნესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთა;
- გ) ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვა;

<sup>40</sup> იქვე, 79-ე პუნქტი.

<sup>41</sup> იქვე, 67-ე პუნქტი.

<sup>42</sup> ასევე იხ. საქმე – ლიანდერი შედეტის წინააღმდეგ (*Leander v. Sweden*), რომელთან მიმართებით სასამართლომ შედეტის კანონმდებლობა (მომაჯალ სახელმწიფო მოხელეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით შემონების შესახებ) საკმარისად ცხადად (ნათლად) ჩათვალა. ლიანდერი შედეტის წინააღმდეგ (*Leander v. Sweden*), 1987 წლის 26 მარტი, Series A, no. 116.

<sup>43</sup> ასევე იხ. ოქმებით გათვალისწინებული ფორმულირებები, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს უფლებები: „საჯარო ინტერესები“ და „საერთო ინტერესები“ (პირველი ოქმის 1-ლი მუხლი).

- დ) სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, ასევე სხვათა რეპუტაციის დაცვა;
- ე) კონფიდენცირად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების აღკვეთა;
- ვ) სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.

კანონიერი მიზნის მისაღწევად კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით განმტკიცებული უფლებების შეზღუდვის საილუსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოშველიება.

ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) შეზღუდვასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე – *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass v. Germany)*, რომელშიც განმცხადებელი საიდუმლო თვალთვალს მიიჩნევდა მის პირად ცხოვრებაში ჩარევად. სასამართლომ დაადგინა, რომ ჯაშუშობისა და ტერორიზმის ფორმების მაღალი განვითარების გამო, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებას, საიდუმლო თვალთვალი, რომელიც მიმართულია ასეთი საფრთხის მოსაგერიებლად, აკმაყოფილებს კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.<sup>44</sup>

საქმეში – *ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (Funke v. France)* – ევროპული სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე იხილავდა განაცხადს განმცხადებლის საცხოვრებლის ჩხრეკასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვია საფრანგეთის კანონმდებლობის საწინააღმდეგო მისმა ფინანსურმა საქმიანობამ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებს და, შესაბამისად, ასეთი ჩარევა გამართლებული იყო.<sup>45</sup>

ზნეობის დაცვაზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) შეზღუდვასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქმე – *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*. ამ საქმეში გაერთიანებული სამეფოს მთავრობა დაეყრდნო ზნეობის დაცვას, რათა გაემართლებინა აკრძალვა საბავშვო სახელმძღვანელო, რომელიც ეხებოდა ბავშვთა სექსუალურ განათლებას. მიუხედავად ინგლისელი გამომცემლის (მან ინგლისში გამოსცა ორი ღანიელი ავტორის სახელმძღვანელო) მტკიცებისა, რომლის თანახმად, სახელმძღვანელოს აკრძალვა არღვევდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს შეხედულება და მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო კონვენციის მე-10 მუხლის მართლზომიერი შეზღუდვა ზნეობის დაცვის მოტივით.<sup>46</sup>

<sup>44</sup> *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, Series A, no. 28.

<sup>45</sup> *ფუნკე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Funke v. France)*, 1993 წლის 25 თებერვალი, Series A, no. 256-A.

<sup>46</sup> *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 1976 წლის 7 დეკემბერი, Series A, no. 24, 48-ე პუნქტი.



## გ) უფლების შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერებისათვის დაწესებულია ასევე მესამე პირობა, რომლის თანახმად, შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

უფლების შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამონეუელია მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით (*pressing social need*). მართლზომიერია თუ არა კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, ფასდება პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის საფუძველზე.<sup>47</sup> სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა შეზღუდვისაკენ, მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული უნდა იყოს.

საკმეზე – სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver v. the United Kingdom*) – ევროულმა სასამართლომ საკმაოდ დეტალურად განმარტა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნის შინაარსი, რომ შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ განაცხადა:

- ა) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“ არ არის სიტყვა „გარდაუვალის“ სინონიმი, თუმცა მას არც ისეთ ტერმინთა მოქნილობა ახასიათებს, როგორცაა: „დასაშვები“, „ჩვეულებრივი“, „სასარგებლო“, „მიზანშეწონილი“, ან „სასურველი“;
- ბ) ხელშემკერელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული, მაგრამ არა უსაზღვრო, შეფასების ფარგლები შეზღუდვების დაწესებისას. საბოლოოდ სასამართლო თავად ადგენს, შეესაბამება თუ არა ეს შეზღუდვები კონვენციას;
- გ) ფრაზა – „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ნიშნავს, რომ იმისათვის, რათა ჩარევა შეესაბამებოდეს კონვენციას, ის უნდა შეესაბამებოდეს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და უნდა იყოს იმ კანონიერი მიზნის პროპორციული, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება;
- დ) კონვენციის მუხლების ის პუნქტები, რომლებიც გარანტირებული უფლებებიდან გამონაკლისს ითვალისწინებს, შეზღუდვითად უნდა განიმარტოს.<sup>48</sup>

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ, მართალია, სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული თავისუფლება, მაგრამ არის თუ არა უფლების შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული – სახელმწიფოს ასეთი შეფასება ექვემდებარება კონტროლს ევროპული სასამარ-

47 J. Cremona, *The Proportionality Principle in the Jurisprudence of the European Court of Human Rights*, *Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Festschrift für Rudolf Bernhardt*, U. Beyerlin, M. Bothe, R. Hofmann & E.-U. Petersmann, 1995, 323-330.

48 სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver v. the United Kingdom*), 1983 წლის 25 მარტი, Series A, no. 61, 97-ე პუნქტი.

თლოს მხრიდან.<sup>49</sup> ევროპული სასამართლო ამონებებს, დააკმაყოფილა თუ არა უფლების შეზღუდვამ კონვენციის მოთხოვნები, მათ შორის, გამომდინარეობს თუ არა უფლებათა შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან და არის თუ არა იგი კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი კანონიერი მიზნის პროპორციული. სხვა სიტყვებით, ევროპული სასამართლო იხილავს, გამართლებულია თუ არა სახელმწიფოს მიერ დაყრდნობა კონვენციის იმ დებულებაზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლების შეზღუდვას.

უფლებათა შეზღუდვის პროპორციულობის საკითხმა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დაამკვიდრა პრინციპი, რომლის თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ „თავისუფალი შეფასების ფარგლები“ (*margin of appreciation*). კერძოდ, სახელმწიფოს აქვს შეფასების გარკვეული თავისუფლება ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მიზანშეწონილობაზე.<sup>50</sup> ამ პრინციპთან დაკავშირებით, საქმეზე – *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

„თავიანთი ქვეყნების სასიცოცხლო საწყისებთან უშუალო და მუდმივი კონტაქტის გამო, სახელმწიფო ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოხატოს თავისი პოზიცია ამ მოთხოვნათა ზუსტი შინაარსის შესახებ, ისევე როგორც მათი დაკმაყოფილებისათვის „შეზღუდვის“ აუცილებლობის“ ან „სასაჯელის“ შესახებ.“<sup>51</sup>

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს უტოვებს „თავისუფალი შეფასების ფარგლებს“, ანუ გარკვეულ თავისუფლებას იმის შესაფასებლად, აუცილებელია თუ არა ადამიანის კონკრეტული უფლების შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>52</sup>

49 დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), 1981 წლის 22 ოქტომბერი, Series A, no. 45, 52-ე პუნქტი; სილვერა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver v. the United Kingdom*), 1983 წლის 25 მარტი, Series A, no. 61, 97-ე პუნქტი.

50 ზოგადად იხ. S. Greer, *The Margin of Appreciation: Interpretation and Discretion under the European Convention on Human Rights*, 2000, 5-13.

51 *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 1976 წლის 7 დეკემბერი, Series A, no. 24, 48-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ საქმესთან – *ლისგოუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Lithgow v. the United Kingdom)*, რომელიც ეხებოდა „თავისუფალი შეფასების ფარგლების“ დოქტრინის გამოყენებას კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მიმართ (საკუთრების უფლების დაცვა), – დაკავშირებით ასევე აღნიშნა, რომ „ეროვნული ხელისუფლება, თავისი საზოგადოების და მისი მოთხოვნილებებისა და რესურსების შესახებ კარგად გათვითცნობიერებულობის გამო, უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე იმის შეფასებისას, თუ რა ღონისძიებებია მართებული ამ სფეროში. ... [ევროპული სასამართლო] პატივს სცემს საკანონმდებლო ხელისუფლების გადაწყვეტილებას ამ მიმართებით, თუ ეს გადაწყვეტილება ამკარად არ არის მოკლებული გონიერულ საფუძველს.“ *ლისგოუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Lithgow v. the United Kingdom)*, 1986 წლის 8 ივლისი, Series A, no. 102, 122-ე პუნქტი.

52 საყურადღებოა, რომ შეფასების ფარგლებთან დაკავშირებით, სასამართლომ ამ „ფარგლების“ საზღვრებზეც მიუთითა, რომელიც განსხვავდება ცალკეული უფლებიდან გამომდინარე. კერძოდ, ზოგიერთი საქმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს არა მხოლოდ „თავისუფალი შეფასების ფარგლები“, არამედ ასეთი „თავისუფალი შეფასების დიდი ფარგლები“ აქვს. იხ., *inter alia*, *ჰაუელი და რეიერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)*, 1990 წლის 21 თებერვალი, Series A, no. 172, 44-ე პუნქტი;

ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების შეზღუდვის შესახებ პირობასთან („აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“) დაკავშირებით შეიძლება ერთ-ერთი საქმის მოშველიება. საქმესთან – დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*) – დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განიხილა ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობით იმ დროისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც, განმცხადებლის აზრით, არღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.<sup>53</sup> გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჰომოსექსუალიზმის აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად და, შესაბამისად, გაერთიანებულ სამეფოს შეეძლო კონვენციის მე-8 მუხლის მართლზომიერი შეზღუდვა, რომელიც იცავს პირადი ცხოვრების უფლებას. მოპასუხე მთავრობა დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოება კონსერვატიულია ზნეობის საკითხებში, რის გამოც, მისი აზრით, ჰომოსექსუალური ურთიერთობის აკრძალვა გამართლებული იყო.

მართალია, ევროპული სასამართლო დაეთანხმა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის შეხედულებას, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოება კონსერვატიულია ზნეობის საკითხებში, მან არ გაიზიარა მისი მტკიცება, რომლის მიხედვით, ჰომოსექსუალიზმისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის არსებობა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარეობდა და, შესაბამისად, ასეთი სასჯელის არსებობა ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის მიზნის პროპორციული იყო. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის, ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს უფლება აქვთ, შეზღუდონ ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ იმ კანონიერი მიზნების მისაღწევად (ევროპული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები; უნესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთა; ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვა და ა.შ.), რომლებიც პირდაპირ გათვალისწინებულია კონვენციის ხსენებული მუხლების მეორე პუნქტებით. სახელმწიფოებს ეკრძალებათ ამ მუხლებით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა სხვა მიზნების მისაღწევად. ამას ადასტურებს ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი, რომლის თანახმად, კონვენციით დაშვებული შეზღუდვები არ უნდა დანესდეს სხვა მიზნით, გარდა კონვენციით გათვალისწინებულისა. აქედან გამომდინარე, თუ ხსენებული მუხლები შე-

<sup>53</sup> დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), 1981 წლის 22 ოქტომბერი, Series A, no. 45.

იზღუდა იმ მიზნებით, რომლებიც არ არის პირდაპირ გათვალისწინებული კონვენციით, დაირღვევა ევროპული კონვენცია. არც ერთი სხვა მიზანი, გარდა ცალკეულ მუხლებში მითითებული მიზნებისა, არ შეიძლება ჩაითვალოს კონვენციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვის საფუძველად.<sup>54</sup>

#### 4.2. ადამიანის უფლებათა შეზღუდვა საგანგებო მდგომარეობის დროს

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს (გადაუხვიოს) კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები საომარი ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს.<sup>55</sup> მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე არ შეიძლება შეიზღუდოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ყველა უფლება და თავისუფლება. ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები აბსოლუტურია და, შესაბამისად, საომარი ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი იკრძალება მათი შეზღუდვა. ასეთ უფლებებს განეკუთვნება სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი<sup>56</sup>), ნამების, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა (მე-3 მუხლი), მონობის, იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი) და სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების აკრძალვა (მე-7 მუხლი).

#### 4.3. ადამიანის უფლებათა შეზღუდვა დათქმის გაკეთების გზით

ევროპული კონვენციის 57-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დათქმის გაკეთების შესაძლებლობას, რომლის მიზანია, გამორიცხოს ან შეცვალოს ცალკეული დებულების იურიდიული მოქმედება მოცემულ სახელმწიფოსთან მიმართებით.<sup>57</sup> „საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის თანახმად, დათქმა შეიძლება გაკეთდეს ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების, მათ შორის რატიფიცირების, დროს.<sup>58</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს არ გაუკეთებია დათქმები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების მიმართ, გარდა 1-ლი, მე-12 და მე-13 ოქმებისა.<sup>59</sup>

<sup>54</sup> F. Jacobs & R. White, *The European Convention on Human Rights*, 1996, 313-314.

<sup>55</sup> დეტალურად იხ. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებით ანალიზი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N3/4, 2000 წელი, გვ. 61-79.

<sup>56</sup> გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვალება მართლზომიერ საომარ მოქმედებათა შედეგია.

<sup>57</sup> იხ. საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის (1969 წელი) მე-2 მუხლის 1(დ) პუნქტი.

<sup>58</sup> იხ. მე-19 მუხლი.

<sup>59</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თვისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: 2001 წლის მეორე ნახევარი“, 2002 წელი, გვ. 17.

## II. ევროპული კონვენციის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობაში

### 1. ევროპული კონვენცია, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ამ თავში განიხილება ევროპული კონვენციის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის კონვენციის იერარქიული ადგილი ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის, მაგრამ ამ განხილვის შედეგად გამოთქმული მრავალი მოსაზრება თანაბრად ეხება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსაც.

ნიშანდობლივია, რომ ზოგადად საერთაშორისო სამართალი არ აკისრებს სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულების ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარების ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს აქვს უფლება, აღიაროს საერთაშორისო ხელშეკრულება ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად, შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტად. საერთაშორისო ხელშეკრულების სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარება გამომდინარეობს ეროვნული და არა საერთაშორისო სამართლიდან. თუ სახელმწიფომ აღიარა საერთაშორისო ხელშეკრულება ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, ხელშეკრულება წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს ეროვნულ დონეზე და, შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები ამ ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის სასამართლოში.<sup>60</sup>

საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნესის მსგავსად, არც ევროპული კონვენცია აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღიაროს კონვენცია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად და, შესაბამისად, უშუალოდ გამოიყენოს მისი დებულებები ეროვნულ დონეზე, მათ შორის სასამართლო დავების გადასაწყვეტად.<sup>61</sup> მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ევროპული კონვენციის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარება კონვენციიდან გამომდი-

<sup>60</sup> გამონაკლისია ევროპის გაერთიანება, რომელშიც საერთაშორისო ხელშეკრულებით და არა ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება სახელმწიფოთა კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია. იხ. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (ლუქსემბურგი) გადაწყვეტილება საქმეზე – *კორსა ენელის წინააღმდეგ*, 1964, ECR, 585.

<sup>61</sup> იხ. *Swedish Engine Drivers' Union v. Sweden*, 1976 წლის 6 თებერვალი, Series A, no. 20, 18.

ნარე ვალდებულებათა შესრულების განსაკუთრებით ეფექტიანი საშუალებაა.<sup>62</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია არ აკისრებს მის მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარების ვალდებულებას, თითქმის ყველა ამ სახელმწიფომ აღიარა კონვენცია თავისი კანონმდებლობის ნაწილად. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებიდან დღეისათვის მხოლოდ ირლანდიამ არ აღიარა კონვენცია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად.<sup>63</sup> ირლანდიის მთავრობამ 2001 წლის 10 აპრილს მოიწონა კანონპროექტი „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ“, რომელიც აღიარებს ევროპულ კონვენციას და მის ოქმებს ირლანდიის კანონმდებლობის ნაწილად და ნარუდგინა პარლამენტს მისაღებად.<sup>64</sup>

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა სხვადასხვა ფორმით აღიარეს კონვენცია ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად. ზოგიერთ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის როლი ქვეყნის კანონმდებლობაში განისაზღვრა კანონმდებლობით,<sup>65</sup> ხოლო ზოგიერთში სასამართლო პრაქტიკით.<sup>66</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მსგავსად, საქართველოში კონვენცია აღიარებულია კანონმდებლობის ნაწილად. საქართველოში ევროპულ კონვენციას შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დაეყრდნოს ევროპული კონვენციის დებულებებს და მის საფუძველზე ამტკიცოს ადამიანის უფლებათა დარღვევა.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა ადგილი საქართველოს კანონმდებლობაში ძირითადად განისაზღვრება რამდენიმე ნორმატიული აქტით.<sup>67</sup>

ა) უნიანარეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს

62 ირლანდია ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A, no. 25, 239-ე პუნქტი.

63 უფრო დეტალურად იხ. D. O'Connell, Ireland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 423 *et seq.*

64 იხ. ირლანდიის იუსტიციის სამინისტროს 2001 წლის 10 აპრილის პრეს-რელიზი: [www.justice.ie]. კანონის ტექსტი იხ. [www.irtd.gov.ie/oireachtas/frame.htm].

65 აესტრია, ბულგარეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდოვა, ნიდერლანდები, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, საქართველო, სლოვაკეთი, სლოვენია, უკრაინა, ჩეხეთი. იხ. J. Polakiewicz, *The Status of the Convention in National Law*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 36.

66 იქვე, ბელგია, გერმანია, იტალია, ლიტვა, შვეიცარია.

67 კ. კორკელია, სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998 წელი, გვ. 103.

კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.<sup>68</sup>

კონსტიტუციის ეს დებულება აღიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად და განსაზღვრავს მათ იურიდიულ თანაფარდობას ეროვნულ დონეზე მოქმედი ნორმატიული აქტების მიმართ. მართალია, ამ დებულებაში *expressis verbis* ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ხელშეკრულებათა იერარქიულ თანაფარდობაზე საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მიმართ, მაგრამ ამ დებულების არსიდან გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები მიჩნეულია საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად, შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტად. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტიტუციის ეს დებულება საერთოდ არ იქნებოდა გათვალისწინებული, რადგან, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები არ ხდება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, ხელშეკრულებათა იერარქიული თანაფარდობის განსაზღვრა სახელმწიფოს შიგნით მოქმედი ნორმატიული აქტების მიმართ მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს;

ბ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი აზუსტებს კონსტიტუციის მე-6 მუხლს საქართველოს კანონმდებლობაში საერთაშორისო ხელშეკრულების როლთან დაკავშირებით. ხსენებული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს ნორმატიული აქტია;<sup>69</sup>

გ) განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“.<sup>70</sup> კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.“

ზოგადად ცნობილია საერთაშორისო ხელშეკრულებათა ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად აღიარების სხვადასხვა ხერხი. საერთაშორისო ხელშეკრულება ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილი შეიძლება გახდეს ავტომატურად ან ერთჯერადი აქტის საფუძველზე, რომელიც აღიარებს კონკრეტულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, ანუ ქვეყნის ნორმატიულ აქტად. საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, საქართველოში არ არის აუცილებელი სპეციალური სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც კონკრეტულ საერთაშორისო ხელშეკრულებას აღიარებს ქვეყნის

68 იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 2000 წლის 7 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რამდენიმე ნორმატიულ აქტში, მათ შორის კონსტიტუციაში, მოხსენიებულია ტერმინი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება“, იურიდიული ბუნებით ეს ორი აქტი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტერმინი „საერთაშორისო ხელშეკრულება“ გეაროვნული ცნებაა და მოიცავს საუარო სამართლებრივი ხასიათის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის შეთანხმებას, კონვენციას, პაქტს, ოქმს. იხ. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3(ა) მუხლები და „საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ევნის კონვენციის მე-2(1)(ა) მუხლი.

69 1996 წლის 29 ოქტომბერი. ასევე იხ. კანონის 1-ლი და მე-19 მუხლები.

70 1997 წლის 16 ოქტომბერი.

ნორმატიულ აქტად. საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი ხდება ავტომატურად. საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, რომ, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება სავალდებულო ხდება საქართველოსათვის, ის ავტომატურად ხდება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი.

საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად აღიარების შედეგად საერთაშორისო ხელშეკრულება არ კარგავს კავშირს საერთაშორისო სამართალთან. საერთაშორისო ხელშეკრულება რჩება საერთაშორისო სამართლის წყაროდ. იგი კვლავინდებურად აგრძელებს მოქმედებას საერთაშორისო დონეზე და სახელმწიფოსათვის წარმოშობს საერთაშორისო ვალდებულებებს. ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულება სახელმწიფოსათვის წარმოშობს ვალდებულებებს არა მხოლოდ საერთაშორისო დონეზე, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, არამედ ასევე ეროვნულ დონეზე, როგორც ქვეყნის ნორმატიული აქტი.

## 2. საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, გამოყენების წინაპირობები

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები აღიარებულია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტად, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი არ ნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლო ყოველთვის შეძლებს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნორმების გამოყენებას სასამართლო საქმის გადასაწყვეტად.<sup>71</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმები ყოველთვის არ გამოდგება იმისათვის, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სასამართლომ გადაწყვიტოს საქმე.<sup>72</sup>

შეუძლია თუ არა ეროვნულ სასამართლოს საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება სასამართლო საქმის გადასაწყვეტად, შემდეგნაირად უნდა დადგინდეს: პირველ რიგში ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, გამორიცხეს თუ არა სახელმწიფოებმა ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.<sup>73</sup> თუ დადგინდა, რომ სახელმწიფოებმა გამორიცხეს ხელშეკრულებით

71 K. Korkelia, *New Trends Regarding the Relationship Between International and National Law*, 23 *Review of Central and East European Law* N3/4, 1997, 229.

72 T. Buergenthal, *Self-Executing and Non-Self-Executing Treaties in National and International Law*, 235 *Recueil des Cours* IV 1992, 368.

73 B. Simma, D.-E. Khan, M. Zöckler & R. Geiger, *The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 85-86; J. Polakiewicz, *Treaty-Making in the Council of Europe*, 1999, 156-157.



უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ხელშეკრულება ვერ გამოიყენება ეროვნულ დონეზე, მათ შორის სასამართლოს მიერ. სახელმწიფოთა ასეთი განზრახვა შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულების ტექსტის და/ან ხელშეკრულების მოსამზადებელი მასალების ანალიზის საფუძველზე. თუ სახელმწიფოებს არ ჰქონდათ განზრახული საერთაშორისო ხელშეკრულებით ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უფლებების მინიჭება, ხელშეკრულება ვერ ნარმოშობს მათთვის უფლებებსა და თავისუფლებებს.<sup>74</sup>

თუ ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებს საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის შემუშავების დროს არ განუზრახავთ ხელშეკრულებით ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭება, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულების შესაბამისი მუხლი *კონკრეტულობის* მოთხოვნას.<sup>75</sup>

საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმები შეიძლება იმდენად ზოგადი და/ან არასრულყოფილი იყოს, რომ ეროვნულმა სასამართლომ ვერ შეძლოს მათი გამოყენება. ასეთი დებულებების გათვალისწინება ხელშეკრულებებში გამოწვეულია ძირითადად ნორმების მოქნილობის უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას აძლევს მრავალ სახელმწიფოს, გახდეს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.<sup>76</sup>

სახელმწიფოთა პრაქტიკაში მიღებულია ხელშეკრულებათა ნორმების გამიჯვნა ორ ისეთ კატეგორიად, როგორცაა „თვითშემსრულებელი“ და „არათვითშემსრულებელი“ ნორმები.<sup>77</sup> „თვითშემსრულებელი“ ნორმა, რომელიც ჩამოყალიბებულია საკმარისად ზუსტად და სრულყოფილად, რაც ეროვნულ სასამართლოს (და ადმინისტრაციულ ორგანოს) აძლევს მისი გამოყენების შესაძლებლობას; „არათვითშემსრულებელი“ ნორმა, რომელიც ჩამოყალიბებულია ზოგადად და არასრულყოფილად და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეკრულების ასეთი დებულების დამაკონკრეტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღების გარეშე სასამართლო (და ადმინისტრაციული ორგანო) ვერ გამოიყენებს მას, როგორც საქმის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძველს. აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც ნესი, არ არის მხოლოდ „თვითშემსრულებელი“ ან „არათვითშემსრულებელი“. ერთსა და იმავე ხელშეკრულებაში შეიძლება იყოს როგორც „თვითშემსრულებელი“, ისე „არათვითშემსრულებელი“ ნორმები. მაგალითად, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ საერთაშორისო პაქტის (1966 წე-

74 J. Polakiewicz, *Treaty-Making in the Council of Europe*, 1999, 156-157; T. Buergethal, *Self-Executing and Non-Self-Executing Treaties in National and International Law*, 235 *Recueil des Cours* IV 1992, 383-384.

75 Y. Iwasawa, *International Human Rights Adjudication in Japan*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 237-238.

76 C. Economides, *The Relationship Between International and Domestic Law*, 1994, 6.

77 K. Korkelia, *International Law in the Georgian Legal Order*, *The Journal of East European Law*, vol. 6, N4, 1999, 387-388

ლი) ნორმების უმრავლესობა მიჩნეულია „არათვითშემსრულებლად“ მათი ზოგადი და პროგრამული ხასიათის გამო.<sup>78</sup> ამავდროულად, სახელმწიფოების დიდი ნაწილი აღიარებს, რომ ამ პაქტით გათვალისწინებული ნორმა დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ „თვითშემსრულებლური“ ხასიათისაა.<sup>79</sup>

სხვა სახელმწიფოთა მსგავსად საქართველოს კანონმდებლობა ადგენს იმ წინაპირობებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმამ იმისათვის, რომ ის გამოიყენონ ეროვნულ დონეზე. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენს კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებს დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებს უშუალოდ.“

კანონის ხსენებული დებულება პირდაპირ ადგენს, რომ იმისათვის, რათა საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები უშუალოდ იქნეს გამოყენებული, ისინი უნდა ადგენდეს კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებდეს დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას.

სხვა სახელმწიფოთა შესაბამისი ნორმატიული აქტების მსგავსად, საქართველოს კანონითაც გამოიწვეულია საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები „თვითშემსრულებლად“ და „არათვითშემსრულებლად“. ამ დებულების თანახმად, იმისათვის, რათა საერთაშორისო ხელშეკრულებამ წარმოშვას ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უფლებები და მოვალეობები, ისინი უნდა ადგენდნენ „კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებდნენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას“.

თუ, კანონის მიხედვით, დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ („თვითშემსრულებელი“ ნორმები), მაშინ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დებულებები, რომლებიც არ ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში არ მოქმედებენ უშუალოდ. ეს უკანასკნელია საერთაშორისო ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმები. საერთაშორისო ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმები შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ მხოლოდ იმ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად, რომელიც დააზუსტებს საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმას, რაც შესაძლებელს გახდის მის გამოყენებას ეროვნულ დონეზე.

78 იხ. პაქტის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

79 იხ. პაქტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

მაგალითისათვის შეიძლება საქართველოს პრაქტიკის მოშველიება. საქართველო 1993 წელს გახდა გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1948 წლის კონვენციის მონაწილე. კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში იმ პირთა მიცემას, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი. არის თუ არა გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის დებულებები „თვითშემსრულებელი“ და შეუძლია თუ არა ეროვნულ სასამართლოს, გაასამართლოს ის პირი, რომელმაც ჩაიდინა გენოციდი? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან კონვენციით გათვალისწინებული ნორმები ზოგადი და არასრულყოფილი ხასიათისაა. შეუძლებელია ამ ნორმის გამოყენება ეროვნული სასამართლოს მიერ, თუ კონვენციის დებულება არ დაკონკრეტდა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმით, რომელიც გაითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ სასჯელს გენოციდის ჩადენისათვის.

რაც შეეხება საკითხს, ხელისუფლების რომელი განშტოება განსაზღვრავს ხელშეკრულების ნორმების „თვითშემსრულებელურ“ და „არათვითშემსრულებელურ“ ხასიათს, აღსანიშნავია, რომ, თუმცა საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიძლება შეასრულოს გარკვეული როლი საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმათა ხასიათის განსაზღვრაში,<sup>80</sup> მაგრამ მთავარი როლი იმის დადგენისას, „თვითშემსრულებელია“ თუ „არათვითშემსრულებელი“ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა, მაინც ეროვნულ სასამართლოებს ეკუთვნით.

იმის გამო, რომ მოსამართლეები თავად განსაზღვრავენ, „თვითშემსრულებელია“ თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა, მათ შეფასებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების, გამოყენების სწორი პრაქტიკის დამკვიდრებისათვის.<sup>81</sup> მოსამართლეთა მიერ „კონკრეტულობის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უკიდურესად მაღალი სტანდარტის დანესება შეამცირებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენების რაოდენობას და მნიშვნელოვნად შეზღუდავს საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარების სამართლებრივ ეფექტს.

ის გარემოება, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება „არათვითშემსრულებელი“ ხასიათისაა, არ ნიშნავს, რომ ხელშეკრულება არ არის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი.<sup>82</sup> ასეთი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია, მაგრამ მისი გამოყენება სასამართლოებისა და ადმინისტრაცია-

<sup>80</sup> თუმცა არსებობს გამოწვევის შემთხვევებიც, როდესაც საკანონმდებლო ხელისუფლება თავად ადგენს იურიდიულად საკანონმდებლო ვით, რომ სასამართლოები პირდაპირ ვერ გამოიყენებენ კონკრეტულ საერთაშორისო ხელშეკრულებას. მაგალითად, გერმანიამ გააკეთა ასეთი განცხადება „ბუქსის უფლებათა შესახებ“ გეროს კონვენციის რატიფიკირებისას. იხ.: B. Simma, D.-E. Khan, M. Zöckler & R. Geiger, *The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 79.

<sup>81</sup> J. Frowein, *International Law in Municipal Courts*, American Society of International Law, Proceedings of the 91<sup>st</sup> Annual Meeting 1997, (1998), 291.

<sup>82</sup> P. van Dijk, *Domestic Status of Human-Rights Treaties and the Attitude of the Judiciary: the Dutch Case*, in: *Fortschritt im Bewußtsein der Grund- und Menschenrechte*, Festschrift für Felix Ermacora, M. Nowak, D. Steurer & H. Treter (Hrsg.) 1988, 636.

ციული ორგანოების მიერ, როგორც სასამართლო ან ადმინისტრაციული საქმის გადანაცვების სამართლებრივი საფუძვლისა, შეუძლებელია.<sup>83</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა განვიხილოთ ორი ისეთი სამართლებრივი კატეგორია, როგორცაა, საერთაშორისო ხელშეკრულების სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარება და ხელშეკრულების ნორმების უნარი, დაადგინონ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ისეთი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, როგორც საქმის გადანაცვების სამართლებრივი საფუძველი.<sup>84</sup> თუმცა ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელმა“ ნორმებმა მანაც შეიძლება შეასრულოს ერთგვარი როლი სასამართლო და ადმინისტრაციული დაეების მოგვარებაში, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის ბუნდოვანი ნორმის განმარტების საშუალებამ.<sup>85</sup>

საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმის „არათვითშემსრულებლური“ ხასიათი არ ნიშნავს, რომ ის სავალდებულო არ არის სახელმწიფოსათვის. ხელშეკრულების ნორმის „არათვითშემსრულებლური“ ხასიათი არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ამ ხელშეკრულების, კერძოდ კი მისი „არათვითშემსრულებელი“ ნორმის, შესრულების ვალდებულებისაგან. სახელმწიფოს მანაც ეკისრება ხელშეკრულების ამ ნორმის შესრულების ვალდებულება. უბრალოდ, ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმა ვერ იქნება გამოყენებული ეროვნული ორგანოების, მათ შორის სასამართლოს, მიერ, როგორც საქმის გადანაცვების სამართლებრივი საფუძველი, სანამ სახელმწიფო არ მიიღებს ნორმატიულ აქტს, რომელიც დააზუსტებს ხელშეკრულების შესაბამის ნორმას.<sup>86</sup> მხოლოდ ასეთი დამაზუსტებელი ნორმატიული აქტის მიღების შემდეგ გახდება შესაძლებელი, სასამართლომ გამოიყენოს ხელშეკრულების ეს ნორმა მის დამაზუსტებელ ნორმატიულ აქტთან ერთად.

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება არ არის სახელმწიფოში მოქმედი ერთადერთი აქტი, რომელიც შეიძლება ანეხებდეს ზოგად ნორმებს. საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, ქვეყანაში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტიც (აქტებიც) შეიძლება ვერ გამოიყენონ სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მათი ზოგადი ხასიათის გამო, რადგან ისინი შეიძლება საჭიროებდნენ დამაკონკრეტებელი ნორმატიული აქტის მიღებას. ქვეყნის კონსტიტუციის ზოგიერთი ნორმა შეიძლება იმდენად ზოგადად იყოს ფორმულირებული, რომ შეუძლებელი გახდეს მის საფუძველზე სასამართლო ან ადმინისტრაციული საქმის გადანაცვება.<sup>87</sup> თუმცა როგორც ადამიანის უფ-

<sup>83</sup> *ib. Report on the Conformity of the Legal Order of Georgia with Council of Europe Standards, AS/Bur/Georgia (1997) 1. Parliamentary Assembly, Council of Europe, 25 Sept. 1997, 29.*

<sup>84</sup> Y. Iwasawa, *International Human Rights Adjudication in Japan*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 236.

<sup>85</sup> M. Scheinin, *International Human Rights in National Law, An Introduction to the International Protection of Human Rights* (Eds. R. Hanski & M. Suksi), 1999, 424.

<sup>86</sup> C. Economides, *The Relationship Between International and Domestic Law*, 1994, 6.

<sup>87</sup> T. Buergenthal, *Self-Executing and Non-Self-Executing Treaties in National and International Law*, 235 *Recueil des Cours* IV 1992, 369.

ლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, ისე სახელმწიფოს კონსტიტუცია შეიძლება საკმაოდ ზოგადად ანესრიგებდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ეროვნული სასამართლოები, ალბათ, არასოდეს ეყრდნობიან იმ არგუმენტს, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული ნორმა ძალზე ზოგადია, რის გამოც მას ვერ გამოიყენებენ სასამართლო საქმის გადასაწყვეტად.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა „არათვითშემსრულებელია“, იგი ვერ გამოიყენებს მას სასამართლოს საქმის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად. ამის მიზეზია ის, რომ სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა არ გაატარეს ხელშეკრულების საიმპლემენტაციო ღონისძიებები (საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციული). თუ სასამართლო ვერ იყენებს საერთაშორისო ხელშეკრულების ამ ნორმას, მისმა გადაწყვეტილებამ შეიძლება დაარღვიოს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მექანიზმს, რომლის მეშვეობით ზუსტდება საერთაშორისო ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმები. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების საკითხის გადაწყვეტამდე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებას საქართველოს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (მე-19 მუხლი). ამ დებულების მიზანია, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება-დამატებები, რათა საერთაშორისო ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმები დაზუსტდეს, რომ სასამართლომ შეძლოს საერთაშორისო ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმის გამოყენება მის დასაზუსტებლად მიღებულ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად.

მიუხედავად ასეთი მექანიზმისა, სასამართლომ თავის პრაქტიკაში შეიძლება აღმოაჩინოს საერთაშორისო ხელშეკრულების „არათვითშემსრულებელი“ ნორმა. ამიტომ მიზანშეწონილია, დამკვიდრდეს პრაქტიკა, რომლის თანახმად, თუ სასამართლომ აღმოაჩინა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა „არათვითშემსრულებელია“, ის (ან მისი წინადადებით საქართველოს უზენაესი სასამართლო) გამოვიდეს ინიციატივით, რათა კომპეტენტურმა ორგანოებმა გაატარონ ისეთი საიმპლემენტაციო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა „არათვითშემსრულებელი“ ნორმების დაზუსტებას და მომავალში მის გამოყენებას ანალოგიური საქმის გადასაწყვეტად.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ასევე ადგენს მეორე წინაპირობას საერთაშორისო ხელშეკრულების ეროვნულ დონეზე გამოყენებისათვის. კანონის ამ მოთხოვნის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, გარდა იმისა, რომ უნდა ადგენდეს კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებდეს დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, უნდა იყოს ოფიციალურად გამოქვეყნებული.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, მისი მონაწილე სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თითქმის ყველა სახელმწიფო აღიარებს კონვენციის ნორმების „თვითშემსრულებლურ“ ხასიათს და სასამართლოები იყენებენ მათ, როგორც სასამართლო საქმის გადანყვეტის სამართლებრივ საფუძველს.<sup>88</sup> კონვენციის ნორმების უმრავლესობა ადგენს საკმარისად კონკრეტულ დებულებებს, რათა წარმოშვან უფლებები და თავისუფლებები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.<sup>89</sup> ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სასამართლოები ხშირად იყენებენ კონვენციის დამატებით ოქმებს, რომლებიც შეიცავენ მატერიალურ უფლებებს.<sup>90</sup> ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ, თუ ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, ყოველთვის ვერ გამოიყენება მათი ნორმების „არათვითშემსრულებლური“ ხასიათის გამო, ევროპული კონვენცია რეგულარულად გამოიყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, როგორც სასამართლო საქმის გადანყვეტის სამართლებრივი საფუძველი.<sup>91</sup>

### 3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იერარქიული ადგილი ეროვნულ კანონმდებლობაში

#### 3.1. ევროპული კონვენციის იერარქიული ადგილი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა კანონმდებლობაში

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე თითქმის ყველა სახელმწიფომ აღიარა კონვენცია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად და, აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფოთა სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები იყენებენ მას როგორც საქმის გადანყვეტის სამართლებრივ საფუძველს. ევროპული კონვენციის სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარება თავისთავად არ განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულების იერარქიულ ადგილს ქვეყანაში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებს

88 J. Polakiewicz, *The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe* (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski et al.), 1992, 152.

89 G. Ress, *The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Peizold (Eds.), 1993, 829.

90 A. Morawa & C. Schreuer, *The Role of Domestic Courts in the Enforcement of International Human Rights-A View from Austria*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 176.

91 J. Polakiewicz, *The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law*, 17 *Human Rights Law Journal*, N11-12, 1996, 411.

შორის. სხვა სიტყვებით, კონვენციის კანონმდებლობის ნაწილად აღიარებიდან არ გამომდინარეობს ის, თუ როგორ უნდა მოგვარდეს შესაძლო კოლიზია ევროპულ კონვენციასა და სახელმწიფოში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებს შორის.<sup>92</sup>

საერთაშორისო ხელშეკრულების იერარქიული ადგილი ქვეყანაში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებს შორის განისაზღვრება ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით.<sup>93</sup> საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვს საერთაშორისო ხელშეკრულების არც კანონმდებლობის ნაწილად აღიარებას და არც მისთვის რაიმე იერარქიული ადგილის მინიჭებას ქვეყნის შიგნით მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას. საერთაშორისო სამართალი ადგენს, რომ საერთაშორისო დონეზე ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, თუ რა იერარქიული ადგილი ენიჭება ხელშეკრულებებს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ვერ დაეყრდნობა თავის შიდასახელმწიფოებრივ სამართალს, მათ შორის იმ ნორმატიულ აქტს, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე შეიძლება მიენიჭოს ხელშეკრულებაზე უფრო მაღალი იერარქიული ადგილი, რათა არ შეასრულოს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.<sup>94</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა, მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს დაეყრდნოს თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რათა თავიდან აიცილოს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება. ხსენებული წესი მყარად დამკვიდრდა საერთაშორისო სამართალში.<sup>95</sup> საერთაშორისო სამართლის საერთო წესი ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზეც – სახელმწიფო ვერ დაეყრდნობა თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას (კონსტიტუციის ჩათვლით), რათა თავი აარიდოს ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას.<sup>96</sup>

იმ სახელმწიფოებში, რომლებიც აღიარებენ ევროპულ კონვენციას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნაწილად, კონვენციას ენიჭება განსხვავე-

92 C. Gulmann, Denmark, in: *The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 16.

93 H. Steinberger, *Reference to the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights Before National Courts*, in: *Proceedings of the Sixth International Colloquy about the European Convention on Human Rights*, 13-16 November 1985, 1988, 732.

94 R. Bernhardt, *The Convention and Domestic Law*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 25. იხ. „საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის შესახებ“ ენის 1969 წლის კონვენციის 27-ე და 46-ე მუხლები.

95 იხ. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები შემდეგ საქმეებთან დაკავშირებით: *Interpretation of the Convention between Greece and Bulgaria Respecting Reciprocal Emigration*, 1930, PCIL Reports, Series B, No. 17, 32; *Treatment of Polish Nationals and Other Persons of Polish Origin or Speech in the Danzig Territory*, 1932, PCIJ Reports, Series A/B, No. 44, 24; ასევე იხ. „საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის შესახებ“ ენის კონვენციის 27-ე მუხლი. P. Pescatore, *Conclusion*, in: *The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 275.

96 J. Polakiewicz, *The Status of the Convention in National Law*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 32.

ბული იერარქიული ადგილი ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. სახელმწიფოთა მიდგომა შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

ა) კონვენციას ენიჭება ქვეყნის კონსტიტუციაზე მაღალი ან კონსტიტუციის თანაბარი იერარქიული ადგილი.<sup>97</sup> ნიდერლანდებში საერთაშორისო ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა, თუ დადგინდა კოლიზია ხელშეკრულებასა და კონსტიტუციას შორის.<sup>98</sup> ავსტრიაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებებს მინიჭებული აქვს კონსტიტუციის დებულებათა რანგი.<sup>99</sup> საყურადღებოა, რომ ასეთი მაღალი იერარქიული ადგილი ავსტრიაში მინიჭებული აქვს არა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას, არამედ მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რაც ადასტურებს მის განსაკუთრებულ როლს ავსტრიის კანონმდებლობაში;<sup>100</sup>

ბ) კონვენციას ენიჭება კონსტიტუციაზე დაბალი, მაგრამ სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებზე მაღალი იერარქიული ადგილი. ასეთი ქვეყნების მაგალითია: აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, ესპანეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, უკრაინა, შვეიცარია, ჩეხეთი. სახელმწიფოების დიდ ნაწილში საერთაშორისო ხელშეკრულებათა იერარქიული ადგილი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში დადგენილია ზოგადად ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ, მაგრამ არის რამდენიმე გამონაკლისი. ზოგიერთ სახელმწიფოში მხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს ენიჭებათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ასეთი ქვეყნების მაგალითია: სლოვაკეთი, რუმინეთი და ჩეხეთი.<sup>101</sup>

ევროპული კონვენციის მონაწილე ზოგიერთ სახელმწიფოში საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ევროპული კონვენციის, უპირატესობა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების (გარდა კონსტიტუციისა) მიმართ განისაზღვრება არა კონსტიტუციით, არამედ სხვა ნორმატიული აქტით ან სასამართლო პრაქტიკით;<sup>102</sup>

97 C. Nørgaard, *The Implementation of International Human Rights Agreements within a Domestic Legal System, The Relationship Between International and Domestic Law: Proceedings of the UniDem Seminar (1993)*, 1993, 16.

98 იხ. ნიდერლანდების კონსტიტუციის 94-ე მუხლი. H. Schermers, *The Netherlands*, in: *The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 113.

99 M. Nowak, *The Implementation of the European Convention on Human Rights*, in: *The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights*, 28-29 October, 1988, 1989, 33.

100 T. Buergenthal, *Self-Executing and Non-Self-Executing Treaties in National and International Law*, 235 *Recueil des Cours* IV 1992, 356.

101 იხ.: ჩეხეთის კონსტიტუციის მე-10 მუხლი; სლოვაკეთის კონსტიტუციის მე-11 მუხლი; რუმინეთის კონსტიტუციის მე-20 მუხლი.

102 მაგალითად, ესტონეთის უზენაესმა სასამართლომ 1997 წელს განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა კოლიზიას კანონსა და ევროპულ კონვენციას შორის, რაზეც სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს კონვენციას. ციტ. J. Polakiewicz, *The Status of the Convention in National Law*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 42.



გ) კონვენციას ენიჭება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების თანაბარი იერარქიული ადგილი. ასეთი ქვეყნების მაგალითია: გერმანია, დანია, ისლანდია, იტალია, ლიქვა, ლიხტენშტაინი, სან-მარინო, თურქეთი, ფინეთი, შვედეთი.<sup>103</sup> ამ სახელმწიფოებში გამოიყენება პრინციპი *lex posteriori derogat priori*.<sup>104</sup> ამ პრინციპის თანახმად, ევროპულ კონვენციას აქვს უპირატესობა იმ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (გარდა კონსტიტუციისა), რომლებიც მიღებული და ამოქმედებულია სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლამდე, მაგრამ ის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებული და ამოქმედებულია კონვენციის სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლის შემდეგ, უპირატესობით სარგებლობენ ევროპული კონვენციის მიმართ.

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში ხსენებულ მიდგომას, რომელიც თავისთავად საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ აყენებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შესრულებას, ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ სახელმწიფოები, ამგვარი სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში, იყენებენ ისეთ პრინციპს, როგორცაა *lex specialis derogat leges generalis*.<sup>105</sup> ამ პრინციპის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, განიხილება სპეციალურ აქტად, რომელსაც ენიჭება უპირატესობა კონვენციასა და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს (გარდა კონსტიტუციისა) შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში.<sup>106</sup>

სახელმწიფოთა კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იერარქიული ადგილის თაობაზე მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას სახელმწიფოთა კანონმდებლობაში განსხვავებული იერარქიული ადგილი ენიჭება. მიუხედავად ამ განსხვავებისა, სახელმწიფოთა უმრავლესობაში ევროპულ კონვენციას უფრო მაღალი იერარქიული ადგილი ენიჭება, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს, მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე ქვეყნის კონსტიტუციას.

103 J. Polakiewicz, The Status of the Convention in National Law, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 42-45.

104 G. Gauksdóttir, Iceland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 402.

105 B. Simma, D.-E. Khan, M. Zöckler & R. Geiger, The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 87-89.

106 კოლიზიის თავიდან აცილების დროს ეს სახელმწიფოები, *lex specialis* პრინციპთან ერთად, იყენებენ კანონმდებლობის საერთაშორისო ვალდებულებებთან პარამონიული განმარტების პრინციპს. R. Bernhardt, The Convention and Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 28.

### 3.2. საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ევროპული კონვენციის, იერარქიული ადგილი საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების შემდეგ იერარქიას:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი;
- ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
- გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება;
- დ) საქართველოს ორგანული კანონი;
- ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
- ვ) საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები.<sup>107</sup>

ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების იერარქიული თანაფარდობის დადგენის მიზანია ასეთი აქტების იურიდიული ძალის განსაზღვრა და სამართლებრივი კოლიზიის გადაწყვეტის გზების დადგენა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულების იერარქიულ ადგილს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის, პრაქტიკაში სასამართლოები შეიძლება აღმოჩნდნენ მრავალი სირთულის წინაშე, რომლებიც დაკავშირებულია სამართლებრივ კოლიზიასთან საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს შორის.

თუ ზოგადად კოლიზიის მოგვარება შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს შორის საკმაოდ რთული საკითხია, ასეთი კოლიზიის მოგვარება კიდევ უფრო რთულდება საერთაშორისო ხელშეკრულების შემთხვევაში. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება, მართალია, ხდება ქვეყნის ნორმატიული აქტი, მაინც რჩება საერთაშორისო სამართლის ნაწილად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედებისა და შეწყვეტის წესი რეგულირდება როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლით, სასამართლომ და ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დააკმაყოფილოს როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი სამართლით დადგენილი მოთხოვნები.

საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს შორის კოლიზიასთან დაკავშირებული სირთულეების თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მარტივი მაგალითის განხილვა, რომელიც ნათელს ჰფენს ამ სირთულეების არსებობას. რომელ ნორმატიულ აქტს უნდა მიანიჭოს უპირატესობა საქართველოს სასამართლომ, თუ საქმის განხილვის დროს ის აღმოაჩენს კოლიზიას საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა

107 იხ.: კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

ეროპულ კონვენციას შორის? ერთი შეხედვით, პასუხი ნათელია: უპირატესობა უნდა მიენიჭოს კონსტიტუციას, რადგან ის უზენაესი კანონია, რომელსაც უმაღლესი იერარქიული ადგილი აქვს მინიჭებული საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. მაგრამ, თუ სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას უპირატესობას მიანიჭებს კონსტიტუციას და გამოიყენებს მის ნორმას, რომელიც ეწინააღმდეგება ეროპულ კონვენციას, სასამართლოს გადანყვეტილება საერაულოდ დაარღვევს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს. როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სამართალი მოითხოვს სახელმწიფოებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებათა კეთილსინდისიერად შესრულებას და მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა იერარქიული ადგილი ენიჭება ეროპულ კონვენციას სახელმწიფოში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის; მეორე მხრივ, თუ სასამართლო, ასეთი კოლიზიის აღმოჩენის შემთხვევაში, გამოიყენებს ეროპულ კონვენციას და არ გამოიყენებს საქართველოს კონსტიტუციის ნორმას, რომელიც ეწინააღმდეგება ეროპულ კონვენციას, იგი დაიცავს ეროპული კონვენციის მოთხოვნებს, კეთილსინდისიერად შეასრულებს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს, მაგრამ დაარღვევს კონსტიტუციის ნორმებს, კერძოდ, ერთი მხრივ, იმ ნორმას, რომელიც ეროპული კონვენციისაგან განსხვავებულ წესს ადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, ნორმას, რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და უპირატესობით სარგებლობს ქვეყანაში მოქმედი ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ (მე-6 მუხლი). ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული კოლიზიის გადაწყვეტა უფრო რთულია, ვიდრე ეს შეიძლება ჩანდეს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების იერარქიული თანაფარდობიდან.

### **3.3. კოლიზია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ადამიანის უფლებათა ეროპულ კონვენციას შორის**

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლიზიის აღბათობა საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის მცირეა. ეს განპირობებულია კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რეგულირების განსხვავებული ობიექტით. ქვეყნის კონსტიტუციით მონესრიგებული საკითხები ძირითადად განსხვავდება იმ საკითხებისაგან, რომელთა მონესრიგებას მიზნად ისახავს საერთაშორისო ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, ძნელად წარმოსადგენია კოლიზია საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სახელმწიფო მონყობა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია, საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია, მისი წევრების არჩევის პირობები, საკანონმდებლო აქტების მიღების წესი და პროცედურა, პრეზიდენტის უფლებამოსილება, სასამართლო ორგანოთა სისტემა, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია და სხვა. კოლიზია საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის შეიძლება მოხდეს ისეთ

საკითხებზე, რომლებიც კონსტიტუციისა და ხელშეკრულების საერთო რეგულაციების ობიექტია. ასეთ საკითხებს განეკუთვნება ძირითადად ადამიანის უფლებათა დაცვა.<sup>108</sup> ამიტომ კოლიზიის არსებობა დასაშვებია საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებების მარეგულირებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის.

კონკრეტულად საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შორის კოლიზიასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კოლიზიის აღბათობა მცირეა ასევე იმის გამო, რომ საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების დროს მხედველობაში მიიღეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები.<sup>109</sup> ამას ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელთა ფორმულირებები მსგავსია ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლების ფორმულირებებისა.

მიუხედავად სხენებულისა, არ იქნებოდა მართებული კოლიზიის გამორიცხვა საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შორის. დასაშვებია, რომ საქმის განხილვის დროს სასამართლომ აღმოაჩინოს კოლიზია საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შორის.

მრავალი სამართლებრივი საკითხი, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შორის კოლიზიისას, არ იჩენს თავს საქართველოს სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ევროპულ კონვენციას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში. ამის მიზეზია ის, რომ კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის იერარქიული თანაფარდობისაგან განსხვავებით, სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებზე (გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა) მაღალი იერარქიული ადგილი ენიჭება.

თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას დადგება ევროპულ კონვენციასა და საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს (მაგ., კანონს) შორის შეუსაბამობის საკითხი, სასამართლოს არაფერი აბრკოლებს, გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს დათქმა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ში-

<sup>108</sup> ეს არ ნიშნავს, რომ გამოირიცხება კოლიზია საერთაშორისო ხელშეკრულებასა და საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებიც არ ანესრიგებენ ადამიანის უფლებათა დაცვას.

<sup>109</sup> იხ. ე. გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (გერმანული გამოცემის ქართული თარგმანის ავტორი ე. კუბლაშვილი), 2002 წელი, გვ. 374; ასევე იხ. გვ. 32. ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების დროს საქართველო არ იყო ევროპული კონვენციის მონაწილე.

დასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს (გარდა კონსტიტუციისა) შორის იერარქიულ თანაფარდობასთან დაკავშირებით. თუ საერთო სასამართლო დაადგენს, რომ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი) პირს უზრუნველყოფს უფრო ეფექტიანი დაცვით, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საერთო სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს და გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით მას უფრო დაბალი იერარქიული ადგილი ენიჭება, ვიდრე ევროპულ კონვენციას. ასეთი მიდგომა გამართლებულია ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის პრინციპით. საქართველოს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ აქტით, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას. არ იქნებოდა მართებული, რომ ევროპულ კონვენციასა და კანონს შორის კოლიზიისას, რომელშიც კანონი უზრუნველყოფს პირის უფლებების უფრო ეფექტიან დაცვას, ვიდრე ევროპული კონვენცია, საქართველოს სასამართლომ გამოიყენოს ევროპული კონვენცია (რომელსაც იერარქიული უპირატესობა ენიჭება კანონთან შედარებით) კანონით დადგენილი ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტიანი დაცვის საზიანოდ.

სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ისევე როგორც ზოგადად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, გამოყენების ერთ-ერთი უპირატესობა ზუსტად ისაა, რომ იგი იძლევა ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ნორმის დადგენის შესაძლებლობას, რომელიც უფრო დაბალი სტანდარტით იცავს ადამიანის უფლებებს, ვიდრე ევროპული კონვენცია. თუ სასამართლო არ გამოიყენებს ევროპულ კონვენციასა და ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იგი უბრალოდ ვერ შეძლებს კოლიზიის დადგენას შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა და ევროპულ კონვენციას შორის და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო დაბალი სტანდარტებით. მართალია, ევროპულ კონვენციას ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიენიჭება უპირატესობა, მაგრამ კოლიზიის აღმოფხვრის გარეშე არ არის იმის გარანტია, რომ მომავალში სხვა სასამართლოს მიერ მსგავსი გარემოებების არსებობის შემთხვევაში საქმის განმხილველი სასამართლო გამოიყენებს ევროპულ კონვენციას და უპირატესობას მიანიჭებს მას.

### III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი სასამართლოების პრაქტიკაში

#### 1. შესავალი

რა როლი ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს (პრეცედენტებს) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში? და უნდა გამოიყენონ თუ არა საქართველოს სასამართლოებმა ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია ევროპული კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოების მიმართ? – ნაშრომის ამ ნაწილში პასუხი გაეცემა ზემოხსენებულ კითხვებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარების შედეგად ევროპული კონვენცია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო გახდა, თუმცა კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, რჩება საერთაშორისო სამართლის წყაროდ. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლის წყარო, საქართველოსათვის სავალდებულოა საერთაშორისო დონეზე, ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად მისი აღიარების შედეგად იგი იურიდიულად სავალდებულო გახდა ეროვნულ დონეზეც და, შესაბამისად, წარმოშობს უფლებებსა და ვალდებულებებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.<sup>110</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოებისათვის, რომლებმაც სასამართლო საქმეთა განხილვისას უნდა იხელმძღვანელონ კონვენციის ნორმებით, როგორც ეროვნულ დონეზე მოქმედი იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესებით.

სასამართლო საქმის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეროვნულ დონეზე გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის საქართველოს სასამართლოებში, როგორც წესი, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, თუ ევროპული კონვენციის ნორმების გამოყენების შესაძლებლობა ეროვნულ დონეზე არ არის სადავო, კონვენციის საფუძველზე მიღებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების – პრეცედენ-

<sup>110</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

ტული სამართლის – როლი ეროვნულ დონეზე, განსაკუთრებით კი ეროვნულ-სასამართლოებისათვის, ხშირად ინვესს აზრთა სხვადასხვაობას ქართულ იურისტებს შორის.<sup>111</sup> მათი უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ხოლო უმცირესობა სანინალმდეგოს ამტკიცებს.

*რა განაპირობებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი?*

იურისტების უმრავლესობის მოსაზრება, რომლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, გამომდინარეობს იქიდან, რომ ორი სხვადასხვა სამართლებრივი კატეგორია აღინიშნება ერთი ტერმინით – „პრეცედენტული სამართალი“, რაც ამ ორი განსხვავებული სამართლებრივი კატეგორიის აღრევითაა გამოწვეული.

სამართლის თეორიაში მიღებულია სამართლებრივი სისტემების გამიჯვნა ანგლოსაქსურ და კონტინენტურ სისტემებად. ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მიმდევარ ქვეყნებში, რომლებსაც ხშირად პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს უწოდებენ, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება (პრეცედენტი) ანალოგიურ სასამართლო საქმესთან დაკავშირებით იმავე ან ქვემდგომი ინსტანციის მიერ გამოიყენება, როგორც სამართლის წყარო. ამ სისტემის მიმდევარ სახელმწიფოებში ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი ხდება იურიდიულად სავალდებულო სხვა სასამართლოებისათვის. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება (პრეცედენტი) სამართლის წყაროა დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისათვის;<sup>112</sup> კონტინენტური სამართლის სისტემის მიმდევარ სახელმწიფოებში სასამართლოს გადაწყვეტილებები არ არის სამართლის წყარო და, შესაბამისად, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) იურიდიულად სავალდებულო არ არის ეროვნული სასამართლოებისათვის მომდევნო საქმეების განხილვისას.<sup>113</sup>

ცხადია, საქართველო არ განეკუთვნება ანგლოსაქსური, ანუ პრეცედენტული, სამართლის ქვეყნების ჯგუფს. კონტინენტური სამართლის სისტემის მიმდევარი სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ადრე მიღებული სასამართლო

111 ეს საკითხი სხვა ქვეყნებშიც ინვესს აზრთა სხვაობას.

112 D. McGoldrick, *The United Kingdom's Human Rights Act 1998 in Theory and Practice*, in: *International and Comparative Law Quarterly*, vol. 50, N4, 2001, 918.

113 მნიშვნელოვანია, რომ, იურისტთა მზარდი რაოდენობის აზრით, სამართლის თეორიაში არსებული მკაცრი გამოიჯვნა პრეცედენტული და არაპრეცედენტული სამართლის სისტემების მიმდევარ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკაში არც ისე მკაფიოა. იხ. პროფ. ტარუფოს (პაეი-ას უნივერსიტეტი, იტალია) მოხსენება (მე-3(2) პუნქტი), ნაკითხული თბილისში 2002 წლის 15-17 აპრილს ჩატარებულ ევროპის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეთა VII კონფერენციაზე. მოხსენების ინგლისურენოვანი ტექსტი ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე: [www.supremecourt.ge].

გადაწყვეტილება არ არის სამართლის წყარო საქართველოს სასამართლოები-სათვის ანალოგიურ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით.<sup>114</sup>

ვინაიდან საქართველო არ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა, ქარ-თველი იურისტების უმრავლესობა კითხვას – უნდა გამოიყენოს თუ არა სა-ქართველოს სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს პრეცედენტული სამართალი? – უარყოფითად პასუხობს. მათი პასუხი გამომდინარეობს იმ ტერმინოლოგიური იდენტურობიდან, რომელსაც შეცდო-მაში შეჰყავს ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მიმ-დევარ ქვეყნებში ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ისე ადამიან-ის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ეწოდება „პრეცე-დენტული სამართალი“, ამ ტერმინების მნიშვნელობა პრინციპულად განსხვავ-დება ერთმანეთისაგან. თუ ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში დადგენილია, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება სა-მართლის წყაროა და სავალდებულოა იმავე ან ქვემდგომი ინსტანციის სასამარ-თლოსათვის ანალოგიურ საქმეებზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს გადაწყვეტილებები სავალდებულო არ არის ყველა სახელმწიფოსათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, რომელმაც დააარსა ადამი-ანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც პროცესის მხარეები არიან. ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ად-გენს: „მაღალი ხელშეკრული მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეას-რულონ სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეე-ბიც ისინი არიან.“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, კერძოდ, მისი 46-ე მუხლის პირველი პუნქტი არ ეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვე-ტილებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარენი.

კონვენციის ამ დებულების მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სა-სამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოსათ-ვის, რომელიც კონკრეტული სასამართლო პროცესის მხარეა მხოლოდ კონ-

<sup>114</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კონტინენტური სამართლის ქვეყანაა, სამართლის პრაქტიკაში არსებული ტენდენციები არ გამოიხატავს ორი სამართლებრივი სისტემის ურ-თიერთგაუქმებას, მათ შორის პრეცედენტული სამართლის სისტემის გაქმნას საქართვე-ლოს სამართლებრივ სისტემაზე. ამ პოზიციას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნეერი ბესარიოვი ზოიძე: „[...] სამართალთა [საერთო და პოზიტიური] პარამონი-ზაციის თანამედროვე პროცესი გვეუბნება, რომ ისინი ძალიან დაუახლოვდებიან ერთმან-ეთს. მე ვფიქრობ, რომ ზომიერი პრეცედენტული სამართლის ჩვენთან უნდა შემუშავდეს. კანონმდებლობას არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. გარკვეულ ფარ-გლებში სასამართლოც უნდა ქმნიდეს სამართალს. ხშირად სასამართლოსათვის საინტერე-სოა ის სამართალიც, რომელიც არაპოზიტიურ ფორმაციაშია. მითუმეტეს, რომ სამართალი გა-ცილებით მუტია, ვიდრე ეს კანონმდებლობაა.“ იხ. ინტერვიუ ბ. ზოიძესთან – თავისუფლება პირობითი ცნება...“, ტურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2, 2000 წელი, გვ. 8-9; ასევე იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს ნეერის ლამარა ჩორგოლაშვილის მოსაზრება: ლ. ჩორგო-ლაშვილი, კონსტიტუციური კონსტროლის თეორიისა და პრაქტიკის სადავო საკითხები, ტურ-ნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2, 2002 წელი, გვ. 43-44.



კრეტულ დავასთან დაკავშირებით. ამდენად, იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარენი, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება (პრეცედენტი) არ არის სავალდებულო.<sup>115</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ არის სამართლის წყარო იმ მნიშვნელობით, რომლითაც „პრეცედენტული სამართალი“ გაიგება ანგლო-საქსური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში.<sup>116</sup> ამიტომაც მცდარია დასკვნა, რომლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იმის გამო, რომ საქართველო არ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული არა როგორც სამართლის წყარო, არამედ როგორც ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტება.

ვიდრე განიხილება ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებათა გავლენა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაზე, აუცილებელია ტერმინოლოგიური განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების (პრეცედენტების) ერთობლიობას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ. მის აღსანიშნავად ხშირად იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: „პრეცედენტული სამართალი“, „სამოსამართლო სამართალი“, „სასამართლო პრაქტიკა“. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად გამოიყენება ტერმინი – „პრეცედენტული სამართალი“, თუმცა ხსენებული სხვა ტერმინების გამოყენებისას მათ იგივე სამართლებრივი დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭებათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომი არ იხილავს ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებათა გამოყენების საკითხს იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც კონკრეტული პროცესის მხარეები არიან. ნაშრომი შემოიფარგლება მხოლოდ იმ სახელმწიფოებზე ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებათა გამოყენების განხილვით, რომლებიც არ არიან კონკრეტული სასამართლო პროცესის მხარეები.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გავლენას ახდენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზეც, ასეთი გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლებაზე. ამიტომ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავლენაზე სასამართლო ხელისუფლებაზე.

115 E. Klein, Should the Binding Effect of the Judgments of the European Court of Human Rights be Extended? in: *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Malscher, H. Petzold & L. Wildhaber* (Eds.), 2000, 706.

116 მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი პრეცედენტული სამართლის ქვეყანაა, ისიც კი განასხვავებს „პრეცედენტული სამართლის“ ორგვარ მნიშვნელობას. ბრიტანეთის ლორდთა პალატამ საქმეზე – *კლენსი კეირის წინააღმდეგ* (2001 წ.) – განაცხადა, რომ „ევროპული კომისია და სასამართლოს პრეცედენტების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს ისე გაგებული, როგორც იგი ესმით ჩვენს სამართალში“. ციტ.: D. McGoldrick, *The United Kingdom's Human Rights Act 1998 in Theory and Practice*, in: *International and Comparative Law Quarterly*, vol. 50, N4, 2001, 918.

## 2. ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სამართლებრივი რეგულირება

იურისტებს, მათ შორის მოსამართლეებს, განსაკუთრებით კონტინენტური სამართლის სისტემის მიმდევარ ქვეყნებში, ხშირად უჩნდებათ კითხვა: სახელმწიფოს რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი?

კითხვის ასეთი ფორმულირება ნაწილობრივ გამომდინარეობს პრეცედენტული სამართლის არასწორად გაგებული მნიშვნელობიდან, რაც უკვე განხილულ იქნა. ამ კითხვის ავტორები იმედიებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგს და საკითხს ასე სვამენ: თუ ევროპული კონვენციის გამოყენება ეროვნულ დონეზე განისაზღვრა სახელმწიფოს კონკრეტული ნორმატიული აქტით (მაგალითად, კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით), რომლის საფუძველზეც კონვენცია აღიარებულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნყაროდ, სახელმწიფოს რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა ეროვნულ დონეზე, მათ შორის სასამართლო საქმეთა განხილვის დროს?

ზოგადად, ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები სხვადასხვა ფორმით ადგენს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას ეროვნულ დონეზე. ზოგიერთ სახელმწიფოში საკანონმდებლო აქტი განსაზღვრავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.<sup>117</sup> ასეთი სახელმწიფოს მაგალითია დიდი ბრიტანეთი, რომლის „ადამიანის უფლებათა აქტში“ (1998 წელი) პირდაპირ მითითებულია, რომ დიდი ბრიტანეთის სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციის დებულებათა განმარტების დროს.<sup>118</sup> იმავე წესს ითვალისწინებს ირლანდიის კანონპროექტი „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ“, რომელიც დასამტკიცებლად წარდგენილია ირლანდიის პარლამენტში.<sup>119</sup>

117 ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა შვედეთის მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს ევროპული კონვენციის განმარტების აუცილებლობას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, პარლამენტმა ასეთი ვანზრახვა გამოხატა ევროპული კონვენციის შვედეთის კანონმდებლობის წინააღმდეგ აღიარების დროს. იხ. I. Cameron, Sweden, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 839-840.

118 იხ. ადამიანის უფლებათა აქტის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტი. ტექსტი იხ. ინტერნეტ-გვერდზე: [\[www.hms.gov.uk/acts/acts1998/19980042.htm\]](http://www.hms.gov.uk/acts/acts1998/19980042.htm); ასევე იხ. F. Klug, *The Human Rights Act 1998, Pepper v. Hart and All That*, Public Law, Summer 1999, 250-251; K. Starmer, *European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights*, 1999, 25.

119 კანონის მე-4 ნაწილი. კანონის ტექსტი იხ. [\[www.ir.gov.ie/oireachtas/frame.html\]](http://www.ir.gov.ie/oireachtas/frame.html); იქვე, იხ. კანონის განმარტებითი შემოწმების მე-16 პუნქტი.

ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა განისაზღვრება ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება რამდენიმე სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკის მოშველიება:

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ფედერალური კონსტიტუციის განმარტებისას უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შინაარსი და განვითარების მდგომარეობა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონსტიტუციაში განმტკიცებულ უფლებათა შინაარსისა და ფარგლების დადგენის საშუალებაა;<sup>120</sup>

შვეიცარიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც პირად თავისუფლებას ეხებოდა, მიუთითა, რომ ეს უფლება უნდა განმარტოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით;<sup>121</sup>

ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ 2000 წლის 23 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ნორვეგიის სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იმ განმარტებით, რომელიც მიეცა კონვენციის დებულებებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით;<sup>122</sup>

კვიპროსის უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კვიპროსის სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკას, მიუთითა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ასრულებს ორიენტირის ფუნქციას ეროვნული სასამართლოებისათვის;<sup>123</sup>

პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა იქნეს გათვალისწინებული პოლონეთის კანონმდებლობის განმარტებისათვის;<sup>124</sup>

120 Decisions of the Federal Constitutional Court, 1987, vol. 74, 370. ციტ.: J. Frowein, Incorporation of the Convention into Domestic Law, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993.

121 YBECHR 1977, 801ff.

122 The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), N50, 2000, 19.

123 *Cosmos Press v. The Police*, 2 CLR 73, 1985, 76-81. ასევე იხ. G. Ress, The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 842.

124 III ARN 75/94. cit. A. Wyrozumska, Impact of the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights on Domestic Law and the National Judge, Judge and International Law, 1998, 150. ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლო ასევე დაეკრძა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Rotaru v. Romania*) (2000 წლის 4 მაისი), – რომლითაც დაასაბუთა თავისი პოზიცია. L. Wildhaber, The Application of the Convention and its Case-Law in the Member States; report delivered at the Conference: "The European Convention on Human Rights and its Case Law: Application by Domestic Courts and Public Administration", 6 March 2001, Riga, Latvia.

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა ეროვნული სასამართლოების მიერ ძირითადად განისაზღვრება არა ამისათვის სპეციალურად მიღებული ნორმატიული აქტით, არამედ ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით.

### 3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების მოტივები

*რა განაპირობებს ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას სასამართლო საქმეების განხილვის დროს?*

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარეები, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებენ პრაგმატული მოსაზრებით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის ეროვნული სასამართლოები, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც კონვენციის საზედამხედველო ორგანო, ახდენს ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას. ეს განაპირობებს სახელმწიფოების, მათ შორის ეროვნული სასამართლოების, მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) გამოყენებას, რომლებიც ეხება კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.<sup>125</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათადა თავისუფლებათაშინაარსს.<sup>126</sup> კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს.<sup>127</sup> ევროპული სასა-

<sup>125</sup> E. Klein, Should the Binding Effect of the Judgments of the European Court of Human Rights be Extended? in: *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Byssdal, P. Mahoney, F. Malscher, H. Petzold & L. Wildhaber* (Eds.), 2000, 705. ასევე იხ. Para. 43. Report of the Constitutional Court of the Russian Federation, XIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: "The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: <http://www.confleuconstco.org> .

<sup>126</sup> J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 *Human Rights Law Journal*, N11-12, 1996, 407.

<sup>127</sup> *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom)*, 1978 წლის 18 იანვარი, Series A, no. 25, 154-ე პუნქტი.

მართლოს განმარტებით, რაც აისახება პრეცედენტულ სამართალში, ევროპული სასამართლო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციას.<sup>128</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერთ გადანყვეტილებაში. მან განაცხადა, რომ „ფაქტობრივად სასამართლოს გადანყვეტილებები მიზნად ისახავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ საქმეთა გადანყვეტას, არამედ, უფრო ზოგადად, ნათელი მოჰფინოს, დაიცვას და განავითაროს კონვენციით გათვალისწინებული ნორმები და ამგვარად ხელი შეუწყოს სახელმწიფოების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას“.<sup>129</sup>

ა) ეროვნული სასამართლოები ათვითცნობიერებენ, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება.<sup>130</sup> კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსი გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.<sup>131</sup> ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადანყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები.<sup>132</sup> კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰყენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.<sup>133</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აზუსტებს კონვენციის ცალკეულ დებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, ისევე როგორც გამოყენების სფეროს, ევროპულ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოები არ განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპულ

128 J. Polakiewicz, *The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe* (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski et al.), 1992, 154.

129 ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A, no. 25, 154-ე პუნქტი.

130 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13. რეკომენდაციის ტექსტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე: [www.coe.int].

131 J. Polakiewicz, *The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law*, 17 *Human Rights Law Journal*, N11-12, 1996, 407.

132 L. Wildhaber, *Speech made at Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention*, in: *The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin* (special issue), N50, 2000, 42.

133 J. Polakiewicz, *The Execution of Judgments of the European Court of Human Rights*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 72-73.

კონვენციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე.<sup>134</sup> როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა ლუციუს ვილდჰაბერმა აღნიშნა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ სამართალში ენიჭება კონვენციის ტექსტს, თუმცა ასეთივე მნიშვნელობა უნდა განეკუთვნოს შესაბამის სასამართლო პრაქტიკას, რომელიც კონვენციის ტექსტიდან გამომდინარეობს.“<sup>135</sup>

ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით.<sup>136</sup> ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით.<sup>137</sup> სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.<sup>138</sup>

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოშველიება, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო განხილვაზე. თუ არ გაანალიზდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ძალზე რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რას გულისხმობს: სამართლიანი და საჯარო მოსმენა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ასეთი განხილვა და როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული პრაქტიკაში.

ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას ადასტურებენ მეცნიერი იურისტები. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავეყრდნოთ იორგ პოლაკევიჩის შეხედულებას, რომელმაც აღნიშნა:

„კონვენციის მრავალი დებულების ნამდვილი მნიშვნელობის სათანადოდ გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მხედველობაში მიიღება სტრასბურგის სასამართლოსა და კომისიის პრაქტიკა.“

სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის მზარდი მნიშვნელობა გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის გამოყენებაზე. თუ წარსულში ზოგადად მოიშველიებოდა კონვენციის ცალკეული დებულებანი,

134 J. Madureira, Portugal, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 683.

135 ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2002 წელი, გვ. 63.

136 A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 676.

137 M. Melchior, Main Points of the General Report, Seminar "Partners for the Protection of Human Rights: Reinforcing Interaction Between the European Court of Human Rights and National Courts", 9-10 September 2002, Strasbourg.

138 M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 5.

დღეს ეროვნული სასამართლოები რეგულარულად ითვალისწინებს ამ დებულებათა გამოყენების პრაქტიკას სტრასბურგის სასამართლოს მიერ. მაგალითად, საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიები ან მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არ განისაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მხოლოდ მე-6 მუხლის საფუძველზე. მათი [საქმის სამართლიანი განხილვის გარანტიების ან მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის-კ.კ.] დამახასიათებელი ნიშნების დასადგენად ეროვნული სასამართლოები იყენებენ იმ კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომლებიც სხვადასხვა საქმის კონტექსტში განვითარდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში.<sup>139</sup>

ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ ევროპული კონვენციის დებულებებს განსხვავებულად განმარტავენ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან შეიძლება უფრო შეზღუდვითად განმარტოს ის უფლება, რომელიც ენიჭება პირს. ამის შედეგად პირი არ იქნება უზრუნველყოფილი უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპული კონვენციით. ასეთ შემთხვევაში, თუ პირი მიმართავს ევროპულ სასამართლოს იმის მტკიცებით, რომ ეროვნულმა სასამართლომ იგი არ უზრუნველყო იმ უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპული კონვენციით, ევროპული სასამართლო მის სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას და დაადგენს, რომ სახელმწიფომ, რომლის სასამართლომაც კონვენციით გათვალისწინებული დებულება უფრო შეზღუდვითად განმარტა, ვიდრე ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, არ შეასრულა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებანი.<sup>140</sup>

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსის დადგენაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ კონვენცია არის არა სტატიკური, არამედ „ცოცხალი“ დოკუმენტი.

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიღებულია 1950 წელს. იგი იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელმაც საერთაშორისო დონეზე განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.<sup>141</sup> ამ პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვა როგორც უნივერსალურ,

139 J. Polakiewicz, The Status of the Convention in National Law, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 51.

140 J. Velu, Report on "Responsibilities for States Parties to the European Convention", in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 592-593.

141 თუმცა 1945 წელს მიღებულმა გაეროს წესდებამ პირველად მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვის „ინტერნაციონალიზაცია“.

ისე რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვნად განვითარდა, განმტკიცდა ადამიანთა უფლებრივი გარანტიები, გაფართოვდა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსი და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამონაკლისი არ არის. მისი მიღებიდან გასული ხუთი ათწლეულის განმავლობაში ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებშიც იცვლებოდა საზოგადოებრივი ცნობიერება, მიდგომა ამა თუ იმ ზნეობრივი ფასეულობებისადმი. მათთან ერთად შეიცვალა ადამიანის უფლებათა შინაარსი, გაფართოვდა ის გარანტიები, რომლებიც პირს ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

ბუნებრივია, რომ ევროპულ სასამართლოს ჯეროვანი პასუხი უნდა გაეცა აღნიშნული ცვლილებებისათვის, რაც შეუძლებელი იყო სასამართლო მიერ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ზნეობრივი ფასეულობების კვლადაკვალ ევროპული კონვენციით დაცული უფლებებისათვის უფრო ფართო შინაარსის მინიჭების გარეშე. ამისათვის ევროპული კონვენციის საზედამხედველო ორგანოებმა<sup>142</sup> ჩამოაყალიბა და განავითარა ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლებების „დინამიკური“ განმარტების კონცეფცია. სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ მხედველობაშია მისაღები კონვენციის სპეციალური ხასიათი, კერძოდ კი ის, რომ კონვენცია „ცოცხალი“ დოკუმენტია, რომელიც უნდა განიმარტოს დემოკრატიულ სახელმწიფოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.<sup>143</sup> სასამართლომ უარყო კონვენციის სტატიკური, ისტორიული განმარტების იდეა.<sup>144</sup> შესაბამისად, ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ კონცეფციებს ევროპული სასამართლო იმ მნიშვნელობით განმარტავს, რაც ასახავს ევროპული საზოგადოების დღევანდელი განვითარების დონეს და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც კონვენციის მიღების დროს არსებობდა.<sup>145</sup> მაგალითად, საქმეზე – *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Tyrrer v. the United Kingdom)* (1978 წელი), რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანის განკეპვლას, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენცია, კერძოდ მისი მე-3 მუხლი,<sup>146</sup> უნდა განიმარტოს საქმის განხილვის დროინდელი მნიშვნელობით და არა იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ენიჭებოდა 1950 წელს. ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმის არსი იყო ის, წარმოადგენდა თუ არა არასრულწლოვანის განკეპვლა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, კერძოდ კი შეადგენდა თუ არა ეს მოქმედება ღირსების შემლახავ სასჯელს. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწი-

<sup>142</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

<sup>143</sup> სხვა საქმეებთან ერთად, იხ. საქმე *ვან დერ მუსელი ბელგიის წინააღმდეგ (Van der Musselle v. Belgium)*, 1983 წლის 23 ნოემბერი, 32-ე პუნქტი.

<sup>144</sup> J. Frowin, *The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe*, in: *Collected Courses of the Academy of European Law*, 1990, vol. 1(2) 1992, 302.

<sup>145</sup> R. Bernhardt, *The Convention and Domestic Law*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Pelzold (Eds.), 1993, 31-32.

<sup>146</sup> „არავინ შეიძლება დაექვემდებროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს“.



ფოთა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარებისა და ზოგადად დამკვიდრებული სტანდარტების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განკეპულა არის ღირსების შემლახავი სასჯელი და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ არასრულწლოვანის განკეპულით დაირღვა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.<sup>147</sup>

ამ კონცეფციის მეშვეობით ევროპული სასამართლო აზუსტებს კონვენციით დაცული უფლებების შინაარსს, აფართოებს მათში ჩამოყალიბებულ გარანტიებს.<sup>148</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის ნორმების განმარტება იცვლება და ვითარდება დროთა განმავლობაში, საზოგადოების ცნობიერების განვითარებისა და ზნეობრივი ფასეულობების შეცვლასთან ერთად.<sup>149</sup> ესა თუ ის მოქმედება, რომელიც 50-60-იან წლებში არ განიხილებოდა კონვენციის დარღვევად, 80-90-იან წლებში შეიძლება ასეთად ჩაითვალოს.

ევროპული კონვენცია საკმაოდ „მშრალი“ დოკუმენტია. კონვენციის ანალოგიური დებულებები ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამდიდრებს ამ დებულებებს, განმარტავს კონვენციის ნორმებს, ადგენს მისი გამოყენების შესაძლებლობას კონკრეტულ გარემოებათა მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოებმა, მათ შორის სასამართლოებმა, უნდა გაითვალისწინოს ამ პრეცედენტების მიღების პერიოდი. ვინაიდან ევროპული კონვენცია „ცოცხალი“ დოკუმენტია, რის გამოც კონვენციის ამა თუ იმ უფლების შინაარსი შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლასთან ერთად, დასაშვებია, რომ ესა თუ ის კონკრეტული პრეცედენტი, რომელიც გამოიყენა ეროვნულმა სასამართლომ, შეიძლება მოძველებული იყოს. რაც უფრო ძველია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მით უფრო ნაკლებად სარწმუნოა იგი და, შესაბამისად, მით უფრო დიდია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლების არასწორი განმარტების რისკი.<sup>150</sup> ამიტომაც ეროვნულმა სასამართლოებმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, რათა აღმოაჩინონ და გამოიყენონ უახლესი პრეცედენტები, რომლებიც მიღებულია ევროპული სასამარ-

<sup>147</sup> თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tyrer v. the United Kingdom*), 1978 წლის 25 აპრილი.

<sup>148</sup> N. Mikkelsen, The Implementation in National Law of the Rights and Freedoms Embodied in the European Convention on Human Rights, in: *The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights*, 28-29 October, 1988, 1989, 93.

<sup>149</sup> Para. 43, Report of the Constitutional Court of the Russian Federation, XIIIth Congress of the Conference of the European Constitutional Courts: "The Relations between the Constitutional Courts and the Other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts", 14-16 May 2002, Brussels. მოხსენება ხელმისაწვდომია კონფერენციის ინტერნეტ-გვერდზე: <http://www.confueconstco.org>.

<sup>150</sup> P. Plowden & K. Kerrigan, *Advocacy and Human Rights: Using the Convention in Courts and Tribunals*, 2002, 157.

თლოს მიერ. ამისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც მოსამართლეებს მისცემს საშუალებას, მუდმივად ადევნონ თვალყური ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დებულებათა „ახლებურ“ განმარტებას.

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რათა განმარტონ ევროპული კონვენციის დებულებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს შეუძლია, მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს ეროვნულ სასამართლოებს კონვენციის დებულებების გამოყენებისას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რისთვისაც მათ უნდა მოიძიონ ევროპული სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებიან ანალოგიურ სიტუაციას, დასაშვებია, ეროვნულმა სასამართლომ ვერ მიაკვლიოს ევროპული სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ნათელს მოჰფენს ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტებას იმ კონტექსტში, რომელიც ეროვნული სასამართლოს მიერ განიხილება. ამის მიზეზი შეიძლება მარტივი იყოს: ევროპულ სასამართლოს არ ჰქონდეს განხილული ანალოგიური საქმე იმის გამო, რომ არავის მიუშართავს მისთვის ადამიანის უფლებათა ასეთ გარემოებაში დასაცავად. ცხადია, ევროპული სასამართლო იხილავს საქმეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიმართა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის მტკიცებით. ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს საქმეები *in abstracto*. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება ვერ აღმოაჩინოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, რომელიც ეროვნული სასამართლოს წინაშე განსახილველი საქმის გარემოებების ანალოგიურია, ასეთი პრეცედენტის არარსებობა არ ნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეწყვიტოს კონვენციის განხილვა და საქმე გადაწყვიტოს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე.<sup>151</sup> ეროვნულმა სასამართლომ თავად უნდა შეაფასოს საქმის გარემოებები და კონვენციის შესაბამისი დებულებები გამოიყენოს საქმის გადასაწყვეტად. მაგალითად, თუ ეროვნული სასამართლო იხილავს დავას კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებთან დაკავშირებით,<sup>152</sup> მას შეუძლია განიხილოს ამ მუხლების მე-2 პუნქტებით დადგენილი სამი კრიტერიუმი, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ხსენებული მუხლებით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები.<sup>153</sup>

ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლო-

151 M. Scheinin, *International Human Rights in National Law, An Introduction to the International Protection of Human Rights* (Eds. R. Hanski & M. Suksi), 1999, 421-422.

152 პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლება; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

153 M. Macovei, *Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights*, 2001, 24.

ების მიერ, რათა შესაძლებელი გახდეს კონვენციით გათვალისწინებული ამა თუ იმ სამართლებრივი ცნებისა თუ პრინციპის კონკრეტული შინაარსის დადგენა, რის გარეშეც ძალზე რთულია კონვენციის დებულებათა სწორი გამოყენება.<sup>154</sup>

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ გარანტიების დადგენისათვის, რომლებიც დაცულია კონვენციით. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (და მისი დამატებითი ოქმებით) დაცული უფლებები და თავისუფლებები არ არის ყოვლისმომცველი. კონვენციაში შეუძლებელია ყველა იმ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ დებულებების მოძიება, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეიძლება მიენიჭოთ.

მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითება ამა თუ იმ გარემოებაზე, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს კონვენციის კონკრეტული დებულება, არ ნიშნავს, რომ გამოირიცხება ამ გარემოებაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლების გავრცელება. კონვენციით განმტკიცებული გარანტიების გამოყენების არეალი შეიძლება გაფართოვდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით და გამოყენებულ იქნეს ისეთი გარემოებების მიმართ, რომლებიც პირდაპირ არ არის მოხსენიებული ევროპულ კონვენციაში.<sup>155</sup>

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კონკრეტული მაგალითების მოყვანა. საქმეზე – კლასი გერმანიის წინააღმდეგ (*Klass v. Germany*), რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენას, – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ იცავს სატელეფონო საუბრების კონფიდენციაურობას, ამ მუხლით განსაზღვრული ცნებები: „პირადი ცხოვრება“ და „მიმოწერა“ მოიცავს მას.<sup>156</sup>

ასევე შეიძლება სხვა მაგალითის მოყვანა, რომელიც ნათელყოფს, კონვენციის დებულებებთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას კონკრეტული უფლების შინაარსის დასადგენად. საქმეზე – ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ (*Niemietz v. Germany*), რომელიც ეხებოდა მ. ნიმიტცის, პროფესიით ადვოკატის, პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას (კონვენციის მე-8 მუხლი), – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის საადვოკატო ოფისის გაჩხრეკამ დაარღვია მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამარ-

154 T. Buergenthal, *International Tribunals and National Courts: The Internationalization of Domestic Adjudication*, in: *Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Festschrift für Rudolf Bernhardt*, 1995, 687.

155 J. Madureira, Portugal, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 683.

156 კლასი გერმანიის წინააღმდეგ (*Klass v. Germany*), 1978 წლის 6 სექტემბერი, Series A, no. 28 41-ე პუნქტი.

თლომ განმარტა, რომ საადვოკატო ოფისი, უფრო ზოგადად კი განმცხადებლის სამუშაო ადგილი, ექცევა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში.<sup>157</sup> აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „საცხოვრებელი“, რომელიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, მოიცავს ინდივიდის სამუშაო ადგილს და, შესაბამისად, იცავს პირს არამართლზომიერი ჩარევისაგან.<sup>158</sup>

მართალია, ევროპული კონვენცია პირდაპირ არ ანესრიგებს ექსტრადიციის საკითხს, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ნათელი მოჰფინა იმას, რომ იმ სახელმწიფოში პირის ექსტრადიცია, რომელშიც მის მიმართ არსებობს ნაშვების ან არააღმიახური მოპყრობის დასაბუთებული ეჭვი, შეიძლება ჩაითვალოს გადამცემი სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. თუ სახელმწიფომ, მისმა ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და არ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ექსტრადიციის საკითხებზე, იგი არ ჩათვლის, რომ კონვენციის მე-3 მუხლი უნდა იყოს გამოყენებული ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

ამდენად, მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ევროპული კონვენციის სტანდარტების დადგენა ძალზე რთულია მხოლოდ კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად. კონვენციაში შეიძლება საერთოდ არ იყოს მოხსენიებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც ვრცელდება კონვენციის უფლებები და თავისუფლებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას აძლევს მოსამართლეებს, უკეთ ჩასწვდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.

გ) ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ განპირობებულია ასევე იმით, რომ იგი აძლევს ეროვნულ სასამართლოებს იმ გადაწყვეტილების განჭვრეტის შესაძლებლობას, რომელსაც სავარაუდოდ მიიღებს ევროპული სასამართლო ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში განაცხადით მიმართვის შემთხვევაში.

თუ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადრე განხილულ საქმეზე დაადგინა კონვენციის დარღვევა ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ, დიდია იმის ალბათობა, რომ მსგავს საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება განიხილოს ევროპულმა სასამართლომ, იგი მიიღებს ასეთსავე გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაადგენს სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევას.<sup>159</sup>

თუ ეროვნული სასამართლოები არ გაითვალისწინებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, არ მოახდენენ კანონმდებლობისა და

157 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A, no. 251-B, 29-ე-33-ე პუნქტები.

158 იქვე: ასევე იხ. L. Clements, N. Mole & A. Simmons, *European Human Rights: Taking a Case Under the Convention*, 1999, 24-25.

159 J. A. Carrilo Salcedo, *The European System of Protection of Human Rights*, in: *Judicial Protection of Human Rights at the National and International Level*, vol. I, 1991, 376-377.

პრაქტიკის, განსაკუთრებით კი სასამართლო პრაქტიკის, კორექტირებას ევროპული სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეებზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ისინი დადგებიან რეალური საფრთხის წინაშე, რომ ევროპული სასამართლო დაადგენს ევროპული კონვენციის დარღვევას ამ სახელმწიფოს მიერ. სხვა სიტყვებით, თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, საეარაუდოა, რომ ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს.<sup>160</sup>

ცხადია, სახელმწიფოს, მისი ეროვნული სასამართლოების ინტერესებშია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, რაც მას მისცემს შესაძლებლობას, დაიცვას ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ევროპული სტანდარტებით. თუ ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიყენეს პრეცედენტული სამართალი და მასში დადგინილი სტანდარტებით დაიცვეს პირთა უფლებები, ნაკლებად მოსალოდნელია, ამ პირებმა მიმართონ ევროპულ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად და, აქედან გამომდინარე, მცირეა იმის ალბათობა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინოს, რომ ამ სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენცია.

თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) არ არის მისთვის სავალდებულო მომდევნო საქმეებზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ითვალისწინებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს, მათ შორის კონვენციის ამა თუ იმ მუხლის განმარტებას.<sup>161</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Cossey v. the United Kingdom)* – აღნიშნა:

„მართალია, [...] სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო თავისი ადრინდელი გადაწყვეტილებები, [...] მაგრამ, იგი, ჩვეულებრივ, მისდევს და იყენებს თავისსავე პრეცედენტებს, რაც სამართლებრივი სიცხადისა და კონვენციის პრეცედენტული სამართლის თანამიმდევრულად განვითარების ინტერესებისთვისაა საჭირო“.<sup>162</sup>

საერთაშორისო სასამართლოების მიერ თავიანთი გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღების ფენომენი ბრიტანელმა იურისტმა პ. ლაუტერპახტმა შემდეგნაირად ახსნა:

160 E. Alkema, *Responsibilities Deriving from the Implementation of the European Convention on Human Rights: Responsibilities for States Parties to the Convention*, in: *Proceedings of the Sixth International Colloquy about the European Convention on Human Rights*, 13-16 November 1985, 1988, 708.

161 L. Wildhaber, *Precedent in the European Court of Human Rights*, in: *Protecting Human Rights: The European Perspective*, *Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber* (Eds.), 2000, 1529-1531.

162 1990 წლის 27 სექტემბერი, *Series A*, no. 184, 35-ე პუნქტი.

„რადგან ასეთი გადაწყვეტილებები არის დროთა განმავლობაში შექმნილი სამართლებრივი გამოცდილება, რომლის მიმდევრობა მოხერხებულია; რადგან ისინი ასახავენ იმას, რაც წარსულში სასამართლომ სამართლიანად ჩათვალა; რადგან ადრე მიღებული გადაწყვეტილებების პატივისცემა უზრუნველყოფს სიცხადესა და სტაბილურობას, რაც მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისათვის; და [...] რადგან მოსამართლეებს, ბუნებრივია, არ სურთ, ამისათვის საკმარისი მიზეზების გარეშე ალიარონ, რომ წარსულში შეცდნენ.“<sup>163</sup>

ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ითვალისწინებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს (პრეცედენტულ სამართალს), არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულება და განსხვავებულად განმარტოს კონვენციის დებულებები. საქმეზე – *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Cossey v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა მომდევნო საქმეებზე გამოყენების პრაქტიკა „ხელს არ შეუშლის სასამართლოს, გადაუხვიოს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუ იგი დარწმუნდა, რომ არსებობს ამისათვის დამაჯერებელი მიზეზები. ასეთი გადახვევა შეიძლება მოხდეს, რათა, მაგალითად, უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ ცვლილებებს და შეესატყვისება დღევანდელ პირობებს.“<sup>164</sup>

როგორც თავად კონვენციით, ისე სასამართლო პრაქტიკით დადასტურებულია ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რომელიც განასხვავებს მის დღევანდელ მიდგომას ადამიანის უფლებათა დაცვის ამა თუ იმ საკითხისადმი ადრინდელი მიდგომისაგან.<sup>165</sup> ევროპული კონვენციის 30-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც შეუთავსებელია სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებასთან.<sup>166</sup> რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ევროპული კონვენციის ისეთ განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება ადრინდელი განმარტებისაგან, სასამართლო პრაქტიკაში მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დებულებათა განმარტება განსხვავდებოდა ადრინდელისაგან.<sup>167</sup>

163 H. Lauterpacht, *The Development of International Law by the International Court*, 1958, 14.  
164 1990 წლის 27 სექტემბერი, Series A, no. 184, 35-ე პუნქტი.  
165 იხ. საქმეები: *დელკურის ბელგიის წინააღმდეგ (Delcourt v. Belgium)* (1970 წელი) და *ბორგერის ბელგიის წინააღმდეგ (Borgers v. Belgium)* (1990 წელი); *შისერი შეიციარის წინააღმდეგ (Schisser v. Switzerland)* (1979 წელი); ასევე იხ. L. Wildhaber, *Precedent in the European Court of Human Rights*, in: *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Pelzold & L. Wildhaber* (Eds.), 2000, 1532-1533.  
166 ევროპული კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად: „როდესაც პალატის განხილვაში არსებული საქმე მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა ან მისი ოქმების განმარტებაზე, ან პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმის რომელიმე მხარე არ არის წინააღმდეგი.“  
167 J. Merris, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 14.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასამართლოების ნაწილი დაევბის გადანყვეტისას იყენებს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, არამედ ევროპული კომისიის გადანყვეტილებებს. როგორც ცნობილია, ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა არსებობა მას შემდეგ, რაც განხორციელდა ევროპული კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმა.<sup>168</sup> მართალია, ეროვნული სასამართლოები დაევბის გადანყვეტის დროს, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების გარდა, ყვრდნობა კომისიის გადანყვეტილებებს კონვენციის დებულებათა განმარტებისათვის, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ ხშირად სასამართლოს შეხედულება კონვენციის დებულებათა განმარტების შესახებ განსხვავდებოდა კომისიის შეხედულებისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოოდ ევროპული სასამართლო ადგენდა, თუ როგორ უნდა განიმარტოს ევროპული კონვენციის დებულებები, უეჭველია, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები ეროვნული სასამართლოებისათვის კონვენციის დებულებათა განმარტების ბევრად უფრო ავტორიტეტული წყაროა, ვიდრე ევროპული კომისიის გადანყვეტილებები.<sup>169</sup> ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ, რამდენადაც ევროპულმა კომისიამ შეწყვიტა არსებობა, მისი განმარტებები შეიძლება აღარ ასახავდეს დღევანდელ მდგომარეობას ან იმას, რომელიც შეიძლება შეიქმნას მომავალში.

#### 4. ადვოკატთა როლი ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას

ადვოკატებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას. ეროვნული სასამართლოების წინაშე ადვოკატებმა უნდა მოიშველიონ არა მხოლოდ ევროპული კონვენცია, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ადვოკატის არგუმენტები ბევრად დამაჯერებელი იქნება, თუ იგი დაეყრდნობა ევროპული სასამართლოს პრეცე-

<sup>168</sup> კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმა დასრულდა 1998 წელს კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლით. მართალია, ახალმა ევროპულმა სასამართლომ 1998 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო ფუნქციონირება, მაგრამ ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთი წლით გააგრძელა საქმიანობა განუხილავ საქმეებზე მუშაობის დასასრულებლად.

<sup>169</sup> K. Slamer, *European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights*, 1999, 19. რაც შეეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადანყვეტილებებს, რომელნიც კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე (1998 წ.) ასევე არსებითად წყვეტდნენ საქმეებს, მათი მნიშვნელობა ეროვნული სასამართლოებისათვის მცირეა, რადგან მისი გადანყვეტილებები არ საბუთდებოდა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებათა მსგავსად. იხ. P. Plowden & K. Kerrigan, *Advocacy and Human Rights: Using the Convention in Courts and Tribunals*, 2002, 158.

დენტებს, დაასაბუთებს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლება ისე უნდა განიმარტოს, როგორც ეს გააკეთა ევროპულმა სასამართლომ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეროვნული სასამართლოს დარწმუნებას ადვოკატის პოზიციის მართებულობაში. თუ ადვოკატი მხოლოდ კონვენციის ტექსტს დაეყრდნო და არ მიუთითა ევროპული სასამართლოს კონკრეტულ პრეცედენტზე იმის დასტურად, თუ როგორ განმარტა და გადანეყიტა ევროპულმა სასამართლომ მსგავსი საქმე, ადვოკატის მიერ კონვენციის მოშველიების ეფექტი შეზღუდული იქნება და, შესაბამისად, მცირე იქნება სასამართლოს მიერ ადვოკატის პოზიციის გაზიარების ალბათობაც.

მიზანშეწონილია მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარის განხილვა. თუ ადვოკატი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის კონკრეტულ დებულებას, მაგრამ მან არ მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი – არ მიუთითა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის შესაბამისი დებულების განმარტებასა და გამოყენებაზე კონკრეტულ სიტუაციაში, რომელიც მსგავსია ეროვნული სასამართლოს წინაშე განსახილველი საქმისა, ეროვნული სასამართლოს პასუხი ამ საქმის მიმართ ევროპული კონვენციის გამოყენებაზე, ადვოკატისათვის, სავარაუდოდ, არასასურველი იქნება.

თუ განსხვავება ადვოკატის მიერ მოშველიებულ კონვენციის დებულებასა და იმ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის დებულებას შორის, რომელიც ამავე საკითხებს ანეხრიგებს, არ იქნება აშკარა ეროვნული სასამართლოსათვის, რისი ალბათობაც არც ისე დიდია ევროპული კონვენციის დებულებათა ზოგადი ფორმულირებების გამო, ადვილი იქნება ამ ადვოკატის არგუმენტის გაქარწყლება იმის შესახებ, თუ რა უფლებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მისი კლიენტი, ან/და როგორ უნდა გადანეყდეს სასამართლო საქმე. თუ ადვოკატმა არ მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, რომელიც ეროვნული სასამართლოსათვის აშკარას გახდის, რომ პრეცედენტით დადგენილი სტანდარტი უფრო მაღალი ხარისხით იცავს პირს (ან ვრცელდება ისეთ ურთიერთობაზე, რაზეც არ ვრცელდება შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი), სასამართლო, სავარაუდოდ, მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის მსგავსი ნორმა დადგენილია ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით (მაგალითად, კანონით) და დაადასტურებს, რომ მათ შორის არ არის შეუსაბამობა. თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ ევროპული კონვენცია და საქართველოს კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ეროვნული სასამართლო, სავარაუდოდ, საერთოდ არ გამოიყენებს ევროპულ კონვენციას.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ადგენს, როგორც წესი, ქცევის უფრო დეტალურ წესებს, ვიდრე ევროპული კონვენცია, რის გამოც, ეროვნული სასამართლოს აზრით, ევროპული კონვენციის გამოყენება არ შეიძინს მნიშვნელოვან დადებით წვლილს სასამართლო საქმის გადანეყიტაში. ეროვნული სასამართლოს ასეთი პოზიცია არ იქნება უსაფუძვლო, თუ ორი აქტიდან (ევროპული კონვენციიდან და შიდასა-



ხელმწიფოებრივი ნორმატიული აქტიდან), რომელთა შორის არ არის წინააღმდეგობა, ერთი ადგენს უფრო კონკრეტულ ნორმას (მაგალითად, კანონი), ვიდრე მეორე (მაგალითად, ევროპული კონვენცია), არ არის უფრო ზოგადი ნორმის გამოყენების აუცილებლობა.<sup>170</sup>

თუ ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ევროპული კონვენცია და ქვეყნის კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ეროვნული სასამართლო უკეთეს შემთხვევაში გადანყვეტილებაში გამოიყენებს კონვენციის შესაბამის დებულებას მხოლოდ როგორც საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის ამსახველ ნორმას. ასე იქნება თუ ისე, ადვოკატის მიერ ევროპულ კონვენციაზე დაყრდნობის ეფექტი უმნიშვნელო იქნება, რადგან მას, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოშველიების გარეშე, გაუჭირდება, დაარწმუნოს ეროვნული სასამართლო, რომ კონვენციის სადავო დებულება მის სასარგებლოდ უნდა იყოს განმარტებული და გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში ადვოკატის მიერ მხოლოდ ევროპული კონვენციის მოშველიება არ მოახდენს მისთვის სასურველ გავლენას ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ, თუ ადვოკატი, ევროპულ კონვენციასთან ერთად, არ დაეყრდნო ევროპული სასამართლოს იმ გადანყვეტილებას, რომელიც აზუსტებს კონვენციის შესაბამისი დებულების გამოყენებას კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება დაასკენას, რომ კონვენციის მოშველიებული დებულება არ ვრცელდება კონკრეტულ გარემოებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში კონვენციის დებულებებიდან პირდაპირ არ ჩანს, რომ კონვენციის ესა თუ ის უფლება ვრცელდება კონკრეტულ გარემოებაზე.

მეორე მხრივ, თუ ადვოკატი, ევროპული კონვენციის დებულებასთან ერთად, დაეყრდნობა ევროპული სასამართლოს კონკრეტულ გადანყვეტილებას, რომლითაც იგი დაასაბუთებს, როგორ განმარტა ევროპულმა სასამართლომ ეს უფლება და გადანყვიტა საქმე, ადვოკატის პოზიციის ასეთ დასაბუთებას ეროვნული სასამართლოს მხრიდან, სავარაუდოდ, საკითხის დეტალური განხილვა მოჰყვება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო განიხილავს არა მხოლოდ ევროპული კონვენციის დებულებასა და მის „ეროვნულ“ ანალოგს (შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს), არამედ ევროპული კონვენციის ზოგადი ნორმის განმარტებას პრეცედენტული სამართლით და ანალოგიური საქმის გადანყვეტას ევროპული სასამართლოს მიერ. ადვოკატის მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების შედეგად ეროვნული სასამართლოსათვის ნათელი იქნება, ერთი მხრივ, ევროპული კონვენციის ნორმა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნორმის გამოყენება კონკრეტულ გარემოებაში. ევროპული კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის განხილ-

<sup>170</sup> შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ასეთ შემთხვევაში არ წარმოიშობა ამ აქტების იერარქიული თანაფარდობის საკითხი, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ორი აქტი (კონვენცია და კანონი) არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ვის შედეგად ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს, ვიდრე ის გადაწყვეტილება, რომელსაც იგი მიიღებდა ადვოკატის მიერ მხოლოდ ევროპული კონვენციის მოშველიების შემთხვევაში. ამდენად, ადვოკატს ბევრად დიდი შანსი აქვს, დაარწმუნოს ეროვნული სასამართლო თავისი პოზიციის დასაბუთებულობაში, თუ იგი, ევროპულ კონვენციასთან ერთად, მოიშველიებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, ადვოკატის მიერ მოშველიებული პრეცედენტის ანალიზის შედეგად ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ ამ პრეცედენტის გარემოებები განსხვავდება ეროვნული სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის გარემოებებისაგან და, შესაბამისად, არ გამოიყენოს ეს პრეცედენტი სასამართლოს საქმის გადასაწყვეტად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით ადვოკატს შეუძლია განჭვრიტოს, ექნება თუ არა მის საჩივარს საქმის მოგების პერსპექტივა ევროპულ სასამართლოში განაცხადის შეტანის შემთხვევაში, თუ ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. თუ საქმის გარემოებები მსგავსია იმ გარემოებებისა, რომელზეც ევროპულმა სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინა სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის დარღვევა, სავარაუდოა, რომ მომდევნო საქმეზეც ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს.

## IV. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პრინციპები

### 1. შესავალი

სამართლის ნორმათა განმარტება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. გამოწვევების არც საერთაშორისო სამართლის, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულების, ნორმებია. ერთ-ერთი მეცნიერის აზრით, საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტება უფრო ხელოვნებაა, ვიდრე პროცედურა, რომლის მეშვეობითაც გამოიყენება სამართლის ნორმები.<sup>171</sup>

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო, რომელიც შეიძლება სასამართლოებმა გამოიყენონ, როგორც საქმის გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველი. ამ გარემოების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები განმარტონ იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია როგორც ზოგადად საერთაშორისო სამართლით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. თუ საქართველოს სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იმავე პრინციპებით არ განმარტეს, რომლებსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ძალზე დიდი იქნება იმის ალბათობა, რომ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დებულებები უფრო შეზღუდვითად განიმარტოს ეროვნულ დონეზე, რის შედეგადაც ფიზიკური და იურიდიული პირები სრულად ვერ ისარგებლებენ იმ უფლებებით, რომლებიც მათ ევროპული კონვენციით ენიჭებათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება როგორც საერთაშორისო სამართლით დადგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმების განმარტების ზოგადი პრინციპები, ისე ის წესები, რომლებსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის განმარტებისათვის. ასევე მიმოიხილება ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების განმარტებასთან დაკავშირებით. ამ ანალიზის საფუძველზე გაკეთდება რამდენიმე დასკვნა საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პრაქტიკის სრულყოფასთან დაკავშირებით.

171 R. Bernhardt. Thoughts on the Interpretation of Human-Rights Treaties, in: Protecting Human Rights: The European Dimension, Studies in Honour of G. Wiarda, F. Metscher & H. Petzold (Eds.), 1988, 65.

## 2. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმების განმარტების ზოგადი პრინციპები

საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, განმარტებისათვის ამოსავალი წერტილია „საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე-33-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა განმარტების ზოგად წესებს.<sup>172</sup>

ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, ვენის კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ადრეა მიღებული (1950 წ.), ვიდრე ვენის კონვენცია (1969 წელი).<sup>173</sup> მოუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ვენის კონვენციის 31-ე-33-ე მუხლები ასახავს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმათა განმარტებასთან დაკავშირებით, რის გამოც ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის განმარტებისას იხელმძღვანელებს ვენის კონვენციის დებულებებით.<sup>174</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვენის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად: „ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც უნდა მიეცეს ხელშეკრულების ტერმინებს მათ კონტექსტში, აგრეთვე ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით.“

ვენის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ ადგენს, რომ ხელშეკრულების განმარტებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ხელშეკრულების ობიექტსა და მიზანზე.<sup>175</sup> აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპული კონვენციის დებულებები უნდა განიმარტოს მისი ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით.<sup>176</sup> ევროპული კონვენციის ობიექტი და მიზანია „ადამიანის

172 ვენის კონვენციის ქართულენოვანი არაოფიციალური ტექსტი იხ.: ქ. კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულებათა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი, 1998 წელი, გვ. 268.

173 ვენის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, კონვენციას არა აქვს უკუქცევითი ძალა.

174 გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Goldier v. the United Kingdom*), 1975 წლის 21 თებერვალი, Series A, no. 35, 29-ე, 30-ე, 34-ე-36-ე პუნქტები; ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (*Johnston and Others v. the United Kingdom*), 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A, no. 112, 51-ე-52-ე პუნქტები; ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ (*Bankovic and Others v. NATO Member States*), 2001 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, 55-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Merris, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 69-70.

175 P. van Dijk & G. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998, 72.

176 პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Pretto and Others v. Italy*), 1983 წლის 8 დეკემბერი, Series A, no. 71, 26-ე პუნქტი; აქსენი გერმანიის წინააღმდეგ (*Axen v. Germany*), 1983 წლის 8 დეკემბერი, Series A, no. 72, 31-ე პუნქტი; ასევე იხ. R. Bernhardt, *Thoughts on the Interpretation of Human-Rights Treaties*, in: *Protecting Human Rights: The European Dimension*, Studies in Honour of G. Wiarda, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1988, 65-66.

უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი რეალიზაცია“ „ეფექტიანი პოლიტიკური დემოკრატიისა“ და „სამართლის უზენაესობის“ საფუძველზე.<sup>177</sup> ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტება მისი ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით მოითხოვს კონვენციის ტექსტის მიმართ უფრო შემოქმედებით მიდგომას, ვიდრე მხოლოდ ამა თუ იმ ტერმინის მნიშვნელობის დადგენას ლექსიკონის მეშვეობით.<sup>178</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვა. თავის ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ 70-იან წლებში განაცხადა, რომ აუცილებელია კონვენციის ისეთი განმარტება, რაც ყველაზე ადეკვატურად უზრუნველყოფს კონვენციის მიზნის მიღწევასა და ხელშეკრულების ობიექტის რეალიზებას, და არა ისეთი, რომელიც მაქსიმალურად შეზღუდავს სახელმწიფოთა მიერ აღებულ ვალდებულებებს.<sup>179</sup>

### 3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული განმარტების პრინციპები

1969 წლის ვენის კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი ნებსების გარდა, რა პრინციპებით ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის განმარტებისას?

შეიძლება გამოიყოს რამდენიმე პრინციპი, რომელთა საფუძველზე ევროპული სასამართლო განმარტავს ევროპული კონვენციის დებულებებს:

- ა) ევოლუციური (დინამიკური) განმარტების პრინციპი;
- ბ) ავტონომიური განმარტების პრინციპი;
- გ) ეფექტიანი განმარტების პრინციპი;
- დ) პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპი;
- ე) თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინა;

#### 3.1. ევოლუციური (დინამიკური) განმარტების პრინციპი

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტებისას, ევოლუციური (დინამიკური) განმარტებაა. როგორც უკვე

177 იხ. ევროპული კონვენციის პრეამბულის მე-4-მე-6 პუნქტები.

178 J. Memlis, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 76.

179 *ვემჰოფი გერმანიის წინააღმდეგ (Wemhoff v. Germany)*, 1968 წლის 27 ივნისი, Series A, no. 7, მე-8 პუნქტი; *ეირი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland)*, 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A, no. 32, 24-ე პუნქტი; *არტიკო იტალიის წინააღმდეგ (Artico v. Italy)*, 1980 წლის 13 მაისი, Series A, no. 37, 33-ე პუნქტი.

აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და ევროპულმა კომისიამ კონვენცია აღიარა „ცოცხალ“ დოკუმენტად, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დებულებები უნდა განიმარტოს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლი-სა და განვითარების კვალდაკვალ.

განმარტების ამ პრინციპის თანახმად, კონვენციაში გამოყენებული კონცეფციები უნდა იქნეს გაგებული ევროპული საზოგადოების დღევანდელი ცნობიერებისა და განვითარების გათვალისწინებით და არა კონვენციის შემუშავების დროს, ხუთი ათეული წლის წინ, არსებულის მიხედვით.<sup>180</sup> დროთა განმავლობაში ევროპული საზოგადოების ცნობიერების შეცვლამ გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ღირებულებებზე, მათ შორის ზნეობის საკითხებზე და ამიტომაც ამ ცვლილებათა გათვალისწინებით უნდა განიმარტოს ევროპული კონვენციის დებულებები.<sup>181</sup>

ევროპული საზოგადოების დღევანდელი ცნობიერებისა და განვითარების გათვალისწინებით, ევროპული კონვენციის განმარტება პირდაპირ გავლენას ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დებულებების განმარტების ზოგად ნებსებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვენის კონვენციაში. კონვენციის 32-ე მუხლით საერთაშორისო ხელშეკრულების მოსამზადებელი მასალები (*travaux préparatoires*) შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ხელშეკრულების განმარტების დამხმარე საშუალება.<sup>182</sup> თუ მოსამზადებელი მასალების როლი, როგორც მხარეთა განზრახვის დადგენის საშუალება, მნიშვნელოვანია ნორმების განმარტებისათვის ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიმართ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების ევოლუციური (დინამიკური) განმარტების გათვალისწინებით, ხსენებული დამხმარე საშუალების როლი ძალიან მცირეა.<sup>183</sup> ვინაიდან ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია უნდა განიმარტოს დინამიკურად, ისტორიული (მათ შორის მოსამზადებელი მასალების გამოყენებით) განმარტების მნიშვნელობა ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებით კარგავს აქტუალობას. ამიტომ, კონვენციის დინამიკური განმარტების გამო, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო კონვენციის მოსამზადებელი მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით.<sup>184</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის დინამიკური განმარტების საილუსტრაციოდ შეიძლება ევროპული სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტის მოშველიება.

180 J. Merrills, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 90-91.

181 J. Polakiewicz, *The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation. The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe* (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski et al.), 1992, 154.

182 საქმე – ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ (*Bankovic and Others v. NATO Member States*), 2001 წლის 12 დეკემბერი, მე-19-21-ე პუნქტები.

183 F. Mann, *Foreign Affairs in English Courts*, 1986, 109; R. Bernhardt, *Human Rights and Judicial Review: The European Court of Human Rights*, in: *Human Rights and Judicial Review: A Comparative Perspective*, D. Beaty (Ed.), 1994, 307; P. van Dijk & G. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998, 78.

184 F. Jacobs & R. White, *The European Convention on Human Rights*, 1996, 33.

თავის ერთ-ერთ საქმეზე – *თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Tyrer v. the United Kingdom)* (1978 წ.), რომელიც ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს ზოგიერთ ნაწილში, კერძოდ, მენის კუნძულზე არასრულწლოვანთა მიმართ იმ დროისათვის შემორჩენილი სასჯელის ისეთ ფორმას, როგორცაა განკეპვლა, – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „კონვენცია „ცოცხალი“ დოკუმენტია, რომელიც [...] უნდა განიმარტოს დღევანდელი პირობების გათვალისწინებით.“<sup>185</sup> იქვე ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ: „არ შეიძლება, სასამართლოზე გავლენა არ მოეხდინა ამ დარგში ევროპის საბჭოს ნევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარებასა და საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.“<sup>186</sup> ამ საქმესთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სხეულებრივი სასჯელი (განკეპვლა) არის დამამცირებელი მოპყრობა, რაც იკრძალება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით.<sup>187</sup>

საქმე – *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)* (1979 წ.) – ეხებოდა ბელგიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით (კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთან შედარებით). ამ საქმეზე ევროპული სასამართლოს განცხადებით, 50-იან წლებში განსხვავება კანონიერი და უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების სტატუსთან დაკავშირებით დასაშვები იყო მრავალ ევროპულ სახელმწიფოში, მაგრამ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) უნდა განიმარტოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც გამოიხატა ამ საკითხზე სახელმწიფოთა კანონმდებლობაში ასახული შეცვლილი მიდგომებით. ევროპული სასამართლოს აზრით, 50-იანი წლების შემდეგ ევროპულ სახელმწიფოთა მიდგომა კანონიერი და უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების სტატუსთან დაკავშირებით შეიცვალა და დაადგინა, რომ ამჟამად ასეთი განსხვავება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლს.<sup>188</sup>

საქმეზე – *დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. the United Kingdom)* (1981 წ.), რომელიც ეხებოდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობას სრულწლოვან მამაკაცებს შორის, რაც გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა, – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ კანონმდებლობის მიღების პერიოდთან შედარებით, ახლა ჰომოსექსუალიზმის საკითხის გაგება შეიცვალა მის მიმართ მზარდი შემწყნარებლობით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს ნევრი სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაში აღარ არის აუცილებელი და ადეკვატური, ასეთი აქტებისათვის

185 1978 წლის 25 თებერვალი, Series A, no. 26, 31-ე პუნქტი.

186 იქვე.

187 J. Merris, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 79-80.

188 1979 წლის 13 ივლისი, Series A, no. 31, 41-ე პუნქტი.

გათვალისწინებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მან ასევე მიუთითა, რომ იგი ვერ უგულებელყოფს იმ უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს, რომლებიც განიცადა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ეროვნულმა კანონმდებლობამ ამ საკითხის მიმართ.<sup>189</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ნათელს ჰფენს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლის დინამიკასა და იმ შინაარსს, რომლის საფუძველზეც დაცულია პირთა უფლებები.

### 3.2. ავტონომიური განმარტების პრინციპი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებსა და სამართლებრივ ტერმინებს ავტონომიური მნიშვნელობით განმარტავს. მათი განმარტება შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ პრინციპებსა და ტერმინებს ენიჭებათ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.<sup>190</sup>

ვინაიდან ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებში გამოყენებული მრავალი პრინციპი და სამართლებრივი ტერმინი კარგად ნაცნობია ეროვნული სასამართლოებისათვის, სავსებით გასაგებია სასამართლო საქმეების განხილვისას ეროვნული სასამართლოების მიერ ამ პრინციპებისა და სამართლებრივი ტერმინებისათვის იმ მნიშვნელობის მინიჭების ცდუნება, რა მნიშვნელობითაც ისინი გაიგება ეროვნული კანონმდებლობით.<sup>191</sup> ასეთი ცდუნების მიუხედავად, კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და სამართლებრივი ტერმინების განმარტება ეროვნული „მნიშვნელობით“ არასწორია, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიღებულია ევროპის არა ერთი რომელიმე სახელმწიფოსათვის, არამედ განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისა და ტრადიციების მქონე ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის.<sup>192</sup>

თუ ეს პრინციპები და ტერმინები არ განიმარტა ავტონომიური მნიშვნელობით, მაშინ ისინი უნდა განიმარტონ იმ მნიშვნელობით, რომლებიც მათ ენიჭებათ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით. ეროვნული კანონმდებლობით ამ პრინციპებისა და სამართლებრივი ტერმინებისათვის მინიჭებული მნიშვნელობით განმარტება, სავარაუდოდ, გამოიწვევს მათ განსხვავებულ განმარტებას.

189 1981 წლის 22 ოქტომბერი, Series A, no. 45, მე-60 პუნქტი; ასევე იხ. საქმე – ნორისი ირლანდიის წინააღმდეგ (*Normis v. Ireland*), 1988 წლის 26 ოქტომბერი, Series A, no. 142, 46-ე პუნქტი.

190 W. Strasser, *The European Convention on Human Rights: Some Reflections on its Role in the Light of the Practice of the Convention Organs*, in: *Austrian-Soviet Round-Table on the Protection of Human Rights*, F. Matscher & W. Karl (Eds.), 1992, 105.

191 R. Bernhardt, *Thoughts on the Interpretation of Human-Rights Treaties*, in: *Protecting Human Rights: The European Dimension*, Studies in Honour of G. Wiarda, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1988, 66.

192 F. Matscher, *Methods of Interpretation of the Convention*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 70-71.



მაგალითად, ავტონომიური მნიშვნელობით კონვენციის პრინციპებისა და ტერ-  
მინების განმარტების გარეშე „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“, „სამოქა-  
ლაქო უფლებებსა და ვალდებულებებს“, „პირად და ოჯახურ ცხოვრებას“,<sup>193</sup>  
„საცხოვრებელს“, „მომონერას“, „დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამარ-  
თლოს“ სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოში განსხვავებული მნიშვნელობა მი-  
ენიჭება, რაც შეუძლებელს გახდის ყველა სახელმწიფოსათვის კონვენციით  
გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა საერთო სტანდარტის დადგენასა და  
დაცვას.<sup>194</sup> ამან განაპირობა კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და  
ტერმინების ავტონომიური მნიშვნელობით განმარტების აუცილებლობა.<sup>195</sup>

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ადამიანის უფლება-  
თა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე – ენგელი ნიდერლანდე-  
ბის წინააღმდეგ (*Engel v. Netherlands*) (1976 წ.),<sup>196</sup> რომელიც ეხებოდა ნიდერ-  
ლანდების შეიარაღებული ჯარების სამხედრო მოსამსახურეთათვის სამხედ-  
რო დისციპლინის დარღვევის გამო სხვადასხვა სასჯელის შეფარებას. მო-  
სარჩელენი ამტკიცებდნენ, რომ სამართალწარმოება მათ წინააღმდეგ გან-  
ხორციელდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამარ-  
თლო განხილვის უფლება) დარღვევით, რომელიც ადგენს პროცესუალურ  
მოთხოვნებს „სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან“ დაკავშირებული საქ-  
მეების მიმართ. ევროპული სასამართლოს წინაშე წამოიჭრა საკითხი: ვრცელ-  
დება თუ არა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი დისციპლინურ სამართალ-  
დარღვევებზე? ნიდერლანდების კანონმდებლობით, ასეთი სამართალდარ-  
ღვევა განეკუთვნება დისციპლინურს და არა სისხლისსამართლებრივს, მაგ-  
რამ, როგორც მან აღნიშნა, ევროპული სასამართლოსათვის აუცილებელი იყო  
იმის დადგენა, აქვს თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ევროპული კონვენცი-  
ის თვალსაზრისით, სახელმწიფოს მიერ სამართალდარღვევის კლასიფიცირე-  
ბას დისციპლინურად ან სისხლისსამართლებრივად.<sup>197</sup>

ევროპულმა სასამართლომ, ვინაიდან საჭიროდ ჩათვალა, „სისხლისსამარ-  
თლებრივი ბრალდება“ ავტონომიურად განემარტა, განაცხადა: „ხელშემ-  
კერელ მხარეებს რომ შეეძლოთ თავიანთი შეხედულებით სამართალდარღვე-  
ვის კლასიფიცირება დისციპლინურად, ნაცვლად სისხლისსამართლებრივისა  
[...], მე-6 და მე-7 მუხლების ძირითად დებულებათა მოქმედება დაექვემდებარ-  
ებოდა სახელმწიფოს სუვერენულ ნებას. ასეთ ფართო უფლებამოსილებას  
შეიძლება მოჰყვეს შედეგი, რომელიც შეუთავსებელია კონვენციის ობიექტსა  
და მიზანთან.“<sup>198</sup>

193 იხ. კივანი ირლანდიის წინააღმდეგ (*Keegan v. Ireland*), 1994 წლის 26 მაისი, 44-ე-45-ე პუნქტები.

194 J. Frowein, *The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe*, in: *Col-  
lected Courses of the Academy of European Law*, 1990, vol. I(2) 1992, 305.

195 P. van Dijk & G. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*,  
1998, 77.

196 Series A, no. 22.

197 J. Merrills, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993,  
71-72.

198 Series A, no. 22, 81-ე პუნქტი.

შეიძლება მოვიყვანოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ავტონომიური განმარტების სხვა მაგალითიც. ევროპული სასამართლოს ავტონომიური განმარტებით, ტერმინი „სასამართლო“, რომელიც მოხსენიებულია ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებში, შეიძლება არ ემთხვეოდეს ამ ტერმინის მნიშვნელობას ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. თავის ერთ-ერთ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ტერმინი „სასამართლო“, რომელიც მოხსენიებულია კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებში, არ არის მაინცდამაინც „კლასიკური სახის სასამართლო, რომელიც ინტეგრირებულია ქვეყნის სასამართლო სისტემაში“.<sup>199</sup> ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმისათვის, რათა ორგანო ჩაითვალოს „სასამართლოდ“ ევროპული კონვენციის მნიშვნელობით, იგი არა მხოლოდ უნდა ხასიათდებოდეს საერთო ძირითადი ნიშნებით, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროცესის მხარეებისაგან, არამედ ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესუალურ გარანტიებს.<sup>200</sup>

რადგან ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის ამა თუ იმ პრინციპსა და ტერმინს ავტონომიური მნიშვნელობით განმარტავს, აუცილებელია, ეროვნულმა სასამართლომ ამ პრინციპისა თუ ტერმინის მნიშვნელობის დასადგენად გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან ესა თუ ის უფლება შეიძლება ვერ დაიცვას იმ სტანდარტით, რაც დადგენილია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალით, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპს ან ტერმინს ეროვნულმა კანონმდებელმა შეიძლება განსხვავებული, უფრო შეზღუდული მნიშვნელობა მიანიჭოს, ვიდრე ის, რომელიც მიანიჭა მას ევროპულმა სასამართლომ. ხსენებული კიდევ ერთხელ აღასტურებს, რომ კონვენციის დებულებათა სწორი განმარტებისათვის ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტი, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.<sup>201</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამართლებრივი ტერმინების გამოყენებისას პირდაპირ ეყრდნობა შესაბამისი სახელმწიფოს კანონს. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა პირისათვის დასაშვებად რომ ჩაითვალოს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) თანახმად, თავისუფ-

199 ეიკსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Weeks v. the United Kingdom*), A-114 (1987) 10 EHRR 293, 61-ე პუნქტი.

200 დე ვილდი, ომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ (*De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*), Series A, no. 12, 78-ე პუნქტი.

201 ქ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, ქ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2002 წ., გვ. 53-109.

ლების ასეთი აღკვეთა უნდა განხორციელდეს კანონით განსაზღვრული პროცედურით და დაკავება ან დაპატიმრება მართლზომიერი უნდა იყოს. ასევე იმის შეფასებისას, მართლზომიერია თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტების საფუძველზე, ევროპული სასამართლო უშუალოდ ეყრდნობა სახელმწიფოს კანონს. მიუხედავად ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი მითითებისა სახელმწიფოს კანონზე, ევროპული კონვენცია განსაზღვრავს „კანონისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, სახელმწიფოს კანონი, იმისათვის, რათა მან დააკმაყოფილოს ევროპული კონვენციის მოთხოვნა, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით კანონის ხელმისაწვდომობა ნიშნავს მის გამოქვეყნებას (მაგ., შიდა (სამსახურებრივი) სარგებლობის ნორმატიული აქტი ვერ ჩაითვლება ხელმისაწვდომად). რაც შეეხება კანონის განჭვრეტადობას, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, კანონი რომ ასეთად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს „ფორმულირებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: მოქალაქეს უნდა შეეძლოს [...] განჭვრეტა, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში, იმ შედეგებისა, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“<sup>202</sup>

### 3.3. ეფექტიანი განმარტების პრინციპი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადანყვეტილებებში არაერთხელ აღნიშნა, რომ კონვენცია უზრუნველყოფს არა თეორიულ და ილუზიურ, არამედ პრაქტიკულ და ეფექტიან დაცვას.<sup>203</sup>

იერი ირლანდიის წინააღმდეგ (*Airey v. Ireland*) ევროპული კონვენციის დებულებათა ეფექტიან განმარტებასთან დაკავშირებით ხშირად ციტირებადი საქმეა.<sup>204</sup> ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, პქონდა თუ არა განმცხადებელს (ქ-ნ იერის) სასამართლოში თავისი ინტერესების ეფექტიანი დაცვის უფლება განქორწინებასთან დაკავშირებით. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სასამართლოში მას არ წარმოადგენდა ადვოკატი, რადგან არ პქონდა საკმარისი სახსრები და არც ირლანდიის იურიდიული დახმარების სისტემა ითვალისწინებდა დახმარებას სამოქალაქო საქმეებზე. მოპასუხე (ირლანდიის მთავრობა) ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არაფერი უშლიდა ხელს, მიემართა სასამართლოსათვის აღ-

202 *სანი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. the United Kingdom)*, 1979 წლის 26 აპრილი, Series A, no. 30, 49-ე პუნქტი.

203 W. Strasser, *The European Convention on Human Rights: Some Reflections on its Role in the Light of the Practice of the Convention Organs*, in: *Austrian-Soviet Round-Table on the Protection of Human Rights*, F. Matscher & W. Karl (Eds.), 1992, 105-106.

204 *იერი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland)*, 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A, no. 32; ასევე იხ. J. Frowein, *The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe*, in: *Collected Courses of the Academy of European Law*, 1990, vol. I(2) 1992, 287-288.

ვოკატის დახმარების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის ეს არგუმენტი და განაცხადა, რომ არარეალისტურია ვარაუდი, თითქოს ასეთ სასამართლო საქმეში განმცხადებელს შეეძლოს, ეფექტიანად დაიცვას თავისი ინტერესები. სასამართლომ განაცხადა, რომ „კონვენცია მიზნად ისახავს არა ისეთი უფლებების გარანტირებას, რომლებიც თეორიული ან ილუზიურია, არამედ უფლებებისას, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტიანია.“<sup>205</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) არ ითვალისწინებს უფასო იურიდიულ დახმარებას სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით (ასეთი დახმარება გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებს ეხება), ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი ზოგერთ შემთხვევაში ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს პირი ადვოკატის უფასო იურიდიული დახმარებით, თუ იგი აუცილებელია სასამართლოს ეფექტიანი ხელმისაწვდომობისათვის (მაგ., პროცედურის ან საქმის სირთულის გამო).<sup>206</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის ეფექტიანი განმარტების საინსტრუქციოდ შეიძლება ასევე სხვა მაგალითის მოშველიება. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება, *inter alia*, „დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ აქვს საკმარისი სახსრები იურიდიული დახმარების ასანაზღაურებლად, მიეცეს ამის შესაძლებლობა უფასოდ, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“. ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე – არტიკო იტალიის წინააღმდეგ (*Artico v. Italy*) (1980 წ.) – ეხება იტალიის საკასაციო სასამართლოს მიერ, განმცხადებლის თხოვნით, მისთვის ადვოკატის დანიშვნას, რათა ამ უკანასკნელს წარმოედგინა განმცხადებლის ინტერესები საკასაციო სასამართლოში. ამ საქმეში სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ადვოკატს ჯანმრთელობის მდგომარეობამ შეუშალა ხელი, რათა შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობა – დაეცვა განმცხადებლის ინტერესები საკასაციო სასამართლოში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ადვოკატმა უარი განაცხადა თავისი კლიენტის ინტერესების დაცვაზე. სხვა ადვოკატის დანიშვნაზე განმცხადებლის არაერთი თხოვნის მიუხედავად, იტალიის სასამართლომ უარი განუცხადა მას ადრე დანიშნული ადვოკატის შემცვლელზე, რის შედეგადაც განმცხადებელს თავად მოუხდა თავისი ინტერესების დაცვა სასამართლოში.

<sup>205</sup> *იერი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland)*, 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A, no. 32, 24-ე პუნქტი.

<sup>206</sup> *იერი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland)*, 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A, no. 32, 26-ე პუნქტი. შედარებისათვის იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად: „თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოინიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსაზღვრულია საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია.“

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამ საქმის განხილვისას განმცხადებელმა თავისი უფლებების დასაცავად მოიშველია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რაზეც იტალიის მთავრობამ განაცხადა, რომ იტალიამ შეასრულა კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულება, როდესაც განმცხადებელს დაუნიშნა ადვოკატი და არანაირი დამატებითი ღონისძიებების გატარება იტალიას არ მოეთხოვება კონვენციის მიხედვით. კერძოდ, იტალიის მთავრობამ აღნიშნა, რომ, რადგან ხელშეორედ ადვოკატის დანიშვნა არ არის გათვალისწინებული კონვენციით, სახელმწიფოს არ ეკისრება განმცხადებლისათვის სხვა ადვოკატის დანიშვნის ვალდებულება.<sup>207</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა იტალიის მთავრობის პოზიციას და განაცხადა:

„სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენცია მიზნად ისახავს არა ისეთი უფლებების გარანტირებას, რომლებიც თეორიული ან ილუზიური, არამედ უფლებებისას, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტიანია; ეს განსაკუთრებით ეხება დაცვის უფლებას, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ისევე როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, საიდანაც გამომდინარეობს იგი. [...] როგორც სწორად აღნიშნეს კომისიის წევრებმა, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში საუბარია „დახმარებაზე“ და არა „დამცველის დანიშვნაზე“. მხოლოდ დანიშვნა არ უზრუნველყოფს ეფექტიან დახმარებას, რადგან სამართლებრივი დახმარების აღმოსაჩენად დანიშნული ადვოკატი შეიძლება გარდაიცვალოს, სერიოზულად ავად გახდეს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰქონდეს შესაძლებლობა, განახორციელოს დაკისრებული მოვალეობა, ან თავი აარიდოს ამ მოვალეობას. თუ ხელისუფლება ინფორმირებულია ასეთი მდგომარეობის შესახებ, მან უნდა შეცვალოს ადვოკატი, ან აიძულოს იგი, შეასრულოს თავისი მოვალეობა. ამ ქვეპუნქტის შეზღუდულ განმარტებას სახელმწიფოს მიერ მივყავართ შედეგებამდე, რომლებიც არაგონივრული და შეუთავსებელია როგორც „გ“ ქვეპუნქტის ფორმულირებასთან, ისე მე-6 მუხლთან მთლიანობაში, რადგან ბევრ შემთხვევაში უფასო იურიდიული დახმარება შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩნდეს.“<sup>208</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეფექტიან განმარტებას უკავშირდება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. იმისათვის, რათა სახელმწიფომ ეფექტიანად უზრუნველყოს ყველა უფლება და თავისუფლება, რომელნიც გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით, მან არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიური ღონისძიებებიც უნდა გაატაროს ამ გარანტიების უზრუნველსაყოფად.

ასეთი პოზიტიური ვალდებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიშველიოთ საქმე – *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღ-*

207 J. Merri's, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 99.  
208 *არტიკო იტალიის წინააღმდეგ (Artico v. Italy)*, 1980 წლის 13 მაისი, Series A, no. 37, 33-ე პუნქტი.

მდეგ (Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria), რომელიც ეხება ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ შეკრების თავისუფლებას.<sup>209</sup> ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა, რომ კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლების ეფექტიანი განხორციელებისათვის არ არის საკმარისი, სახელმწიფომ თავი შეიკავოს დემონსტრაციაში ჩაბრუნებასაგან. ევროპულმა სასამართლომ მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლება განმარტა ეფექტიანობის პრინციპის საფუძველზე და დაადგინა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს გონივრული და ადეკვატური ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს კანონიერი დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარება, მათ შორის დემონსტრანტთა ფიზიკური დაცვა ოპონენტებისაგან.<sup>210</sup>

ხსენებული მაგალითები ნათელს ჰყენს ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ეფექტიანი განმარტების პრინციპს, რომლის თანახმად – კონვენციის ესა თუ ის დებულება იმგვარად განიმარტება, რომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვა.

### 3.4. პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე იყენებს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპს, რომლის საფუძველზე იგი ადგენს ბალანსს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის.<sup>211</sup> ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მრავალი დებულება ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას, თუ, კონვენციით დადგენილი სხვა პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, დაცულია პროპორციულობის პრინციპი. ამ პრინციპით, კონვენციის ცალკეული უფლების შეზღუდვა უნდა იყოს კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი მიზნის მიღწევის პროპორციული.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების მრავალ დებულებაში გათვალისწინებულია პროპორციულობის პრინციპის დაცვის აუცილებლობა, მათ შორის კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტებში ჩამოყალიბებული დებულებებით, რომელთა თანახმად, ადამიანის უფლების შეზღუდვა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.<sup>212</sup> პროპორციულობის პრინციპი ასევე გამოიყენება ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მიმართ, რომელიც ეხება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის

<sup>209</sup> 1988 წელი, Series A, no 139.

<sup>210</sup> 1988 წელი, Series A, no 139, 32-ე პუნქტი. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესახებ იხ. კ. კორკელია, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5, N2-3, 2002 წ., გვ. 404-408.

<sup>211</sup> K. Stamer, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999, 169-176; P. Plowden & K. Kerrigan, Advocacy and Human Rights: Using the Convention in Courts and Tribunals, 2002, 39-40.

<sup>212</sup> M.-A. Eissen, The Principle of Proportionality in the Case-Law of the European Court of Human Rights, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 126.

დროს ადამიანის უფლებათა დაცვას<sup>213</sup> და ევროპული კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას.<sup>214</sup> თუმცა კონვენციის მე-14 მუხლით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, რომ ყველა განსხვავებული მოპყრობა არ ჩაითვლება კონვენციის მოთხოვნათა დარღვევად, მცდარია შეხედულება, თითქოს ყოველგვარი განსხვავებული მოპყრობა არღვევს ევროპული კონვენციის ხსენებულ მუხლს. სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ ასეთი განსხვავებული მოპყრობა პროპორციულია ადამიანის უფლებათა შეზღუდვისა გარკვეული კატეგორიის პირების მიმართ.

გარდა მხოლოდ რამდენიმე უფლებისა, რომელიც აბსოლუტური ხასიათისაა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები მოითხოვს კონკრეტულ გარემოებებში ბალანსის დადგენას ურთიერთსაინანაღმდეგო უფლებებსა და ინტერესებს შორის. კონვენციით დადგენილია სხვადასხვა პირობა ასეთი ბალანსის დასადგენად: ადამიანის უფლებათა შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, უნდა ისახავდეს კანონიერ მიზანს და იყოს დასახული მიზნის პროპორციული. ამ სამ პირობას შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროპორციულობის პრინციპს.

იმის შეფასება, აუცილებელია თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა კანონიერი მიზნის მისაღწევად,<sup>215</sup> ან საგანგებო/საომარი მდგომარეობის დროს პროპორციულია თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა „მდგომარეობის სიმწვაისა“, მოითხოვს ბალანსის დადგენას მხარეთა უფლებებსა და ინტერესებს შორის. ერთ-ერთი მხარის უფლებასა და მეორე მხარის ინტერესს შორის ბალანსის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, გამომდინარეობს თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ განაცხადა, რომ ბალანსი პირის უფლებასა და საზოგადოების ინტერესებს შორის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგინდეს, თუ პირის უფლების შეზღუდვა მკაცრად პროპორციულია (თანაზომიერია) იმ კანონიერი მიზნისა, რომლის მიღწევაც სურს სახელმწიფოს ამ შეზღუდვის დანებისათვის. როდესაც სახელმწიფო ზღუდავს ადამიანის უფლებებს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ გატარებული ღონისძიება ადეკვატური და აუცილებელია იმ კანონიერი მიზნის მისაღწევად, რომელიც პირდაპირ გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით.<sup>216</sup>

213 იხ. ქ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 3/4, 2000 წელი, გვ. 61-79.

214 J. Cremona, *The Proportionality Principle in the Jurisprudence of the European Court of Human Rights, Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Festschrift für Rudolf Bernhardt*, U. Beyerlin, M. Bothe, R. Hofmann & E.-U. Petersmann, 1995, 323-324.

215 მაგალითად, ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

216 იერმლდი დანიის ნინაღმდეგ (*Jersild v. Denmark*), 1994 წლის 23 სექტემბერი, 31-ე პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რამდენიმე კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე განისაზღვრება იმ ღონისძიებათა პროპორციულობა, რომელნიც ზღუდავენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს. მაგალითად, თუ სახელმწიფოს შეუძლია მიაღწიოს კანონიერ მიზანს ნაკლებად მკაცრი, მაგრამ თანაბრად ეფექტიანი ღონისძიების გატარებით, მაშინ უფრო მკაცრი ღონისძიების გატარება გაუმართლებელი იქნება და არ ჩაითვლება პროპორციულად დასაბუთი მიზნის მისაღწევად. საქმეზე – *კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell v. the United Kingdom)* – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა პატიმრის წერილის გახსნა იმის დასადგენად, შეიცავს თუ არა იგი აკრძალულ მასალას, არაპროპორციული იყო, რადგან ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გატარება – მხოლოდ იმ წერილების გახსნა, რომლებიც სავარაუდოდ შეიცავდნენ ასეთ მასალას, – საკმარისი იქნებოდა კანონიერი მიზნის მისაღწევად.<sup>217</sup>

### 3.5. თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინა

პროპორციულობის პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინასთან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და კომისიამ არაერთხელ განაცხადა, რომ, კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, სახელმწიფოებს აქვთ „თავისუფალი შეფასების ფარგლები“.<sup>218</sup> კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული თავისუფლება, დაადგინონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ისეთი შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის ტრადიციებისა და კულტურული თავისებურებების გამო.<sup>219</sup> სახელმწიფოების მიერ ასეთი თავისუფლებით სარგებლობის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო იმის შეფასებისას, უზრუნველყო თუ არა შესაბამისმა სახელმწიფომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, მხედველობაში იღებს ამ თავისებურებებს.<sup>220</sup> აქვე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ასეთი თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და რომ იგი ექვემდებარება ზედამხედველობას ევროპული სასამართლოს მხრიდან.

217 K. Starmer, *European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights*, 1999, 173.

218 R. Macdonald, *The Margin of Appreciation*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 83 *et seq.*

219 R. Bernhardt, *Thoughts on the Interpretation of Human-Rights Treaties*, in: *Protecting Human Rights: The European Dimension*, Studies in Honour of G. Wiarda, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1988, 68.

220 სხვა საქმეებთან ერთად, იხ.: *უენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 1976 წლის 7 დეკემბერი, Series A, no. 24; *დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. the United Kingdom)*, 1981 წლის 22 ოქტომბერი, Series A, no. 45;



ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმის შეფასებ-  
სას, დასაშვებია თუ არა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა,  
ითვალისწინებს თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინას. ევროპულ-  
მა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ სახელმწიფოს აქვს თავისუფალი  
შეფასების ფარგლები, რის გამოც მის მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა  
არ სცილდება დასაშვებ ფარგლებს, ანუ შეზღუდვა კონვენციით გათვალისწი-  
ნებული კანონიერი მიზნის პროპორციულია.

*უნდა გამოიყენონ თუ არა თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინა  
საქართველოს სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა შეზღუდვის დაშვება-  
დობის შეფასებისას?*

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულმა სასამართლოებმა (და ად-  
მინისტრაციულმა ორგანოებმა) მხედველობაში უნდა მიიღონ ამ დოქტრინის  
თავისებურება, კერძოდ კი ის, რომ დოქტრინა ჩამოყალიბდა ევროპული სასა-  
მართლოს მიერ, რათა მან გაითვალისწინოს განსხვავებანი ევროპულ სახელ-  
მწიფოებს შორის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის და-  
საშვებობის შეფასებისას.<sup>221</sup> მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ კონვენ-  
ციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა ერთ სახელმწიფოში შეიძლება  
დაუშვებლად ჩათვალოს, ხოლო იმავე უფლების შეზღუდვა მეორე სახელმწი-  
ფოში შეიძლება დასაშვებად მიიჩნიოს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელში ასეთი  
შეზღუდვის დანესება მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე-  
ობდა და, შესაბამისად, გამართლებული იყო.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სასამართლოებმა ევროპული სასამარ-  
თლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას ასევე მხედველობაში  
უნდა მიიღონ ამ დოქტრინის არსი. თუ თავის პრეცედენტულ სამართალში  
ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული უფლების შეზღუდვა  
დასაშვებია სხვა სახელმწიფოში, რადგან იგი გამომდინარეობს ამ ქვეყანაში  
მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან, საქართველოს სასამართლომ ავ-  
ტომატურად არ უნდა ჩათვალოს, რომ მსგავს გარემოებაში კონვენციით  
გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა საქართველოშიც დასაშვებია. სა-  
ქართველოში შეიძლება არ არსებობდეს ამ უფლების შეზღუდვის მწვავე სა-  
ზოგადოებრივი საჭიროება და, შესაბამისად, ამ უფლების შეზღუდვა გაუ-  
მართლებლად და დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სასამარ-  
თლოს მიერ.

221 R. Bernhardt, Human Rights and Judicial Review: The European Court of Human Rights, in: Human Rights and Judicial Review: A Comparative Perspective, D. Beatty (Ed.), 1994, 309; ასევე იხ. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის მიერ განხილული საქმე – *R v. DPP ex p Kebilene and Others*, 2000, 2 AC 380H.

## 4. სახელმწიფოთა პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა განმარტებასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტებასთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული განმარტების წესები, ისე სხვა ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკა საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, განმარტებასთან დაკავშირებით.

### 4.1. „განმარტების“ პრინციპი

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელებენ ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოები საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, განმარტებისას, – ესაა „განმარტების“ პრინციპი.<sup>222</sup> ამ პრინციპით, თუ სასამართლომ აღმოაჩინა წინააღმდეგობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა (მაგ., კანონს) და ევროპულ კონვენციას შორის, იგი შეეცდება, ისე განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი, რომ შეესაბამებოდეს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებას.<sup>223</sup> ამ გზით სასამართლო უზრუნველყოფს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების ისეთ განმარტებას, რომელიც თავიდან ააცილებს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევას.<sup>224</sup>

ამ პრინციპიდან ასევე გამომდინარეობს, რომ თუ ევროპულ სასამართლოს შეუძლია შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის ორგვარი განმარტება, მან უნდა აირჩიოს ის, რომელიც უფრო კარგად მიესადაგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს.<sup>225</sup>

განმარტების პრინციპი ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული გზით დამკვიდრდა: ზოგიერთ სახელმწიფოში ეს პრინციპი ჩამოყალიბდა ნორმატიული აქტის, ზოგიერთში კი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. *პოლონეთის კონსტიტუციის* 91-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგინდა, რომ ხელშეკრულებას მიე-

222 J. Polakiewicz, *The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe* (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski et al.), 1992, 153.

223 N. Mikkelsen, *The Implementation in National Law of the Rights and Freedoms Embodied in the European Convention on Human Rights*, in: *The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights, 28-29 October, 1988, 1989*, 98.

224 C. Nørgaard, *Danish Perspectives on Incorporation of the Convention*, in: *Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law*, J.P. Gardner (Ed.), 1993, 42.

225 S. Jensen, *The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study*, 1992, 110.

ნიჭება უპირატესობა კანონის მიმართ, თუ შეუძლებელია კანონის მისადაგება ხელშეკრულების დებულებებთან. ამ წესის მიხედვით, თუ საეჭვო გახდა კანონის შესაბამისობა ხელშეკრულებასთან, პოლონეთის სასამართლო შეეცდება, იმგვარად განმარტოს კანონის სადავო დებულება, რომ იგი შეესატყვისებოდეს პოლონეთის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებას. თუ სასამართლო შეუძლებლად ჩათვლის კანონის ასეთ განმარტებას, ის უპირატესობას მინიჭებს რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას.<sup>226</sup> გერთიანებული სამეფოს ადამიანის უფლებათა აქტის (1998 წელი) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: კანონმდებლობა უნდა იქნეს განმარტებული და გამოყენებული შეძლებისდაგვარად ისე, რომ იგი შესაბამებოდეს ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს.<sup>227</sup>

სახელმწიფოთა მეორე ჯგუფში განმარტების პრინციპი ჩამოყალიბდა სასამართლო პრაქტიკით. გერმანიის სასამართლოების პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმად, გერმანიის კანონმდებლობა ისე უნდა განიმარტოს, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ გერმანიის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.<sup>228</sup> გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ სასამართლოს ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს კანონმდებლობის ისეთი განმარტება, რომელიც გერმანიას თავიდან ააცილებს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას, რაც გამოიწვევდა მის საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>229</sup> იტალიის სასამართლოებიც ხშირად იყენებენ განმარტების პრინციპს.<sup>230</sup>

განმარტების პრინციპის გამოყენების ფარგლები შეზღუდულია. იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია ნორმატიული აქტის ისეთი განმარტება, რომელიც თავიდან ააცილებს სახელმწიფოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას. მოუხედავად ამ პრინციპისა, წინააღმდეგობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა და ევროპულ კონვენციას შორის შეიძლება იმდენად აშკარა იყოს, რომ შეუძლებელი გახდეს განმარტების პრინციპის გამოყენება.

#### 4.2. შესაბამისობის პრეზუმფციის პრინციპი

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა პრაქტიკაში ასევე გამოიყენება შესაბამისობის პრეზუმფციის პრინციპი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება

226 L. Garlicki, *The European Convention on Human Rights and its Application before National Court*, written contribution made at the Annual Judicial Training Centers Meeting, 28-29 April 2002, Tbilisi, Georgia, 3.

227 ადამიანის უფლებათა აქტის ტექსტი იხ. K. Stamer, *European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights*, 1999, 718.

228 B. Simma, D.-E.Khan, M. Zöckler & R. Geiger, *The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 94.

229 საქმე BVerfGE 58, 34. ციტი. J. Frowein, *Federal Republic of Germany*, in: *The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 69.

230 *Bianco v. Istituto Nazionale della Previdenza Sociale and Istituto Nazionale per l'Assicurazione contro le malattie*, No. 527/1979, 5 *Italian Yearbook of International Law*, (1980-1981), 266.

„ჯანმრტების“ პრინციპს. შესაბამისობის პრეზუმფციის პრინციპით, ეროვნული სასამართლოები მოქმედებენ იმ პრეზუმფციით, რომ ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამება ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებებს.<sup>231</sup> ამ პრინციპის თანახმად, არსებობს პრეზუმფცია, რომ სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლებას არ სურს ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.<sup>232</sup> მრავალი ევროპული სახელმწიფო იყენებს შესაბამისობის პრეზუმფციის პრინციპს, რათა თავიდან აიცილოს ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა.<sup>233</sup>

ამ პრინციპის საილუსტრაციოდ შეიძლება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოშველიება, რომელიც ეხება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლი ადგენს, რომ „საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს... მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია ... საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.“ თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლითა და კონვენციის მე-12 ოქმით იკრძალება დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით,<sup>234</sup> შეიძლება იმის მტკიცება, რომ კანონის ხსენებული დებულება ადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას საქართველოს მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა, სხვა ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ.<sup>235</sup> თუ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს არ აქვთ უფლება, ან საერთოდ მიიღონ ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ან აქვთ ასეთი ინფორმაციის მიღების უფლება, თუმცა ეს ინფორმაცია შეიძლება არ იყოს ამომწურავი და ობიექტური. კანონის ხსენებული დებულების ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო უნდა შეეცადოს, იმგვარად განმარტოს საქართველოს შიდასახელმწიფოებრი-

231 J. Frowein, *International Law in Municipal Courts*, American Society of International Law, Proceedings of the 91st Annual Meeting 1997, (1998), 291.

232 Á. Rodríguez, *The European Convention on Human Rights in the Domestic Legal Order of Italy and Spain: A Comparison*, in: 49 *Jahrbuch Des Öffentlichen Rechts Der Gegenwart* 2001, 392.

233 J. Polakiewicz, *The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law*, 17 *Human Rights Law Journal*, N11-12, 1996, 410.

234 სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად, იხ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი. ეს უკანასკნელი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოახდინა მისი რატიფიცირება, ჯერ არ შესულა ძალაში, რადგან იგი არ არის რატიფიცირებული საქმარისი რაოდენობის სახელმწიფოს მიერ.

235 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: 2001 წლის პირველი ნახევარი, თბილისი, 2001 წელი, გვ. 45.

ვი ნორმატიული აქტები, კერძოდ კი ტერმინი „მოქალაქე“, რომ ასეთმა განმარტებამ არ დაარღვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებები, მაშინ ეროვნული სასამართლოს მიერ ტერმინი „მოქალაქის“ განმარტებამ უნდა მოიცვას არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, არამედ ნებისმიერი ინდივიდი, მათ შორის საქართველოს მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები.<sup>236</sup>

შიქძელბა ასევე სხვა მაგალითის განხილვა: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, „ყველა ადამიანი [...] კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, ნარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ კონსტიტუციის ამ მუხლისაგან განსხვავებით, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით ასევე იკრძალება დისკრიმინაცია „დაბადების“ საფუძველზე. ამას გარდა, თუ კონსტიტუციით ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც იკრძალება დისკრიმინაცია, ევროპული კონვენცია ასევე მოუთითებს, რომ დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს სხვა ნიშნებითაც.<sup>237</sup> თუ მოსამართლე იხელმძღვანელებს შესაბამისობის პრეზუმფციის პრინციპით, კერძოდ, ისე განმარტავს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის დებულებებს, რომ ისინი არ მოვიდნენ წინააღმდეგობაში, სასამართლოს გადანყვეტილება მაქსიმალურად ეფექტიანად დაიცავს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს.

სხენებულ პოზიციას ადასტურებს საერთაშორისო კონფერენციის დასკვნა, რომელიც მიეძღვნა ეროვნული მოსამართლის როლს საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებისას. კონფერენციის დასკვნის თანახმად, „მოსამართლემ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა განმარტოს ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებს.“<sup>238</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში უნდა დამკვიდრდეს შესაბამისობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტის მიმღები ორგანო მიზნად არ ისახავს ისეთი აქტის მიღებას, რომელიც გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.<sup>239</sup>

236 ასევე იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება; ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხ. Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols, HRCAD(2001)2, 2001, 120-121, 130-131.

237 იხ. Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols, HRCAD(2001)2, 2001, 64.

238 „მოსამართლე და საერთაშორისო სამართალი“, ქუბჯარესტი, 1995 წლის 28-30 ნოემბერი, კონფერენციის დასკვნები, „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2001 წელი, გვ. 187.

239 ქ. კორკელია, სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998 წელი, გვ. 108.

### 4.3. ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის დებულებათა ავტონომიური განმარტება

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პრინციპები და სამართლებრივი ტერმინები ავტონომიური მნიშვნელობით განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ და მათი მნიშვნელობა შეიძლება არ ემთხვეოდეს მნიშვნელობას, რომელსაც სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ანიჭებს ამ პრინციპებსა და სამართლებრივ ტერმინებს. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლოებმა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და ტერმინების განმარტებისას უნდა გამოიყენოს არა ეროვნულ, არამედ საერთაშორისო (ევროპულ) დონეზე დამკვიდრებული მეთოდები.<sup>240</sup>

თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა ეს პრინციპები და მეთოდები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების განმარტებისათვის, დიდი იქნება იმის ალბათობა, რომ ამ სასამართლომ განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭოს კონვენციის ამა თუ იმ პრინციპს ან ტერმინს და ადამიანის უფლებათა დაცვა უზრუნველყოს უფრო დაბალი სტანდარტით, ვიდრე დაწესებულია ევროპული კონვენციითა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.<sup>241</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ისევე როგორც ზოგადად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების) განმარტებისას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ჩამოყალიბებული მეთოდების გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომელიც იწვევს კონვენციის დებულებების არასწორ განმარტებას.<sup>242</sup> იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოცხადებულია სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილად, ეროვნული სასამართლოები ევროპული კონვენციის დებულებების განმარტებისათვის ქვეცნობიერად იყენებენ იმ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენებიან მათ მიერ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების (მაგ., კანონის) განმარტებისათვის.<sup>243</sup>

დასაშვებია, რომ ერთსა და იმავე სამართლებრივ ტერმინს ევროპული კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს, ან მათი გამოყენების არეალი სრულად არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.<sup>244</sup> ამის გამო ეროვნულმა სასამართლომ ევროპული კონვენ-

240 K. Stamer, *European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights*, 1999, 18.

241 T. Scovazzi, *The Application by Italian Court of Human Rights Treaty Law*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 63-64.

242 J. Velu, *Report on "Responsibilities for States Parties to the European Convention"*, in: *Proceedings of the Sixth International Colloquy about the European Convention on Human Rights*, 13-16 November 1985, 1988, 592.

243 *Second Report, Committee on International Law in National Courts*, *International Law Association*, 1996, 12.

244 C. Schreuer, *The Interpretation of Treaties by Domestic Courts*, 45 *British Yearbook of International Law* 1971, 264.

ცია უნდა განმარტოს იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც ენიჭება მას, როგორც საერთაშორისო აქტს, და არა საქართველოს კანონმდებლობის „მნიშვნელობით“. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, კონვენციის დებულებები მაინც იმ პრინციპებით უნდა განიმარტოს, რაც ჩამოყალიბდა ზოგადად საერთაშორისო სამართლით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა იმ მეთოდებით განმარტება, რომლებიც გამოიყენებიან საერთაშორისო სასამართლოების (ორგანოების) მიერ, დასტურდება არა მხოლოდ სახელმწიფოთა პრაქტიკით, არამედ მეცნიერული გამოკვლევებითაც. საერთაშორისო სამართლის კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელიც სწავლობდა ეროვნული მოსამართლის როლს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობაში, 1993 წელს მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საერთაშორისო ხელშეკრულებები უნდა განმარტონ ისე, როგორც ისინი განიმარტებიან საერთაშორისო სასამართლოების მიერ.<sup>245</sup>

---

245 იხ. რეზოლუცია „ეროვნული მოსამართლეების საქმიანობა და მათი სახელმწიფოების საერთაშორისო ურთიერთობანი“ (1993 წლის 7 სექტემბერი), მე-5 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი, Institut de Droit international, Annuaire, Vol. 65, Tome II, Session de Milan 1993, 323.

# V. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება სასამართლოების მიერ

## 1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც შეიძლება გადაწყდეს სასამართლო საქმე.<sup>246</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებათა როლი საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრა როგორც საქართველოს კონსტიტუციით,<sup>247</sup> ისე სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით, მათ შორის კანონებით: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“<sup>248</sup> და „ნორმატიული აქტების შესახებ“.<sup>249</sup>

გარდა ხსენებული ნორმატიული აქტებისა, რომლებმაც ზოგადად განსაზღვრეს საერთაშორისო ხელშეკრულებათა როლი საქართველოს კანონმდებლობაში, მიღებულია რამდენიმე აქტი, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენებასთან საქართველოს სასამართლოების მიერ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს.“ კანონის ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ მოსამართლე, საქართველოში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, უნდა დაემორჩილოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, როგორც საქართველოს ნორმატიულ აქტს და სასამართლო საქმის გადაწყვეტისას იხელმძღვანელოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საქართველოს ნორმატიულ აქტად აღიარების ფაქტი თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დამკვიდრდეს კონვენციის გამოყენების პრაქტიკა სასამართლოების (და ადმინისტრაციულ-

246 ე. შევარდნაძე, „საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები თავშესაფრის მაძიებელი პირებისა და ლტოლვილების შესახებ: შედარებითი ანალიზი“, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2001 წელი, გვ. 166.

247 მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

248 მე-6 მუხლი.

249 მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.



ლი ორგანოების) საქმიანობაში. საკანონმდებლო დონეზე გადადგმული ნაბიჯები, მართალია, ქმნის სამართლებრივ საფუძველს საერთაშორისო ხელშეკრულებათა ეროვნულ დონეზე გამოსაყენებლად, მაგრამ ისინი ვერ ჩაითვლებიან სასამართლოების (და ადმინისტრაციული ორგანოების) მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ევროპული კონვენციის, გამოყენების გარანტიად. საკანონმდებლო დონეზე გატარებული ღონისძიებების გარდა, აუცილებელია გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები სასამართლო საქმეების განხილვის დროს საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენების პრაქტიკის დასამკვიდრებლად.<sup>250</sup>

უდავოა, რომ სასამართლო ხელისუფლებას ენიჭება მთავარი როლი იმ ნორმატიული აქტების ცხოვრებაში გასატარებლად, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო ხელშეკრულებათა ეროვნულ დონეზე გამოყენების სამართლებრივ საფუძველს. სასამართლო ხელისუფლების როლზე დამოკიდებულია, განხორციელდება თუ არა პრაქტიკაში კონსტიტუციისა და სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების დებულებები საერთაშორისო ხელშეკრულებათა ქვეყნის ნორმატიულ აქტად აღიარების შესახებ და შეიტანს თუ არა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ევროპული კონვენცია, დადებით წვლილს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო (ევროპული) სტანდარტების დამკვიდრებაში.<sup>251</sup> საქართველოს სასამართლოთა სურვილი, გამოიყენონ საერთაშორისო ხელშეკრულებები სასამართლო დაეების მოგვარებისას, ნათელს მოჰყენს იმას, პრაქტიკაში სათანადოდ აისახება თუ არა კანონმდებლის ნება საერთაშორისო ხელშეკრულებათა ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად აღიარებისა და მათი უშუალო მოქმედების შესახებ.<sup>252</sup>

ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენებლობის მიზეზები მრავალგვარია. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანას, რომელშიც ეროვნული სასამართლოები ამჟამად რეგულარულად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, დასჭირდა გარკვეული დრო ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკის დასამკვიდრებლად. სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის თითქმის ყველა მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებმა გარკვეული დროის განმავლობაში გაიარა „აკლიმატიზაცია“ საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, გამოყენების პრაქტიკის დასამკვიდრებლად.<sup>253</sup>

250 P. van Dijk, Domestic Status of Human-Rights Treaties and the Attitude of the Judiciary: the Dutch Case, in: Fortschritt im Bewußtsein der Grund- und Menschenrechte, Festschrift für Felix Ermacora, M. Nowak, D. Steurer & H. Treter (Hrsg.) 1988, 639.

251 G. Danilenko, The New Russian Constitution and International Law, 88 American Journal of International Law 1994, 470.

252 G. Danilenko, International Law in the Russian Legal System, American Society of International Law, Proceedings of the 91st Annual Meeting 1997, (1998), 297.

253 C. Dupré, France, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 321; G. Gauksdóttir, Iceland, იქვე, 399; E. Merigiola, Italy, იქვე, 475; I. Cameron, Sweden, იქვე, 843; Y. Özdek & E. Karacaoğlu, Turkey, იქვე, 890.

ამას მონაწილეობს მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის იმ სახელმწიფოთა, პრაქტიკა, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე თავიდანვე ლიბერალურ პოზიციას მიემხრნენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენებასთან დაკავშირებით. პრაქტიკულად ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებიც გახდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილენი და აღიარეს კონვენცია თავიანთი კანონმდებლობის ნაწილად, დასჭირდა გარკვეული დრო, რათა სასამართლოთა პოზიცია ევროპული კონვენციის გამოყენების მიმართ შეცვლილიყო უკიდურესად ნეგატიურიდან პოზიტიურისაკენ.<sup>254</sup> ამ თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოშველიება. ავსტრიამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1958 წელს, ხოლო 1964 წელს ევროპულ კონვენციას კონსტიტუციური სტატუსი მიენიჭა.<sup>255</sup> მოუხდავად ამისა, ავსტრიის სასამართლოებმა მხოლოდ 80-იანი წლებიდან დაიწყეს ევროპული კონვენციის გამოყენება თავიანთ პრაქტიკაში.<sup>256</sup>

ნიდერლანდებმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1954 წელს, მაგრამ მხოლოდ 80-იანი წლების დასაწყისიდან შეიცვალეს მისმა სასამართლოებმა ევროპული კონვენციის მიმართ იმ დროისათვის ჩამოყალიბებული ნეგატიური დამოკიდებულება და დაიწყეს ევროპული კონვენციის რეგულარული გამოყენება სასამართლო დაეების მოგვარების დროს.<sup>257</sup>

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებსაც დასჭირდათ გარკვეული დრო, რათა დამკვიდრებულიყო საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ევროპული კონვენციის, ეროვნულ დონეზე გამოყენების პრაქტიკა.

ზემოხსენებული მონაწილეს, რომ იმ სახელმწიფოებსაც კი, რომლებმაც ჩამოყალიბეს ძალზე მყარი ნორმატიული ბაზა საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენებისათვის, გარკვეული დრო დასჭირდათ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ეროვნულ დონეზე გამოყენების პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

ნიმანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სასამართლოები, კონვენციის გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებამდე, ხშირად უარს აცხადებდნენ კონვენციის გამოყენებაზე იმ მიზეზით, რომ კონვენციით გათვალისწინებული დებულებები ძალზე ზოგადი და ბუნდოვანი იყო, რის გამოც მათ არ შეეძლოთ რაიმე დადებითი წვლილის შეტანა კონკრეტული სასამართლო საქმის გადაწყვეტაში.<sup>258</sup> ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ბრიტანელი მოსამართლის, ლორდ დენინგის 1976 წელს გამოთქმული შეხედულება, რომელიც იმ პერიოდში ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოებში დამკვიდრებული საერთო მოსაზრების გამომხატველია:

„კონვენცია შედგენილია ისეთი სტილით, რომელსაც ჩვენ არა ვართ შეჩვეულნი ჩვენს კანონმდებლობაში. ის შეიცავს ძალზე ზოგად პრინციპებს. ამ პრინციპების გამოყენება მეტად რთულია, რადგან ისინი ფორმულირებულია ზოგადად. [...] მე-8 მუხლი ამის მაგალითია. ის იმდენად ზოგადია, რომ შეუძლებელია მისი პრაქტიკული გამოყენება. ამდენად, ჩვენთვის ბევრად უფრო უმჯობესია მივსდეთ ჩვენს კანონებსა და პრინციპებს, ხოლო კონვენციას ყურადღება მივაპყროთ მხოლოდ როგორც გზამკვლევის, კანონმდებლობის სწორ გამოყენებასთან დაკავშირებით ეჭვის არსებობის შემთხვევაში.“<sup>259</sup>

თუ 60-70-იან წლებში მოსამართლეთა ასეთი მიდგომა ევროპული კონვენ-

ციის გამოყენების მიმართ ტიპური იყო, დღეს ის ანაქრონიზტულად მიიჩნევა.<sup>260</sup> ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოების პოზიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით რადიკალურად შეიცვალა უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში.<sup>261</sup>

ეროვნული სასამართლოების პოზიციის ასეთი შეცვლა ევროპული კონვენციის გამოყენების მიმართ უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში ასევე განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომლებიც განმარტავენ კონვენციის ზოგად დებულებებს და ამით აზუსტებენ მათ შინაარსს, რაც აიოლებს ამ დებულებათა გამოყენებას ეროვნული სასამართლოების მიერ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ევროპული კონვენციის, გამოყენებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია რამდენიმე საკვანძო საკითხის განხილვა.

## 2. საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენების ფორმები

იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ისევე როგორც ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულებები) აღიარებულია ქვეყნის ნორმატიულ აქტად, ეროვნული სასამართლოები სხვადასხვა ფორმით იყენებენ მას სასამართლო საქმეების განხილვისას. სასამართლო დავების გადაწყვეტისას ეროვნულმა სასამართლომ ევროპულ კონვენციას შეიძლება მიანიჭოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე როლი. ბუნებრივია, ევროპული კონვენციის მნიშვნელობა სასამართლო საქმის გადაწყვეტაში განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, სასამართლომ ის გამოიყენა საქმის გადაწყვეტის ძირითად თუ დამხმარე წყაროდ.

ეროვნულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ისევე როგორც ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულებები) შეიძლება გამოიყენოს ძირითადად შემდეგი სამი ფორმით:

259 *R v. Chief Immigration Officer, ex parte Salamat Bibi* [1976] 3 All E.R., 847.

260 J. Polakiewicz, *The Status of the Convention in National Law*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 51.

261 C. Dupré, *France*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 318-319; იქვე, K. Ioannou, *Greece*, 354.

ა) ევროპული კონვენციის გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტების საშუალება

ეროვნულმა სასამართლომ ევროპული კონვენცია შეიძლება გამოიყენოს როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტების საშუალება. სასამართლო საქმის გადასაწყვეტად ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება ძირითადად გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი, მაგრამ მისი დებულების სწორი განმარტებისათვის მან შეიძლება ასევე გამოიყენოს ევროპული კონვენცია. ამ შემთხვევაში ევროპული კონვენცია და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ავსებენ ერთმანეთს. სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველია როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი), ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ევროპული კონვენციის გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტების საშუალებისა, ხდება მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი არასაკმარისად კონკრეტულად ანესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, რის გამოც არსებობს არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკი. ევროპული კონვენციის გამოყენებით სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა, უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის სწორი განმარტება.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე ხშირია ევროპული კონვენციის გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტების საშუალებისა.

ბ) ევროპული კონვენციის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლიზიის შემთხვევაში

ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში ევროპული კონვენცია ასევე გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლიზიის დროს. ამ შემთხვევაში ეროვნული სასამართლო იყენებს ევროპულ კონვენციას, თუ მან დაადგინა, რომ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი) ეწინააღმდეგება ევროპულ კონვენციას.

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში კონვენციის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით დადგენილი ნორმის საწინააღმდეგოდ შედარებით იშვიათობაა.

გ) ევროპული კონვენციის გამოყენება, როგორც სასამართლო საქმის გადაწყვეტის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი

ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოები ასევე იყენებენ ევროპულ კონვენციას, როგორც საქმის გადაწყვეტის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს. ეს ხდება, თუ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი) არ ანესრიგებს შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობას (ანუ სახეზეა სამართლებრივი ხარვეზი), მაშინ, როდესაც ევროპული კონვენციით ასეთი ურთიერთობა მოწესრიგებულია.

მოუხედავად იმისა, რომ კონვენციის გამოყენებას, როგორც საქმის გადაწყვეტის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს, არაფერი უშლის ხელს (თუ კონვენცია აღიარებულია სახელმწიფოს ნორმატიულ აქტად), ევროპულ სახელმწიფო-

თა სასამართლო პრაქტიკაში კონვენციის ამგვარად გამოყენება იშვიათობაა.<sup>262</sup> ეს განპირობებულია იმით, რომ, როგორც ნესი, ესა თუ ის საზოგადოებრივი ურთიერთობა მონესრიგებულია შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით.

ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის, როგორც საქმის გადაწყვეტის, ერთადერთ სამართლებრივ საფუძვლად გამოყენების საილუსტრაციოდ შეიძლება პოლონეთის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 1997 წლის გადაწყვეტილების მოშველიება.<sup>263</sup>

საქმე ეხებოდა პოლონეთში დაკავებულ ჩინეთის ორი მოქალაქის ექსტრადიციას ჩინეთში, სადაც მათზე გამოცხადებული იყო ძებნა თაღლითობისა და ქონების მითვისების ბრალდების გამო. ჩინეთის ხელისუფლებამ მოითხოვა ამ პირთა ექსტრადიცია.

უზენაესი სასამართლოს წინაშე ჩინეთის მოქალაქეებმა ექსტრადიციის შესახებ ბრძანების გასაუქმებლად მოიშველიეს ორი არგუმენტი: ა) ჩინეთში ეს დანაშაულები ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას; ბ) არსებობს იმის დასაბუთებული ეჭვი, რომ ორივე მათგანი დაექვემდებარება წამებას და/ან არაჰუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. ამ არგუმენტების საფუძველზე ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩინეთში მათი ექსტრადიცია ჩათვლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, რის გამოც უნდა გაუქმდეს ბრძანება ექსტრადიციის შესახებ. პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ბრძანება ექსტრადიციის შესახებ. სასამართლომ გააკეთა განცხადება, რომელიც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო სრულად არის ციტირებული:

„ის, რომ ჩინეთი არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე, არაარსებითია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საქმე ეხება ურთიერთობას პოლონეთსა და ჩინეთს შორის. [ადამიანის უფლებათა ევროპული] კონვენციის პირველი მუხლი აკისრებს მალალ ხელშემკვრელ მხარეებს ვალდებულებას, „ყველა უზრუნველყონ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით.“ გარდა ამისა, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ არა მხოლოდ კონვენციის ტექსტს, არამედ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ განმარტა კონვენცია ექსტრადიციასთან დაკავშირებით. [...] კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებას ან არაჰუმანურ, ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. ექსტრადიცია იმ სახელმწიფოში, რომელშიც პირი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაჰუმანურ მოპყრობას, ან სასჯელს, შეადგენს ამ მუხლის დარღვევას.<sup>264</sup> საჭირო არ არის იმის დამტკიცება, რომ ეს პირი ნამდვილად დაექვემდებარება ასეთ მოპყრობას ან სასჯელს. საკმარისია ასეთი მოპ-

262 J. Polakiewicz, *The Status of the Convention in National Law*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 52.

263 იხ. პოლონეთის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განაჩენი საქმეზე – *მანდუჯეი*, 1997 წლის 29 ივლისი; ასევე იხ. A. Drzemczewski & M. Nowicki, *Poland*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 666.

ყრობის ან სასჯელის აღბათობის დადგენა (იხ. ზოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989 წელი; კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, 1991 წელი; ვილვარაჯა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1991 წელი; აჰმედი ავსტრიის წინააღმდეგ, 1996 წელი).

ამგვარად, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ გადასაცემი პირი დაექვემდებარება ნამებას ან არააპუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, ან სასჯელს.

იგივე წესი გამოიყენება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიმართ. [...] ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ არსებობს ალბათობა, რომ გადასაცემი პირი არ იქნება უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს ძირითადი გარანტიებით გადაცემის შემდგომი სასამართლო პროცესის დროს.

ამ სასამართლოს არ ძალუძს, დაადგინოს რაიმე ფაქტი ჩინეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავეყრდნოთ რაიონული სასამართლოს დასკვნებს (რომლებიც არ უარყო სააპელაციო სასამართლომ), რომლის თანახმად, არსებობს დიდი ალბათობა, მომჩივნებს, თუ განხორციელდა მათი ექსტრადიცია, შეიძლება მოეპყრონ ისე, რომ დაირღვევა საერთაშორისო სამართალი, განსაკუთრებით ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი."

ხსენებული საქმიდან ნათელია, რომ პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული კონვენცია (და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი), როგორც სასამართლო საქმის გადანყვევის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღიარება ნორმატიულ აქტად ნიშნავს, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ეროვნულ სასამართლოს მხოლოდ ევროპული კონვენციის დარღვევის მტკიცებით და მოითხოვონ დარღვეული უფლების აღდგენა. ფორმალური თვალსაზრისით, არ არის აუცილებელი, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები სასამართლოს წინაშე თავიანთი უფლების დარღვევის დასამტკიცებლად, ევროპულ კონვენციასთან ერთად, დაეყრდნონ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს (მაგ., კანონს). მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, როგორც წესი, მხოლოდ ევროპული კონვენციის საფუძველზე არ ხდება უფლების დარღვევის მტკიცება სასამართლოს წინაშე. თუ ფიზიკური და იურიდიული პირები საერთოდ უთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევაზე, ისინი, როგორც წესი, პირველ რიგში ამტკიცებენ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის დარღვევას, რასთან ერთადაც უთითებენ ევროპული კონვენციის დარღვევაზე.

264 M. O'Boyle, *Extradition and Expulsion under the European Convention on Human Rights: Reflection on the Soering Case*, in: *Human Rights and Constitutional Law, Essays in Honour of Brian Walsh*, J. O'Reilly (Ed.), 1992, 96-98.

### 3. საჭიროა თუ არა ევროპული კონვენციის გამოყენება ყველა სასამართლო საქმეში?

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოს ნორმატიული აქტია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო საქმის გადაწყვეტისათვის. ამ თეზისთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა: საჭიროა თუ არა ევროპული კონვენციის გამოყენება ყველა სასამართლო საქმეში? ეს კითხვა შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს: რა შემთხვევაში არის საჭირო ევროპული კონვენციის გამოყენება სასამართლოში?

სასამართლო საქმეების განხილვისას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ევროპული კონვენციის, გამოყენების ძირითადი მიზანია პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის „მინიმალურ სტანდარტებს“.<sup>265</sup> ევროპული კონვენციის 53-ე მუხლიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ პირთა უფლებები არ უნდა იყოს დაცული უფრო დაბალი სტანდარტით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით.

ევროპული კონვენციით ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალური სტანდარტის დადგენა სახელმწიფოებს არ ზღუდავს იმაში, რომ მათ ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი, ანუ პირებს მიანიჭონ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უფრო მყარი გარანტიები, ვიდრე ეს დადგენილია ევროპული კონვენციით. საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შედარებითი ანალიზიდან თვალნათლივ ჩანს, რომ უამრავ შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტებს, ვიდრე ევროპული კონვენცია.<sup>266</sup>

თუ ევროპული კონვენცია ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, ხოლო ქვეყნის კანონმდებლობა უფრო მაღალი სტანდარტებით იცავს პირთა უფლებებს, არის თუ არა იმის აუცილებლობა, რომ სასამართლო საქმის განხილვის დროს გამოყენებულ იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია? მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასამართლოს არ ეკრძალება ევროპული კონვენციის გამოყენება არც ერთ სასამართლო საქმესთან დაკავშირებით, პრაქტიკული თვალსაზრისით არ არის აუცილებელი ევროპული კონვენციის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი) ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს, ვიდრე ევროპული კონვენცია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა ექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს, ვიდრე საქართველოს შიდასახელმწიფოებ-

<sup>265</sup> იხ. ევროპული კონვენციის 53-ე მუხლი.

<sup>266</sup> იხ. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 3/4, 2000 წელი, გვ. 79.

რივი ნორმატიული აქტი.

ზემოთ დასმულ კითხვაზე – საჭიროა თუ არა ევროპული კონვენციის გამოყენება ყველა სასამართლო საქმის განხილვისას? – პასუხის გასაცემად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ევროპული კონვენციით დაცულია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის უფლებები, ხოლო დავა ეროვნულ დონეზე შეიძლება ნამოიჭრას პირის უფლებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. ეროვნული სასამართლო უბრალოდ ვერ გამოიყენებს კონვენციას თავის წინაშე არსებულ ყველა სასამართლო საქმის განხილვისას იმის გამო, რომ სადავო საკითხი უბრალოდ შეიძლება არ წესრიგდებოდეს ევროპული კონვენციით.

თუ ევროპული კონვენცია ანესრიგებს სადავო საკითხს, საქართველოს სასამართლოს ნებისმიერი საქმის განხილვისას შეუძლია კონვენციის გამოყენება. სასამართლოს შეუძლია, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა (მაგ., კანონი) და ევროპულ კონვენციაზე.

თუ საქართველოს სასამართლო თავის გადაწყვეტილებას იღებს კანონითა და კონვენციით გათვალისწინებული ანალოგიური შინაარსის მქონე ნორმების საფუძველზე, ევროპული კონვენციის გამოყენებას აქვს უმნიშვნელო როლი. თუ კანონითა და კონვენციით დადგენილი ქცევების წესები ანალოგიურია, რომც არ გამოიყენოს სასამართლომ ევროპული კონვენცია და თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს მხოლოდ კანონზე, მისი გადაწყვეტილება არ იქნება განსხვავებული იმ გადაწყვეტილებისაგან, რომელსაც სასამართლო მიიღებდა კანონთან ერთად ევროპული კონვენციის გამოყენების შემთხვევაში. სხვა სიტყვებით, თუ მხოლოდ კანონის გამოყენების შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იგივე იქნება იმ გადაწყვეტილებისა, რომლის მისაღებად სასამართლომ გამოიყენა როგორც კანონი, ისე კონვენცია, კონვენციის გამოყენებას მინიჭება უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი როლი. ამ შემთხვევაში კანონთან ერთად კონვენციის გამოყენებით ეროვნულ სასამართლოს სურს მიღებული გადაწყვეტილების მართებულობისა და სამართლიანობის დასაბუთება იმით, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად მან იხელმძღვანელა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით.<sup>267</sup>

ასეთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას, ძირითადად, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. თუ სასამართლო საქმის გადასაწყვეტად, შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად, იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, იგი მიღებულ გადაწყვეტილებას მატებს ავტორიტეტულობას. შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) გამოყენება ადასტურებს იმას, რომ კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება დამყარებულია არა მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტზე (მაგ., კანონზე ან კოდექსზე), არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზეც. ნაკლებად სავარაუდოა, პროცესის მხარემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ადამიან-



ნის უფლებათა ევროპული კონვენცია არაეფექტიანად იცავს მის უფლებებს.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოყენების შედეგად სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც იგი ვერ მიიღებდა მის გამოყენებლად. სხვა სიტყვებით, კონვენციის გამოყენების სამართლებრივი ეფექტი მაშინ არის დიდი, თუ მისი გამოყენების შედეგად სასამართლო უზრუნველყოფს პირის უფლებათა დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით, ვიდრე ასეთი დაცვა უზრუნველყოფილი იქნებოდა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მნიშვნელოვანია თუ არა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება კონკრეტულ სასამართლო საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება დადგინდეს შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემით: *შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად ევროპული კონვენციის გამოყენების შემთხვევაში მიიღებს თუ არა საქართველოს სასამართლო ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც ის ვერ მიიღებდა კონვენციის გამოყენების გარეშე?*

კონვენციის გამოყენება მნიშვნელოვანია კოლიზიის შემთხვევაში საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა და კონვენციას შორის. თუ კანონსა და კონვენციას შორის კოლიზიის შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა კონვენცია, რადგან კანონით დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტი ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ სტანდარტს, მაშინ კონვენციის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი: პირის უფლება უზრუნველყოფილი იქნება უფრო მაღალი სტანდარტით, ვიდრე არის ის სტანდარტი, რომელიც გათვალისწინებულია კანონით.

კონვენციის გამოყენება ასევე მნიშვნელოვანია შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის სწორი განმარტებისათვის.

#### 4. სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთება ევროპული კონვენციით

ეროვნული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხს.

*გადაწყვეტილებაში უნდა დაასაბუთოს თუ არა ეროვნულმა სასამართლომ თავისი პოზიცია იმ არგუმენტების მიმართ, რომლებსაც მხარეები ამყარებენ ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლებზე?*

ზოგადად ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკა განსხვავდება სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხის თვალსაზრისით. ზოგიერთი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლო ასაბუთებს გადაწყვეტილებათა დეტალებსაც კი. სხვა სახელმწიფოებში დამკვიდრდა სასამართლო გადაწყვეტილებათა შედარებით ლაკონიურად დასაბუთების პრაქტიკა.<sup>268</sup> ერთსა და იმავე სახელმწიფოში ასევე განსხვავდება სასამართლო პრაქტიკა გადაწყვეტილებათა დასაბუთების თვალსაზრისით სასამართლო საქმისა (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) და სასამართლო ინსტანციის მიხედვით.

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ევროპულ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და/ან პრაქტიკა ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებამ დასაბუთების მინიმალური მოთხოვნა მაინც უნდა დააკმაყოფილოს. ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს ის არგუმენტები, მათ შორის ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დამყარებული, რომლებითაც მხარეები ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს და უნდა გამოხატოს თავისი შეხედულება ამ არგუმენტების მიმართ.

თუ მხარე თავისი პოზიციის დასაბუთებლად იშველიებს ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გააანალიზოს სასამართლო საქმე ამ არგუმენტების მიხედვით. მან არ უნდა უგულებელყოს ეს არგუმენტები. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში შეიძლება გააქარწყლოს წამოყენებული არგუმენტები, მხარი დაუჭიროს მათ, ან უარყოს ევროპული კონვენციის ნორმის ისეთი განმარტება, რომელსაც მხარე ასაბუთებს კონვენციის საფუძველზე. მხარის შეხედულება ამა თუ იმ ნორმის განმარტების შესახებ შეიძლება განსხვავდებოდეს სასამართლოს განმარტებისაგან. გადაწყვეტილებაში სასამართლომ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია – შეიძლება თუ არა კონკრეტულ დავაში ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, უნდა დაასაბუთოს, რატომ იყენებს ან არ იყენებს იგი ამ ნორმებს საქმის გადასაწყვეტად.<sup>270</sup> სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ სასამართლომ პროცესის დროს გამოთქმულ ყველა არგუმენტს დეტალურად უნდა გასცეს პასუხი სასამართლო გადაწყვეტილებაში. სასამართლოსათვის ასეთი მოთხოვნის დანება არაგონივრული იქნებოდა. მიუხედავად ამისა, თუ პროცესის მხარე თავის პოზიციას ასაბუთებს ორ სამართლებრივ აქტზე (მაგ., კანონსა და ევროპულ კონვენციაზე) დაყრდნობით, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა იმსჯელოს ორივე აქტზე.

თუ ადვოკატი სასამართლო საქმესთან დაკავშირებით დაეყრდნო ადამიან-

<sup>268</sup> R. Rysdøl, Norwegian Problems of Compliance with the Convention and Norwegian Perspectives on Incorporation of the Convention, in: *Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law*, J.P. Gardner (Ed.), 1993, 32-33.

<sup>269</sup> J. de la Rochère, France, in: *The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 54.

ნის უფლებათა ევროპული კონვენციის ერთ-ერთ მუხლს და მიუთითა, როგორ განიმარტება ეს მუხლი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიცია გადანყვეტილებაში, ეთანხმება თუ არა იგი ადვოკატის მიერ კონვენციაზე დამყარებულ არგუმენტებს. თუ სასამართლო არ ეთანხმება ასეთ არგუმენტებს, მან უნდა დაასაბუთოს ის მიზეზები, რომელთა გამოც იგი არ ეთანხმება ადვოკატის პოზიციას. სასამართლომ შეიძლება მიუთითოს, რომ კონვენციის ეს მუხლი არ გამოიყენება ამ საქმესთან დაკავშირებით, რადგან მისი რეგულირების სფერო განსხვავდება, ან – რომ ადვოკატი არასწორად განმარტავს ევროპული კონვენციის კონკრეტული მუხლის შინაარსს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ სასამართლოს არ შეუძლია, უბრალოდ უგულებელყოს მხარის მიერ მოპეელიებული ნორმა იმის დასაბუთების გარეშე, რატომ არ შეიძლება მისი გამოყენება ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს ამძიმებს მოსამართლის ტვირთს, მაგრამ ამ ტვირთის შემსუბუქება არ უნდა მოხდეს სამართლიანობის პრინციპის (რისი გამოვლინებაც არის სასამართლო გადანყვეტილებათა დასაბუთება) ხარჯზე.<sup>271</sup> სასამართლოს ვალდებულება – დაასაბუთოს თავისი პოზიცია მხარის მიერ გამოთქმულ არგუმენტებთან დაკავშირებით, არ განსხვავდება სასამართლოს ვალდებულებისაგან – დაასაბუთოს თავისი პოზიცია იმ არგუმენტებთან დაკავშირებით, რომელთაც მხარე აფუძნებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტზე (მაგ., კანონზე).

სასამართლო გადანყვეტილების დასაბუთების ხარისხი ცალკეული მოსამართლის მიდგომაზეა დამოკიდებული. შეუძლებელია რაიმე მკაცრი ფორმალური მოთხოვნების დანესება სასამართლო გადანყვეტილებათა დასაბუთების დეტალურობასთან დაკავშირებით. გადანყვეტილების დასაბუთების ხარისხი ინდივიდუალური შეფასების საკითხია. თუ ერთ მოსამართლეს კონკრეტული სასამართლო გადანყვეტილების დასაბუთებულობაში ეჭვიც კი არ ეპარება, მეორე მოსამართლემ ეს გადანყვეტილება შეიძლება არასაკმარისად დასაბუთებულად ჩათვალოს. უეჭველია, სასამართლო გადანყვეტილებამ დასაბუთებულობის მინიმალური მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გადანყვეტილება არ იქნება სამართლიანი. სასამართლო გადანყვეტილებათა დასაბუთებულობის ლაკონიურობას თავისი ფარგლები უნდა ჰქონდეს.

სასამართლომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა მიუთითოს ის მოტივები, რომელთა გამოც სასამართლო უარყოფს მხარის მოსაზრებებს.

270 R. Maruste, Status of the European Convention on Human Rights in the Estonian Legal System, in: *Protecting Human Rights: European Perspective: Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Peizold & L. Wildhaber* (Eds.), 2000, 879.

271 A. Yotopoulos-Marangopoulos, The Hellenic Experience concerning the Protection of Human Rights and particularly the Implementation of the Rights and Freedoms Embodied in the European Convention, in: *The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights, 28-29 October, 1988, 1989*, 64.

## 5. ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების დადგენა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პირობების მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარების შედეგია არა მხოლოდ ის, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დაცვან თავიანთი უფლებები და თავისუფლებები კონვენციის საფუძველზე, არამედ ისიც, რომ საქართველოს სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების იმ კრიტერიუმებით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას, გარკვეულ შემთხვევაში მართლზომიერად შეზღუდოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. ძირითადად ასეთი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლება; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება), კერძოდ კი ამ მუხლების მე-2 პუნქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ ხსენებული უფლებების შეზღუდვის პირობებს.

სახელმწიფოს აქვს უფლება, შეზღუდოს კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, თუ ასეთი შეზღუდვა: ა) არის კანონის შესაბამისად, ან კანონით გათვალისწინებული;<sup>272 ბ</sup> ემსახურება კანონიერ მიზანს (მაგ., ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა) და გ) აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ პირობების საფუძველზე აფასებს, მართლზომიერია თუ არა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა. ზუსტად ამ პირობების საფუძველზე უნდა შეაფასონ ეროვნულმა სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერება.

მიზანშეწონილია თითოეული პირობის უფრო დეტალური განხილვა იმ მეთოდოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით, რომელსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასებისას.

ა) ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით განმტკიცებული უფლებებ-

<sup>272</sup> მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-8 მუხლში გამოიყენება ფრაზა „კანონის შესაბამისად“ (in accordance with the law), მაშინ, როდესაც მე-9-მე-11 მუხლებში გამოიყენება ფრაზა „კანონით გათვალისწინებული“ (prescribed by law), ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ საკმარისი – მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*) – მოუთხოვა, რომ ამ ფრაზებს აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა. მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*), 1984 წლის 2 აგვისტო, Series A, no. 82. 66-ე პუნქტი. აქვე აღსანიშნავია, რომ კონვენციის ფრანგულენოვან ტექსტში გამოიყენება ერთი და იგივე ფრაზა „prévue par la loi“.

ბის შეზღუდვის მართლზომიერების შეფასებისას ეროვნულმა სასამართლომ (ევროპული სასამართლოს მსგავსად) უნდა დაადგინოს, ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა ამ უფლების შეზღუდვას, ანუ დაშვებულია თუ არა ამ უფლების შეზღუდვა საქართველოს კანონმდებლობით. ნიშანდობლივია, რომ „კანონი“ ევროპული კონვენციის მნიშვნელობით გვაროვნული ცნებაა და გულისხმობს ნორმატიული ხასიათის აქტს.<sup>273</sup>

იმის შეფასებისას, აკმაყოფილებს თუ არა „კანონი“ ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს საქმე – *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. the United Kingdom)*. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი: ა) უნდა იყოს ხელმისაწვდომი პირისათვის, რათა მას ჰქონდეს წარმოდგენა, თუ რა სამართლებრივი ნორმები გამოიყენება ასეთ გარემოებაში და ბ) უნდა იყოს საკმარისი სიცხადით ფორმულირებული, რათა პირს ჰქონდეს თავისი მოქმედების რეგულირების შესაძლებლობა. კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გონივრულობის ფარგლებში განჭვრიტოს ის შედეგები, რომლებიც მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.<sup>274</sup>

საქმეზე – *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass v. Germany)*, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის საიდუმლო სატელეფონო მოსმენას, ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ მიუთითეს, რომ ადამიანის უფლების შეზღუდვისათვის საკმარისი არ არის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, არამედ აუცილებელია, კანონმდებლობამ კონკრეტულად გაითვალისწინოს უფლების შეზღუდვის პირობები და პროცედურები.<sup>275</sup> საქმის – *მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Malone v. the United Kingdom)*, რომელიც ასევე სატელეფონო მოსმენას ეხებოდა, – განხილვისას ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა ტერმინ „კანონის“ მნიშვნელობა. მან მიუთითა, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ობიექტიდან და მიზნიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში უნდა არსებობდეს საჯარო ხელისუფლების მიერ კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვისაგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმი. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ღონისძიებები ტარდება საიდუმლოდ, დიდია არამართლზომიერი მოქმედების რისკი.<sup>276</sup>

საქმის – *კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Kruslin v. France)*, რომელიც ასევე სატელეფონო მოსმენას ეხებოდა, – მოსმენასთან დაკავშირებით საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი სა-

273 H. Schermers, *The Netherlands, in: The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987, 117.

274 *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. the United Kingdom)*, 1979 წლის 26 აპრილი, Series A, no. 30, 49-ე პუნქტი; ასევე იხ. ევროპული სასამართლოს შედარებით ახალი საქმე – *პეტრა რუმინეთის წინააღმდეგ (Peira v. Romania)*, 1998 წლის 23 სექტემბერი, 37-ე პუნქტი.

275 *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, Series A, no. 28, 43-ე პუნქტი.

ფუძველი სასამართლომ არასაკმარისად კონკრეტულად ჩათვალა, რადგან კანონი არ უთითებდა, თუ რა ფარგლებსა და პირობებში ტარდება ასეთი ღონისძიებები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სატელეფონო საუბრების მოსმენა პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ჩარევაა და, შესაბამისად, უნდა ემყარებოდეს კანონს, რომელიც განსაკუთრებით დეტალურია.<sup>277</sup>

ბ) თუ ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით, იგი უნდა შეუდგეს შემდეგი საკითხის განხილვას: ისახავს თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კანონიერ მიზანს? ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული მიზნები, რომელთა მისაღწევად შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის უფლებები, განსხვავდება. ასეთ მიზანს განეკუთვნება ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება და სხვა. მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება ამტკიცოს, რომ მსჯავრდებულთა მიმონერის უფლება იზღუდება დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

მიზნების ჩამონათვალი, რომელთა მისაღწევად შეიძლება შეიზღუდოს კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, ამომწურავია.<sup>278</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს ეკრძალება ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა სხვა მიზნებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კონვენციით. ამ მუხლებით განმტკიცებული უფლებების შეზღუდვა სხვა მიზნებით, რომლებიც არ არის ამ მუხლებით გათვალისწინებული, პირდაპირ იკრძალება ევროპული კონვენციის მე-18 მუხლით.

ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, ემსახურება თუ არა ადამიანის უფლების შეზღუდვა კონვენციის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას.

გ) კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის მესამე პირობასთან დაკავშირებით ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა, რომელიც ემსახურება კონკრეტულ მიზანს, განპირობებულია თუ არა

276 მელონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*), 1984 წლის 2 აგვისტო, Series A, no. 82, 67-ე პუნქტი.

277 კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Kruslin v. France*), 1990 წლის 24 აპრილი, Series A, no. 176-B, 33-ე პუნქტი.

278 M. Macovei, *Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights*, 2001, 28.

„მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლების შეზღუდვის აუცილებლობა. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება, რომელიც მიმართულია კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა შეზღუდვისაკენ მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული (თანაზომიერი) უნდა იყოს.<sup>279</sup> ნიშანდობლივია, ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ მიუთითა, რომ სახელმწიფოს აქვს გარკვეული თავისუფლება იმის შეფასებისათვის („თავისუფალი შეფასების ფარგლები“), აუცილებელია თუ არა კონკრეტული ღონისძიების გატარება კონვენციით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.<sup>280</sup>

ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების შეზღუდვის მართლზომიერების დასადგენად ეროვნულმა სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

- ა) ეხება თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა მე-8-მე-11 მუხლების პირველი პუნქტებით მონესრიგებულ საკითხებს?
- ბ) ითვალისწინებს თუ არა ქვეყნის კანონმდებლობა ამ შეზღუდვას?
- გ) გათვალისწინებულია თუ არა ამ მუხლების მე-2 პუნქტებით ის მიზნები (მაგ.: ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა), რომელთა გამოც იზღუდება ადამიანის უფლებები?
- დ) განპირობებულია თუ არა ეს შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით?

ჩამოთვლილ ყველა კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაიცეს, რათა მართლზომიერად ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა შეზღუდვა.

საქართველოს სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ა) პუნქტზე – ეხება თუ არა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა მე-8-მე-11 მუხლების პირველი პუნქტებით მონესრიგებულ საკითხებს, ანუ დაცულია თუ არა სადავო უფლება ევროპული კონვენციით.

ამ კითხვაზე პასუხის სწორად გაცემა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ თუ ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, სადავო უფლება არ არის დაცული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით, ამ უფლების მართლზომიერებას სასამართლო არ შეაფასებს ზემოაღნიშნული სამი პირობის მიხედვით. აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხის არასწორად გაცემის მიზეზია ის, რომ მხოლოდ კონვენციის დებულებათა გაცნობის შედეგად ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება დაასკვნას: კონვენციით არ რეგულირდება სადავო უფლება, რადგან ის პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონვენციით. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციის შესაბამის მუხლთან დაკავშირებით, დიდია ალბათობა, ეროვნულმა სასა-

279 K. Stamer, *European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights*, 1999, 156.

280 S. Jensen, *The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study*, 1992, 249-252.

მართლმად დაასკენას, რომ სადავო უფლება არ რეგულირდება ევროპული კონვენციით. ეროვნულმა სასამართლომ კონვენციასთან ერთად უნდა განიხილოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც განმარტავს კონვენციის დებულებათა შინაარსსა და მათი გამოყენების სფეროს, რაც სასამართლოს მისცემს საშუალებას, სწორად შეაფასოს, რეგულირდება თუ არა სადავო უფლება ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით.

თუ ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო უფლება დაცულია კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებით, იგი უნდა შეუდგეს იმ სამი პირობის განხილვას, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ, რათა ადამიანის უფლებათა შეზღუდვა მართლზომიერად ჩაითვალოს. მაგალითად, თუ მხარე ამტკიცებს, რომ დაირღვა მისი პირადი ცხოვრების უფლება, რაც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს მუხლი ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან ერთად და დაადგინოს, მოიცავს თუ არა მე-8 მუხლი იმ უფლებას, რომლის დაცვას მოითხოვს მხარე. თუ ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი იცავს სადავო უფლებას, სასამართლო უნდა შეუდგეს სადავო უფლების შეზღუდვის მართლზომიერების შესწავლას კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დანესებული პირობების მიხედვით.

ამ სამი პირობის საფუძველზე ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ, მართალია, პირადი ცხოვრების უფლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიზღუდა, მაგრამ ასეთი შეზღუდვა აკმაყოფილებს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ პირობებს და, შესაბამისად, მართლზომიერია, რის გამოც ის არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს. ეროვნულმა სასამართლომ ასევე შეიძლება დაადგინოს, რომ, თუმცა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სადავო უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, სახელმწიფომ კონკრეტულ შემთხვევაში არ დააკმაყოფილა სადავო უფლების შეზღუდვისათვის დანესებული პირობები, რის გამოც ასეთი შეზღუდვა ვერ ჩაითვლება მართლზომიერად. ამ შემთხვევაში სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

ევროპული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სამი პირობის საფუძველზე ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, საკმარისად კონკრეტულია თუ არა ნორმატიული აქტის დებულება (დებულებები), რომელიც ითვალისწინებს სადავო უფლების შეზღუდვას. სასამართლომ ასევე უნდა განიხილოს, ემსახურება თუ არა უფლების შეზღუდვა იმ მიზანს, რომელიც გათვალისწინებულია ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლით. განსაკუთრებულ ანალიზს მოითხოვს ეროვნული სასამართლოსაგან იმის შეფასება, განპირობებულია თუ არა უფლების შეზღუდვა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით და არის თუ არა უფლების შეზღუდვა იმ მიზნის პროპორციული, რომლის მიღწევაც სახელმწიფოს სურს ასეთი შეზღუდვით. თუ ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს ნორმატიული აქტი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას, არ აკმაყოფი-



ლებს ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს, მან უფლების ასეთი შეზღუდვა არამართლზომიერად უნდა ჩათვალოს.

განხილული სამი კრიტერიუმის დანესების მიზანია პირთათვის იმის გარანტირება, რომ სახელმწიფო არამართლზომიერად არ შეზღუდავს მათ უფლებებს. ამიტომაც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის დებულებათა შეზღუდვითად განმარტების აუცილებლობა.<sup>281</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმი, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ უნდა შეამოწმოს ადამიანის უფლების შეზღუდვის მართლზომიერება, საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხო არ არის. საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული დებულებები ადგენენ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის ანალოგიურ სამ პირობას.<sup>282</sup>

---

281 სხვა საქმეებთან ერთად იხ. *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. the United Kingdom)*, 1979 წლის 26 აპრილი, Series A, no. 30, 65-ე პუნქტი.

282 იხ.: საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

## VI. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – ნიშები და პროცედურები

### 1. შესავალი

1950 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებდა ორი ორგანოს – ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს – დაარსებას, რომელთა მიზანი იყო კონვენციასა და მის ოქმებში განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება. ამდენად, კონვენციის პირველადი ტექსტის საფუძველზე მოქმედებდა ორსაფეხურიანი საზედამხედველო სისტემა.

კომისიის ფუნქციებში შედიოდა: განაცხადების დასაშვებობის განხილვა, მორიგების პროცედურის ჩატარება, ფაქტების გამოძიება, დასკვნების შემუშავება, სასამართლოში საქმის აღძვრა.

თუ კომისია დაადგენდა, რომ განაცხადი ექვემდებარებოდა განხილვას და არ იყო მიღწეული მორიგება, იგი ამზადებდა მოხსენებას, რომელშიც „აღწერდა ფაქტებს და მიღებული გადაწყვეტილების არსს“.<sup>283</sup> მოხსენება ეგზავნებოდა მინისტრთა კომიტეტს, შესაბამის სახელმწიფოებს და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. მოხსენების მომზადებიდან სამი თვის განმავლობაში საქმე შეიძლებოდა გადასცემოდა სასამართლოს, თუ მხარეები აღიარებდნენ მის იურიდიულობას. თუკი საქმე არ იყო გადაცემული სასამართლოსათვის, მინისტრთა კომიტეტი იხილავდა, დაირღვა თუ არა კონვენციით გარანტირებული უფლება. ამგვარი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში მინისტრთა კომიტეტს შეეძლო, სახელმწიფოსათვის დაეკისრებინა კომპენსაციის გადახდის ვალდებულება. გარდა ამისა, მინისტრთა კომიტეტი აკონტროლებდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, იგი არსებითად იხილავდა და წყვეტდა საქმეს, რომლის წარმოების პროცედურული საითხები სასამართლოს რეგლამენტით განისაზღვრებოდა.<sup>284</sup>

283 ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის 30-ე მუხლი.

284 ამავე პერიოდში დაიწყო სამართლებრივი ზოზიციების ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელობას ინარჩუნებს სასამართლოს საქმიანობის თანამედროვე ეტაპზეც. ასეთია, მაგალითად, სასამართლოს დამოკიდებულება მე-17 მუხლთან, ზოგადი კონტროლის პრინციპთან მიმართებით და ა.შ.

საზედამხედველო ორგანოთა გადატვირთულობის გამო, რაც განაპირობა ევროპის საბჭოში ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოების განეეროვნებამ და რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა განაცხადების რაოდენობა, 1994 წელს მიიღეს მე-11 ოქმი, რომელიც კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმირებასა და განაცხადთა განხილვის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებდა. (1998 წლის 1 ნოემბერს, მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად, ფუნქციონირება შეწყვიტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ამოქმედდა რეფორმირებული, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც თავად წყვეტს განაცხადთა როგორც დასაშვებობას, ასევე არსებითად იხილავს მათ.)

ამგვარად, ევროპული კონვენციის მე-11 ოქმმა შეცვალა კონვენციის საზედამხედველო სისტემა. რეფორმის შედეგად, ადამიანის უფლებათა სასამართლოსთან მიმართებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ჩამოერთვა ეკაზისასამართლო ფუნქციები, თუმცა მას აკისრია სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების ზედამხედველობა.

## 2. სასამართლოს სტრუქტურა

თანამედროვე საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ორგანოდ, რომლის საქმიანობაც გაელენას ახდენს ნეერ სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებზე. სასამართლო შედგება იმდენი მოსამართლისაგან, რამდენიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოა. მოსამართლეები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პირადად და არა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები. ზედა ასაკობრივი ზღვარი 70 წელია. ისინი ირჩევიან 6 წლის ვადით და უნდა ხასიათდებოდნენ საუკეთესო ზნეობრივი თვისებებით, ჰქონდეთ სათანადო კომპეტენცია და იყვნენ აღიარებული ავტორიტეტის მქონე იურისტები.<sup>285</sup>

სასამართლოს საქმიანობა განისაზღვრება როგორც ევროპული კონვენციის მე-11 ოქმით, ისე 1998 წლის 1 ნოემბერს ძალაში შესული რეგლამენტით.

პლენარულ სხდომებზე სასამართლო ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეებსა და სექციათა თავმჯდომარეებს სამი წლის ვადით.

სასამართლო იყოფა 4 სექციად, რომელთა შემადგენლობა სამი წლის ვადით მტკიცდება. სექციები ყალიბდება დაბალანსებული გეოგრაფიული და სქესობრივი ნიშნით, ასევე მასში თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი ნეერ სახელმწიფოთა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა.

სასამართლო შედგება სამი სახის ორგანოსაგან: კომიტეტი, პალატა და დი-

<sup>285</sup> კონვენციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

დი პალატა კომიტეტი არ იხილავს საქმეს არსებითად. იგი ამონებს, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს. კომიტეტის გადაწყვეტილება საბოლოოა.

პალატა და დიდი პალატა არსებითად იხილავს განაცხადს. პალატა შედგება 7 მოსამართლისაგან. მის შემადგენლობაში შედის სექციის თავმჯდომარე და იმ სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე, რომლის წინააღმდეგ არის მმართველი განაცხადი.

დიდი პალატა შედგება 17 მოსამართლისაგან. მასში შედიან: სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, სექციათა თავმჯდომარეები და სხვა მოსამართლეები.

დადგენილი წესით, პალატისა და დიდი პალატის შემადგენლობაში შედის ის მოსამართლეც, რომელიც საქმეში მონაწილე სახელმწიფოს მიერ არის წარდგენილი. მართალია, მოსამართლე არ გვევლინება მოპასუხე სახელმწიფოს ან მხარის ინტერესების დამცველად, მაგრამ იგი უკეთ ერკვევა მხარედ წარმოდგენილი სახელმწიფოს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში და შეუძლია განმარტოს ის საკითხები, რომლებიც საქმის განხილვისას წარმოიშობიან. ეს ხელს უწყობს საქმის ობიექტურ და სრულფასოვან განხილვას. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოსამართლე არ არის სექციის წევრი, მას შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს *ex officio* (დაკავებული თანამდებობის ძალით).

თუ მოპასუხე სახელმწიფოს არ შეუძლია, საპატიო მიზეზების გამო, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, შესაძლებელია დაინიშნოს *ad hoc* მოსამართლე. საპატიო მიზეზებად შემდეგი გარემოებანი ჩაითვლება:

- სასამართლოში დროებით არ არის სახელმწიფოს მოსამართლე (წინა მოსამართლეს გაუვიდა ვადა და ახალი ჯერ არ არის არჩეული);
- ავადმყოფობა;
- მოსამართლეს, თავისი ადრინდელი საქმიანობიდან გამომდინარე, ჰქონდა შეხება მოცემულ საქმესთან (მოსამართლე მუშაობდა კომისიაში, რომელიც იხილავდა ამ საქმეს, ან შეხება ჰქონდა საქმესთან, როდესაც საქმე ეროვნულ დონეზე განიხილებოდა);
- მოსამართლე პირადი მოტივებით მიზანშეუწონლად მიიჩნევს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

ასეთ შემთხვევაში პალატის თავმჯდომარე სთავაზობს სახელმწიფოს, ერთი თვის ვადაში დაასახელოს *ad hoc* მოსამართლის კანდიდატურა. თუ ამ ვადაში კანდიდატურა არ დასახელდა, ითვლება, რომ სახელმწიფომ უარი განაცხადა *ad hoc* მოსამართლის წარდგენაზე.

სასამართლოს ნორმალური ფუნქციონისათვის შექმნილია აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს რეგისტრატორი [Registrar (ინგლ.); Greffier (ფრანგ.)]. რეგლამენტის მე-17 მუხლის მიხედვით, იგი ეხმარება სასამართლოს თავისი ფუნქციების განხორციელებაში, პასუხისმგებელია სამდივნოს საქმიანობაზე, ინახავს სასამართლო არქივს, თანამშრომლობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან.

### 3. სუბსიდიურობის პრინციპი

სტრასბურგის სასამართლო დაარსდა, რათა „უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციისა და მისი ოქმების ხელმომწერ მხარეთა მიერ აღიარებულ ვალდებულებათა პატივისცემა“.<sup>286</sup> ამ დოკუმენტით შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, რომელთა მიზანია წევრ სახელმწიფოში დემოკრატიული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება-განმტკიცება.

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოს კონვენციის პირველ ნაწილში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები. კონვენციის დებულებები ყურადღებას ამახვილებს ეფექტიანი ეროვნული სამართლებრივი დაცვის სისტემის არსებობის აუცილებლობაზე, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს უნდა შესწევდეს უნარი ადამიანის უფლებათა დაცვის საჭირო ხარისხით გარანტირებისათვის.<sup>287</sup>

ევროპული სასამართლო სუბსიდიური, ანუ დამატებითი, ხასიათისაა, ვინაიდან მისი ამოცანაა განიხილოს უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტები, რომელთა მოგვარებაც ვერ მოხერხდა ეროვნულ დონეზე.<sup>288</sup>

სასამართლო არ არის ეროვნული სასამართლო ხელისუფლების ზემდგომი ინსტანცია. ამ ორგანოს არ შეუძლია შეცვალოს ეროვნული ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტი. გადანყვეტილებებში სასამართლოს არაერთხელ მიუთითებია იმ გარემოებაზე, რომ ვერ გასცემს ბრძანებებს. მაგალითად, საქმეზე – სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Selmouni v. France*) – განმცხადებელი მოითხოვდა, დარჩენილი ვადა მოეხადა ნიდერლანდების ციხეში. ნიდერლანდების მხარე, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ იყო ამის წინააღმდეგი. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ, კონვენციის თანახმად, მას არა აქვს უფლებამოსილება, გასცეს ამგვარი ბრძანება.

სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დააფიქსიროს, რომ ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის მოქმედების შედეგად მოხდა კონვენციის დებულების დარღვევა. სასამართლო ფაქტობრივად იძლევა კონვენციის ნორმების ახსნა-განმარტებას.

სუბსიდიურობის პრინციპს ადასტურებს დასაშვებობის ერთ-ერთი მოთხოვნაც – ყველა ხელმისაწვდომ შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამონურვის აუცილებლობა.

<sup>286</sup> კონვენციის მე-19 მუხლი.

<sup>287</sup> მაგალითად, მე-13 მუხლში აღნიშნულია, რომ: „ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტიანი ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე.“

<sup>288</sup> სასამართლოს ახლანდელი თავმჯდომარე ლ. ვილდჰაბერი აღნიშნავს: „კონვენცია ეს არის სუბსიდიური სისტემა, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანად და საიმედოდ მამინ მოქმედებს, როდესაც გასაჩივრებელი დარღვევები ეროვნულ სასამართლოშივე შეიძლება შემომდებს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურული საშუალებებით“. ლ. ვილდჰაბერი, „ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები“, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1, 2002 წელი, გვ. 60.

#### 4. აბსტრაქტული კონტროლი

სასამართლო არ იხილავს საქმეს *in abstracto*. იგი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კონკრეტული კონტროლი.

კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია. იგი არ ანიჭებს სტრასბურგის სასამართლოს უფლებამოსილებას, გასცეს სავალდებულო ხასიათის განკარგულებები, თუ როგორ განხორციელდეს სახელმწიფოში საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა. კონტროლის რეგიონალური საერთაშორისო მექანიზმის არსებობის მიზანია, კონვენციური ნორმების დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოს პირის უფლებათა დაცვა ხელისუფლების მხრიდან.

სასამართლო ეხება შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების კონვენციასთან შეფარდების საკითხებს იმდენად, რამდენადაც ამას საქმის გარემოებანი მოითხოვს. თავისი საქმიანობის პირველსავე ეტაპზე სასამართლომ განაცხადა, რომ იგი მონოდებულისა გამოიტანოს გადაწყვეტილება არა აბსტრაქტული პრობლემის შესახებ, რომელიც ეროვნული კანონისა და კონვენციის დებულების შეფარდებას ეხება, არამედ კანონის გამოყენებაზე კონკრეტულ შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც მოცემული ნორმით მოხდა კონვენციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვა განმცხადებლის მიმართ. მართალია, დებატები იმის თაობაზე, რომ სასამართლო უნდა ჰქონდეს *in abstracto* კონტროლის შესაძლებლობა თვით სასამართლოშიც, არაერთხელ გამართულა, დღემდე არსებული პრაქტიკა ნათლად ამტკიცებს, რომ სასამართლომ მიერ 1962 წელს გამოთქმული მოსაზრება (რომელიც სხვა საქმეებშიც აისახა) არ კარგავს აქტუალობას. ეს პოზიცია სასამართლომ არაერთხელ განამტკიცა თავის გადაწყვეტილებებში. საქმეში – *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. the United Kingdom)* – სასამართლომ დააკონკრეტა, რომ „სასამართლო ფუნქციებში არ შედის შეზღუდვების შემუშავება, რომლებიც საპრობილემოში მყოფი პატიმრების მიმართ შეიძლება იყოს დაშვებული და *in abstracto* არ იხილავს საპრობილის წესების კონვენციასთან შეფარდების საკითხს.<sup>289</sup> რეფორმირებული სასამართლოს საქმიანობაშიც ეს დებულება ხშირად უღერს. დასაშვებობის განსაზღვრისას საქმეებზე – *სორენსენი და ნიის ნინაალმდეგ და ჯენსენი და რასმუსენი დანიის წინააღმდეგ (Sorensen v. Denmark; Jensen and Rasmussen v. Denmark)* – სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადება დასაშვებია, ვინაიდან იგი უშუალოდ ეხება მის პირად სი-

<sup>289</sup> მაგრამ მოსამართლე მარტენსი საქმეზე – *ბროგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Brogan v. the United Kingdom)* და *მანუსაკის საბერძნეთის წინააღმდეგ (Manoussakis v. Greece)* – გამოთქმულ განსაკუთრებულ აზრში ასაბუთებს, რომ იმისათვის, რათა დადგინდეს, არღვევს თუ არა სახელმწიფო კონკრეტულ შემთხვევაში კონვენციის ნორმას, უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ *in abstracto* უნდა განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა მოცემული კანონი კონვენციას.

ტუაცისა და არ შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც *in abstracto* ან *actio popularis*.<sup>290</sup>

*In abstracto* კომპეტენციის არქონა არ ნიშნავს, რომ სასამართლო არ იკვლევს და არ იძლევა შეფასებას იმ კანონისას, რომლითაც კონკრეტულ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ხელისუფლება და რომლის გამოყენების შედეგად დაირღვა უფლება. ამის გამოკვლევა სასამართლოს სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ხელისუფლებას შესაძლებლობა, ემოქმედა კონვენციის დებულებების შესაბამისად. ზოგიერთ შემთხვევაში, კანონის შესწავლის შედეგად, სასამართლო ადგენს, რომ ხდება არა ხელისუფლების მხრიდან არამართლზომიერი ქმედება, არამედ სწორედ კანონის მოქმედება არის დარღვევის პირველწყარო, ვინაიდან კანონის აღმსრულებელს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ კანონის იმპერატიულ მოთხოვნას დამორჩილებოდა.

## 5. სასამართლოს იურისდიქცია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს:

- ა) სახელმწიფოთაშორისი განაცხადები (33-ე მუხლი);
- ბ) ინდივიდუალური განაცხადები (34-ე მუხლი), რომელშიც განმცხადებელი ამტკიცებს თავისი უფლებების დარღვევის თაობაზე კონვენციის ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ.

### 5.1. სახელმწიფოთაშორისი განაცხადები

კონვენციის 33-ე მუხლი ადგენს, რომ: „სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს განსახილველად ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს განაცხადი მეორე მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის თაობაზე“.

ეს პროცედურა არ არის სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა, სწორედ იმ ვალდებულებებიდან გამომდინარე, რომელნიც სახელმწიფოებმა იკისრეს კონვენციის მიხედვით.

სახელმწიფოს განაცხადების ობიექტი შეიძლება იყოს: ა) მეორე სახელმწიფოში საკანონმდებლო თუ ადამინისტრაციული პრაქტიკა. ასეთ შემთხვევაში არ არის საჭირო დარღვევის კონკრეტულ მსხვერპლთა მითითება. საქმეზე – ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*) – სასამართლომ აღნიშნა: „დარღვევა წარმოშვა კანონმა, რომელიც უშვებს, ადგენს და ახორციელებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეუთავსებელია

<sup>290</sup> Information Note N. 51 on the Case-Law of the Court, March 2003, 21.

კონვენციით დადგენილ უფლებებთან და თავისუფლებებთან.“; ბ) ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტების არსებობის შემთხვევაში.<sup>291</sup>

ძირითადი რაოდენობა სახელმწიფოთაშორისი განცხადებებისა მოდიოდა იმ პერიოდზე, როდესაც ჯერ კიდევ ყველა სახელმწიფოს არ ჰქონდა აღიარებული ევროპული კომისიის მიერ ინდივიდუალური განცხადებების განხილვის კომპეტენცია. ამიტომ მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი განცხადებების მეშვეობით იყო შესაძლებელი დამრღვევი სახელმწიფოს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.<sup>292</sup>

კონვენციის ამ ნორმას, გარკვეულწილად, პოლიტიკური ელფერი დაპყრავს, ვინაიდან სახელმწიფოთა განცხადება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ „არამეგობრულ“ ექსტად განიხილება. მიუხედავად ამისა, კომისიისა და სასამართლოს საქმიანობაში სახელმწიფოთაშორისი განაცხადთა განხილვამ მნიშვნელოვანი პრაქტიკა განაწილარა (განსხვავებით ადამიანის უფლებათა კომიტეტისაგან, სადაც ფაქტობრივად არცერთი სახელმწიფოთაშორისი განაცხადი არ ყოფილა განხილული).

## 5.2 ინდივიდუალური განაცხადების სუბიექტები

### 5.2.1. მსხპერპლი

კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადი ნებისმიერი პირისაგან, პირთა ჯგუფისაგან ან არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი.

ფიზიკური პირების წრე ძალზე ფართოა, ვინაიდან არ არსებობს შემზღულველი გარემოებანი, როგორცაა: ასაკი, მოქალაქეობა ქმედუნარიანობა (მაგ., შეიძლება იყოს მცირეწლოვანი, როგორც საქმეში – „ტ“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*T. v. the United Kingdom*), 1999 წლის 19 დეკემბერი); არ არის აუცილებელი, დადგინდეს სტაბილური სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პირს შორის, ისეთი, როგორცაა „ბინადრობა“ ან „საცხოვრებელი

291 1956 წელს საბერძნეთმა ორჯერ შეიტანა განაცხადი გაერთიანებული სამეფოს ქმედებების წინააღმდეგ, რომელსაც ეს სახელმწიფო კეიროსზე ახორციელებდა (ამ პერიოდისათვის კეიროსი გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა), განცხადება იხუბოდა კონვენციის მე-3 მუხლის (ნამუბა, არაადამიანური მოპყრობა) დარღვევას; 1982 წელს სკანდინავიის ქვეყნებმა, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა შეიტანეს განაცხადი თურქეთის წინააღმდეგ, ხელისუფლებაში სამხედრო რეჟიმის მოსვლის შედეგად არსებული ვითარების თაობაზე. საქმე მორიგებით დამთავრდა, რის შედეგად თურქეთი დათანხმდა, რეგულარულად წარედგინა კომისიაში მოსხენებები სახელმწიფოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ, კერძოდ იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მას მე-3 მუხლიან მიმართებით უნდა განეხორციელებინა.

292 ეს არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ სასამართლოს პრაქტიკაში თანამედროვე ეტაპზე ამგვარი საქმეები არ იხილება. იხ. საქმე – დანია თურქეთის წინააღმდეგ (*Denmark v. Turkey*), 1997 წელი.



ადგილი". განმცხადებელი შეიძლება არ იყოს ევროპის საბჭოს წერილსა და სახელმწიფოს მოქალაქე, თუ იგი დავობს წერილსა და სახელმწიფოს მიერ თავისი უფლებების დარღვევის თაობაზე.<sup>293</sup> საკმარისია, რომ სახელმწიფოს შეეძლოს გარკვეული უფლებამოსილების განხორციელება ფიზიკური პირის მიმართ (ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ სასამართლოს განცხადებით მიმართა 120-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქემ).

მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ განმცხადებელი თვითონ უნდა იყოს კონვენციის მსხვერპლი, ანუ უნდა მოქმედებდეს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე.

„მსხვერპლთან“ მიმართებით სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა 2 ცნება: „პოტენციური“ და „ირიბი“ (არაპირდაპირი).

პოტენციურ მსხვერპლად განმცხადებელი განიხილება, როდესაც არსებობს რეალური ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც მას შეიძლება დაემუქროს მომავალში. სხვა სიტყვებით, განმცხადებლის აზრით, კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტის მოქმედების შესაძლებლობა საფრთხეს უქმნის კონვენციით გარანტირებული უფლებების გამოყენებას. სასამართლო ასეთ შემთხვევაში ძალზე ყურადღებით უდგება „რეალური საფრთხის“ არსებობას, ვინაიდან მის კომპეტენციაში არ შედის *in abstracto* საქმის განხილვა.<sup>294</sup>

არაპირდაპირ (ირიბი) მსხვერპლად მიიჩნევიან მსხვერპლის უახლოესი ნათესავები იმ შემთხვევაში, თუ: ა) დარღვეულია სიცოცხლის უფლება, პირი დაიღუპა და ნათესავების მიერ ინიცირებული სასამართლო განხილვის საგნად გვევლინება დაღუპვის გარემოებანი; ბ) განმცხადებელი გარდაიცვალა სასამართლოში მიმართვის შემდეგ და ნათესავები აგრძელებენ საქმეს. ხშირად მოპასუხე სახელმწიფო ცდილობს დაასაბუთოს, რომ განმცხადებელმა დაკარგა „მსხვერპლის“ სტატუსი, ვინაიდან სტრასბურგში სასამართლო განხილვის პროცესის დაწყებისას ეროვნულმა ხელისუფლებამ უკვე დააკმაყოფილა მოთხოვნების დიდი ნაწილი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო იხილავს საქმის ირგვლივ არსებულ კონკრეტულ გარემოებებს.

არის თუ არა განმცხადებელი „მსხვერპლი“ 34-ე მუხლის თანახმად, როგორც წესი, დასაშვებობის სტადიაზე იხილება. მაშინვე იხილება, წარმოადგენს თუ არა მოპასუხე სათანადო მხარეს. თუ დადგინდა, რომ განმცხადებელი ან მოპასუხე არ აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმებს, საქმე არსებითად არ განიხილება.

## 5.2.2. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პირთა ჯგუფის ცნება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

კონვენციის 34-ე მუხლი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პირთა ჯგუფებს ანიჭებს სასამართლოში განაცხადების შეტანის უფლებას. ეს ნიშ-

<sup>293</sup> ეკბატანი შევედთის ნინალმდეგ (*Ekbatani v. Sweden*), 1988 წელი.

<sup>294</sup> კლასი გერმანიის ნინალმდეგ (*Klass v. Germany*) 1978 წლის 6 სექტემბერი.

ნავს, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არ არის სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო (ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს შემადგენელი სტრუქტურა), შეუძლია მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლებების თაობაზე. ბუნებრივია, დაცულ უნდა იქნეს ყველა ის კრიტერიუმი, რომლებიც განაცხადთა დასაშვებობისათვის აუცილებელია. მოცემულ შემთხვევაში დასაშვებობის დადგენისას არსებითი კრიტერიუმია: იყო თუ არა კონვენციითა და მისი ოქმებით გამოცხადებულ უფლებათა დარღვევა. ნათელია, რომ ორგანიზაციას შეუძლია იდავოს მხოლოდ გარკვეულ უფლებათა დარღვევის თაობაზე. ორგანიზაციებთან მიმართებით შეუძლებელია დაირღვეს ისეთი უფლებები, როგორიცაა: სიცოცხლის უფლება, ნაშების აკრძალვის უფლება, მონობის აკრძალვა, პირადი, საოჯახო ცხოვრებისა და ქორწინების უფლება. განხილულ საქმეთა ძირითადი ნაწილი გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციები დავობენ ისეთი უფლებების დარღვევის ფაქტებზე, როგორიცაა: უფლება სამართლიან სასამართლოზე, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების უფლება, უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე, დისკრიმინაციის აკრძალვა, ქონების უფლება, არჩევნების უფლება.

განმცხადებლის სტატუსი აქვს ასევე პროფესიულ კავშირებს. სასამართლო არ მიჯნავს კომერციული და არაკომერციული ხასიათის ორგანიზაციებს. მიმართვის უფლება აქვთ პარტიებს. განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს ისეთი ორგანიზაციის მიერ, რომელსაც იურიდიული პირის სტატუსი არა აქვს (არ მიუღია ან დაკარგა ამგვარი სტატუსი). საქმეში – *სინდიროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Sidiropulos v. Greece)* – განმცხადებელს უარი ეთქვა საბერძნეთში ორგანიზაცია „მაკედონიური ცივილიზაციის სახლის“ რეგისტრაციაზე. ორგანიზაციის მიზანი იყო ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც, სარეგისტრაციო ორგანოს აზრით, სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებოდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ არაპროპორციული ღონისძიებები გაატარა, რაც გაერთიანების თავისუფლების რეალიზების ხელის შეშლაში გამოემყდენდა. ასეთივე დასკვნა გამოიტანა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *სოციალისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ (Socialist Party v. Turkey)*.

ამგვარად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა „არასამთავრობო ორგანიზაციების“ ცნებაში გულისხმობს გაერთიანებათა ფართო სპექტრს, რაც საშუალებას აძლევს ამ ორგანიზაციებს, დაიცვან დარღვეული უფლებები.

## 6. განაცხადთა დასაშვებობის კრიტერიუმები

### 6.1. საგნობრივი კომპეტენცია (*ratione materiae*)

სასამართლო იხილავს მხოლოდ იმ უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებს, რომლებიც კონვენციასა და მის ოქმებშია ასახული. სასამართლო პრაქტიკაში ამ პირობას ეწოდება *ratione materiae*. კონვენციასა და მის ოქმებში ჩამოყალიბებულ უფლებებთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ:

- ზოგიერთ მუხლში შერწყმულია რამდენიმე დამოუკიდებელი, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული, უფლებები. მაგალითად, მე-8 მუხლს „პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება“ ეწოდება, მაგრამ ეს მუხლი ასევე ეხება „საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას“ და „მიმონერის პატივისცემის უფლებას“;
- კონვენცია მოიცავს ისეთ უფლებებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის ჩამოყალიბებული ტექსტში, მაგრამ ლოგიკურად გამომდინარეობს მათი შინაარსიდან და კონვენციის მიზნებიდან. (მაგალითად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა).

### 6.2. ტერიტორიული იურისდიქცია (*ratione loci*)

მეორე პირობა, რომელსაც სასამართლო დასაშვებობის დროს იხილავს, არის *ratione loci*-ის კრიტერიუმი. კონვენციის 1-ლი მუხლი აცხადებს: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველას უზრუნველყოფენ ამ კონვენციის 1 ნაწილში განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით.“

### 6.3. დროის ფაქტორი (*ratione temporis*)

სასამართლოს შეუძლია განიხილოს მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ მოხდა. სასამართლოს არ შეუძლია, კონვენციის ნორმებს უკუქცევითი ძალა მიანიჭოს. როგორც წესი, საერთაშორისო ხელშეკრულებას უკუქცევითი ძალა არ ენიჭება. „საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია ადგენს: „თუ ხელშეკრულება რაიმე სხვა განზრახვას არ ცხადყოფს, ან განზრახვა სხვაგვარად არ არის დადგენილი, მაშინ ხელშეკრულების დებულებები სავალდებულო არ არის ხელშეკრულების მონაწილეთათვის ნებისმიერი მოქმედების ან ფაქტის მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე.“<sup>295</sup> დებულება, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებას უკუქცევითი ძალა არა აქვს, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია (თუმცა დისპოზიციური ხასიათის). საყოველთაოობაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ არ არის სავალდებულო,

295 „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის 28-ე მუხლი.

ხელშეკრულებაში კონკრეტულად იყოს მითითებული დებულება უკუქცევითი ძალის გავრცელებაზე. ევროპული კონვენცია პირდაპირ არ უთითებს იმ გარემოებაზე, რომ კონვენციის დებულებებს არ აქვთ უკუქცევითი ძალა, მაგრამ კომისიამ თავისი მუშაობის პირველ პერიოდში არაერთხელ იმსჯელა ამ საკითხზე და ცალსახად დაასაბუთა იგი.<sup>296</sup> *ratione temporis*-ის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიცირების პირველ წლებში. სწორედ ამ პერიოდში სასამართლოში შედის ისეთი განცხადებები, რომელთაც სასამართლო არ იღებს *ratione temporis*-ის საფუძველზე.

#### 6.4. ექვსთვიანი ვადის მოთხოვნა

კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს დასაშვებობის კიდევ ერთ კრიტერიუმს – ექვსთვიან ვადას საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა სამართალდარღვევის ჩადენის თარიღს, არამედ შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დღეს. ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან (მაგალითად, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ უკანონოდ ჩატარდა ჩხრეკა. მნიშვნელობა ენიჭება არა ჩხრეკის ჩატარების თარიღს, არამედ იმ თარიღს, როდესაც დაზარალებული ამონურავს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალებას).

ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა ეროვნული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და თარიღი, როდესაც ამ გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მნიშვნელობა ენიჭება იმ თარიღს, როდესაც განმცხადებელმა შეიტყო გადაწყვეტილების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ექვსი თვის ვადის ათვლა სწორედ ამ დღიდან იწყება. საქმეზე – *ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ (Worm v. Austria)* – სასამართლომ დაადგინა, რომ მნიშვნელობა ენიჭება არა ეროვნული სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღს, არამედ იმ თარიღს, როდესაც განმცხადებელს ჩაბარდა გადაწყვეტილების ასლი.<sup>297</sup>

#### 6.5. ყველა ხელმისაწვდომ შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამონურვის მოთხოვნა

კონვენციის 35-ე მუხლი ადგენს: „სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე განსახილველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოინურება.“

<sup>296</sup> A. Talalaev, Венская конвенция о праве международных договоров – Комментарий, М., 1997, стр. 71.

<sup>297</sup> Европейский Суд по правам человека – Избранные решения, Т. 1, М., стр. 705.

სტრასბურგის ორგანოების პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შიდა-სახელმწიფოებრივი საშუალებები ზოგადად ნიშნავს სასამართლო ორგანოებს. პრაქტიკაში ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო განსაზღვრავს, ამონურულია თუ არა განმცხადებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო არ გახდეს, მიემართოს ყველა სასამართლო ინსტანციას.

სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა არ არის ერთგვაროვანი კონვენციის ხელშემკრელ სახელმწიფოებში, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს არის სასამართლო სამსაფეხურიანი სისტემა: პირველი, სააპელაციო და უმაღლესი ინსტანციები.

საქმეზე – ვან ოსტერეიკი ბელგიის წინააღმდეგ (*Van Oostereijck v. Belgium*) (1980 წელი) – სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა არ ამონურა სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანიშნული გამოტანის შემდეგ არ მიმართა საკასაციო სასამართლოს.

სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამონურვის საერთო მოთხოვნიდან არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, განმცხადებელს არ მოეთხოვება სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამონურვა, თუ მან დაამტკიცა, რომ ეროვნული სასამართლოსადმი მიმართვა აზრს მოკლებულია, გამომდინარე სახელმწიფოში არსებული პრაქტიკიდან, ან თუ საქმის განხილვა გაუმართლებელი ვადით ჭიანურდება.

პირს მოეთხოვება იმ სამართლებრივი საშუალებების ამონურვა, რომლებზეც ეროვნული კანონმდებლობით მას უფლება, და არა პრივილეგია, აქვს. პირი ვალდებული არ არის, მიმართოს ცალკეულ საქციალურ ორგანოსა თუ სამსახურს (მაგ., ომბუდსმენის სამსახური ან საკანონმდებლო ორგანოს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და სხვ.), რომელთა კომპეტენციაში ადამიანის უფლებათა დაცვა შედის.

მტკიცების ტვირთი, თუ რა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებანი არსებობს ეროვნულ სისტემაში, რომელთა ამონურვაც განმცხადებელს ევალება, სახელმწიფოს აწევს. შესაბამისად, სახელმწიფომ შეიძლება დააყენოს საკითხი, რომ პირს არ ამონურავს დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

## 6.6. დასაშვებობის სხვა კრიტერიუმები

ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულია ინდივიდუალური განაცხადის დასაშვებობის კიდევ რამდენიმე კრიტერიუმი. ისინი ითვალისწინებენ, რომ სასამართლო არ მიიღებს ინდივიდუალურ განაცხადებს, თუ: ა) იგი არის ანონიმური; ბ) არსებითად იგივე საკითხია, რომელიც უკვე განხილულ იქნა სასამართლოს მიერ, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიებისა თუ მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას.

სასამართლო დაუშვებლად გამოაცხადებს ინდივიდუალურ განაცხადს, თუკი მიიჩნევს, რომ იგი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან (მაგალითად, განმცხადებელი მოითხოვს ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვას), ამკარად დაუსაბუთებელია, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებაა. შეუთავსებლობის კრიტერიუმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოირკვევა, რომ რომელიმე საქმის ობიექტი არ შედის ევროპული სასამართლოს კომპეტენციაში. ამკარად დაუსაბუთებლობის კრიტერიუმი სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ გამოყენებულა. ეს კრიტერიუმი ათავისუფლებს სასამართლოს იმ განაცხადების განხილვის ვალდებულებისაგან, რომლებიც არ მიუთითებენ კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევაზე.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება ნიშნავს, რომ განმცხადებელმა ამკარად ცილისმწამებლური განცხადებები გააკეთა მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ, ან თავს არიდებს სასამართლოსთან თანამშრომლობას და არ პასუხობს განცხადებასთან დაკავშირებულ სასამართლოს მოთხოვნებს.

## 7. სამართალწარმოების პროცედურა

ყოველ განაცხადზე ინიშნება მოსამართლე-მომხსენებელი. კომიტეტი დასაშვებობის საკითხს კონსენსუსით იღებს. ასეთი განხილვა, როგორც წესი, წერილობითი ფორმით ხდება, თუმცა კომიტეტს შეუძლია დანიშნოს მოსმენაც.

განაცხადის დასაშვებად გამოცხადების შემდეგ პალატას შეუძლია დაიწყოს მორიგების პროცედურა. მორიგების თაობაზე წარმოებული მოლაპარაკებები კონფიდენციალურია.

### 7.1. მორიგება

სასამართლოს მიზანი არ არის სასამართლო პროცესის ჩატარება. განაცხადის დასაშვებობის გამოცხადების შემდეგ სასამართლო ცდილობს, „მორიგების“ გზით გადაწყვიტოს არსებული პრობლემა. მორიგება ეხება როგორც სახელმწიფოთაშორის, ისე ინდივიდუალურ განაცხადებს. 38-ე მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტის შესაბამისად, „ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე სასამართლო შესთავაზებს მხარეებს თავის მომსახურებას საქმის მორიგების მიღწევის მიზნით“. ამ მუხლით სასამართლოს ორი ამოცანა აქვს დასახული:

1) საშუამავლო ფუნქციის შესრულება მხარეებს შორის. სასამართლო აცნობებს მოპასუხე სახელმწიფოს განცხადების არსის, ხოლო განმცხადებელს მთავრობის მიერ წარმოდგენილი პასუხისა და კომენტარების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ტარდება კონსულტაციები; 2) ნებისმიერი მორიგება უნ-

და გამომდინარეობდეს ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპიდან. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მორიგების შედეგად გატარებული ღონისძიებები ადეკვატურია.

მორიგების პროცესის შედეგად გატარებული ღონისძიებები ორი სახისაა: მატერიალური (ფულადი კომპენსაცია) და არამატერიალური (სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ღონისძიებების გატარება არსებული ვითარების გამოსასწორებლად). უმრავლეს შემთხვევაში დავის გადანყვეტა გულისხმობს გარკვეული ფულადი კომპენსაციის გაცემას განმცხადებელზე.

ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია *restitutio in integrum*-ის დადგენა ან *status quo ante*-ს აღდგენა. ასეთ შემთხვევაში მატერიალური კომპენსაცია პრობლემის გადაჭრის ერთადერთ საშუალებად რჩება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც კონვენციის დარღვევის შედეგები სცილდება ერთი პიროვნების ინტერესებს და სახელმწიფოსაგან მოითხოვს საერთო ხასიათის ღონისძიებათა გატარებას. შემთხვევები, როდესაც მორიგების შედეგად სახელმწიფომ შეცვალა შიდასახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო დებულებები, სასამართლოს პრატიკაში საკმარისად არის. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა რამდენჯერმე შეიტანა ცვლილებები მოქმედ პენიტენციარულ წესებში; ავსტრიამ ცვლილებები შეიტანა ადვოკატთა საბჭოს შესახებ იმ წესებსა და კანონმდებლობაში, რომლებიც სოციალურად დაუცველ პირთა სამართლებრივ დახმარებას ეხებოდა<sup>298</sup> და შეიმუშავა სამინისტროს დებულებები ავადმყოფ და დაჭრილ პატიმართა პოსპიტიალიზაციის შესახებ. გარდა საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებისა, სახელმწიფოს შეიძლება მოეთხოვოს კონკრეტული მოქმედება: გაუშვას პირი თავდებით, უზრუნველყოს, რომ არასამართლიანად წაყენებულმა ბრალდებამ გავლენა არ მოახდინოს განმცხადებლის კარიერაზე, გასცეს ვიზა, ან გადაიხადოს დეპორტირებული პირისათვის მგზავრობის ხარჯები და სხვა.

მორიგების შემთხვევაში სასამართლო გამორიცხავს საქმეს თავისი სიიდან სათანადო გადანყვეტილების მიღების გზით, რომელშიც ფაქტების მოკლე აღწერა იქნება მოცემული.

## 7.2. მესამე მხარე

საჭიროების შემთხვევაში საქმის განხილვისას პალატის თავმჯდომარე იღებს გადანყვეტილებას მესამე მხარის ჩართვის თაობაზე. მესამე მხარის მონაწილეობა შესაძლებელია პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ საქმეში.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს წარადგინოს წერილობითი კომენტარები და დაშვებულ იქნეს მხარედ პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ საქმეში, თუ განმცხადებელი მისი მოქალაქეა, ან ამას მოითხოვს სახელმწიფოს ან მართლმსაჯულების ინტერესები.

<sup>298</sup> გუსენბაუერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Gusenbauer v. Austria*). კომისიის 1972 წლის 19 დეკემბრის მოხსენება.

### 7.3. საქმის წარმოება

სასამართლო განხილვა შეეჯობრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული და საჯაროა.<sup>299</sup> საქმის წარმოება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: საქმის აღძვრა, მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნა, დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, არსებითი მოსმენა, გადანყევტილების გამოტანა.

პალატა იხილავს სახელმწიფოთაშორის დაევისა და ინდივიდუალურ განაცხადებს, რომლებიც მას კომიტეტმა გადასცა. ინდივიდუალური განაცხადების ავტორებს შეუძლიათ, სასამართლოში შეიტანონ განაცხადი დამოუკიდებლად, ან მიმართონ ადვოკატის დახმარებას. ეუროპის საბჭოს მიერ შემუშავებულია უფასო დახმარების სისტემა იმ პირთათვის, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი სახსრები, ისარგებლონ ადვოკატის დახმარებით.<sup>300</sup>

საქმის დასაშვებობის გამოცხადების შემდეგ პალატას შეუძლია შესთავაზოს მონაწილე მხარეებს, მხარეთა თხოვნის ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებანი ან წერილობითი ახსნა-განმარტებანი, განმცხადებლის სამართლიანი კომპენსაციის მოთხოვნის ჩათვლით. პალატას შეუძლია სთხოვოს ნებისმიერ დამოუკიდებელ პირსა თუ ორგანიზაციას, გამოხატოს აზრი, ან მოამზადოს მოხსენება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მხარეები შეიძლება მონვეულ იყენენ საჯარო მოსმენაზე.

სახელმწიფოს სასამართლოში წარმოადგენს სპეციალურად უფლებამოსილი პირი-აგენტი, რომელსაც შეიძლება ეხმარებოდნენ თავისი მრჩეველები ან ადვოკატები.

თავისი ინიციატივითა თუ მხარეთა თხოვნის საფუძველზე პალატას შეუძლია, რამდენიმე საქმე ერთ წარმოებაში გააერთიანოს.

თუ პალატა ჩათვლის, რომ განსახილველი საქმე წამოჭრის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც კონვენციასა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას ეხება, ან, როდესაც პალატის მიერ საკითხის გადანყევტას შეიძლება მოჰყვეს შედეგი, რომელიც შეუთავსებელია მანამდე მიღებულ გადანყევტილებასთან, პალატას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გადანყევტილების გამოტანამდე, გადასცეს თავისი იურისდიქცია დიდ პალატას, თუკი საქმის არცერთი მხარე არ იქნება ამის წინააღმდეგი. პალატის მიერ საბოლოო გადანყევტილების გამოტანის შემდეგ ნებისმიერ მხარეს გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია სამი თვის ვადაში მოითხოვოს საქმის დიდ პალატისათვის გადაცემა. მხარემ არსებითად უნდა მიუთითოს, თუ რის საფუძველზე მოითხოვს საქმის დიდ პალატაში განხილვას. დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია მიიღებს თხოვნას იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და ახსნა-განმარტებას ან სხვა ზოგადი მნიშვნელობის საკითხებს.

<sup>299</sup> თუმცა გამონაკლის შემთხვევაში პალატამ და დიდმა პალატამ შეიძლება მიიღოს გადანყევტილება სხდომის დახურულად ჩატარების თაობაზე.

<sup>300</sup> ადვოკატის ანაზღაურება შესაძლებელია საქმის დასაშვებობის თაობაზე გადანყევტილების მიღების შემდეგ.



კოლეგიის გადაწყვეტილების შემდეგ საქმეს იხილავს დიდი პალატა. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

სასამართლოს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული, თუმცა განცხადება შეიძლება წარდგენილი იყოს სასამართლოში წერსახელმწიფოთა ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. საქმის დასაშვებობის შემდეგ საქმის წარმოება მიმდინარეობს სასამართლოს ოფიციალურ ენაზე, თუ სექციის ან დიდი პალატის თავმჯდომარე არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

#### **7.4. საქმის სიიდან ამოღება**

სასამართლოს შეუძლია, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ამოიღოს განაცხადი თავის საქმეთა სიიდან, თუ ჩათვლის, რომ:

- ა) განმცხადებელი არ აპირებს ბოლომდე მიჰყვეს თავის განაცხადს;
- ბ) საქმე გადაწყდა;
- გ) სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით აღარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება.

ზემოჩამოთვლილ გარემოებათა არსებობის მიუხედავად, სასამართლოს შეუძლია განაგრძოს განხილვა, თუკი ჩათვლის, რომ ამას მოითხოვს კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სიიდან გარიცხული განაცხადის აღდგენის თაობაზე, თუ მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებანი ამართლებენ ამგვარ ქმედებას (38-ე მუხლი).

#### **7.5. სასამართლოს გადაწყვეტილებანი**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.<sup>301</sup> მათი გადასინჯვა არ ხდება, თუ ახალი გარემოებები არ აღმოჩნდება (პროცედურულად ასეთ შემთხვევაში საქმის არა განახლება, არამედ თავიდან განხილვა იწყება).

გადაწყვეტილება შედგება რამდენიმე ნაწილისაგან:

1. „პროცედურა“ მოიცავს ინფორმაციას, როდის იყო მიღებული საქმე, განმცხადებლის ვინაობას, პალატის შემადგენლობას, მხარეების წარმომადგენელთა ვინაობას და სხვა);

2. „ფაქტები“ მოიცავს საქმის დეტალურ გარემოებათა აღწერას, (მათ შორის: სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებების, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების ან პროცედურული ნორმებისას, რომლებიც ამ საქმესთან მიმართებით იქნა გამოყენებული და სხვა);

3. „სამართალი“ ან „სამოტივაციო ნაწილი“. ამ ნაწილში დეტალურად არის გამოკვლეული ყველა სამართლებრივი საკითხი, რომლებიც არსებითია საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. გადაწყვეტილების ამ ნაწილში ყოველი სა-

<sup>301</sup> პალატის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხოლოდ ზემოხსენებულ შემთხვევაში.

კითხის ირგვლივ ფიქსირდება განმცხადებლისა და მოპასუხის არგუმენტები და სასამართლოს დეტალური, განვრცობილი, მოტივირებული პოზიცია. ასეთი აგებულება ასახავს სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს;

4. „დადგენილებით“ ნაწილში სასამართლოს ყველა დასკვნაა გაერთიანებული. აქვე მითითებულია, რამდენი ხმით იყო მიღებული ეს დასკვნები. დადგენილებით ნაწილში ასევე მითითებულია 41-ე (ძველი რედაქციით 50-ე) მუხლის – „სამართლიანი კომპენსაცია“ – საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადადოს სამართლიანი კომპენსაციის ირგვლივ გადაწყვეტილების მიღება შემდგომი პერიოდისათვის. ეს ხდება მაშინ, თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ საკითხი სათანადოდ არ არის მომზადებული მხარეების მიერ, ან არსებობს მხარეებს შორის ამ საკითხის მოგვარების შესაძლებლობა.

თუ სასამართლომ გადადო სამართლიანი კომპენსაციის განხილვა შემდგომი პერიოდისათვის და გადაწყვეტილება მოგვიანებით მიიღო, ასეთი „მომდევნო გადაწყვეტილება“ დამოუკიდებელი იქნება. დროის თვალსაზრით, არანაირი ვადა, თუ როდის უნდა იქნეს განხილული სამართლიანი კომპენსაციის საკითხი, დადგენილი არ არის. ამიტომ პრაქტიკაში „მომდევნო გადაწყვეტილება“ შესაძლებელია, საკმაოდ დაცილებული იყოს „ძირითად გადაწყვეტილებას“. მაგალითად, ცნობილ საქმეზე – *სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. the United Kingdom)* – ძირითადი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1978 წელს და გადაწყვეტილება კომპენსაციის თაობაზე – მხოლოდ 1980 წელს. 1978 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა: „სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ 50-ე მუხლის გამოყენების საკითხი არ არის სათანადოდ მომზადებული იმისათვის, რათა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება“. 1980 წელს სასამართლომ 13 ხმით 3-ის წინააღმდეგ დაადგინა, აენაზღაურებინა ვაზეთ „სანდი თაიმსის“ ხარჯები 22.626 ფუნტი სტერლინგის ოდენობით.)

საქმის – *პაპამიხალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Papamichalopoulos v. Greece)*, (1993 წლის 24 ივნისი) – სასამართლო გადაწყვეტილებაში აღინიშნა: სახელმწიფო აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყდა, საბერძნეთის სამართალი იძლევა იმის საშუალებას, რომ განმცხადებელმა მიიღოს საკუთრების დაბრუნებასთან დაკავშირებული კომპენსაცია. ამიტომ სასამართლომ ამ საკითხის განხილვა შეაჩერა და აღნიშნა: თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ქონების შეფასების თაობაზე 8 თვის განმავლობაში, საქმის შემთხვევაში სასამართლო განაახლებს ამ საკითხის განხილვას.

საქმეზე – *იაგტიზილარი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Yagtzilar and Others v. Greece)* – გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2001 წელს, ხოლო სამართლიანი კომპენსაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სასამართლომ მომდევნო პერიოდისათვის გადადო.

კომპენსაციისათვის დაწესებული თანხა როდი არის ყოველთვის ერთნაირი. როგორც წესი, სასამართლო არ ანესებს ძალიან დიდ თანხას. მაგალითად, საქმეში – *პოსოხოვი რუსეთის წინააღმდეგ (Posokhov v. Russia)* – განმცხადებელი

სახელმწიფოსაგან მოითხოვდა 10000 ევროს. სასამართლომ დაადასტურა უფლებათა დარღვევის ფაქტი, მაგრამ 41-ე მუხლის საფუძველზე განმცხადებლის მიმართ სახელმწიფოს 500 ევროს გადახდა დააკისრა.<sup>302</sup> კომპენსაციის რაოდენობის დადგენაზე გავლენას ახდენს, თუ რა სახის ზარალი ან ზიანი განიცადა დაზარალებულმა. საქმეზე – ტსირონისი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Tsironis v. Greece*) – მიღებული გადაწყვეტილებით, დაზარალებულის სასარგებლოდ სახელმწიფოს მორალური ზიანისათვის 6000000 დრახმისა და 2.000.000 დრახმის გადახდა დაეკისრა სამართლიანი კომპენსაციის სახით.<sup>303</sup>

სასამართლოს შეუძლია არ დაეთანხმოს განმცხადებლის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას სამართლიანი კომპენსაციის თაობაზე, ან მოთხოვნილი თანხა მიიჩნოს არაგონივრულად. მაგალითად, საქმეზე – ბელდჯუდი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Beldjoudi v. France*), (1992 წელი) – მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოსარჩელე მოითხოვდა 100000 ფრანგულ ფრანკს, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ „განმცხადებლის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თვით სასამართლო გადაწყვეტილების მიღება განმცხადებლის სასარგებლოდ არის სამართლიანი და საკმარისი ფორმა მორალური ანაზღაურებისა“.

განსაკუთრებულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია, სახელმწიფოს დააკისროს საკმაოდ მოზრდილი თანხის გადახდა. ცნობილი საქმის – ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ (*Öcalan v. Turkey*) – მიხედვით, უფლებათა დარღვევის ფაქტის დადგენასთან ერთად, სასამართლომ სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით 100000 ევროს გაცემა დააკისრა.<sup>304</sup>

**გადაწყვეტილების ახსნა-განმარტება.** გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში მხარემ შეიძლება მიმართოს სასამართლოს თხოვნით, მისცეს ახსნა-განმარტება გადაწყვეტილების ცალკეულ დებულებებს (დადგენილებითი ნაწილის ჩათვლით). მიმართვა იგზავნება სამდივნოში. მასში ასახული უნდა იყოს კონკრეტულად, რომელი დებულების (ან დებულებათა) ახსნას ითხოვს მხარე. სასამართლოს შეუძლია, არ მიიღოს მიმართვა იმ მოტივით, რომ არ არსებობს ამ საკითხის განხილვის საკმარისი საფუძველი. თუ მიმართვა პალატის მიერ მიღებულია განსახილველად, რეგისტრატორი ატყობინებს მეორე მხარეს, რათა მას მიეცეს საშუალება, წარმოადგინოს წერილობითი შენიშვნები პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადებში. სასამართლოს მიერ მიცემული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ახსნა-განმარტება დაკავშირებულია საქმეზე – რინგეიზენი ავსტრიის წინააღმდეგ (*Ringeisen v. Austria*) – გამოტანილ გადაწყვეტილებასთან, რომელიც სასამართლომ 1973 წელს მიიღო.

სასამართლო გადაწყვეტილებანი გამოიტანება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გადაწყვეტილების გამოქვეყნება ხდება ორივე ოფიციალურ ენაზე ბიულეტენებში და ინტერნეტის მეშვეობით.

302 2003 წლის 4 მარტი.

303 2001 წლის 6 დეკემბერი.

304 2003 წლის 12 მარტი.

**მოსამართლის განსაკუთრებული აზრი.** გადაწყვეტილება კოლეგიურად მიღებული დოკუმენტია, რომელიც ასახავს სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის პოზიციას. ყოველ მოსამართლეს, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში, აქვს უფლება, წერილობით გამოხატოს თავისი პოზიცია, თუ მისი მოსაზრებები ეწინააღმდეგება პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. განსაკუთრებული აზრი ქვეყნდება გადაწყვეტილებასთან ერთად (თუმცა არ არის გადაწყვეტილების სტრუქტურული ნაწილი). განსაკუთრებული აზრი მოსამართლემ შეიძლება გამოთქვას: ა) როდესაც არ ეთანხმება გამოტანილ გადაწყვეტილებას ან მის ნაწილს; ბ) როდესაც ეთანხმება გადაწყვეტილების დადგენილებას, მაგრამ საჭიროდ თვლის, დაამატოს ან კორექტივები შეიტანოს სამოტივაციო ნაწილში.

მოსამართლის განსაკუთრებული აზრი გავლენას არ ახდენს გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებზე, თუმცა ამ ინსტიტუტის არსებობამ გავლენა მოახდინა კონვენციის ახსნა-განმარტების პროცესზე და სასამართლო პრაქტიკის ფორმირებაზე.

## 8. საკონსულტაციო დასკვნები

1963 წელს მიღებულ იქნა კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმი, რომელიც აწესებს საკონსულტაციო დასკვნების გაცემის სისტემას. დღესდღეობით ეს ოქმი ინკორპორირებულია კონვენციის 47-ე-49-ე მუხლებში. ამ მუხლებით დადგენილ დებულებათა თანახმად:

- საკონსულტაციო დასკვნების ობიექტია სამართლებრივი საკითხები, რომლებიც კონვენციასა და მის ოქმებთან არის დაკავშირებული;
- საკონსულტაციო დასკვნების ობიექტი არ შეიძლება იყოს კონვენციითა და მისი ოქმებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსი და მიზნები ან ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც სასამართლო განხილვის საგანია. სხვა სიტყვებით, ის, რაც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლო წესით, არ შეიძლება საკონსულტაციო დასკვნების მეშვეობით მოგვარდეს.
- საკონსულტაციო დასკვნები გაიცემა მხოლოდ მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე. სახელმწიფოს არ შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემა.
- სასამართლო თვითონ წყვეტს, შედის თუ არა მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ მის კომპეტენციაში.

სასამართლოს ეს კომპეტენცია დღემდე გამოუყენებელია.

## VII. ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა ძირითადი დოკუმენტები და მექანიზმები

ევროპის საბჭო ევროპის რეგიონის ერთ-ერთი მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი მიზანია ქვეშარტი დემოკრატიის საფუძველზე წევრ სახელმწიფოებში სამართლის უზენაესობის დამკვიდრება. თავის საქმიანობაში ევროპის საბჭო ხელმძღვანელობს პლურალისტური დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლის უზენაესობის პრინციპებით.

ევროპის საბჭოს ეგიდით შემუშავებულია და მოქმედებს მრავალი დოკუმენტი თუ მექანიზმი, რომელთა გავლენა ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე მეტად მნიშვნელოვანია.

### 1. ევროპული სოციალური ქარტია

#### 1.1. შესავალი

არც ისე დიდი ხანია, რაც სახელმწიფოთა კანონმდებლობასა თუ საერთაშორისო დოკუმენტებში სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ასახვა დაიწყო. XVIII-XIX საუკუნეებში საკანონმდებლო აქტები თუ კონსტიტუციები, რომლებიც ადამიანის უფლებათა სტანდარტებს ასახავდნენ, ძირითადად პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე ამახვილებდა ყურადღებას. ეკონომიკური და სოციალური უფლებები განიხილებოდა როგორც მათი განვითარების დამატებითი საშუალება. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო უფლებათა ამ ბლოკის ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>305</sup> ამავე პერიოდს მიეკუთვნება პირველი საერთაშორისო დოკუმენტებიც, რომლებიც ამ სფეროს არეგულირებენ (ძირითადად ეს არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენციები).

1945 წლის გაეროს წესდებისა და 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებით, ადამიანის უფლებათა დადგენის ხარისხობ-

<sup>305</sup> მაგალითად, 1919 წლის გერმანიის ვაიმარის კონსტიტუცია; 1931 წლის ესპანეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია; 1937 წლის ირლანდიის კონსტიტუცია; 1936 წლის სსრკ-ის კონსტიტუცია.

რეიდ ახალი ეტაპი იწყება. დეკლარაციამ ასახა როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე სოციალური და ეკონომიკური უფლებები,<sup>306</sup> მაგრამ სახელმწიფოები სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს დიდი ენთუზიაზმით როდი აღიარებდნენ, რასაც ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით ხსნიდნენ.

ბოლო ათწლეულებში ამ უფლებათა მიმართ ახალი მიდგომა შეიმჩნევა როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ დონეზე. ამის დასტურია 1986 წელს ლიმბურგის უნივერსიტეტში (ჰოლანდია) ჩატარებულ შეხვედრაზე მიღებული პრინციპები:

- ა) ყველა უფლება და თავისუფლება, სოციალურ-ეკონომიკურის ჩათვლით, განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია. ისინი საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილებია;
- ბ) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტი ნევრი სახელმწიფოებისათვის იურიდიულად სავალდებულოა.<sup>307</sup> საერთაშორისო საზოგადოების ასეთი ყურადღება სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მიმართ განპირობებულია იმით, რომ „თავისუფალი პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით ისევე, როგორც თავისი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით.“<sup>308</sup>

## 1.2. ევროპული სოციალური ქარტიის ზოგადი მიმოხილვა

როგორც ცნობილია, 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ეხება ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. ამიტომ ევროპის საბჭოს ნევრი სახელმწიფოების ინიციატივით შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ბლოკის დაცვას უზრუნველყოფდა. ასეთ დოკუმენტად ევროპის რეგიონში ევროპული სოციალური ქარტია მოგვევლინა.

ევროპული სოციალური ქარტია არის საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს ადგენს და ნევრი სახელმწიფოების მიერ ამ უფლებათა შესრულების საზედამხედველო მექანიზმს ანებს. ქარტია მიღებულ იქნა 1961 წლის 18 ოქტომბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1965 წელს. 1988 წელს ხელი მოეწერა და 1992 წლის 4 სექტემბერს ძალაში შევიდა დამატებითი ოქმი, რომელმაც გააფართოვა ქარტიაში ჩამოყალიბებულ უფლებათა ნუსხა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის ცხადი გახდა, რომ ქარტიამ დიდი გავლენა მოახდინა ნევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა ეკონომიკური

<sup>306</sup> უნივერსალურ დონეზე სახელმწიფოებო დოკუმენტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მიღებულ იქნა 1966 წელს.

<sup>307</sup> The Limburger Principles on the Implementation of the International Covenant on Economic Social and Cultural Rights. Human Rights Quarterly, 1987, Vol. 9, N 2. 122-135.

<sup>308</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ იხ. 1966 წლის საერთაშორისო პაქტის პრეამბულა.

და სოციალური უფლებების დაცვის გარანტირებაზე, თუმცა, ამასთან ერთად, დოკუმენტს უკონდა რიგი ხარვეზებისა, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქარტიის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციას.<sup>309</sup> ეს ხარვეზები წევრი სახელმწიფოების ვალდებულებათა კონტროლის სისტემაზე აისახებოდა. გასათვალისწინებელი იყო ასევე ის, რომ ამ დროისათვის ევროპამ მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები განიცადა: ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარებულ ქვეყნებში შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა სტანდარტები, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიული რეფორმები დაიწყო. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ქარტია იქცა იმ მნიშვნელოვან ორიენტირად, რომელიც ამ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ამით იყო განპირობებული ქარტიის შინაარსის დახვეწისა და კონტროლის მექანიზმის სისტემის სრულყოფის აუცილებლობა.

ამიტომ 1991 წელს შემუშავდა დამატებითი ოქმი, რომლითაც ცვლილებები შედიოდა ქარტიაში, ხოლო 1996 წელს ხელმოსაწერად გაიხსნა ევროპული სოციალური ქარტიის გადასინჯული ვარიანტი.<sup>310</sup> ფაქტობრივად, დღეისათვის ქარტია ძალაში შესული ტექსტის ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი: ძველი რედაქციით ქარტიას ექნება ძალა მანამდე, სანამ მისი ყველა მონაწილე არ მოახდენს გადასინჯული ქარტიის რატიფიცირებას; დოკუმენტის ახალი რედაქციით ჩანაცვლება თანდათანობით მოხდება. ქარტიის III ნაწილის თანახმად, „შესაბამისი მხარის მიერ გადასინჯული ქარტიის ვალდებულებათა აღება ... იწვევს ევროპული ქარტიის ... გამოყენების შეწყვეტას ...“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქარტია არ არის ისეთივე ეფექტიანი დოკუმენტი, როგორცაა 1950 წლის კონვენცია. ეს გარკვეული ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული:

- ქარტიას არ გააჩნია ისეთი მძლავრი კონტროლის მექანიზმი, როგორცაა კონვენციის მიერ დაწესებული სასამართლო;
- არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადების მექანიზმი;
- ქარტიის მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა არ ემთხვევა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა რაოდენობას;
- ქარტიის მიერ შემუშავებული კონტროლის მექანიზმი საკმაოდ რთულ სისტემაზე არის აგებული, ხოლო გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

ყველა ეს გარემოება დაკავშირებულია არასაკმარის პოლიტიკურ ნებასთან. ასეთი პოზიცია, სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებით, სახელმწიფოებს არაერთხელ გამოუმჯლავნებიათ.

309 С. Горшкова, Стандарты Совета Европы по правам человека и Российское законодательство, М., 2001, стр. 22.

310 ძალაში შევიდა 1999 წელს. დღესდღეობით ხელი მონერილი აქვს 15 სახელმწიფოს. საქართველომ ხელი მოაწერა 2000 წელს, მაგრამ დღემდე რატიფიცირება არ მოუხდენია.

ქარტიის ახალი რედაქცია შედგება ექვსი ნაწილისიგან.

*I ნაწილში* განსაზღვრულია მიზნები, რომელთა მიღწევისაკენ ისწრაფვიან მხარეები, მოცემულია იმ უფლებათა ჩამონათვალი, რომლებიც II ნაწილში მუხლობრივად არის მონესრიგებული. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის ეს თავი ქარტიის განუყოფელი ნაწილია, იგი პოლიტიკური განცხადების, და არა უშუალოდ იურიდიულ ვალდებულებათა, ხასიათს ატარებს;

*II ნაწილი* პირდაპირ მიუთითებს ჩამოთვლილ დებულებათა იურიდიულად სავალდებულო ხასიათზე (შედგება 31 მუხლისაგან, ნაცვლად 19-ისა, ძველი რედაქციით). მუხლები დაყოფილია ქვეუქტებად (სულ 83), რომლებშიც განმარტებულია უფლებათა დაცვის ძირითადი კრიტერიუმები;

*III ნაწილი* ასახავს ვალდებულებათა მიღების ნესებს და ქარტიის ძველ რედაქციასთან ურთიერთდამოკიდებულებას;

*IV ნაწილი* ადგენს კონტროლის მექანიზმს;

*V ნაწილი* ასახავს კოლექტიური განაცხადების განხილვის უფლებამოსილებას, დებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, საომარი მდგომარეობის არსებობის დროს ქარტიის დებულებათა შეზღუდვის პირობებს;

*VI ნაწილი* განსაზღვრავს პროცედურულ საკითხებს (ძალაში შესვლა, ტერიტორიული გამოყენება, დენონსაცია და სხვა).

ქარტიას თან ერთვის დანართი, რომელიც ზოგეირთი ტერმინის განმარტებას იძლევა.

ქარტია იცავს ისეთ უფლებებს, როგორცაა: შრომისა და მასთან დაკავშირებული პირობები; გაერთიანების; პროფესიული ორიენტრაციისა და მომზადების; ჯანმრთელობის; სოციალური, სამედიცინო დახმარების; დასაქმების; გადაადგილების თავისუფლების; თანაბარ პირობებში თანაბარი მოპყრობის (დისკრიმინაციის აკრძალვა); ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღების; განათლების; სილატაკისა და სოციალური მონყვლადობისაგან დაცვის და სხვა. ქარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პირთა ისეთ ჯგუფებს, როგორცაა: ბავშვები, ახალგაზრდები, ქალები, მოხუცები, შრომისუუნარო პირები, მიგრანტები.

განსხვავებით 1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტისაგან, რომლის იმპლემენტაციაც სახელმწიფოს, შესაბამისი რესურსებიდან გამომდინარე, თანდათანობით შეუძლია, ქარტიის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებები სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს.<sup>311</sup>

სახელმწიფო, რომელიც სოციალურ ქარტიას, უერთდება, ვალდებულია აღიაროს საერთო რაოდენობიდან 2/3, თანაც „ძირითად ბირთვის“ მიკუთვნებული 9 უფლებიდან 6 მაინც. ძირითადი ბირთვის უფლებები ასახულია შემდეგ მუხლებში: 1-ლი მუხლი – თავისუფალი შრომის უფლება; მე-5 მუხლი – გაერთიანების უფლება; მე-6 მუხლი – კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების

311 ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი – საქართველომ დღემდე რატომ ვერ შეძლო ქარტიის რატიფიცირება, ისაა, რომ სახელმწიფოს არ ძალუძს შეასრულოს ქარტიით განცხადებული უფლებების გარანტირება.



უფლება; მე-7 მუხლი – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება სპეციალურ დაცვაზე; მე-12 მუხლი – სოციალური უზრუნველყოფის უფლება; მე-13 მუხლი – სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება; მე-16 მუხლი – ოჯახის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება; მე-19 მუხლი – მიგრანტ მუშათა უფლებები; მე-20 მუხლი – დისკრიმინაციის აკრძალვა. მუხლები, რომლებიც „ძირითად ბირთვშია“ ასახული, იცავს არა ყველაზე მნიშვნელოვან უფლებებს, არამედ ქარტიაში ასახულ სხვადასხვა უფლებას შორის ბალანსის დაცვის მიზანს ემსახურება.

დანარჩენი უფლებებიდან სახელმწიფომ უნდა აირჩიოს 16 (31-დან) ან 63 (83-დან).

### **1.3. კონტროლის მექანიზმი**

ქარტიის საფუძველზე უფლებების გარანტირების მექანიზმად დაწესდა *ევროპული კომიტეტი* (აღრე ცნობილი იყო როგორც დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტი). კომიტეტი შედგება 13 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, რომელთაც 6 წლის ვადით ირჩევენ, ხელახალი გადარჩევის უფლებით. კომიტეტის ფუნქციებია როგორც სახელმწიფოთა მოხსენებების, ისე კოლექტიური განაცხადების განხილვა.

### **სახელმწიფოთა მოხსენებებზე დაფუძნებული მონიტორინგის პროცედურა**

კომიტეტის ეს ფუნქცია დაფუძნებულია ქარტიის 24-ე მუხლზე (ცვლილებები შევიდა 1991 წლის ტურინის ოქმით). ყოველი წერილობითი სახელმწიფო წარადგენს მოხსენებას, თუ როგორ მიმდინარეობს ქარტიის იმპლემენტაცია ეროვნულ სამართალში და როგორია სახელმწიფოში არსებული პრაქტიკა. მოხსენებების სისტემა განსხვავდება გაეროს სისტემაში არსებული მოხსენებების პროცედურისაგან. ორ წელიწადში ერთხელ სახელმწიფო ამზადებს მოხსენებას იმ ძირითად ბირთვს მიკუთვნებული უფლებების თაობაზე, რომლებიც მან აღიარა სავალდებულოდ. ყველა დანარჩენ აღიარებულ უფლებასთან დაკავშირებით მოხსენება მზადდება დადგენილი პერიოდულობით. კომიტეტი იხილავს მოხსენებას და აფასებს, რამდენად შეესაბამება სახელმწიფოში არსებული ვითარება ქარტიის მოთხოვნებს. ამის შედეგად კომიტეტი აყალიბებს „დასკვნებს“ (conclusions), რომლებიც ქვეყნდება ყოველწლიურად.

კომიტეტის გადანყვეტილებათა შესრულებას ზედამხედველობს მინისტრთა კომიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ გაატარებს გარკვეულ ღონისძიებებს კომიტეტის მიერ მიღებულ გადანყვეტილებათა შესასრულებლად, მინისტრთა კომიტეტი მიმართავს სახელმწიფოს რეკომენდაციით, შეცვალოს ვითარება.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მზადდება *სამთავრობო კომიტეტის* მიერ, რომელიც შედგება ქარტიის წერილობითი სახელმწიფოების მთავრობათა

წარმომადგენლებისაგან, ხოლო დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს ევროპის შრომის ორგანიზაცია და პროფკავშირი.

### კოლექტიური განაცხადების პროცედურა

კოლექტიური განაცხადების პროცედურა 1995 წლის ოქმით ჩამოყალიბდა (რომელიც 1998 წელს შევიდა ძალაში).<sup>312</sup> კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ კოლექტიური განაცხადებები, რომელთა ობიექტი სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ქარტიის დებულებათა დარღვევაა. კოლექტიური განაცხადებით მიმართვის უფლებამოსილება მხოლოდ გარკვეულ ორგანიზაციებს აქვთ. ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ მიმართონ კომიტეტს განაცხადებით:

I. საერთაშორისო ორგანიზაციები: ევროპის პროფკავშირთა კონფედერაცია (ETIC, European Trade Union Confederation), ევროპის ინდუსტრიული და დასაქმების კონფედერაციათა კავშირი (UNICE, Union of Industrial and Employers Confederations of Europe), მუშა-მოსამსახურეთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE International Organization of Employers);

II. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ევროპის საბჭოში საკონსულტაციო სტატუსი აქვთ და რომლებიც შეტანილი არიან „სიაში“ სამთავრობო კომიტეტის მიერ;

III. სახელმწიფოში მოქმედი შრომითი ორგანიზაციები და პროფკავშირები;

IV. ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები, თუ სახელმწიფო აღიარებს მათ ასეთ უფლებამოსილებას.

განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ორგანიზაციის დასახელებას და საკონტაქტო ინფორმაციას; დასაბუთებას იმისას, რომ ორგანიზაცია უფლებამოსილია შეიტანოს განაცხადი კომიტეტში; მითითებას სახელმწიფოზე, რომლის წინააღმდეგ შედის განაცხადი; მითითებას ქარტიის დებულებებისას, რაც განაცხადების ობიექტს წარმოადგენს; ინფორმაციას დავის საგანის შესახებ.

კომიტეტი იხილავს განაცხადის დასაშვებობის საკითხს. თუ განაცხადი დასაშვებად გამოცხადდა, მისი განხილვის პროცედურა ორ ეტაპად იყოფა: წერილობითი პროცედურა და საჯარო მოსმენა. წერილობითი პროცედურა მოიცავს მხარეებს შორის მემორანდუმების წარდგენას. ამ მემორანდუმების განხილვის შემდგომ კომიტეტი წყვეტს, დანიშნოს თუ არა საჯარო მოსმენა. კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითი განხილვის საფუძველზე, რომელსაც დანტერესებულ მხარეებს უგზავნის, ხოლო მინისტრთა კომიტეტს მოხსენების სახით აწვდის ინფორმაციას. ეს უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში აქვეყნებს ამ გადაწყვეტილებებს. მინისტრთა კომიტეტი შეიმუშავებს რეზოლუციას, რომელშიც მითითებულია ის შესაძლებელი საშუალებები და გზები, რომლითაც მოცემული ვითარება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ქარტიასთან.

<sup>312</sup> განსხვავებით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციისაგან, სოციალური ქარტია არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ განაცხადთა განხილვის პროცედურას.

#### 1.4. ქარტია და ეროვნული სამართალი

ქარტიის დამატებაში აღნიშნულია, რომ ქარტია მოიცავს საერთაშორისო ხასიათის იურიდიულ ვალდებულებებს, რომელთა შესრულების კონტროლი გამოიხატება ქარტიის IV ნაწილში ასახული წესით (იგულისხმება ანგარიშვალდებულებათა სისტემა).

ეს ფორმულირება არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, უშუალოდ აღიარონ ქარტიის დებულებათა პირდაპირი მოქმედების იურიდიული ძალა და აქცენტს მხოლოდ მაკონტროლებელი მექანიზმის მეშვეობით მიღებულ „დასკვნათა“ რეალიზაციის შედეგებზე ამახვილებს.

საკითხი – გამოიყენებს თუ არა ეროვნული სასამართლო ევროპულ სოციალურ ქარტიას, დამოკიდებულია სახელმწიფოს ნების გამომჟღავნებაზე. პრაქტიკაში არცთუ ისე ბევრი მაგალითი არსებობს, როდესაც ეროვნულმა სასამართლომ სოციალური ქარტიის დებულებები გამოიყენა. ერთ-ერთი ასეთი საქმე, დაკავშირებული გაფიცვის უფლებასთან, პოლანდიის სასამართლოს მიერ არის განხილული, როდესაც მან მოიშველია სოციალური ქარტიის შესაბამისი ნორმა.<sup>313</sup>

რაც შეეხება საქართველოს, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა ამ დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინა, სასამართლოებს ქარტიის პირდაპირი გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ. ამის საფუძველს საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონები იძლევა.

## 2. ევროპული კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის აღკვეთის შესახებ

წამების ფაქტების არსებობა არის ერთ-ერთი ის ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრაც საერთაშორისო სამართლის საზრუნავია როგორც რეგიონულ, ისე უნივერსალურ დონეზე.

თავის მხრივ, ევროპის საბჭო სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ასეთი დარღვევების თავიდან აცილებას. პიროვნების ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველია. 1950 წლის კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებას. იმისათვის, რომ გაძლიერდეს ზემოქმედება სახელმწიფოზე, რომელმაც საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებასთან ერთად უნდა მოახდინოს არსებული შიდასახელმწიფოებრივი სისტე-

<sup>313</sup> Д. Гомьен, Д. Харрис, Л. Зваак, Европейская конвенция о правах человека и Европейская социальная хартия: право и практика, М., 1998, стр. 567.

მის განმტკიცება, 1987 წელს შემუშავდა და 1989 წელს ძალაში შევიდა ევროპული კონვენცია ნამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის აღკვეთის შესახებ.<sup>314</sup>

ამ მიზნის განსახორციელებლად კონვენციით დაარსდა ორგანო – ნამების სანინააღმდეგო კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი).

კომიტეტი შედგება იმდენივე წევრისაგან, რამდენიც კონვენციის მონაწილეა. წევრებს ირჩევს მინისტრთა კომიტეტი 4 წლის ვადით, ორჯერ გადარჩევის უფლებით. კომიტეტის სამდივნო განლაგებულია ქ. სტრასბურგში, ევროპის საბჭოს შტაბ-ბინაში. კომიტეტის მიზანია ნამებისაგან და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან, ან სასჯელისაგან პირთა დაცვის გაძლიერება. საქმიანობის განსახორციელებლად კომიტეტს შემუშავებული აქვს ის კრიტერიუმები, რომლითაც მუშაობის დროს ხელმძღვანელობს.

ნამება და არაადამიანური მოპყრობა იკრძალება როგორც საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, ისე ეროვნული კანონმდებლობით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საჭიროა გატარდეს უფრო ეფექტიანი საერთაშორისო ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვას. სწორედ ამიტომ კონვენცია ყურადღებას ამახვილებს ამ საკითხებზე. კომიტეტის ფუნქციებში არ შედის შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებათა დარღვევის ფაქტების დადგენა. რეკომენდაციის შემუშავებისას კომიტეტი შეფასებას აძლევს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც სახელმწიფოში მონახულებისას დააფიქსირა.

კომიტეტს არა აქვს უფლება, გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები, როდესაც რაიმე ფაქტი მისთვის გაუგებარია, ან მოითხოვოს გამოძიების ჩატარება. ასეთ შემთხვევაში კომიტეტს შეუძლია მიმართოს სახელმწიფოს თხოვნით, რათა ამ უკანასკნელმა ჩაატაროს შესაბამისი ქმედებები შიდასახელმწიფოებრივ დონეზე და მიანოდოს კომიტეტს ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. ტერმინი „თავისუფლების აღკვეთა“ ამ კონვენციის მიზნებისათვის გაგებულ უნდა იქნეს 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განსაზღვრებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფარგლებში. თუმცა ამ მუხლის შინაარსისგან განსხვავებით, კომიტეტის კომპეტენციასთან მიმართებით, „კანონიერ“ და „უკანონო“ დაკავებას შორის განსხვავება არსებითი არ არის. მე-3 მუხლი, სასამართლო პრეცედენტები ამ მუხლთან მიმართებით კომიტეტის საქმიანობის წყაროა, მაგრამ კომიტეტის საქმიანობა მიმართულია პრევენციაზე და არა სამართლგამოყენებაზე.<sup>315</sup>

მიზნის მისაღწევად კომიტეტი იყენებს „სახელმწიფოთა მონახულების სისტემას.“ კომიტეტის ექსპერტები ადგილზე მდგომარეობის შესასწავლად ეწვევიან სახელმწიფოს და ხვდებიან არა მარტო ხელისუფლების წარმომადგენლებს, არამედ მოინახულებენ საპყრობილეებს, ციხეებს, არასრულწლოვანთა დანესებულებებს, პოლიციის განყოფილებებს, ფსიქიატრიულ კლინიკებს, რა-

314 დღესდღეობით კონვენცია რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს 44 სახელმწიფოს მიერ. საქართველომ ამ დოკუმენტის რატიფიცირება 2000 წლის მაისში მოახდინა.

315 The CPT standards. CPT/Inf /E(2003)1/ English.

თა უშუალოდ შეისწავლონ, თუ რა პირობები არსებობს თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში.

კონვენციის თანახმად, დელეგატებს დანესებულებებში შეუზღუდავი შეღწევისა და გადაადგილების უფლება აქვთ.

კომიტეტი მუშაობისას ხელმძღვანელობს ორი პრინციპით – სახელმწიფოსთან თანამშრომლობა და ინფორმაციის კონფიდენციალობა.

ეროვნულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კონვენციის მოთხოვნაა, ვინაიდან კომიტეტის მუშაობის მიზანია არა სახელმწიფოს დადანაშაულება არსებულ დარღვევებში, არამედ თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ვითარების გაუმჯობესება. ამ მიზეზით კომიტეტის სხდომები დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს, ხოლო სახელმწიფოს შესახებ მოხსენება კონფიდენციაურია.

კომიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

საერთო მოხსენებებში წამების საწინააღმდეგო კომიტეტი აღწერს საკითხებს იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ვიზიტების დროს.<sup>316</sup> ასე მაგალითად, კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას: აღნიშნულ პირთა უფლებას, შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ მესამე მხარეს, რომელსაც თვითონ ირჩევს (ოჯახის წევრს, მეგობარს, საკონსულოს), უფლებას ადვოკატზე და უფლებას – მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს (ასეთი შემოწმება შეიძლება დამატებით დაინიშნოს იმ სამედიცინო შემოწმებასთან ერთად, რომელიც პოლიციის მოყვანილი ექიმის მიერ იყო ჩატარებული). წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, ეს არის დაკავებული პირების სასტიკი მოპყრობისაგან დასაცავად სამი ძირითადი მინიმალური საშუალება, რომლებიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის საწყის ეტაპზე, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ აისახება ეს ეტაპი ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში (დაკავება, თავისუფლების აღკვეთა, სხვ.). წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ყურადღებით შეისწავლის დანესებულების შიგნით შექმნილ მდგომარეობას: პატიმრებსა და პერსონალს შორის არსებულ ურთიერთობას, საკნების ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსების პრობლემას, ინსპექტირებისა და საჩივრების განხილვის ეფექტიან ნებს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მომზადებას (რომელიც უნდა მოიცავდეს განათლებას ადამიანის უფლებათა საკითხებზე). თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ჯანმრთელობის დაცვის სამსახური კომიტეტის უშუალო კომპეტენციის საგანია, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების არასათანადო დონემ შეიძლება მიგვიყვანოს ვითარებამდე, რომელიც ექცევა „არაადამიანური და ღირსების შემლახველი“ მოპყრობის ფარგლებში.

მოსაზრებები, რომლითაც წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხელმძღვანელობდა თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში სამედიცინო მომსახურების საკითხების შესწავლის დროს, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად: ექიმის

316 CPT/INF/E (99) 1 (Rev.1) Georgian.

ხელმისაწვდომობა, თანაბარი სამედიცინო მომსახურება, პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალობა, ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკა, ჰუმანიტარული დახმარება, პროფესიული დამოუკიდებლობა, პროფესიული კომპეტენტურობა.<sup>317</sup>

კომიტეტის მოსანახულებელ დაწესებულებათა რიცხვში შედის ის ფსიქიატრიული საავადმყოფოებიც, რომლებშიც ნებაყოფლობით მოთავსებულ ავადმყოფებთან ერთად იმყოფებიან ის პირებიც, რომელთა ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა სამოქალაქო სასამართლომ, ან რომელთა მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო წარმოების დროს გადაწყდა. იმ დაწესებულებების მონახულების დროს, რომლებშიც არასრულწლოვნები იმყოფებიან, კომიტეტის მთავარი პრიორიტეტი არის იმის დადგენა, თუ რა გარანტიები არსებობს სახელმწიფოში არასრულწლოვანთა წამების წინააღმდეგ.

მოსხენების საფუძველზე კომიტეტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონკრეტულ სახელმწიფოსთან მიმართებით. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის რატიფიცირება ნიშნავს, რომ იგი იღებს ვალდებულებას, კომიტეტს ნება დართოს ენვიოს თავისი იურისდიქციის ფარგლებში არსებულ ნებისმიერ ადგილს. მხარე ვალდებულია, კომიტეტს მიანოდოს ინფორმაცია, თუ რა სახის თავისუფლების აღმკვეთი დაწესებულებები არსებობს სახელმწიფოში და სადაა ისინი განლაგებული (ციხე, პოლიციის განყოფილება, ფსიქიატრიული საავადმყოფო ...).

გამონაკლის შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია, კომიტეტს შეუზღუდოს კონკრეტულ ადგილებში დაშვება. ასეთი განსაკუთრებული შემთხვევებია:

- ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებებში სერიოზული არეულობა;
- შემთხვევა, როდესაც, პიროვნების სამედიცინო მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი მონახულება საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის მიერ საქმის განხილვა ხელს არ უშლის პირს, შემდგომში მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

### 3. უმცირესობათა დაცვა ევროპის საბჭოს ფარგლებში

#### 3.1. შესავალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი დიდ ყურადღებას უთმობს უმცირესობათა საკითხებს. უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფი არსე-

317 CPT/INF/E (99) 1 (Rev.1) Georgian, Chapter IV, p. 32.

ბობს – ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა უმცირესობათა პრობლემატიკას ზედმინვენით იხილავს, დღემდე უნივერსალურ ან რეგიონულ დონეზე არსებული არც ერთი მოქმედი მრავალმხრივი ხელშეკრულება არ იძლევა „ეროვნული უმცირესობის“ ცნების განმარტებას.

უმცირესობების პრობლემებთან მიმართებით ზოგადი პოსტულატი ისაა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმცირესობათა, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა, უფლებების დაცვა. ეროვნულ უმცირესობებს აქვთ უფლებები, ისარგებლონ თავიანთი კულტურით, რელიგიით, მშობლიური ენით, განავითარონ თვითმყოფადობა. ამ უფლებათა განხორციელება უმცირესობათა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის სრულყოფის საშუალებას იძლევა. საერთაშორისო სამართლის ურღვევ პრინციპად არის აღიარებული ის, რომ ეროვნული უმცირესობების პრეტენზია არ შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, თუ ეს პირთა ჯგუფი დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს და მისი ინტერესები ადეკვატურად არის დაცული.<sup>318</sup>

ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავდა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელნიც ყურადღებას ამახვილებენ უმცირესობათა პრობლემატიკაზე:

ა) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია;

ბ) ევროპული ქარტია რეგიონალური ენებისა და უმცირესობათა ენების შესახებ.

### **3.2. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ**

ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ პირველი მრავალმხრივი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტია.<sup>319</sup>

კონვენციაში ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლებითაც მონანილე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და რომელთა იმპლემენტაცია უნდა მოახდინონ ეროვნულ კანონმდებლობაში. ისევე როგორც სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში, ჩარჩო ხელშეკრულებაც არ იძლევა „ეროვნული უმცირესობების“ დეფინიციას.

კონვენცია იცავს უფლებათა ფართო სპექტრს, როგორცაა: დისკრიმინაციის აკრძალვა; ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა; ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და თვითმყოფადობის, კერძოდ, ენის, რელიგიის, ტრადიციების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების უფლებათა ხელშეწყობა; საკუთარი ენის შესწავლის უფლება; განათლების მიღებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფუძნების უფლება; შეკრების, გაერთიანების, სიტყვისა და აზრის თავისუფლების, რწმენის, სინდისისა და რელიგიის უფლებათა პატივისცემა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმისაწვდომობა; კულტურული ძეგლები და ძეგლების ხელშეწყობა; ასიმილაცია

318 ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2000 წელი, გვ. 204.

319 ძალაში შევიდა 1998 წელს.

ციისაგან დაცვა; სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში მონაწილეობის მიღების უფლება.

კონვენციის 26-ე მუხლისა და მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის საფუძველზე ამუშავებულია კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობის მონიტორინგი. მონიტორინგი ხორციელდება მინისტრთა კომიტეტისა და საკონსულტაციო კომიტეტის მიერ. საკონსულტაციო კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტისაგან. ნევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, წარადგინონ მოხსენება, თუ რა საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებები გატარდა ქვეყანაში კონვენციის იმპლემენტაციისათვის. პირველადი მოხსენება მზადდება კონვენციის რატიფიცირებიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მომდევნოები – ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. მინისტრთა კომიტეტი საკონსულტაციო კომიტეტის მეშვეობით იხილავს მოხსენებას, აძლევს მას შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში იძლევა რეკომენდაციებს.

### **3.3. ევროპული ქარტია რეგიონალური ენებისა და უმცირესობათა ენების შესახებ**

1950 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის ისეთის, როგორცაა დისკრიმინაცია ეროვნულ უმცირესობათა საფუძველზე, მაგრამ ეს მუხლი ადგენს ცალკეული ინდივიდის უფლებებს და არ ეხება ეროვნულ უმცირესობათა, როგორც ერთობლიობის, დაცვას.

ქარტიის გაგებით: 1. რეგიონული და უმცირესობათა ენების ცნება, გამოიყენება იმ ენების მიმართ, რომლებიც: ა) ტრადიციულად გამოიყენება მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით მცირერიცხოვანი მისივე მოქალაქეების ჯგუფის მიერ; ბ) ოფიციალური ენისაგან განსხვავებული ენებია (ეს დებულება არ ვრცელდება ძირითადი ენის დიალექტზე ან მიგრანტთა ენებზე); 2. სახელმწიფოს ტერიტორია გულისხმობს გეოგრაფიულ სივრცეს, რომელზეც მოცემული რეგიონული ან უმცირესობის ენა იხმარება კომუნიკაციის საშუალებად პირთა ისეთი რაოდენობის მიერ, რომელიც შესაძლებელს ხდის ქარტიით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენებას. ასეთად ქარტია მიიჩნევს განათლების, საჯარო ცხოვრების, ადმინისტრაციული ხელისუფლების, მასმედიის, კულტურის, ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის სფეროებში ჩატარებულ შესაბამის ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება რეგიონული თუ უმცირესობათა ენების დაცვა.

ნევრი სახელმწიფო ვალდებულია, თავის თავზე აიღოს ქარტიით დეკლარირებული სულ მცირე 35 დებულების, „ძირითადი ბირთვის“ ჩათვლით,<sup>320</sup> უზრუნველყოფა.

<sup>320</sup> „ძირითად ბირთვს“ მიუთვინებულ უფლებათა ნუსხა მოცემულია ქარტიის პირველი ნაწილის მე-2 მუხლში.



მონიტორინგი ხორციელდება მოხსენებების მეშვეობით ექსპერტთა კომიტეტის მიერ. კომიტეტი შედგება იმდენივე წევრისაგან, რამდენიც ქარტიის მონაწილე სახელმწიფოა. ეს ორგანო არ არის სასამართლო ან კვაზისასამართლო დაწესებულება. კომიტეტი აფასებს სახელმწიფოთა მოხსენებებს და უგზავნის მათ მინისტრთა კომიტეტს. ექსპერტთა კომიტეტის მოხსენება საჯაროა და ქვეყნდება.

## VIII. ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების კომენტარები

### 1. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი – ნამების აკრძალვა

აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ნამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.“

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.<sup>321</sup> ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ იკრძალება მისი შეზღუდვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მიზეზით. სახელმწიფოს ეკრძალება ნამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის გამოყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოცხადებულია საომარი ან საგანგებო მდგომარეობა.<sup>322</sup> ისეთი მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი, როგორცაა ტერორიზმი, არ შეიძლება გაამართლოს კონვენციის მე-3 მუხლის შეზღუდვა.

კონვენციის მე-3 მუხლი მოიცავს აკრძალული მოპყრობის ან სასჯელის სამ კატეგორიას: ა) ნამება; ბ) არაადამიანური მოპყრობა/სასჯელი; და გ) დამამცირებელი მოპყრობა/სასჯელი. ეს კატეგორიები განსხვავდება მოპყრობის ან სასჯელის სისასტიკის ხარისხით. ყველა შემთხვევაში მოქმედებამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს, რათა კონვენციის მე-3 მუხლი დარღვეულად ჩაითვალოს. მიაღწია თუ არა მოპყრობამ ან სასჯელმა სისასტიკის მინიმალურ დონეს, დამოკიდებულია საქმის სხვადასხვა გარემოებაზე, როგორცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მსხვერპლის სქესი, წლოვანება და ჯანმრთელობის მდგომარეობა.<sup>323</sup>

კონვენციით სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში არავინ დაექვემდებაროს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოპყრობას.

<sup>321</sup> ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, 162-ე პუნქტი.

<sup>322</sup> იხ. კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>323</sup> ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, 162-ე პუნქტი; ასევე იხ. ტეკინი თურქეთის წინააღმდეგ (*Tekin v. Turkey*), 1998 წლის 9 ივნისი, ECHR 1998-IV, 52-ე პუნქტი; კეენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Keenan v. the United Kingdom*), 2001 წლის 3 აპრილი, მე-20 პუნქტი; ვალასინასი ლიეტვის წინააღმდეგ (*Valasinas v. Lithuania*), 2001 წლის 24 ივლისი, 120-ე პუნქტი.

საქმეზე – ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოქმედებანი:

- ნამება: განზრახ არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან და სასტიკ ტანჯვას;
- არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი: ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტანჯვის მიყენება;
- დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი: ისეთი ცუდი მოპყრობა, რომელიც მსხვერპლში იწვევს შიშის გრძობას, დათრგუნვას და არასრულფასოვნებას, რაც მიზნად ისახავს პირის შეურაცხყოფას, დამცირებას ან მისი ფიზიკური თუ მორალური წინააღმდეგობის დაძლევას.<sup>324</sup>

განსხვავება ნამებასა და არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას/სასჯელს შორის „ძირითადად გამომდინარეობს მიყენებული ტანჯვის ხარისხიდან.“<sup>325</sup> თუ ნამება და არაადამიანური მოპყრობა გულისხმობს ზედმეტი ფიზიკური და სულიერი ტანჯვის მიყენებას, დამამცირებელი მოპყრობა არის მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეურაცხყოფასა და დამცირებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის აზრით, „დამამცირებელი“ მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით არ ნიშნავს არასასიამოვნო ან არაკომფორტულ მოპყრობას.<sup>326</sup>

ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ ნათელი მოპოვნა იმას, რომ კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი ტანჯვის მიყენებასაც.<sup>327</sup> ევროპულმა სასამართლომ არ გამოიციხა, რომ გარკვეული აქტები, რომლებიც წარსულში „არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად“ და არა „ნამებად“ მიიჩნეოდა, მომავალში შეიძლება სხვაგვარად ჩაითვალოს.<sup>328</sup>

მოპყრობამ ან სასჯელმა უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს, რათა ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. საქმე – თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tyrer v. the United Kingdom*) – ეხებოდა განმცხადებლის განკეპელას, როგორც სასჯელის ფორმას, რომელიც გათვალისწინებული იყო კანონით და გამოიყენებოდა არასრულწლოვანთა მიმართ.<sup>329</sup> მართალია, ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთი სასჯელი (გან-

324 1978 წლის 18 იანვარი, Series A no. 25, 162-ე პუნქტი; ასევე იხ. დანია, საფრანგეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (საბერძნეთის საქმე) (*Greek case*), კომისიის მოხსენება, 1969 წლის 5 ნოემბერი, მე-2 პუნქტი.

325 ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), Series A no. 25, 167-ე პუნქტი.

326 *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (Lopez Ostra v. Spain)*, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-C.

327 სხვა საქმეებთან ერთად, იხ. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), Series A, no. 25; ასევე იხ. საქმე – აღმოსავლეთაფრიკელი აზიელები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*East African Asians v. the United Kingdom*), D&R 78-A (1994). ნამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ლი მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ნამება შეიძლება იყოს გონებრივი.

328 *სელმუნნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Selmouni v. France)*, 1999 წლის 28 ივლისი, ECHR 1999-V.

329 1978 წლის 25 აპრილი, Series A, no 26.

კეპელა) არ აღწევს ნამების ან არაადამიანური მოპყრობისათვის აუცილებელი სისასტიკის დონეს, მან ჩათვალა, რომ ასეთი მოქმედება აღწევს დამამცირებელი მოპყრობისათვის აუცილებელ სისასტიკეს.

საქმეზე – აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (*Aksoy v. Turkey*) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა პირის განაცხადი, რომელიც დაექვემდებარა სხვადასხვა სახის სასტიკ მოპყრობას, მათ შორის იგი გააპიშვლეს და ზურგს უკან შეკრული ხელებით ჩამოკიდეს.<sup>330</sup> სასამართლოს შეხედულებით, ასეთი მოპყრობა განზრახ განხორციელდა ამ პირისაგან ინფორმაციის მიღების მიზნით და დაასკვნა, რომ სასტიკი ტანჯვა, რომლის შედეგად პირს დაშლდა დაეცა, უნდა ჩაითვალოს ნამებად.<sup>331</sup> საქმეზე – აილინი თურქეთის წინააღმდეგ (*Aydiin v. Turkey*) – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა ნამებას, ვინაიდან მის მიმართ განხორციელდა სასტიკი გონებრივი და ფიზიკური მოქმედება, მათ შორის გაუპატიურება.<sup>332</sup> გაუპატიურებასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ „დაპატიმრებული პირის გაუპატიურება სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ უნდა იქნეს მიჩნეული ცუდი მოპყრობის განსაკუთრებით უხემ და საზიზღარ ფორმად, ვინაიდან სამართალდამრღვევს შეუძლია, იოლად ისარგებლოს მსხვერპლის უმწეო და სუსტი მდგომარეობით. ამას გარდა, გაუპატიურება ღრმა ფსიქოლოგიურ დაღს ასევე მსხვერპლს, რომელიც ისე ჩქარა არ ქრება, როგორც ფიზიკური და გონებრივი ძალადობის სხვა ფორმები.“

საქმე – აკოჯი თურქეთის წინააღმდეგ (*Akkoç v. Turkey*) – ეხებოდა პირის მიმართ ელექტროშოკის გამოყენებას, თავის არეში არაერთ დარტყმას და დამუქრებას, რომ გაუსწორდებოდნენ მის შვილებს. ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და აუცილებელი გახდა მისი სამედიცინო მკურნალობა. პირის მიმართ გამოყენებული სისასტიკის გამო ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი დაექვემდებარა ნამებას.<sup>333</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, არ განახორციელოს პირის ნამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც, უზრუნველყოს ეფექტიანი ღონისძიებების გატარება პირის უფლებების დასაცავად. ევროპული სასამართლოს პრინციპულმა სამართალმა ნათელი მოჰფინა იმას, რომ, კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობის შემთხვევაში განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება.<sup>334</sup> თუ პირი წარმომადგენს დასაბუთებულ საჩივარს, რომ მას სასტიკად მოეპყრო პოლიცია ან სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლები, კონვენციის მე-3 მუხლი, კონვენციის 1-ელ მუხლთან ერთად, აკისრებს სახელმწიფოს ამ საჩივრის ეფექტიანი გამოძიების ვალ-

330 1996 წლის 18 დეკემბერი, 23 E.H.R.R. 533.

331 1996 წლის 18 დეკემბერი, 23 E.H.R.R. 533, 64-ე პუნქტი.

332 1997 წლის 22 სექტემბერი, 25 E.H.R.R. 251.

333 2000 წლის 10 ოქტომბერი, 115-ე პუნქტი.

334 ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Assenov and Others v. Bulgaria*), 1998 წლის 28 ოქტომბერი, 1998-VIII; ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (*Labita v. Italy*), 2000 წლის 6 აპრილი, ECHR 2000-IV.

დებულებას. ასეთი გამოძიების შედეგად უნდა მოხდეს იმ პირთა ვინაობის დადგენა და დასჯა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ასეთ მოქმედებაზე.<sup>335</sup>

სახელმწიფო პასუხისმგებელია თავისი წარმომადგენლების მოქმედებაზე. საქმეზე – *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (Cyprus v. Turkey)* – ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ჯარისკაცების მიერ ჩადენილ გაუპატიურებაზე, ვინაიდან სახელმწიფომ არ გადადგა სათანადო ნაბიჯები გაუპატიურების თავიდან ასაცილებლად და არ გაატარა დისციპლინური ღონისძიებები ამ შემთხვევის შემდეგ.<sup>336</sup> სახელმწიფო ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მისთვის არ იყო ცნობილი თავისი წარმომადგენლების უკანონო მოქმედების შესახებ.<sup>337</sup>

სისხლისსამართლებრივი სასჯელი და თავისუფლების კანონიერი აღკვეთა არ მიიჩნევა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.

## 1. დაპატიმრებული პირების მიმართ ცუდი მოპყრობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, ვინაიდან განმცხადებლებმა სხეულებრივი დაზიანებების შესახებ წარადგინეს ცნობები, რომლებითაც ამტკიცებდნენ, რომ ისინი მიადგათ სამართალდამცავ ორგანოებში ყოფნის დროს, რის საწინააღმდეგოდაც სახელმწიფომ ვერ წარადგინა დამაჯერებელი კონტრარგუმენტები ასეთ დაზიანებათა მიზეზების შესახებ.<sup>338</sup>

საქმეზე – *რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (Ribitsch v. Austria)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა პოლიციის იმ ოფიცრის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედებოდა სხეულებრივი სასჯელების გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „... თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ განაპირობა ამ პირის მოქმედების მკაცრმა აუცილებლობამ, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევაა.“<sup>339</sup>

335 ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Assenov and others v. Bulgaria*), 1998 წლის 28 ოქტომბერი, 102-ე პუნქტი; კაია თურქეთის წინააღმდეგ (*Kaya v. Turkey*), 1998 წლის 19 თებერვალი, 86-ე პუნქტი.

336 განაცხადები: N6780/74 და 6950/75, 4 EHRR, 1976.

337 ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), Series A no. 25, 159-ე პუნქტი.

338 ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Tomasi v. France*), 1992 წელი; რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (*Ribitsch v. Austria*), 1995 წლის 4 დეკემბერი, Series A, no. 336; აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (*Aksoy v. Turkey*), 1996 წლის 18 დეკემბერი, Reports 1996-VI 26, 61-ე პუნქტი.

339 ასევე იხ. სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Selmouni v. France*), კომისიის მოხსენება, 1997 წლის 11 დეკემბერი.

ნამების გამოყენების დამუქრება შეიძლება ჩაითვალოს ნამებად, თუ იგი საკმარისად რეალურია და ინვესტს სულიერ ტანჯვას (კემპბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Cosans v. the United Kingdom*)).<sup>340</sup>

საქმე – რანინენი ფინეთის წინააღმდეგ (*Raninen v. Finland*) – ეხებოდა პირისათვის ხელბორკილების დადებას ციხიდან საავადმყოფოში გადაყვანის დროს, რამაც, განმცხადებლის მტკიცებით, დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი.<sup>341</sup> ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელბორკილების დადება მიზნად არ ისახავდა პირის დამცირებას ან მის შეურაცხყოფას და მისთვის არ მიუყენებია ფიზიკური ტანჯვა.

სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თავისუფლება-აღკვეთილი პირი სათანადო სამედიცინო მომსახურებით, ფსიქიატრიული დახმარების ჩათვლით. თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების არარსებობა შეიძლება გახდეს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი.<sup>342</sup> თავისუფლებააღკვეთილი პირები ხშირად ამტკიცებენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არასათანადო სამედიცინო მომსახურების არარსებობის გამო. ერთ-ერთ საქმეში, რომელიც საბოლოოდ მორიგებით დასრულდა, ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სამედიცინო შემონახვა მ დღის განმავლობაში განმცხადებლისათვის, რომელსაც დაკავების დროს ჩაემტვრა ეკენი.<sup>343</sup>

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს არა მხოლოდ ავალდებულებს, თავი შეიკავოს მსჯავრდებულთა მიმართ ფიზიკური სასჯელის გამოყენებისაგან, არამედ აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საპატიმროების სათანადო პირობები.

საპატიმროების ცუდი პირობები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ „ევროპულ პენიტენციარულ ნესებს“ (1987 წელი), ყოველთვის არ ნიშნავს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ამის მაგალითია საქმე დელაზარუსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Delazarus v. the United Kingdom*).<sup>344</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში განმცხადებელმა მოიძველია ნამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კომისიის მოხსენება, რომელმაც საპატიმროთა პირობები ნამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის დარღვევად მიიჩნია, ასეთი პირობები მაინც არ ჩათვალა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.<sup>345</sup> მიუხედავად ამისა, საპატიმროს პირობები, მათ შორის

340 1982 წლის 25 თებერვალი, Series A, no. 48.

341 1997 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, ECHR 1997-VIII.

342 კოტელა ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Kotilla v. Netherlands*), N7994/77, 14 DR 238 (1988); ჰერცგალვი ავსტრიის წინააღმდეგ (*Herzeglalvy v. Austria*), Series A no. 244 (1992.)

343 ჰურტადო შვეიცარიის წინააღმდეგ (*Hurtado v. Switzerland*), კომისიის მოხსენება, 1993 წლის 8 ივლისი, A.280-A.

344 განახცადიN17525/90 (1993).

345 ასევე იხ. „B“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*B v. the United Kingdom*), განაცხადი, N6870/75, 32 DR 5 (1981). Com. rep., 29-30.

სანიტარიულიც, შეიძლება იმდენად ცუდი იყოს, რომ ისინი მიჩნეულ იქნენ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.<sup>346</sup>

საქმეში საბერძნეთის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ დაასკვნა, რომ საპატიმროს პირობები, როგორებიცაა: საკნების გადაჭვირუტულობა, გათბობის, სანიტარიული პირობების, დასაძინებელი ადგილების, საკვებისა და სხვათა არარსებობა, უნდა იქნეს მიჩნეული დამამცირებელ მოპყრობად.<sup>347</sup> აღსანიშნავია, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფო საპატიმროთა ცუდ პირობებს ვერ გაამართლებს ფინანსური რესურსების არარსებობით ან მათი ნაკლებობით.

## 2. ექსტრადიცია და გაძევება

მართალია, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლში არაფერია აღნიშნული ექსტრადიციის ან გაძევების შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ პირის ექსტრადიცია ან გაძევება იმ სახელმწიფოში, რომელშიც ის შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ, ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, იწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მაგალითად, საქმის – *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. the United Kingdom)* – მიხედვით, არსებობდა იმის ალბათობა, რომ გერმანიის მოქალაქე, რომლის გადაცემას მკვლელობის ბრალდებით მოითხოვდა აშშ (აშშ-ში კი ამისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა), ამ ქვეყანაში ხანგრძლივად (დაახლოებით 6-8 წელი) აღმოჩნდებოდა სიკვდილმისჯილთა საკანში. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სიკვდილმისჯილთა საკანში პირის ხანგრძლივად მოთავსება კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების შელახვა იქნებოდა, რაზეც გაერთიანებულ სამეფოს დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა.<sup>348</sup>

წინააღმდეგობრივი წესი ჩამოყალიბდა პირის იმ სახელმწიფოში დეპორტაციასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი შეიძლება დაექვემდებაროს სასტიკი მოპყრობის რეალურ საშიშროებას.<sup>349</sup>

346 იხ. *საბერძნეთის საქმე (Greek case)*, კომისიის მოხსენება, 1969 წლის 5 ნოემბერი; *კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kalashnikov v. Russia)*, 2002 წლის 15 ივლისი, ECHR 2002-VI; ასევე იხ. *დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ (Dougoz v. Greece)*, 2001 წლის 6 მარტი.

347 დანია, საფრანგეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (საბერძნეთის საქმე) (*Greek case*), კომისიის მოხსენება, 1969 წლის 5 ნოემბერი.

348 *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. the United Kingdom)*, 1979 წლის 7 იანვარი, ECHR 1979-VI, პარაგრაფი 104.

349 *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chahal v. the United Kingdom)*, 1996 წლის 15 ნოემბერი, 23 E.H.R.R. 413; *კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ (Cruz Varas v. Sweden)*, 1991 წლის 20 მარტი, Series A no. 201; *ვილვარაჟა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vilvarajah v. the United Kingdom)*, 1991 წლის 30 სექტემბერი, Series A, no. 215; *აჰმედი ავსტრიის წინააღმდეგ (Ahmed v. Austria)*, 1996 წლის 17 დეკემბერი, Reports 1996-VI, vol. 26.

საქმეზე – „დ“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*D v. the United Kingdom*) – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა განმცხადებლის თავის წარმოშობის ქვეყანაში დეპორტაციის გამო, რადგან იგი შიდასი იყო დაავადებული და ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, სამშობლოში კი მისთვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა სათანადო სამედიცინო მკურნალობა და სილატაკეში გარდაიცვლებოდა.<sup>350</sup>

### 3. სხეულებრივი სასჯელები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სხეულებრივი სასჯელის გამოყენება, როგორც სისხლისსამართლებრივისა, დამამცირებელი მოქმედებაა, რაც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.

ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი, მე-3 მუხლთან ერთად, მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, „გაატარონ ღონისძიებები, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირები არ დაექვემდებარონ წამებას ... კერძო პირებისაგან გამოვლენილი ცუდი მოპყრობის ჩათვლით. ... ამ ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი დაცვა, განსაკუთრებით ბავშვებისა და სხვა დაუცველი პირებისა.“<sup>351</sup>

საქმე – თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tyrer v. the United Kingdom*) – ეხებოდა არასრულწლოვნის განკეპელას, როგორც სასჯელის ღონისძიებას. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანონით დაშვებული ძალადობა სამართალდამრღვევს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომლითაც ზიანი ადგება მის ადამიანურ ღირსებას და ფიზიკურ ხელშეუხებლობას.<sup>352</sup> თუმცა საქმეში – კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. the United Kingdom*) – სხეულებრივი სასჯელი სასკოლო დისციპლინის დარღვევისათვის არ იქნა მიჩნეული დამამცირებელ მოპყრობად, ვინაიდან სასამართლომ ჩათვალა, რომ დისციპლინური სასჯელის შეფარდების გარემოებები და ფორმა კოსტელო-რობერტსის საქმეში განსხვავდებოდა თაირერის საქმისაგან.<sup>353</sup>

350 1997 წლის 2 მაისი.

351 „ზ“ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Z and others v. the United Kingdom*), 2001 წლის 10 მაისი, ECHR 2001-V, 73-ე პუნქტი.

352 1978 წლის 25 აპრილი, Series A no. 26, 33-ე პუნქტი.

353 1993 წლის 25 მარტი, Series A no. 247-C, 29-ე-32-ე პუნქტები; ასევე იხ. „ა“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*A v. the United Kingdom*), 1998 წლის 23 სექტემბერი.



#### 4. დისკრიმინაცია

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ რასის მიხედვით პირთა დისკრიმინაცია მიიჩნია დამამცირებელ მოპყრობად. საქმე – აღმოსავლეთაფრიკელი აზიელები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*East African Asians v. the United Kingdom*) – ეხებოდა აზიელების მასობრივ გაძევებას აღმოსავლეთი აფრიკიდან.<sup>354</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ პირთაგან ზოგიერთს ჰქონდა გაერთიანებული სამეფოს მოქმედი პასპორტი, მათ უარი ეთქვათ გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა გაერთიანებული სამეფოს საიმიგრაციო კანონმდებლობა, რომელიც დისკრიმინაციას ახდენდა რასისა და კანის ფერის მიხედვით. ამ საქმეზე ევროპულმა კომისიამ განაცხადა, რომ „რასობრივი დისკრიმინაცია, რომელსაც განმცხადებლები დაექვემდებარნენ ხსენებული საიმიგრაციო კანონმდებლობის გამოყენებით, ადამიანის ღირსების შელახვაა, რაც ... „დამამცირებელ მოპყრობად“ ითვლება კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით.“<sup>355</sup>

---

354 იხ. საქმე – აღმოსავლეთაფრიკელი აზიელები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*East African Asians v. the United Kingdom*), 3 EHRR 76 (1981).

355 ასევე იხ. საქმე – აბდულა ზიზი, კაბალესი და ბალკანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom*), Series A, no. 94.

## 2. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით:

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით:

- ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ პირის კანონიერი დაპატიმრება;
- ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადანყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;
- დ) არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი გადანყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით;
- ე) ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად პირების, აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მანანალების კანონიერი დაკავება;
- ვ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მისი დაკავების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე ან პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებადკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად

გადანყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს კომპენსაციის უფლება.“

თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება ფუნდამენტური უფლებაა, რომელზეც დამოკიდებულია მრავალი სხვა უფლების უზრუნველყოფა. კონვენციის მე-5 მუხლი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი – მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი – უზრუნველყოფს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას; მეორე ნაწილი – მე-5 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტები – ადგენს პროცესუალურ გარანტიებს თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის. პირის თავისუფლება და უსაფრთხოება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რის გამოც ევროპული სასამართლო იშვიათად განასხვავებს მათ. უსაფრთხოების უფლება ნიშნავს, რომ იკრძალება პირის უკანონო დაკავება.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია პირისათვის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ა-ე ქვეპუნქტებით ამომწურავად არის ჩამოთვლილი. კონვენციის მიხედვით, დასაშვებია პირისათვის თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ა-ე ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გამოჩაქისები, რომლებიც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ა-ე ქვეპუნქტებით, შეზღუდვითადად უნდა განიმარტოს.<sup>356</sup> რაც შეეხება კონვენციის მე-5 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებს, ისინი ითვალისწინებენ პროცესუალურ გარანტიებს, რომლებითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირი.

მიუხედავად ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ტერმინების მნიშვნელობისა, კონვენციის მე-5 მუხლში გამოყენებული ორი ტერმინი – დაკავება და დაპატიმრება, რომლებიც კონვენციაში ავტონომიური მნიშვნელობით განიმარტება, უნდა იქნეს გაგებული როგორც პირისათვის თავისუფლების აღკვეთა.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ პირისათვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ „კანონით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით“. საქმეზე – ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Winterwerp v. Netherlands*) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირის დაკავების პროცედურამ უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.<sup>357</sup> ამიტომ მნიშვნელოვანია, შემომდგეს, აკმაყოფილებს თუ არა პირის დაკავება ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ წესებს, მათ შორის დაკავების პროცედურას. საქმეზე – ლუკანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Loukanov v. Bulgaria*) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მოქმედება, რომლისთვისაც დააკავეს განმცხადებელი (რომე-

356 გუზარდი იტალიის წინააღმდეგ (*Guzzardi v. Italy*), 1980 წლის 6 ნოემბერი, Series A, no 39. 98-ე პუნქტი.

357 Series A, no. 33, 45-ე პუნქტი.

ლიც, როგორც მინისტრი, მონაწილეობდა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის სესხის გაცემის შესახებ გადწყვეტილებათა მიღებაში, არ იყო სისხლისსამართლებრივი დანაშაული ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით. განმცხადებლის დაკავება არ შეესაბამებოდა კანონით განსაზღვრულ პროცედურას, რის გამოც ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი. დაკავება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, თუ ის არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ერთ-ერთი ქვეპუნქტით დადგენილ მიზანს.<sup>358</sup> ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პირის დაკავება და დაპატიმრება უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს. საქმეზე – *კურტი თურქეთის წინააღმდეგ (Kurt v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ თავისუფლების აღკვეთა არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის მატერიალური და საპროცესო ნების შესაბამისად, არამედ ასევე ემსახურებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის მიზანს, ეკრძოდ, ინდივიდის დაცვას უკანონობისაგან.<sup>359</sup>

პირის დაკავება კანონიერად რომ ჩაითვალოს, ქვეყნის კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დაკავებას ასეთი ქმედებისათვის. თუ უფლებამოსილი ეროვნული ორგანოები არ დაადგენენ პირის დაკავების საფუძველს, ასეთი დაკავება კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად ჩაითვლება. საქმეზე – *დენიზი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ (Denizci and Others v. Cyprus)* – განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათთვის არ უცნობებიან დაკავების მიზეზი. ევროპული სასამართლოს განცხადებით, მოპასუხე სახელმწიფომ არ წარმოადგინა განმცხადებელთა დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერი საფუძველი, რის გამოც მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.<sup>360</sup>

კონვენციის მე-5 მუხლი იცავს პირის ფიზიკურ თავისუფლებას, უზრუნველყოფს მის დაცვას უკანონო დაკავებისა და დაპატიმრებისაგან. პირის დაკავების კანონიერება დგინდება ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებების მიხედვით. საქმეზე – *ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and Others v. Netherlands)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჯარისკაცების ვალდებულება, იცხოვრონ ყაზარმაში, არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლს, ვინაიდან თავისუფლების ასეთი შეზღუდვა არ სცილდება ჩვეულებრივი სამხედრო სამსახურის გავლის მოთხოვნათა ჩარჩოებს, თუმცა ასეთი შეზღუდვების დაწესება სამოქალაქო პირთა მიმართ აშკარად შელახავდა კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლების უფლებას.<sup>361</sup>

თავისუფლების შეზღუდვა ყოველთვის არ ნიშნავს დაკავებას კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით. ამისათვის უნდა განისაზღვროს დაკავების კონკრეტული გარემოებები, რისთვისაც აუცილებელია შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმი, როგორცაა: თავისუფლების შეზღუდვის სახე, მისი ხანგრძლივობა, შედეგი და განხორციელების ხერხი.

358 1997 წლის 20 მარტი.

359 1998 წლის 28 მაისი.

360 2001 წლის 23 მაისი.

361 1976 წლის 8 ივნისი, Series A, no 22.

უდავოა, რომ, თუ პირს იძულებით ამყოფებენ პოლიციის საკანში, მას ალკეეთილი აქვს თავისუფლება. თავისუფლების ალკეეთად ჩაითვლება ვითარება, თუ პირს ეკრძალება კონკრეტული ადგილის დატოვება. მთავარი, რაც განსაზღვრავს, ალკეეთილი აქვს თუ არა პირს თავისუფლება, იძულების არსებობაა. ის ფაქტი, რომ პირს აქვს გარკვეული თავისუფლება კონკრეტულ ადგილზე, არ ნიშნავს, კონვენციის მე-5 მუხლი არ გამოიყენებოდეს ასეთ სიტუაციაში. საქმე – გუზარდი იტალიის წინააღმდეგ (*Guzzardi v. Italy*) – ეხებოდა ორგანიზებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის იძულებით მოთავსებას ორიკლომეტრნახევრიან კუნძულზე, რაც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია თავისუფლების ალკეეთად.

მიზანშეწონილია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ა-ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისების უფრო დეტალურად განხილვა.

ა) მსჯავრდების შემდგომ პირის კანონიერად დაპატიმრება – მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ შეიძლება პირს ალკეეთოს თავისუფლება კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ. დაპატიმრება, კონვენციის მიხედვით, არ ნიშნავს პირის მხოლოდ ციხეში მოთავსებას. იგი ასევე მოიცავს პირის მოთავსებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, თუ დადგინდა, რომ დანაშაული ჩაიდინა ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ ითვალისწინებს „კანონიერად მსჯავრდებას“, არამედ მოითხოვს „კანონიერად დაპატიმრებას“. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია უარს აცხადებდა, მიეღო განაცხადები იმ პატიმრებისაგან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისინი არამართებულად იყვნენ მსჯავრდებულნი.<sup>362</sup>

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მსჯავრდების საკითხი უნდა გადაწყვიტოს კომპეტენტურმა სასამართლომ, ანუ ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ეს საქმე და რომელიც დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისაგან.<sup>363</sup>

ბ) პირის კანონიერად დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების ან კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად – მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ითვალისწინებს პირის კანონიერად დაკავებას ან

<sup>362</sup> მაგ., *კრეციკი გერმანიის წინააღმდეგ* (*Krzycki v. Germany*), 7629/76, 1978 წელი, 13 DR 57.

<sup>363</sup> დე ვილდე, *ოომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ* (*De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*), 1971 წელი, Series A, no 12; *ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* (*Engel and Others v. Netherlands*), 1976 წლის 8 ივნისი, Series A, no 22; *ნოიმაისტერი ავსტრიის წინააღმდეგ* (*Neumeister v. Austria*), 1974 წლის 7 მაისი, Series A, no 17.

დაპატიმრებას სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის; მეორე ნაწილი ადგენს პირის კანონიერად დაკავებას ან დაპატიმრებას კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

პირველი ნაწილი ეხება დაპატიმრებას სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობის გამო, მაგალითად: დაპატიმრება ჯარიმის გადაუხდელობის გამო,<sup>364</sup> ფსიქიატრიულ შემონმებაზე უარის თქმის გამო,<sup>365</sup> მშობლის დადგენასთან დაკავშირებით სისხლის ანალიზის აღებაზე უარის თქმის გამო,<sup>366</sup> მოწმედ გამოუცხადებლობის გამო. ყველა ასეთ შემთხვევაში ვალდებულება უნდა წარმოიშვას სასამართლო ბრძანების საფუძველზე.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მეორე ნაწილი ეხება დაკავებას ან დაპატიმრებას კანონით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულების შესარულებლად.<sup>367</sup> ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეს დებულება არ ითვალისწინებს პირის დაკავებას ან დაპატიმრებას საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად, არამედ მიზნად ისახავს კანონით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას.<sup>368</sup> ხსენებული დებულება არ ვრცელდება პირის ვალდებულებაზე, დაექვემდებაროს კანონმდებლობას ზოგადად. უნდა არსებობდეს პირის მიერ შეუსრულებელი კონკრეტული ვალდებულება, რომლის შესრულება მას კანონით ეკისრება (მაგალითად, პირის ვალდებულება – გაიაროს სამხედრო ან ალტერნატიული სამსახური). დაკავება და დაპატიმრება სწორედ ასეთი ვალდებულების შესრულებას უნდა ისახავდეს მიზნად.

გ) დაკავება „დასაბუთებული ეჭვის“ გამო – მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი დაკავებისათვის ითვალისწინებს სამ საფუძველს. ესენია:

- დასაბუთებული ეჭვის არსებობა, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული;
- როდესაც გონივრულია აუცილებლობა, თავიდან იქნეს აცილებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა; ან
- როდესაც გონივრულია აუცილებლობა, თავიდან იქნეს აცილებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაქცევა;

„დასაბუთებული ეჭვის“ არსებობა დამოკიდებულია ფაქტებზე. საქმეზე – ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (FOX,

<sup>364</sup> იური ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland), 1977 წელი, 8 DR 42.

<sup>365</sup> იქსი გერმანიის წინააღმდეგ (X v. Germany), 1975 წელი, 3 DR 92.

<sup>366</sup> იქსი ავსტრიის წინააღმდეგ (X v. Austria), 1979 წელი, 18 DR 154.

<sup>367</sup> ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and Others v. Netherlands), 1976 წლის 8 ივნისი, Series A, no 22; ასევე იხ. D. Gormien, D. Harris & L. Zwaak, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter, 1996, 134-135.

<sup>368</sup> ლოულსის ირლანდიის წინააღმდეგ (Lawless v. Ireland), Series A no. 3, მე-9 პუნქტი.

*Campbell and Hartley v. the United Kingdom*) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„დასაბუთებული ეჭვი ითვალისწინებს ისეთი ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ დამკვირვებელს იმაში, რომ შესაბამის პირს შეეძლო ჩადენა ასეთი დანაშაული.“<sup>369</sup>

სასამართლოს ამ განცხადებიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი იმის დადასტურება, რომ პირმა ჩაიდინა შესაბამისი დანაშაული, საკმარისია დასაბუთებული ეჭვის არსებობა. გარდა იმისა, რომ დასაბუთებული ეჭვი უნდა იყო *ბონა ფიდე* (კეთილსინდისიერი), მხოლოდ მისი არსებობა საკმარისი არ არის. ასევე აუცილებელია, პირისათვის თავისუფლების აღკვეთას ჰქონდეს ობიექტური საფუძველი.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზანია: უზრუნველყოს განსასჯელი პირის წარმოდგენა სასამართლო პროცესზე; თავიდან აიცილოს ხელის შეშლა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის; თავიდან აიცილოს კონკრეტული დანაშაულის ჩადენა.<sup>370</sup>

თუ დასაბუთებული ეჭვი, რომელმაც განაპირობა პირის დაკავება ან დაპატიმრება, აღარ არსებობს, პირისათვის თავისუფლების აღკვეთის გაგრძელება ეწინააღმდეგება კონვენციას.

დ) არასრულწლოვანთა დაკავება – მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს არასრულწლოვანის დაკავებას კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მის კანონიერად დაკავებას უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით. კონვენციის ეს დებულება ითვალისწინებს არასრულწლოვანთა დაკავების ორ საფუძველს:

პირველი საფუძველი ითვალისწინებს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი გადაწყვეტილებით არასრულწლოვანი პირის დაკავებას გამოსასწორებელ დანესებულებაში მოთავსების მიზნით;<sup>371</sup>

მეორე საფუძველი ითვალისწინებს არასრულწლოვნის დაკავებას სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენისათვის.

ე) სულით ავადმყოფთა და სხვათა კანონიერად დაკავება – მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს:

- პირის დაკავებას ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

369 1990 წლის 30 აგვისტო, Series A, no 182, 49-ე პუნქტი.

370 გუზარდი იტალიის წინააღმდეგ (*Guzzardi v. Italy*), 1980 წლის 6 ნოემბერი, Series A no. 39.

371 ბუმარი ბელგიის წინააღმდეგ (*Boumar v. Belgium*), 1988 წლის 29 თებერვალი.

- სულით ავადმყოფი პირების დაკავებას;
- ალკოჰოლიკების დაკავებას;
- ნარკომანების დაკავებას;
- მანანალების დაკავებას.

ამ პირების დაკავებას განაპირობებს არა მხოლოდ ის, რომ ისინი საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, არამედ მათივე ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პირთა დაკავება გამართლებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი კანონიერია და ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით. საქმიდან – *ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. Netherlands)* – გამომდინარე, პირის გონებრივ აშლილობასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განმარტა, თუ რას ნიშნავს, რომ დაკავება „კანონიერია“ და „ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.“ კერძოდ, სასამართლომ ჩამოაყალიბა რამდენიმე პირობა, კერძოდ:

- 1) გონებრივი აშლილობა, რომელიც განაპირობებს პირის დაკავებას, უნდა დადგინდეს ობიექტური სამედიცინო შემონგებით;
- 2) აშლილობის ბუნება და ხარისხი უნდა იყოს საკმარისად მწვავე, რათა გამართლდეს დაკავება;
- 3) დაკავების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს გონებრივი აშლილობის ხანგრძლივობით;
- 4) თუ დაკავება ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით, უნდა არსებობდეს პირის მდგომარეობის პერიოდული გადასინჯვის სისტემა სასამართლოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი იქნება, გაათავისუფლოს პირი;
- 5) დაკავება უნდა მოხდეს საავადმყოფოში, კლინიკასა ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში, რომელიც ამისათვის უფლებამოსილი იქნება.<sup>372</sup>

ვ) დაკავება პირის დეპორტაციამდე ან ექსტრადიციამდე – მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პირის კანონიერად დაკავებას ან დაპატიმრებას ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან დაკავებას იმ პირისას, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.

დეპორტაცია ან ექსტრადიცია უნდა იყოს კანონიერი, ანუ მან უნდა დააკმაყოფილოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და კონვენციის მოთხოვნები. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, პირს უნდა მიეცეს დეპორტაციის ან ექსტრადიციის შესახებ გადანყევტილების გასაჩივრების უფლება.

372 1979 წლის 24 ოქტომბერი, Series A no. 33.



# 1. თავისუფლების აღკვეთის პროცესუალური გარანტიები

## 1.1. ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან პროცესუალურ გარანტიას. იგი ადგენს, რომ ყველა დაკავებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობება დაკავების მიზეზებისა და ყველა წაყენებული ბრალდების შესახებ. კონვენციის ამ დებულებიდან გამომდინარე, სპეციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას. კონვენციით განმტკიცებული ამ გარანტიის მიზანია, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირს მიეცეს თავისი დაკავების კანონიერების გასაჩივრების საშუალება.

თუმცა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოს ვალდებულებას არ აკისრებს, დაკავებულს წერილობით აცნობოს დაკავების მიზეზებისა და წაყენებული ბრალდების შესახებ. კონვენციიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ პირს დაკავების მიზეზებისა და წაყენებული ბრალდების შესახებ უნდა ეცნობოს მარტივ, არატექნიკურ ენაზე, აეხსნას მისი დაკავების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.<sup>373</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, დაკავებულ პირს შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიენოდოს „დაუყოვნებლივ“. საქმეზე – ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაკავებასა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას შორის შვიდ საათამდე ინტერვალი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.<sup>374</sup>

## 1.2. წინასწარი პატიმრობა

### 1.2.1. პირის წარდგენა მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დებულებების მიხედვით, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს.

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, რომ პირი პირადად უნდა წარდგეს მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების გან-

373 ფოქსი, კემპბელი, ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Fox, Campbell, Hartley v. the United Kingdom*) 1990 წლის 30 აგვისტო, Series A, no. 182.

374 ასევე იხ. მიურიე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Murray v. the United Kingdom*) და დიკმე თურქეთის წინააღმდეგ (*Dikme v. Turkey*), 2000 წლის 11 ივლისი.

ხორციელებაზე კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე, რომელმაც უნდა გადანყვიტოს დაპატიმრების საკითხი.<sup>375</sup> მოსამართლემ ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილმა სხვა მოხელემ სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განიხილოს გარემოებები, რომლებიც ამართლებენ პირის დაკავებას.<sup>376</sup> მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გაათავისუფლოს პირი.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 მუხლი ადგენს, რომ პირი „დაუყოვნებლივ“ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს, თუმცა კონვენცია არ ითვალისწინებს კონკრეტულ ვადას. ზოგადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ პირი უნდა წარედგინოს მოსამართლეს გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს ასეთ მინიმალურ ვადას, საქმეზე – *ბროგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Brogan v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავებულის წარდგენა მოსამართლის წინაშე დაკავებიდან ოთხ დღესა და ექვს საათში მეტისმეტად ხანგრძლივი დროა, რის გამოც იგი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს.<sup>377</sup>

საქმეში – *კოსტერი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Koster v. Netherlands)* – განმცხადებელი, რომელიც ჯარისკაცი იყო, დაკავებულ იქნა ოთხშაბათ დღეს, მაგრამ ორშაბათამდე არ წარედგინა სამხედრო სასამართლოს. თუმცა სახელმწიფომ განაცხადა, რომ ორშაბათამდე სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის დაგვიანება განაპირობა სამხედრო მანევრებმა, ევროპულმა სასამართლომ არ მიიღო ეს განმარტება და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში პირი სასამართლოს შაბათ ან კვირა დღეს უნდა წარედგინოს.<sup>378</sup>

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ უნდა იყოს იმგვარად გაგებული, თითქოს სახელმწიფოს შეუძლია პირი პატიმრობაში ამყოფოს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. საქმეზე – *შტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (Stögmüller v. Austria)*<sup>379</sup> – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დასაბუთებული ეჭვი“ აღარ არსებობს, პირის პატიმრობაში ყოფნის გაგრძელება არღვევს მე-5 მუხლს.

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ დაკავებული უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს. სტრასბურგის ორგანოთა პრეცედენტულმა სამართალმა ჩამოაყალიბა რამდენიმე პირობა, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა შესრულდეს მე-5 მუხლის ეს მოთხოვნა, კერძოდ:

<sup>375</sup> *შესერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Schiesser v. Switzerland)*, 1979, Series A no. 34, 31-ე პუნქტი.

<sup>376</sup> იქვე.

<sup>377</sup> 1988 წლის 29 ნოემბერი, Series A, no. 145-B.

<sup>378</sup> 1991 წლის 29 ნოემბერი, Series A, no 222.

<sup>379</sup> 1969 წელი, Series A no. 9.

- მოსამართლე უნდა სარგებლობდეს დამოუკიდებლობით (განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან);
- პროკურორი არ იქნება მიუკერძოებელი, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ იგი შემდგომში შეასრულებს ბრალდებლის ფუნქციას დაკავებული პირის საქმესთან დაკავშირებით;<sup>380</sup>
- დაკავებული უნდა დაესწროს პროცესს და მოსამართლემ ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილმა სხვა პირმა უნდა მოუსმინოს დაკავებულის ან მისი წარმომადგენლის წარდგინებას;
- მოსამართლემ ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილმა სხვა მოხელემ უნდა განიხილოს მის განთავისუფლებასთან დაკავშირებული გარემოებები და დადგენილი სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე გადანყვიტოს, არსებობს თუ არა მისი დაპატიმრების მიზეზი.
- მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს უნდა ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაკავებული პირი, თუ მისი დაკავება გაუმართლებელია.

## 1.2.2. გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლება

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ასევე უზრუნველყოფს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლებას. ეს დებულება უზრუნველყოფს პირს უფლებით, რომ მისი საქმის განხილვა გონივრულ ვადაში ჩატარდებოდეს. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ ადგენს წინასწარი დაკავების მაქსიმალურ ვადას.<sup>381</sup>

ევროპული კონვენცია მოითხოვს, რომ წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა „გონივრული“ იყოს. გონივრულია თუ არა წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა, დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე და ამ საქმის გარემოებების საფუძველზე უნდა შეფასდეს დაკავების ხანგრძლივობის გონივრულობა. საკმარისი არ არის, რომ სახელმწიფომ არ გადააჭარბოს წინასწარი დაკავებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ვადას. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ, თუ ერთ შემთხვევაში წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა, რომელმაც წელიწადზე მეტს (თითქმის 15 თვეს) გასტანა, მიჩნეულ იქნა არაგონივრულად, სხვა საქმეში ორი წელზე მეტი დრო მან მისაღებად მიიჩნია.<sup>382</sup> საქმეზე – ტოსი ავსტრიის წინააღმდეგ (*Toth v. Austria*) – წინასწარი პატიმრობა ორი წლისა და ერთი თვის განმავ-

<sup>380</sup> მაგ., *ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Huber v. Switzerland)*, 1990 წლის 23 ოქტომბერი, Series A, no. 188.

<sup>381</sup> *შტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (Stögmüller v. Austria)*, 1969 წელი, Series A no. 9.

<sup>382</sup> *ლელელიე საფრანგეთის წინააღმდეგ (Leltelier v. France)*, 1991 წლის 26 ივნისი, Series A, no. 207

ლობაში ევროპულმა სასამართლომ არაგონიერულად ჩათვალა.<sup>383</sup> წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა, რომელიც გასტანს 3 ან 4 წელს, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მისაღებად, ზოგიერთში კი მიუღებლად იქნეს მიჩნეული.<sup>384</sup> მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს შეუძლია კანონმდებლობით დაადგინოს წინასწარი დაკავების მაქსიმალური ვადა, პირის წინასწარი დაკავება ასეთი მაქსიმალური ვადით, კონკრეტული გარემოებებისათვის აუცილებელი დაკავების ხანგრძლივობის გათვალისწინებლად, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლს.

წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა განისაზღვრება კონკრეტული საქმის გარემოებებით. საქმის სირთულემ, მათ შორის დანაშაულის ხასიათმა და ეჭმიტანილთა რაოდენობამ, შეიძლება გაამართლოს წინასწარი დაკავებისათვის ხანგრძლივი დრო. დროის იმავე ხანგრძლივობით პირის დაკავება შედარებით მარტივ საქმეზე არ ჩაითვლება გონიერულად და, შესაბამისად, მიიჩნევა კონვენციის დარღვევად. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს წინასწარი დაკავების ხანგრძლივობის გაგრძელების საჭიროება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსასჯელი დაკავებული პირის საქმე უნდა სარგებლობდეს უპირატესობით იმ ბრალდებულებთან შედარებით, რომლებიც თავისუფლებზე იმყოფებიან (ეემპოფი გერმანიის წინააღმდეგ (*Wemhoff v. Germany*)).<sup>385</sup>

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირი უნდა განთავისუფლდეს სასამართლო პროცესის განმავლობაში, თუ სახელმწიფო ვერ დაამტკიცებს, რომ არსებობს „შესაბამისი და საკმარისი მიზეზები პატიმრობის გასამართლებლად.“<sup>386</sup>

დასაბუთებული ეჭვის არსებობა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, ფუნდამენტურია პირის დაკავების ხანგრძლივობის გონიერულობის შეფასებისას. დროის გასვლასთან ერთად დასაბუთებული ეჭვი შეიძლება აღარ იყოს საკმარისი პირის დაკავების გაგრძელების გასამართლებლად. რაც უფრო დიდია დრო სასამართლო პროცესის ჩატარებამდე, მით უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს არგუმენტები პირის დაკავების გაგრძელების გასამართლებლად. პირის დაკავების მომენტიდან პერიოდულად უნდა იქნეს განხილული გირაოზე უარის თქმის საფუძველი.

საქმის – *სკოტი ესპანეთის წინააღმდეგ (Scott v. Spain)* – მასალების მიხედვით, განმცხადებელი დაკავებული იყო ოთხი წლის განმავლობაში, სანამ გაამართლეს საქმეში, რომელიც დაკავშირებული იყო გაუპატიურებასთან. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ძალზე მნიშვნე-

<sup>383</sup> 1991 წლის 12 დეკემბერი, Series A no. 224.

<sup>384</sup> მისაღებად იქნა მიჩნეული წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა – 4 წელი და 3 დღე („*ვ*“ შეიკარის წინააღმდეგ (*W v. Switzerland*)), თუმცა სხვა საქმეში სასამართლომ მიუღებლად ჩათვალა დაკავების ხანგრძლივობად 3 წელი და 2 თვე (კლოსი ბელგიის წინააღმდეგ (*Clooth v. Belgium*)).

<sup>385</sup> ეემპოფი გერმანიის წინააღმდეგ (*Wemhoff v. Germany*), Series A, no 7, 1968, 1 E.H.R.R. 55.

<sup>386</sup> იქვე.

ლოვანი იყო და არსებობდა დიდი ეჭვი ამ დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ, ამ გარემოებებმა ვერ გაამართლა წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა.<sup>387</sup>

თუმცა საქმეში – „ვ“ შვეიცარიის წინააღმდეგ (*W v. Switzerland*) – ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ოთხი წლის განმავლობაში პირის წინასწარი დაკავების შემთხვევაში. საქმე ეხებოდა საფინანსო გაყალბებებთან დაკავშირებულ ბრალდებებს. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიიღო მოპასუხე სახელმწიფოს მიზეზები გირაოზე უარის თქმის შესახებ პირის გაცქევის საფრთხისა და მართალ-მსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო.<sup>388</sup>

### 1.2.3. ბირაო

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს გირაოს შეტანის საფუძველზე პირის განთავისუფლების უფლებას. გირაოს შეტანა მიზნად ისახავს, უზრუნველყოს განსასჯელი პირის წარმოდგენა სასამართლოში.

გირაოს საფუძველზე პირის განთავისუფლებაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს საფრთხე, რომ განსასჯელი გაიქცევა,<sup>389</sup> საფრთხე შეექმნება მართლმსაჯულების განხორციელებას,<sup>390</sup> ან მისი პატიმრობა აუცილებელია დანაშაულის თავიდან ასაცილებლად<sup>391</sup> და საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად.<sup>392</sup>

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავს ძლიერ პრეზუმფციას გირაოს საფუძველზე განთავისუფლებაზე სასამართლო პროცესის განმავლობაში. გირაოს პირობების განსაზღვრისას უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მათი გონიერულობა, რაც ნიშნავს, რომ მხედველობაში მიიღება პირთან დაკავშირებული გარემოებები, როგორებიცაა: ასაკი,<sup>393</sup> გირაოს პირობების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. გირაოს თანხა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე პირს შეუძლია მისი გადახდა. იგი უნდა განისაზღვროს განსასჯელის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

### 1.3. დაკავების კანონიერების შემოწმების უფლება

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი თავისუფლებადაკვეთილ პირს ანიჭებს უფლებას, გაასაჩივროს თავისი დაკავება, მიზეზის მიუხედავად.

387 1996 წლის 18 დეკემბერი, 24 E.H.R.R. 391.

388 1993 წლის 26 იანვარი, Series A, no. 254.

389 შტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Stögmüller v. Austria*), 1969 წლის 10 ნოემბერი, 1 E.H.R.R. 155.

390 სხვა საქმეებთან ერთად, იხ.: ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Letellier v. France*), 1991 წლის 26 ივნისი, Series A, no. 207; ბრუნო კონტრადა იტალიის წინააღმდეგ (*Bruno Contrada v. Italy*), 1998 წლის 24 აგვისტო.

391 მანცნეტერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Manznetter v. Austria*), 1969 წელი, Series A, no 10, 1 E.H.R.R. 198.

392 ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Tomasi v. France*), 1992 წელი, Series A, no 241-A, 15 E.H.R.R. 1.

393 ბონეჩაუ შვეიცარიის წინააღმდეგ (*Bonnechaux v. Switzerland*), DR 15/211.

ასეთი საჩივარი უნდა იქნეს განხილული სწრაფად და პირი უნდა გათავისუფლდეს, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ თავისუფლების აღკვეთა უკანონოა. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს პატიმრობაში ყოფნის კანონიერების კონტროლის არსებობას.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, რომ საქმე უნდა განიხილოს „სასამართლომ“, რაც ასეთი საქმის განხილვას პროკურორის მიერ უკანონოდ აცხადებს.<sup>394</sup> საქმე უნდა განიხილოს მოსამართლემ და სასამართლო პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი. კონვენციის ეს დებულება ასევე მოითხოვს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი წარედგინოს სასამართლოს, რათა გადაწყდეს მისი დაკავების კანონიერება. საქმესთან – *კამპანისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Kampanis v. Greece)* – დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, ვინაიდან თავისუფლებააღკვეთილ პირს არ მიეცა სასამართლოს წინაშე წარდგენის უფლება. კონვენცია ასევე მოითხოვს, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირს აღმოეჩინოს სამართლებრივი დახმარება, მისი დაკავების კანონიერების გასაჩივრებისათვის.<sup>395</sup> თუ პირს არა აქვს ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა, იგი უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

საქმეზე – *ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. Netherlands)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავებულ პირს აქვს საჩივრის შეტანის უფლება მისი დაკავების კანონიერების შემომწმებისათვის დროის გონივრული ინტერვალებით.

#### 1.4. კომპენსაციის მიღების უფლება

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი, აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.<sup>396</sup> კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მხარეს აქვს, თუ დაირღვა მე-5 მუხლის 1-ლი-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებანი.

საქმეში – *საკიკი თურქეთის წინააღმდეგ (Sakik v. Turkey)* – მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ პირს კომპენსაციის მიღება შეეძლო კონსტიტუციური დებულების საფუძველზე. თუმცა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა კომპენსაციის გაცემის მაგალითები, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას მატერიალური და მორალური ზიანისათვის. პრაქტიკაში კომპენსაცია, ჩვეულებრივ, ფინანსურია.

<sup>394</sup> *ვოდენიკაროვი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Vodenicar v. Slovakia)*, 2000 წლის 21 დეკემბერი.

<sup>395</sup> *უკაში მუფედო საფრანგეთის წინააღმდეგ (Woukam Moufled v. France)*, 1988 წლის 11 ოქტომბერი, Series A, no 141-B.

<sup>396</sup> *ვასინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Wassink v. Netherlands)*, Series A no. 185-A, 38-ე პუნქტი.

### 3. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად:

„1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათაან წაყენებული ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან ან საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ზნეობის, საზოგადოებრივი ნესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაიშვას სასამართლო განხილვის მთელ ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან, სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

- ა) დაუყოვნებლივ და დეტალურად ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე წაყენებული ბრალდების არსი და მიზეზი;
- ბ) მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად;
- გ) დაიცვას თავისი თავი ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, მიეცეს ამის შესაძლებლობა უფასოდ, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს;
- დ) დაკითხოს ან დაიკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მონმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მონმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მონმეთა თანაბარ პირობებში;
- ე) მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო.“

#### 1. შესავალი

კონვენციის მე-6 მუხლი სწორედ ის მუხლთაგანია, რომლის შინაარსი ურთერთდაკავშირებულ რამდენიმე უფლებას აერთიანებს. მე-6 მუხლით გარანტირებულია ინდივიდის უფლება საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვისა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას თუ სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენების შემთხვევაში. დემოკრატიული საზოგა-

დოების ფუნქციონისათვის სწორედ ამ დებულების არსებობა იძენს ფუძემდებლურ მნიშვნელობას. საქმეზე – დელკური ბელგიის წინააღმდეგ<sup>397</sup> (*Delcourt v. Belgium*) – სასამართლომ განაცხადა: „დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი შეზღუდვითი ახსნა-განმარტება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ჭრილში დაუშვებელია“.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტები განსაკუთრებულად შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს.<sup>398</sup>

მე-6 მუხლით განმტკიცებული დებულებები ვრცელდება როგორც სასამართლო განხილვის, ისე მის წინა და მომდევნო ეტაპებზე. სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით მე-6 მუხლი ვრცელდება წინასწარ გამოძიებაზე, რომელსაც უფლებამოსილი ორგანო აწარმოებს. საქმეზე – იმბრიოშა შვეიცარიის წინააღმდეგ (*Imbrioscia v. Switzerland*) – სასამართლომ დაადგინა, რომ „გონივრული ვადების დებულება იწყებს მოქმედებას ბრალის წაყენების მომენტიდან და ამ მუხლის სხვა დებულებებიც, განსაკუთრებით მე-3 ნაწილში ასახული, აქტუალურია საქმის სასამართლოში გადაცემამდე. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება კონვენციის მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-6 მუხლი გამოიყენება მოსმენის ადმინისტრაციულ ეტაპზეც.<sup>399</sup> სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული სამართლით გათვალისწინებულია გასაჩივრების უფლება, მასზეც ვრცელდება მე-6 მუხლის მოქმედება. მე-6 მუხლი ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოებაზეც, როცა სამართალწარმოების შედეგს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობებისათვის.<sup>400</sup>

მე-6 მუხლი ვრცელდება იმ პროცედურებზეც, რომლებიც მოსმენას სდევს თან, ანუ გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე. საქმეში – ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Hornsby v. Greece*) – სასამართლომ აღნიშნა: „მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე იქნება ილუზიური, თუკი ეროვნული სამართლის სისტემა დაუშვებს, რომ საბოლოოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩეს“.<sup>401</sup>

აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ მე-6 მუხლის მოქმედება მთლიანად საქმის სამართალწარმოებაზე ვრცელდება.

397 1970 წლის 1 იანვარი.

398 ამ მუხლის შივ აარსთან დაკავშირებულია ასევე მე-7 ოქმის მე-2 და მე-4 მუხლები. იხ. საქმეები: რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ (*Raimondo v. Italy*), 1994 წლის 22 თებერვალი, რადინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Radinger v. Austria*), 1995 წლის 23 ოქტომბერი.

399 იოჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ, (*Johansen v. Norway*), 1996 წლის 27 ივნისი.

400 კრასკა შვეიცარიის წინააღმდეგ (*Kraska v. Switzerland*), 1993 წლის 19 აპრილი.

401 1997 წლის 19 მარტი.



## 2. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ზოგადი მომოხილვა

### 2.1. სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები

სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას ყოველ ადამიანს აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა იგულისხმება „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების“ ცნებებში. მართალია, კონვენცია არ იძლევა ამ ტერმინების განმარტებას, მაგრამ სასამართლოს ძალზე დიდი პრაქტიკა აქვს, რაც ნათელს ჰფენს ამ დებულების მნიშვნელობას. თავის მხრივ, თვით ამ პრაქტიკის ჩამოყალიბებას დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო. თუ კომისიის მუშაობის თავდაპირველ ეტაპზე ძალზე ფრთხილი დამოკიდებულება არსებობდა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამ ცნებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა – გაფართოვდა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების არეალი (მაგალითად, წარსულში ევროპული სასამართლო ამ ცნების ქრილში არ იხილავდა სოციალური დაცვის უფლებას). სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები არ განიხილება მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.

სასამართლო პრაქტიკა გვაცხადებს იმის საშუალებას, რომ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებით გამოიყოს ზოგიერთი საერთო პრინციპი:

1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას მნიშვნელობას იძენს განსახილველი საქმის ხასიათი. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი კანონმდებლობით (სამოქალაქო, კომერციული, ადმინისტრაციული) ან რომელი ორგანოს (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანოები) მეშვეობით იხილება მოცემული საკითხი ეროვნული სამართლის სისტემაში;

2. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია უნიფიცირებული ევროპული ხედვა ამ უფლებების მიმართ;

3. სახელმწიფოს კანონმდებლობას მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას არა იმის მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე მათი კლასიფიკაცია, არამედ – რა მატერიალური შინაარსია ჩადებული კანონმდებლობით და რა შედეგებია ამასთან დაკავშირებული.<sup>402</sup>

კომერციული სფეროდან სასამართლომ განიხილა ისეთი საქმეები, რომელთა ობიექტიც ეხებოდა, მაგალითად, რესტორნისათვის სპირტიანი სასმელების გაყიდვისა და სამედიცინო კლინიკისათვის ლიცენზირების ჩამორთმევას; კერძო სკოლების გახსნის უფლების გაცემას; პროფესიული საქმიანობის ლიცენზირების უფლებას (კერძოდ, სამედიცინო და საადვოკატო).

საოჯახო სამართლის სფეროდან განხილულ საქმეთა ობიექტი გამხდარა ბავშვის სახელმწიფოსათვის გადაცემის, ბავშვთა შვილად აყვანისა და აღზრდის საკითხები.

<sup>402</sup> კონიგი გერმანიის წინააღმდეგ (*König v. Germany*), 1978 წლის 28 ივნისი.

სოციალური უზრუნველყოფის სფეროდან სასამართლომ ამ მუხლით განიხილა საქმეები, რომელთა დაცვის საგანი ეხებოდა სამედიცინო დაზღვევას, სოციალურ დაზღვევას, შენეობას ინვალიდობის გამო, სახელმწიფო პენსიებს. ერთერთ საქმეში სასამართლომ ზოგადად დაასკვნა: „სამართლებრივი განვითარება ... და თანასწორობის პრინციპი განაპირობებს იმ შეხედულების გაზიარებას, რომ დღესდღეობით მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გავრცელება სოციალური დაზღვევის სფეროში, სოციალური დახმარების ჩათვლითაც კი, საერთო წესია.“<sup>403</sup> მე-6 მუხლით განმტკიცებული გარანტიები ვრცელდება ადმინისტრაციის ქმედების წინააღმდეგ მიმართულ სასამართლო განხილვებზეც, რომლებიც დაკავშირებულია კონტრაქტებით ან ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი განხილვის შედეგად მიყენებულ ზიანთან და სხვა. სამოქალაქო უფლებებში იგულისხმება ასევე რეპუტაციისა და ღირსების პატივისცემა, რომელიც შეილახა სხვა პირთა მხრიდან. სამოქალაქო უფლებების ქრილში იხილება ქონებრივი ურთიერთობების ის სფეროც, რომელზეც ვრცელდება მე-6 მუხლი, იმ შემთხვევაშიც, თუ მხარედ სახელმწიფო გვევლინება: ექსპროპრიაციის საკითხები, მშენებლობაზე ნებართვის გაცემისა და მშენებლობის დაგეგმარების საკითხები.

## 2.2. სისხლისსამართლებრივი ბრალდება

„ბრალდების“ არსის ევროპული სასამართლოსეული ახსნა შეიძლება არ ემთხვეოდეს ეროვნული სამართლით დადგენილ განმარტებას. სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან შეიძლება გამოვყოთ ზოგადი დებულებები, რომლებიც „ბრალდების“ ახსნა-განმარტებაში გვეხმარებიან. ბრალდება არსებობს, როდესაც:

- გაცემულია პირის დაპატიმრების ბრძანება;
- პირს ოფიციალურად ეცნობა, რომ მის წინააღმდეგ გამოცხადებულია სისხლისსამართლებრივი დევნა.

„სისხლისსამართლებრივი“ შინაარსის დადგენისას სასამართლო შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს:

- შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში არსებული კლასიფიკაცია;
- მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი;
- სასჯელის სიმკაცრის არსი და ხარისხი.

### 2.2.1. შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში არსებული კლასიფიკაცია

თუ ბრალეულობა შიდასახელმწიფოებრივი სამართლით კლასიფიცირდება სისხლისსამართლებრივად, როგორც წესი, მე-6 მუხლთან მიმართებით სასამართლოს პრაქტიკაში პრობლემა არ ჩნდება. სირთულეს იწვევს ისეთი შემ-

<sup>403</sup> შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Schuler-Zgraggen v. Switzerland*), 1993 წლის 24 ივნისი.

თხვევები, როდესაც სახელმწიფო თავს არიდებს მე-6 მუხლით პასუხისმგებლობას დეკრიმინალიზაციის ან დანაშაულის კლასიფიკაციის გადასინჯვის გზით. ასეთი ვითარების არსებობისას სასამართლო არ ითვალისწინებს, ქმედებას შიდასახელმწიფოებრივი სამართლით მინიჭებული აქვს თუ არა სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაცია.

საქმეზე – *ენგელი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel v. Netherlands)* – სასამართლომ განაცხადა: „თუ სახელმწიფოს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მისცეს დისციპლინური გადაცდომის, და არა დანაშაულის, კვალიფიკაცია, ან „შერეული“ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას დისციპლინური, და არა სისხლისსამართლებრივი, პასუხისმგებლობა მოითხოვოს, მე-6 მუხლის ძირითად დებულებათა მოქმედება სახელმწიფოს სუვერენულ ნებაზე იქნება დამოკიდებული“.<sup>404</sup>

## 2.2.2. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი

სასამართლო ისეთ ასპექტებს აქცევს ყურადღებას, როგორცაა: დარღვეული სამართლებრივი ნორმის გამოყენების სფერო და სასჯელის მიზანი.

თუ სამართლებრივი ნორმა გამოიყენება მხოლოდ შეზღუდულ პირთა (მაგალითად, გარკვეული პროფესიის წარმომადგენელთა) მიმართ, უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს დისციპლინურ, და არა სისხლისსამართლებრივ, წარმოებასთან. როდესაც სამართლებრივი ნორმა ზოგადი მოქმედებისაა, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ იგი ექცევა მე-6 მუხლის მოქმედების ქვეშ. საქმეზე – *ვებერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Weber v. Switzerland)*<sup>405</sup> – სასამართლომ დაადგინა: „როგორც წესი, დისციპლინური სანქციების მიზანია, რომ ამა თუ იმ დაჯგუფების წარმომადგენლებმა იმოქმედონ მათი ქცევის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, ხოლო მხარეები, რომლებიც სასამართლო მოსმენაში სუბიექტების სახით მონაწილეობენ, დისციპლინური სფეროს მოქმედების ქვეშ ექცევიან.“ ვინაიდან იმ ნორმის მოქმედება, რომლის ირგვლივ განმცხადებელი დავობდა, „პოტენციურად ვრცელდება ყველა მოქალაქეზე, სამართალდარღვევა, რომლის განსაზღვრებაც ამ ნორმაშია მოცემული და რომელიც სადამსჯელო სანქციებს ითვალისწინებს, „სისხლისსამართლებრივია“ მეორე კრიტერიუმის თვალსაზრისით“.

## 2.2.3. სასჯელის მიზანი

ეს კრიტერიუმი ეხმარება სასამართლოს, განასხვავოს სისხლისსამართლებრივი სანქცია ადმინისტრაციულიდან.

საქმეზე – *ოზთურქი გერმანიის წინააღმდეგ (Ozturk v. Germany)*<sup>406</sup> – სასამართლომ განიხილა მანქანის მართვის წესების დარღვევის შემთხვევა, სამართალდარღვევისა, რომლის დეკრიმინალიზაცია მოხდა გერმანიაში. სასამარ-

404 1976 წლის 8 ივნისი.

405 1990 წლის 22 მაისი.

406 1984 წლის 21 თებერვალი.

თლომ განაცხადა: „მე-6 მუხლის თანახმად, მოცემული სამართალდარღვევა განიხილება როგორც სისხლისსამართლებრივი. ეს დებულება ვრცელდება „გზების ყველა მომხმარებელზე“ და არა ცალკეულ პირთა ჯგუფებზე, თანაც ითვალისწინებს დამსჯელ და დამაშინებელი ხასიათის სანქციებს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობაში თუნდაც უმნიშვნელო საგზაო-სატრანსპორტო სამართალდარღვევა განიხილება როგორც სისხლისსამართლებრივი“.

## 2.2.4. სასჯელის სიმკაცრის არსი და ხარისხი

ეს კრიტერიუმი არ უნდა იყოს აღრეული სასჯელის მიზანთან. თუ შეუძლებელია სასჯელის მიზნის დადგენა მე-6 მუხლის ჭრილში, სასამართლო ყურადღებას აქცევს სასჯელის სიმკაცრის არსსა და ხარისხს. თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სასჯელის სახით სამართლებრივ ნორმას, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივ, და არა დისციპლინურ, ხასიათს ანიჭებს. საქმეზე – ბენამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Benham v. the United Kingdom*) – სასამართლომ განაცხადა: „თუ არსებობს თავისუფლების აღკვეთის საფრთხე, მაშინ მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს სასამართლოში დაცვის უფლების უზრუნველყოფას“.<sup>407</sup> თავისუფლების აღკვეთის ყოველი ფაქტი არ მოითხოვს მე-6 მუხლის გამოყენებას. საქმეზე – ენგელი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Engel v. Netherlands*) – სასამართლომ აღნიშნა: 2 დღის განმავლობაში საპრობილეუმი მოთავსება არასაკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ასეთი შემთხვევა სისხლისსამართლებრივი ნარმოების ტერმინოლოგიით იქნეს განხილული.

ჯარიმის შემთხვევაში სასამართლო ყურადღებას აქცევს იმას, თუ რა მიზნით იყო გამოყენებული ამგვარი ღონისძიება: ზარალის ასანაზღაურებლად ფულადი კომპენსაციის სახით, თუ დამაშინებელი სასჯელის სახით, რომლის მიზანია განმეორებითი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილება. მხოლოდ მეორე შემთხვევაში სასამართლო განიხილავს ამ ღონისძიებას სისხლისსამართლებრივ კონტექსტში. საქმეზე – რავნსბორნი შვედეთის წინააღმდეგ (*Ravnsbom v. Sweden*) – სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯარიმა დაეკისრა განმცხადებელს სასამართლო მოსმენის მსვლელობისას გაკეთებული შენიშვნების გამო. ამ შემთხვევაში ეს ღონისძიება შეესაბამებოდა დისციპლინურ სანქციას, ვინაიდან მისი (სანქციის) მიზანი იყო სათანადო სასამართლო მოსმენის უზრუნველყოფა.<sup>408</sup>

## 2.3. გონივრული ვადა

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულია უფლება, რომ „გონივრულ ვადაში“ ჩატარდეს სასამართლო განხილვა. ეს უფლება ემსახურება შემდეგ მიზნებს:

<sup>407</sup> ბენამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Benham v. the United Kingdom*), 1996 წლის 10 ივნისი.

<sup>408</sup> 1994 წლის 21 თებერვალი.

- დაიცვას მხარეები სამართლებრივი პროცედურის გაუმართლებელი გაჭიანურებისაგან;
- განხორციელდეს მართლმსაჯელება ისეთი დაყოვნების გარეშე, რომელიც ძირს უთხრის მისდამი ნდობას.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე „გონივრული ვადების“ განსაზღვრის სტანდარტები განსხვავდება ერთმანეთისაგან, თვით საქმეთა სპეციფიკიდან გამომდინარე. სისხლისსამართლებრივ საქმეებზე დროის ათვლა იწყება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ პიროვნებისათვის ოფიციალური შეტყობინების მიწოდების თარიღიდან. შეტყობინება უნდა შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მტკიცებას. სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში დროის ათვლა იწყება საქმის აღძვრის მომენტიდან.

ორივე შემთხვევაში ათვლა წყდება უმაღლესი ინსტანციის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისთანავე. სასამართლო ყურადღებას აქცევს კონკრეტული საქმის სირთულეებს, განმცხადებლის ქცევის ასპექტებს (კერძოდ, გამონეუულია თუ არა გაჭიანურება თავად განმცხადებლის არაჯეროვანი მოქცევით), ხელისუფლების ქცევით, საქმის სპეციფიკური გარემოებებით, რომლებითაც შეიძლება გამართლებულ იქნეს სამართალწარმოების გაჭიანურება.

### 2.3.1. საქმის სირთულე

საქმის სირთულის შეფასებისას ყურადღება ექცევა როგორც სამართლის ასპექტებს, ასევე ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: დასაადგენ ფაქტობრივ გარემოებათა ხასიათი, ბრალდებულთა და მონმეთა რიცხოვრივი რაოდენობა, პროცესში ახალ პირთა ჩართვა, საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებაში და სხვა.

საქმის განსაკუთრებული სირთულე საქმის გაჭიანურების სამართლებრივი საფუძველია. საქმესთან – ბოდაერტი ბელგიის წინააღმდეგ<sup>409</sup> (*Boddaert v. Belgium*) – დაკავშირებით სასამართლომ არ მიიჩნია, რომ 6 წლის განმავლობაში საქმის განხილვა განპირობებული იყო რთული მკვლელობის გამოძიებით და დაადგინა, რომ „გონივრული ვადის“ მოთხოვნა დაირღვა. ამავდროულად, სასამართლომ არ დაეთანხმა სახელმწიფოს მოსაზრებას საქმეზე – ფერანტელი და სანტანჯელო იტალიის წინააღმდეგ<sup>410</sup> (*Ferranteli and Santangelo v. Italy*) – თითქოს დანაშაულის გამოძიება არა მხოლოდ დიდ დროს, არამედ დელიკატურ მიდგომას მოითხოვდა, რადგან საქმეში არასრულწლოვნები მონაწილეობდნენ.

### 2.3.2. განმცხადებლის ქცევის ასპექტები

განმცხადებლის განაცხადის განხილვის ეფექტიანობა მცირდება, თუ საქმის განხილვის დაყოვნება გამონეუულია განმცხადებლის მიზეზით. ამაში არ

409 1992 წლის 12 ოქტომბერი.

410 1996 წლის 7 აგვისტო.

იგულისხმება შიდასამართლებრივ საშუალებათა სრულყოფილად ამონურვა. თუ განმცხადებელი ცდილობს დააჩქაროს განხილვის პროცესი, ეს მის სასარგებლოდ იქნება განხილული, მაგრამ მას არ მოეთხოვება აქტიური თანამშრომლობა სახელმწიფოსთან, რამაც შეიძლება მისი მსჯავრდება გამოინვიოს.

სასამართლოს პოზიცია შემდეგია: „ნათლად უნდა ჩანდეს, რომ განმცხადებელი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს განხილვის ყველა ეტაპზე, თავი შეიკავოს ისეთი ხერხების გამოყენებისაგან, რომლებიც აჭიანურებს პროცესს, აგრეთვე მაქსიმალურად გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მოსმენის პროცესის დასაჩქარებლად.“ საქმეზე – *ჩირიკოსტა და ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (Circosta and Viola v. Italy)* – სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, საქმის განხილვა 15 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა არ ყოფილა „გაუმართლებელი გაჭიანურება“, ვინაიდან განხილვა 17-ჯერ გადაიდო სწორედ განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე.<sup>411</sup>

საქმეში – *ბომარტანი საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>412</sup> (*Beaumartin v. France*) – სასამართლომ სახელმწიფო დაადანაშაულა საქმის გაჭიანურებაში, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა სასამართლოს მიმართა, რომლის ქვემდებარეც მოცემული საქმე არ იყო. სასამართლო ხელისუფლებას 5 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ პირველი მოსმენა ჩატარებინა.

### 2.3.3 ხელისუფლების ძმადება

საქმეზე – *ციმერმანი და შტიანერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Zimmerman and Steiner v. Switzerland)* – სასამართლომ განაცხადა: „ყველა სახელმწიფოს ევალება სამართლის სისტემის სრულყოფა, რათა სასამართლოებს მიეცეთ საშუალება, იმოქმედონ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა (გონივრული ვადების პრინციპის ჩათვლით) შესაბამისად.“<sup>413</sup> ეროვნულ სასამართლოებს ევალებათ, შეუქმნან მხარეებს ისეთი პირობები, რომელთა მეშვეობით თავიდან იქნება აცილებული საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება.<sup>414</sup> სასამართლო არ დაეთანხმა სახელმწიფოს არგუმენტებს, რომ არასაკმარისი პერსონალი ან ზოგადი ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეები გონივრული ვადის დარღვევის გამართლების საკმარისი საფუძველია.<sup>415</sup> სასამართლო არ იზიარებს ასევე სახელმწიფოს პოზიციას, თითქოს ხანგრძლივი სამართალწარმოება ყოველთვის შეიძლება გამართლებულ იქნეს სახელმწიფოში განსაკუთრებული პოლიტიკური ფაქტორების არსებობით.<sup>416</sup> თუმცა გადანყვეტილების მიღებისას სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური თუ სოციალური ვითარების თავისებურებანი.<sup>417</sup>

411 1995 წლის 4 დეკემბერი.

412 1994 წლის 24 ნოემბერი.

413 1981 წლის 6 ივნისი.

414 *ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ (Vernillo v. France)*, 1991 წლის 20 თებერვალი.

415 *გუინჩო პორტუგალიის წინააღმდეგ (Guincho v. Portugal)*, 1984 წლის 10 ივლისი.

416 *პამელი გერმანიის წინააღმდეგ (Pameli v. Germany)*, 1997 წლის 1 ივლისი.

417 *მილასი იტალიის წინააღმდეგ (Milasi v. Italy)*, 1987 წლის 25 ივლისი.

### 2.3.4. რისკის შაქტორები, რომლებიც განმცხადებელს შეეხება

გონივრული ვადის შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს რისკის ფაქტორებს, რომლებიც განმცხადებლის მდგომარეობას შეეხება. შესაბამისად სისხლის სამართლის საქმეებზე „გონივრული ვადა“ დროის უფრო მცირე მონაკვეთს მოიცავს, ვიდრე სამოქალაქო საქმეებზე. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო საქმეებში ხელისუფლებას მოეთხოვება დაუყოვნებელი ზომების მიღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმცხადებლისათვის საქმის გონივრულ ვადებში განხილვას განსაკუთრებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთ საქმეთა მაგალითებია:

- შრომითი დავები;<sup>418</sup>
- საქმეები, რომლებიც ბავშვებზე მეურვეობის დადგენის საკითხებს ეხება;<sup>419</sup>
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კომპენსაციის საქმეები.<sup>420</sup>

### 2.4. მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო

მე-6 მუხლის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება კანონის საფუძველზე შექმნილ მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ სასამართლოზე“. ორივე კრიტერიუმი – მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა – ერთმანეთთან არის დაკავშირებული. სასამართლო მათ, როგორც წესი, ერთად იხილავს.

ზოგადად ითვლება, რომ სასამართლო დამოუკიდებელია. გამონაკლისის გარდა ევროპულ სასამართლოს იშვიათად უწევს ეროვნული სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხის შესწავლა. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

- სასამართლოს წევრების დანიშვნის წესი;
- მათი მუშაობის სტაჟი;
- სასამართლოზე ზენოლის განხორციელების აღმკვეთი გარანტიების არსებობა;
- გარეგანი ატრიბუტების არსებობა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლო ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ასევე მხარეებისაგან.<sup>421</sup>

418 ობერმეიერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Obermeier v. Austria*), 1990 წლის 28 ივნისი.

419 იგნაკოლო-ზენიდე რუმინეთის წინააღმდეგ (*Ignakolo-Zenide v. Romania*), 2000 წლის 25 იანვარი.

420 სილვა პონტესი პორტუგალიის წინააღმდეგ (*Silva Pontes v. Portugal*), 1994 წლის 23 იანვარი.

421 კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Fell v. the United Kingdom*), 1984 წლის 28 იანვარი.

## 2.4.1. მიუკერძოებლობა

საქმეზე – *პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ*<sup>422</sup> (*Piersack v. Belgium*) – სასამართლომ განაცხადა: „მიუკერძოებლობა ნიშნავს წინაზრახვის ან მიკერძოების უქონლობას. მოცემულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ: სუბიექტური მიდგომა, რომელიც კონკრეტული საქმის ირგვლივ მოსამართლის პირად მრწამსს ასახავს და ობიექტური მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები, რათა გამორიცხული ყოფილიყო ნებისმიერი ეჭვი ამასთან დაკავშირებით“. სუბიექტური მიუკერძოებლობის შემთხვევაში სასამართლოს სჭირდება წინწინგონის არსებობის ფაქტობრივი მტკიცებულებანი. ზოგადად, ოფიციალურად დანიშნული მოსამართლის მიუკერძოებლობა არ იწვევს ეჭვს, თუ არ არსებობს ჩვენებები, რომელებიც საპირისპიროს ამტკიცებენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრეზუმფციაა, რომელიც სასამართლო გადანყვებილებებშიც აისახა.

## 2.4.2. ობიექტური მიუკერძოებლობა

ობიექტური მიუკერძოებლობის კონტექსტში შესწავლილ უნდა იქნეს, არსებობს თუ არა მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებელი უდავო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაზე ახდენენ გავლენას და, შესაბამისად, მასში შეაქვთ ეჭვი. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობას იძენს ყველა გარემოება, გარეგანი ატრიბუტიკის ჩათვლით, რადგან საბოლოო ჯამში ყოველივე მათგანი გავლენას ახდენს იმ ნდობის ფაქტორებზე, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ უნდა არსებობდეს. ყოველი მოსამართლე, რომლის მიუკერძოებლობაშიც ეჭვია შეტანილი, ვალდებულია განაცხადოს თვით-აცილების შესახებ.

## 2.5 სამართლიანი და საჯარო განხილვა

### 2.5.1 საჯარო განხილვა

სასამართლო განხილვის საჯაროობა სამართლიანი სასამართლო განხილვის მნიშვნელოვანი ელემენტია, ვინაიდან ამ პრინციპის არსებობა არა მხოლოდ მხარეთა, არამედ ზოგადად საზოგადოების ინტერესებში შედის. სწორედ საჯარო განხილვის პრინციპის მოქმედება განაპირობებს საზოგადოების ნდობის ხარისხს მართლმსაჯულებისადმი.

მე-6 მუხლით არ არის დაკონკრეტებული, სასამართლო განხილვის რომელ საფეხურზე ვრცელდება საჯარო განხილვის მოთხოვნა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „ზედა ინსტანციის სასამართლოში არ არის სავალდებულო სისხლის სამართლის საქმის ზეპირი მოსმენის ჩატარება, მაგრამ ისეთ შემთხვე-

<sup>422</sup> 1982 წლის 1 ოქტომბერი.



ვაში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანია როგორც ფაქტები, ასევე ფორმალური იურიდიული საკითხები, და რომელთა საფუძველზე პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოიტანილი, ზეპირი სამართალწარმოება აუცილებელია.<sup>423</sup>

საჯაროობის უფლება არ ირღვევა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარე თანახმაა, რომ საქმის განხილვა ჩატარდეს დახურულ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ყურადღებას აქცევს, გათვალისწინებულია თუ არა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი პირობები – პრესა და საზოგადოება შეიძლება არ ესწრებოდნენ მთელ სასამართლო პროცესს ან ესწრებოდნენ მის ნაწილს, რაც მხარეთა ინტერესებთანაა დაკავშირებული – ესენია: მორალის ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგი, ეროვნული უსაფრთხოება, კერძო ცხოვრების ინტერესები, პროფესიული საიდუმლოება, არასრულწლოვანთა ინტერესები.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ყველა შემთხვევაში ისინი საჯაროდ უნდა გამოცხადდნენ. სასამართლო პოზიცია ამ უფლების გამოყენებასთან ცალსახაა – ზეპირ სამართალწარმოებაზე უარის თქმა არ უნდა გაკეთდეს ორაზროვანი ფორმით და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინტერესებს, თუმცა სასამართლო არ მოითხოვს, რომ უარის თქმა ამ უფლების გამოყენებაზე აშკარა ფორმით გამოიხატოს. საქმეზე – *ჰაკანსონი და შტურესონი შევდეთის წინააღმდეგ*<sup>424</sup> (*Hakansson and Sturesson v. Sweden*) – სასამართლომ აღიარა, რომ უარი ითქვა დუმილით განხილვაზე, ვინაიდან მხარეებმა არ მიმართეს ეროვნულ სასამართლოს თხოვნით საჯარო განხილვის თაობაზე, რის საშუალებასაც შევდეთის კანონმდებლობა იძლევა.

## 2.5.2. სამართლიანი განხილვა

მე-6 მუხლით ყოველი ადამიანისათვის გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. მოცემული ფორმულირება მართლმსაჯულების განხორციელების მრავალ ასპექტს მოიცავს: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას; სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობის პრინციპსა და მხარეთა თანასწორობის პრინციპს; პირის უფლებას – ესწრებოდეს სასამართლო განხილვას და არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავი წინააღმდეგაღიარებითი ჩვენება (*right not to incriminate oneself*); დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

*მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.* სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მოიცავს ყველა ადამიანის უფლებას – მიმართოს სასამართლოს, განსაკუთრებით სამოქალაქო საქმეზე, თუმცა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური. სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნული უფლება თავისთავად მოით-

<sup>423</sup> *ექსენი გერმანიის წინააღმდეგ (Axen v. Germany)*, 1983 წლის 8 დეკემბერი.

<sup>424</sup> 1990 წლის 21 თებერვალი.

ხოვს სახელმწიფოს მხრიდან დარეგულირებას.<sup>425</sup> ასეთი რეგულირება არ უნდა ხდებოდეს უფლების არსის საზიანოდ და წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს კონვენციის სხვა უფლებებთან.

სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი რეგულირება მე-6 მუხლთან შესაბამისობაში ჩაითვლება თუ:

- იგი ემსახურება კანონიერ მიზანს;
- დაცულია გონივრული პროპორციულობის პრინციპი გამოყენებულ საშუალებათა და საბოლოო მიზანს შორის.

საქმეზე – გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Golder v. the United Kingdom*) – სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან განმცხადებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაკავშირებოდა თავის დამცველს, ამით მართლმსაჯულების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის პრინციპი დაირღვა.

სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობის პრინციპი – მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ამ პრინციპის იდეა ისაა, რომ სამართალწარმოების თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა თავისი საქმის წარდგენისათვის და არცერთ მხარეს არ უნდა მიეცეს რაიმე არსებითი უპირატესობა მონინააღმდეგე მხარესთან შედარებით.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ნიშნავს, რომ სამართალწარმოების მონაწილეებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ ინფორმაცია მონინააღმდეგე მხარის ფაქტებისა და არგუმენტების შესახებ და ასევე თითოეულ მათგანს საწინააღმდეგო არგუმენტების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა. სასამართლომ დაადგინა: მე-6 მუხლი ირღვევა საქმეებში, რომლებშიც ეროვნულ სასამართლოებს თავიანთი გადწყვეტილებები გამოტანილი ჰქონდათ ბრალდების იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელთა შესახებ მოპასუხე მხარეს ინფორმაცია არ გააჩნდა.<sup>426</sup> სასამართლომ ასევე დააფიქსირა ამ პრინციპის დარღვევა საქმეებში, რომლებშიც ერთ მხარეს უარი ეთქვა საქმის მასალების გაცნობაზე, ან, როდესაც ერთ-ერთ მხარეს სასამართლოს მიერ უარი ეთქვა წარდგენილ მტკიცებულებათა განხილვაზე.

განსასჯელის უფლება – ეხსრებოდეს სასამართლო განხილვას და არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგალიარებითი ჩვენება. მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების მოთხოვნაა განსასჯელის სასამართლო განხილვაზე დასწრება. სამოქალაქო საქმეებზე მხარის სასამართლო პროცესზე დასწრება აუცილებელია მხოლოდ განსაკუთრებული სახის შემთხვევებში (მაგალითად, როდესაც სასამართლო განხილვისას უნდა მოხდეს პიროვნების ქცევის შეფასება).

<sup>425</sup> გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Golder v. United Kingdom*), 1975 წლის 21 თებერვალი.

<sup>426</sup> ფუჟერი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Foucher v. France*), 1997 წლის 18 მარტი.

სისხლისსამართლებრივი განხილვა განსასჯელის ან სხვა მხარის გარეშე (ანუ დაუსწრებლად) შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში: თუ, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ყოველგვარი ძალისხმევის მიუხედავად, შეუძლებელია (არ ხერხდება) ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს განხილვის თაობაზე, ან მონაწილეთა ავადმყოფობის გამო, ან მხარეებმა ნებაყოფლობით უარი განაცხადეს მონაწილეობაზე. ბოლო შემთხვევაში უარის თქმა მოტივირებული უნდა იქნეს არაორაზროვანი ფორმით.<sup>427</sup>

თუ ბრალდებულმა უარი განაცხადა სასამართლო მოსმენაში მონაწილეობაზე, მისი ინტერესების დამცველი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს პროცესში.<sup>428</sup>

სასამართლომ ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია: სისხლის სამართლის საქმეთა სამართლიანი განხილვა მოიცავს განსასჯელის უფლებას, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგალიარებითი ჩვენება, ან გამოიყენოს დუმილის უფლება. ამ თვალსაზრისით სასამართლომ განაცხადა, რომ დუმილის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება მე-6 მუხლში არ არის პირდაპირ მოხსენიებული, მაგრამ მათი საყოველთაოდ აღიარება იმ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარეობს, რომლებიც სამართლიანი მართლმსაჯულების სტანდარტებს ადგენენ. მათი შინაარსი, *inter alia*, ისაა, რომ დაიცვან განსასჯელი ხელისუფლების იძულებისაგან, კერძოდ, არ იქნეს მოპოვებული მტკიცებულებანი განსასჯელის იძულების გზით. ამ კონტექსტში მოცემული უფლება მჭიდრო კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან და არ ვრცელდება სხვა მტკიცებულებათა მოპოვებაზე განსასჯელის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, მაგალითად დოკუმენტების ამოღება, ნივთმტკიცებულებათა ამოღება, სამედიცინო მანიპულაციების (სისხლის, დნმ-ის ანალიზის და სხვა) ჩატარება.

მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. მე-6 მუხლის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიტანონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლისსამართლის საქმეებზე. სასამართლო არ არის ვალდებული, დეტალური პასუხები გასცეს ყველა კითხვაზე, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც წერილობითი წარდგენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მას. საქმეში – *ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>429</sup> (*Hiro Balani v. Spain*) – განმცხადებელმა მიმართა ეროვნულ სასამართლოს წერილობითი განცხადებით, რომელშიც სასამართლოსაგან კონკრეტულ პასუხებს მოითხოვდა. ეროვნულმა სასამართლომ პასუხი არ გასცა განმცხადებელს. ამის საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის ამ დებულების დარღვევის ფაქტი.

427 პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Poitrimol v. France*), 1993 წლის 23 ნოემბერი.

428 ფელადოა ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Pelladoah v. Netherlands*), 1994 წლის 22 სექტემბერი.

429 1994 წლის 9 დეკემბერი.

### 3. უდანაშაულობის პრეზუმფცია

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ყველა, ვისაც ბრალი ედება დანაშაულში, განიხილება უდანაშაულოდ კანონის შესაბამისად.

ზოგიერთ შემთხვევაში მოცემული დებულება ვრცელდება სამოქალაქო საქმეებზეც, რომლებიც განიხილებიან სასამართლოს მიერ „სისხლისსამართლებრივის“ კონტექსტში (მაგალითად, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული დისციპლინური სამართალწარმოებისას).<sup>430</sup>

საქმეზე – ბარბერა, მესეგე და ჰაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (*Barbera, Messegue and Jabardo v. Spain*) – სასამართლომ აღნიშნა: „უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, *inter alia*, რომ თავისი მოვალეობის შესრულებისას სასამართლოს წევრები არ უნდა ეყრდნობოდნენ წინასწარ ჩამოყალიბებულ აზრს პირის მიმართ. ბრალეულობის დამტკიცების ტვირთი ბრალმდებელს აკისრია და ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის ან განსასჯელის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს.“<sup>431</sup>

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი მოქმედებს სისხლისსამართლებრივი განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში. ნებისმიერი შენიშვნა, რომელსაც მოსამართლე გააკეთებს მოსმენის დამთავრების ან განსასჯელის გამართლების მომენტში, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევად ჩაითვლება.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვა ევალება არა მარტო სასამართლოს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებსაც.

საქმეზე – ალენე დე რიბემონი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>432</sup> (*Allenet de Ribemont v. France*) – სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის ფაქტი. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პოლიციის მაღალი თანამდებობის პირმა განმცხადებელი დაასახელა როგორც მკვლელობის ნამქეზებელი. ამ მომენტისათვის ამ პირის წინააღმდეგ ბრალდება არ იყო წაყენებული და, შესაბამისად, სასამართლო განხილვაც არ იყო დაწყებული. უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცულ უნდა იქნეს ასევე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგაც. საქმეზე – სეკანინა ავსტრიის წინააღმდეგ (*Sekanina v. Austria*) – სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, დაუშვებელია, ეროვნული სასამართლო ეყრდნობოდეს ეჭვს პიროვნების ბრალეულობის თაობაზე.<sup>433</sup>

<sup>430</sup> ალბერტ და ლე კომპტე (*Albert and le Compté v. Belgium*), 1983 წლის 10 თებერვალი.

<sup>431</sup> 1988 წლის 6 დეკემბერი.

<sup>432</sup> 1995 წლის 10 თებერვალი.

<sup>433</sup> 1993 წლის 25 ივნისი.

## 4. ბრალდებულის ან განსასჯელის უფლებათა მინიმალური სტანდარტები

მე-6 მუხლის მესამე პუნქტში მოცემულია ის გარანტიები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ საქმეებთან მიმართებით უნდა განხორციელდეს, როგორც ამ პუნქტის, ასევე პირველი პუნქტის მოთხოვნათა შემთხვევაში. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მასში მოცემულია სამართლიანი სასამართლოს კონკრეტული ელემენტები. სასამართლომ დაახასიათა 1-ლ და მე-3 პუნქტებს შორის შეფარდება როგორც „მოძრაობა ზოგადიდან კერძოსაკენ“. მაგალითად, შეიძლება დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპი ისე, რომ არ იყოს დარღვეული მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები.

მე-3 პუნქტი იმ პირთა უფლებებს ეხება, რომელთაც ბრალი დანაშაულის ჩადენაში ედებათ.

მე-3 პუნქტი შედგება 5 ქვეპუნქტისაგან, რომელთა განხილვაც ქვემოთ არის მოცემული.

4.1. (ა) ქვეპუნქტი. პირს უფლება აქვს, მისთვის გასაგებ ენაზე სასწრაფოდ და დეტალურად იქნეს ინფორმირებული მის წინააღმდეგ ბრალდების ბუნებისა და მიზეზების შესახებ.

ეს დებულება ეხება ინფორმაციას, რომელიც ბრალის წაყენების ან საქმის აღძვრის მომენტში უნდა ეცნობოს ბრალდებულს. საქმეზე – *დე სალვადორ ტორესი ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>434</sup> (*De Salvador Torres v. Spain*) – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეროვნულმა სასამართლომ გამოიტანა უფრო მკაცრი განაჩენი დამამძიმებელი გარემოებების საფუძველზე, რომელიც არ იყო ნახსენები საბრალდებო დასკვნაში. ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ეს გარემოებები გამომდინარეობდა ბრალდების შინაარსიდან, ე.ი. ამის შესახებ განმცხადებელმა იცოდა.

საქმეში – *ბროზიკეი იტალიის წინააღმდეგ* (*Brozicek v. Italy*) – განმცხადებელმა, ეროვნებით გერმანელმა, იტალიის სასამართლოსადმი მიმართვაში ნათლად განაცხადა, რომ ენობრივ სირთულეებს განიცდის. სასამართლომ არ გამოუყო მას თარჯიმანი, რის საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის დარღვევა დააფიქსირა.<sup>435</sup>

ანალოგიური ვითარება იყო საქმეში – *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (*Kamasinski v. Austria*).<sup>436</sup> სასამართლომ განაცხადა: „ბრალდებულის განსასჯელი, რომელიც ვერ ფლობს სამართლწარმოების ენას, არასამართლიან პირობებში აღმოჩნდება, თუ მას არ მიეცა საშუალება, გაეცნოს საბრალდებო აქტსა და სხვა დოკუმენტებს მისთვის გასაგებ ენაზე“.

მნიშვნელოვანია, რომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ უნდა იქნეს იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომელიც პირს საბრალდებო დას-

434 1996 წლის 24 ოქტომბერი.

435 1989 წლის 19 დეკემბერი.

436 1989 წლის 19 დეკემბერი.

კენაში ნაყენა. საქმეში – პელისიე და სასი საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>437</sup> (*Pélissier and Sassi v. France*) – განმცხადებელს ბრალი წაუყენეს დანაშაულებრივ გაკოტრებაში, თუმცა ისინი მსჯავრდებულ იქნენ დანაშაულებრივი გაკოტრების მიზნით შეთქმულების ორგანიზებაში. ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა, რომ დაირღვა კონვენცია.

4.2. (ბ) ქვეპუნქტი.<sup>438</sup> პირის უფლებაა, იქონიოს საკმარისი დრო და საშუალებები საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. მოსამართლის მთავარი ამოცანაა, დაიცვას ბალანსი მოცემულ დებულებასა და „გონივრული ვადის“ ფარგლებში სასამართლო განხილვას შორის.

საკმარისი დროის კრიტერიუმის განსაზღვრა ყოველი საქმის სირთულესთან და საქმის გარემოებებთან არის დაკავშირებული.

დამცველი უნდა დაინიშნოს ისე, რომ მას პროცესისათვის მოსამზადებლად საკმარისი დრო ჰქონდეს. ეს დებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ასევე, ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდებული ან განსასჯელის დამცველს კლიენტთან შეუზღუდავი და კონფიდენციალური ხელმისაწვდომობის საშუალება თავისთავად უნდა ჰქონდეს. სისტემა, რომელიც მოითხოვს მოსამართლის ან პროკურორის ნებართვას, რათა დამცველი შეხვდეს თავის კლიენტს, ეწინააღმდეგება კონვენციის მოცემულ დებულებას და ხელყოფს სამართლიანი სამართალწარმოების პრინციპს. შესაბამისად, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ყველა პირობა, რომელიც აუცილებელია დამცველსა და მის კლიენტს შორის შეხვედრის ჩასატარებლად. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ განსასჯელს ბრალდებულს დაბრკოლებების გარეშე უნდა მიეცეს საშუალება, დაამყაროს კავშირი თავის დამცველთან დაცვის მოსამზადებლად. ეს განიხილება სამართლიანი სასამართლოს ცენტრალურ ელემენტად. ზოგიერთ შემთხვევაში შეზღუდვები შეიძლება გამართლებული იყოს. სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს კერძო კონსულტაციები ადვოკატსა და ბრალდებულს შორის, როდესაც სახეზეა აშკარა ეჭვი იმისა, რომ ადვოკატი ბოროტად იყენებს თავის პროფესიულ მდგომარეობას, საიდუმლოდ ათანხმებს თავის კლიენტთან მტკიცებულებათა დამალვის ან განადგურების ფაქტებს, ან სასამართლო პროცესის ობსტრუქციას გეგმავს.

შეზღუდვა შეიძლება დროებითი ღონისძიების ხასიათს ატარებდეს. მაგალითად, საქმეზე – ბონზი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Bonzi v. Switzerland*)<sup>439</sup> – ევროპულმა კომისიამ არ დაადგინა დარღვევა იმის გამო, რომ ბრალდებულს, რომელიც სამართლო საკანში იმყოფებოდა, გარკვეული დროით შეეზღუდა ადვოკატთან შეხვედრის უფლება, სხვა დანარჩენ დროს კი მას ამის საშუალება ჰქონდა.

437 1999 წლის 25 მარტი.

438 ეს ქვეპუნქტი მჭიდრო კავშირშია (გ) ქვეპუნქტთან.

439 12 PR 185.

საქმეში – კრიოხერი და მიოლერი შეიციარის ნინაალმდე<sup>440</sup> (*Kröcher and Möller v. Switzerland*) – განმცხადებელს ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, რომელიც ტერორიზმთან იყო დაკავშირებული. სასამართლომ 3 კვირით შეუზღუდა მას ადვოკატთან პირისპირ შეხვედრის უფლება, თუმცა მათ შეეძლოთ ზედამხედველობის ქვეშ ნერილობითი ფორმით ურთიერთობა. ამ შემთხვევაშიც ევროპულმა სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა.

მოუხედავად ამისა, ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა განპირობებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით.

კონსულტაციები მოიცავს როგორც პირისპირ შეხვედრებს, ისე ნერილობითი ფორმით მიმონერას. კონვენციის საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე, შეიძლება მტკიცება, რომ ამ დებულების ნებისმიერი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, რაც „ზუსტ და მკაფიო“ პირობებს დაადგენს, თუ როდის შეიძლება ამ შეზღუდვების გამოყენება.

განმცხადებლის უფლება მონმეთა ჩვენებების ხელმისაწვდომობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპულმა კომისიამ ჩათვალა, რომ შესაძლებლობები, რომლებიც ყოველ განსასჯელს უნდა ჰქონდეს, მოიცავს ასევე მის უფლებას, გაეცნოს გამოძიების შედეგებს, რათა სათანადო დაცვისათვის მოემზადოს. მოცემული უფლება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს. სასამართლომ დაადგინა: სახელმწიფოს შეუძლია შეუზღუდოს დაცვის მხარეს მასალებისადმი ხელმისაწვდომობა, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამგვარ მასალებს დაცვის მხარისათვის მნიშვნელობა აქვს.

4.3. (გ) ქვეპუნქტი. პირის უფლებაა, დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, მიეცეს ამის შესაძლებლობა უფასოდ, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს.

ეს დებულება მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულს ან განსასჯელს აუცილებლად ეძლეოდეს საშუალება, დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით. აუცილებელ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება (მაგ., ადვოკატის სახაზინო წესით დანიშვნა).

უფასო დახმარება უნდა იყოს პრაქტიკული და ეფექტიანი და არა თეორიული და ილუზიური. საქმეზე – არტიკო იტალიის ნინაალმდე<sup>441</sup> (*Artico v. Italy*) – სასამართლომ აღნიშნა: მე-6 მუხლში საუბარია „დახმარებაზე“ და არა „დანიშვნაზე“. ადვოკატის დანიშვნა როდი უზრუნველყოფს ყოველთვის ეფექტიან დახმარებას, ვინაიდან დანიშნული ადვოკატი შეიძლება თავს არიდებდეს თავის მოვალეობათა შესრულებას ან ავადმყოფობის გამო ვერ ახორციელებდეს თავის მოვალეობას. ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს ასეთი ადვოკატი, ან აიძულოს იგი, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

440 26 DR 24.

441 1980 წლის 13 მაისი.

უფასო იურიდიული დახმარების უფლება განისაზღვრება ორი კრიტერიუმით:

- ბრალდებულს ან განსასჯელს არ გააჩნია საკმარისი სახსრები დამცველის დასაქირავებლად;
- მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფას.

სასამართლოს აზრით, თუ საქმე რთულ საკითხს ეხება და თუ განსასჯელს, რომელმაც აირჩია საკუთარი ძალებით დაცვის უფლება, მაგრამ მას არ გააჩნია საკმარისი სათანადო იურიდიული მომზადება, მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, რომ მას დაენიშნოს ადვოკატი. სასამართლო მიაქცევს ასევე ყურადღებას საქმის სირთულეს და სავარაუდო სანქციის სიმკაცრეს. საქმეში – *ბენამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Benham v. the United Kingdom)* – სასამართლომ განაცხადა, რომ: „როდესაც არსებობს თავისუფლების აღკვეთის საფრთხე, მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს იურიდიული დახმარებით განსასჯელის უზრუნველყოფას.“

კონვენცია პირდაპირ არ მოითხოვს უფასო იურიდიული დახმარებით გარანტირებას სამოქალაქო საქმეებზე, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი დახმარება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, თუ მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, მით უფრო, თუ დახმარების არარსებობამ შეიძლება კონვენციის დებულებათა დარღვევა გამოიწვიოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს დამოკიდებული იქნება საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. ეროვნულმა მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, მოითხოვს თუ არა მართლმსაჯულების ინტერესები სამოქალაქო პროცესის მონაწილისათვის უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფას.<sup>442</sup>

4.4. (დ) ქვეპუნქტი. პირის უფლებაა, დაკითხოს ან დაიკითხონ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მონმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მონმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მონმეთა თანაბარ პირობებში

მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მოცემული დებულება და არსებული პრეცედენტული სამართალი ანიჭებს უფლებას მხარეებს, მათ შორის განსასჯელს, დაკითხოს მონმეები. საქმეზე – *ბიონიში ავსტრიის წინააღმდეგ*<sup>443</sup> (*Bönisch v. Austria*) – სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლომ უნდა დაკითხოს დაცვის მიერ გამოძახებული მონმეები ისევე, როგორც ექსპერტად მონვეული მონმეები. თუმცა ეროვნულ სასამართლოს აქვს უფლება, უარი უთხრას განსასჯელის მხარეს მონმის გამოძახებაზე, თუ ნათელია, რომ მონმის ჩვენებას საქმის არსებითი განხილვისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომელთა საფუძველზე მონმეთა გარკვეული

<sup>442</sup> *ეირი ირლანდის წინააღმდეგ (Airey v. Ireland)*, 1979 წლის 9 ოქტომბერი.

<sup>443</sup> 1985 წლის 6 მაისი.



კატეგორიები (მაგალითად, ოჯახის წევრები) თავისუფლდებიან ჩვენების მიცემისაგან. საქმეზე – უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ<sup>444</sup> (*Unterperlinger v. Austria*) – სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი ნორმები არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ქვეპუნქტების დებულებებს.

4.5. (ე) ქვეპუნქტი. პირის უფლებაა, მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს ან განსასჯელს არ ესმის სამართალწარმოების ენა და „სამართალწარმოებაში არსებული ყველა დოკუმენტის ან განაცხადის გაგება კი აუცილებელია განსასჯელისათვის, რათა მან ისარგებლოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით“, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ეს პირი თარჯიმნის გამოყენების უფლებით. ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქმეში არსებულ ყველა დოკუმენტაციაზე. ამ ქვეპუნქტის მოთხოვნაა, ითარგმნოს ის დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა, რათა პირისათვის გასაგები იყოს საქმის არსი და ამით გარანტირებულ იქნეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპი.<sup>445</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ (ე) ქვეპუნქტით ცალსახად აკრძალულია, მოეთხოვოს ბრალდებულს, ანაზღაუროს თარჯიმნის ხარჯები, ვინაიდან ტერმინი „უფასოდ“ აღნიშნავს „ერთჯერად და სრულ განთავისუფლებას გადახდის ვალდებულებისაგან“.

უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ თარჯიმნის დანიშვნით, მათ ასევე აქვთ ვალდებულება, გააკონტროლონ თარგმანის ხარისხის ადეკვატურობა. თარჯიმნის უფლება ვრცელდება ყრუ-მუნჯებზეც, რომელთაც სპეციალისტი სჭირდებათ, ვინაიდან მათ ურთიერთობა მხოლოდ ჟესტების მეშვეობით შეუძლიათ.

444 1986 წლის 24 ნოემბერი.

445 ლუდიკე, ბელკასემი და კოჩი გერმანიის წინააღმდეგ (*Luedicke, Belkasam and Koch v. Germany*), 1978 წლის 28 ნოემბერი; კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ (*Kamasinski v. Austria*), 1989 წლის 28 დეკემბერი;

## 4. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

### 4.1. ევროპული კონვენცია და მისი განმარტება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმონერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

ნათელია, რომ მე-8 მუხლი ჩამოყალიბებულია ორ პუნქტად. 1-ლი პუნქტი ადგენს უფლებებს, რომლებითაც პირები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი, ხოლო მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ საჯარო ხელისუფლებამ შეიძლება მართლზომიერად შეზღუდოს ეს უფლებები მასში ჩამოყალიბებული პირობების მიხედვით. იგი ადგენს სამ პირობას, შეზღუდვა მართლზომიერად რომ ჩაითვალოს. მე-2 პუნქტის მიხედვით, შეზღუდვა უნდა:

ა) იყოს კანონის შესაბამისი;

ბ) ემსახუროდეს კანონიერ მიზანს (ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა და სხვ.);

გ) იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

რაც შეეხება „კანონის“ მოთხოვნებს, მნიშვნელოვანია ორი ელემენტი: ხელმისაწვდომობა და განჭვრეტადობა. ხელმისაწვდომობის მოთხოვნა რომ დააკმაყოფილოს, „კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი: მოქალაქეს, გარემოებების მიხედვით, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გაერკვეს, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში.“<sup>446</sup> რაც შეეხება განჭვრეტადობის მოთხოვნას, ის ნიშნავს, რომ „ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“, თუ იგი არ არის ფორმულირებული საქმარისი სიზუსტით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოების მას თავისი მოქმედება: მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა – საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით – განჭვრიტოს შექმნილი გარემოე-

<sup>446</sup> სილვერი და სხვები ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver and Others v. the United Kingdom*), 1983 წლის 25 მარტი, Series A no. 61.

ბებისათვის გონივრულ ფარგლებში ის შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“<sup>447</sup>

შეზღუდვები რომ დანესდეს, უნდა არსებობდეს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და შეზღუდვები უნდა იყოს პროპორციული შეზღუდვის კანონიერი მიზნისა. სახელმწიფომ უნდა გაამართლოს უფლების შეზღუდვა და დაამტკიცოს, რომ დანესებული შეზღუდვა პროპორციული იყო მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნისა.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, პატივი სცენ ოთხ ინტერესს – პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი და მიმონერა. კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებს აქვთ არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება – არ შეზღუდონ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება – უზრუნველყონ ეფექტიანი სარგებლობა ამ უფლებებით.

საქმეზე – *X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (X and Y v. Netherlands)*<sup>448</sup> – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ურთიერთობებზე კერძო პირებს შორის. ამ საქმეში, რომელიც ეხებოდა 16 წლის ფსიქიკურად დაავადებული გოგონას მიმართ სრულწლოვანი მამაკაცის სექსუალურ ძალადობას, შეუძლებელი იყო ამ მამაკაცის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება პოლანდიის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამო. თუმცა მოპასუხე მთავრობა ამტკიცებდა, რომ გოგონას შეეძლო გამოეყენებინა სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალება, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების არარსებობა პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის მოთხოვნის შეუსრულებლობაა პოლანდიის ხელისუფლების მიერ. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„[მე-8 მუხლი] არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, თავი შეიკავოს შეზღუდვისაგან – ამ ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულება პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემისა. ... ასეთმა ვალდებულებამ შეიძლება საჭირო გახადოს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, თუნდაც ინდივიდებს შორის ურთიერთობათა სფეროში.“<sup>449</sup>

ამის მსგავსად, საქმეზე – *კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. Netherlands)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-8 მუხლის „ძირითადი მიზანი“ არის „... ინდივიდთა დაცვა საჯარო ხელისუფლების უკანონო მოქმედებისაგან. ამასთან ერთად, შეიძლება იყოს პოზიტიური ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს პირადი ცხოვრების [და კონვენციის მე-8 მუხლის

<sup>447</sup> ანდერსონი *შვედეთის წინააღმდეგ (Andersson v. Sweden)*, 1992 წლის 25 თებერვალი, Series A no. 226, 75-ე პუნქტი.

<sup>448</sup> 1985 წლის 26 მარტი, Series A no. 91, 27-ე პუნქტი.

<sup>449</sup> იქვე, 23-ე პუნქტი.

1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სხვა ფასეულობების] ეფექტიანი „პატივისცემიდან.“<sup>450</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მე-8 მუხლში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობის განმარტება, კონვენციის სხვა დებულებების მსგავსად, „ავტონომიურია“. ევროპული სასამართლო არ იზღუდება ტერმინების რაიმე განმარტებით ეროვნული ორგანოების მიერ.

ევროპული სასამართლო თავს არიდებს ნესების დადგენას დაცული უფლებების მნიშვნელობის განმარტებასთან დაკავშირებით. არცერთ შემთხვევაში სასამართლოს არ უცდია, ამომწურავად განესაზღვრა, რა შეადგენს პირად ან ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელს ან მიმონერას.

#### 4.1.1. პირადი ცხოვრება

როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლო ამომწურავად არ განსაზღვრავს პირად ცხოვრებას. საქმესთან – კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. the United Kingdom*) – დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც „არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრებას“. <sup>451</sup> საქმეზე – ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ (*Niemietz v. Germany*) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელიც ინდივიდი შეიძლება მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარესამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“<sup>452</sup>

პირადი ცხოვრება მოიცავს საკითხთა ფართო წრეს.

##### 4.1.1.1. ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება კონცეფციაა, რომელიც მოიცავს პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას. უკვე მოხსენიებული საქმის – X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (*X and Y v. Netherlands*) – განხილვისას ევროპულმა სასამართლომ ნათელყო, რომ ერთი პირის მიერ განხორციელებულმა ფიზიკურმა თავდასხმამ შეიძლება ხელყოს მეორე პირის პირადი ცხოვრება.<sup>453</sup>

<sup>450</sup> 1994 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 297-C, 31-ე პუნქტი; ასევე იხ. *ეირი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland)*, 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A no. 32, 32-ე-33-ე პუნქტები.

<sup>451</sup> 1993 წლის 25 მარტი, Series A no. 247-C, 36-ე პუნქტი.

<sup>452</sup> 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A no. 251-B, 29-ე პუნქტი.

<sup>453</sup> X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (*X and Y v. Netherlands*), 1985 წლის 26 მარტი, Series A no. 91, 22-ე პუნქტი; ასევე იხ. *S.W. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (S.W. v. the United Kingdom)*, 1995 წლის 22 ნოემბერი, Series A no. 335-B.

ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ გამოხატა პოზიცია, რომ, მართალია, ფიზიკური ან მორალური ხელშეუხებლობის შეზღუდვამ შეიძლება ხელყოს ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლება, მაგრამ ყველა მოქმედება არ უნდა ჩაითვალოს ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფად. საქმის *კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom)*, რომელიც ეხებოდა კერძო სკოლის მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ სხეულებრივი სასჯელის გამოყენებას, – განხილვისას სასამართლომ გაითვალისწინა სასჯელის შედარებით უმნიშვნელო ხასიათი, დასაშვებად მიიჩნია მისი გამოყენება სასკოლო გარემოში და განაცხადა, რომ „მოქმედება, რომელმაც განაპირობა განმცხადებლის საჩივარი, არ იწვევს ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისათვის საკმარის ზიანს, რათა მოქმედება მოექცეს მე-8 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში.“<sup>454</sup>

#### 4.1.1.2. პირადი მონაცემების შეგროვება და შენახვა სახელმწიფოს მიერ

სახელმწიფო მოხელეთა მიერ ინფორმაციის შეგროვება ინდივიდის შესახებ მისი თანხმობის გარეშე ზღუდავს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. საქმეში – *მაკეიგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McVeigh and Others v. the United Kingdom)* – განმცხადებლები დაკითხეს, გაჩხრიკეს, აუღეს თითის ანაბეჭდები და მოახდინეს მათი ფოტოგრაფირება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შესაბამისი დოსიეს შენარჩუნება მათ პირად ცხოვრებაში ჩარევაა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყო უშიშროების მიზნებისათვის და რომ არსებობს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რამაც გადაწონა განმცხადებელთა უფლების შეზღუდვა და ეს ქმედება სასამართლომ ამ შემთხვევაში მართლზომიერად ჩათვალა.<sup>455</sup>

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ ეროვნული უშიშროების დაცვისათვის სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ კანონები, რომლებიც ხელისუფლებას ანიჭებენ უფლებას, შეაგროვონ და შეინახონ ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელ დოსიეში.<sup>456</sup> ევროპული სასამართლო ასევე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება ეროვნული უშიშროებისათვის მნიშვნელოვან თანამდებობებზე კანდიდატთა ვარგისიანობის შესაფასებლად. სახელმწიფოს ვალდებულება არის, დაადგინოს ასეთი გამონაკლისი პირობები და სპეციალური თანამდებობები. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა კანონით უნდა უზრუნველყონ დაცვის მინიმალური სტანდარტები, რათა თავიდან იქნეს

454 1993 წლის 25 მარტი, Series A no. 247-C, 36-ე პუნქტი.

455 კომისიის მოხსენება, 25 D.R. 15, 1981 წლის 18 მარტი.

456 *ლიანდერი შევედთის წინააღმდეგ (Leander v. Sweden)*, 1987 წლის 26 მარტი, Series A no. 116, 59-ე პუნქტი.

აცილებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფოს მიერ. სასამართლომ აღნიშნა:

„ექვს არ ინვეს იმის აუცილებლობა, რომ თავისი ეროვნული უშიშროების დასაცავად ხელშემკერელმა სახელმწიფოებმა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მიანიჭონ იმის უფლებამოსილება, რეესტრში შეიტანონ საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელი ინფორმაცია და გამოიყენონ იგი ეროვნული უშიშროებისათვის მნიშვნელოვან თანამდებობებზე კანდიდატთა ვარგისიანობის შესაფასებლად. ამასთან, სადავო ჩარევა უარყოფითად მოქმედებს ბატონი ლიანდერის კანონიერ ინტერესებზე, რადგან მას შეეზღუდა ცალკეულ საჯარო თანამდებობაზე დანიშნვის შესაძლებლობა. მეორე მხრივ, საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობის უფლება, როგორც ასეთი, უზრუნველყოფილი არ არის კონვენციით ... და ამასთანავე, ჩარევა არ იყო დაბრკოლება მისთვის, საკუთარი არჩევანით წარემართა პირადი ცხოვრება.“<sup>457</sup>

#### 4.1.1.3. პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პირადი ინფორმაციის შემცველი სახელმწიფო დოსიეს გაცნობის შეუძლებლობამ შეიძლება ნამოჭრას პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები. საქმე – გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gaskin v. the United Kingdom*) – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართებით.<sup>458</sup> განმცხადებელი ბავშვობაში იმყოფებოდა საზოგადოებრივი მეურვეობის ქვეშ. ადგილობრივი სახელმწიფო ორგანო ინახავდა დოსიეს მისი მეურვეობის შესახებ. მას შემდეგ, რაც იგი ზრდასრული ადამიანი გახდა, გასკინმა მოისურვა, გასცნობოდა დოსიეს თავის შესახებ. სახელმწიფო ორგანომ უარი განაცხადა ასეთი ინფორმაციის გაცემაზე. მან ყურადღება გაამახვილა დოსიეს კონფიდენციალურად შენახვის მნიშვნელობაზე მეურვეობის სისტემის ეფექტიანობისათვის. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„განმცხადებლის მდგომარეობაში მყოფ პირებს აქვთ კონვენციით დაცული სასიცოცხლო ინტერესი ისეთი ინფორმაციის მიღებისადმი, რაც აუცილებელია მათთვის, რათა იცოდნენ თავიანთი ბავშვობისა და განვითარების შესახებ.“<sup>459</sup>

პირადი მონაცემების დაცვას მესამე მხარისა თუ საზოგადოებისაგან დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის. საქმეზე – „ზ“ ფინეთის წინააღმდეგ (*Z v. Finland*) – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობა უნდა იქნეს დაცული.<sup>460</sup>

<sup>457</sup> იქვე.

<sup>458</sup> 1989 წლის 7 ივლისი, Series A no 160.

<sup>459</sup> იქვე, 49-ე პუნქტი.

<sup>460</sup> 1997 წლის 25 თებერვალი.

#### 4.1.1.4. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოება

სქესობრივი ურთიერთობა შედის პირადი ცხოვრების სფეროში. საქმეში – დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), რომელიც ეხებოდა ურთიერთთანხმობით პომოსექსუალურ ურთიერთობას სრულწლოვან მამაკაცებს შორის, – სასამართლომ სქესობრივი ცხოვრება აღწერა როგორც პირადი ცხოვრების „ყველაზე ინტიმური ასპექტი“.<sup>461</sup> ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი კანონმდებლობის არსებობამ, რომელიც უკანონოდ აცხადებდა პომოსექსუალურ ურთიერთობას, შელახა განმცხადებლის პირადი ცხოვრების უფლება.

სქესის შეცვლა მიჩნეულ იქნა პირადი ცხოვრების საკითხად. საქმეზე – რეესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Rees v. the United Kingdom*), (1986 წელი) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მთავრობას არ შეუღალავს ტრანსსექსუალის პირადი ცხოვრების უფლება, შეცვლილიყო დაბადების მონუმბაში შეტანილი ინფორმაცია განმცხადებლის სქესის შესახებ, დაბადების რეგისტრაციის არსებული სისტემის შეცვლაზე უარის გამო. სასამართლომ მსგავსი პოზიცია ჩამოაყალიბა საქმეზე – კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Cossey v. the United Kingdom*), (1990 წელი).<sup>462</sup> თუმცა საქმეზე – „ბ“ საფრანგეთის წინააღმდეგ (*B v. the United Kingdom*) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს უარმა, განმცხადებლისათვის დაერთო ნება, შეეცვალა თავისი სახელი ქალის სახელით, რასაც დაემატა სახელმწიფოს უარი, ცვლილება შეეტანა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერში, განმცხადებელს შეუქმნა სირთულეები ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინაიდან სახელმწიფომ არ გაატარა საკმარისი ღონისძიებები მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების უზრუნველსაყოფად.<sup>463</sup>

#### 4.1.1.5. სახელები

სახელის/გვარის არჩევის უფლებას მოიცავს კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილი პირადი და ოჯახური ცხოვრება, ვინაიდან იგი არის ინდივიდთა პირადი იდენტიფიცირების საშუალება.<sup>464</sup>

461 1981 წლის 22 ოქტომბერი, Series A no. 45, 52-ე პუნქტი.

462 ასევე იხ. ვან ოოსტერვიკი ბელგიის წინააღმდეგ (*Van Oosterwijk v. Belgium*), კომისიის მოხსენება, 1979 წლის 1 მარტი, Series B no. 36, 52-ე პუნქტი.

463 1992 წლის 25 მარტი, Series A no. 232-C.

464 სტიერნა ფინეთის წინააღმდეგ (*Stjerna v. Finland*), 1994 წლის 25 ნოემბერი, Series A no. 299-B; გუილო საფრანგეთის წინააღმდეგ (*Guillot v. France*), 1996 წლის 24 ოქტომბერი, RJD 1996-V, N19.

## 4.1.2. ოჯახური ცხოვრება

### 4.1.2.1. დაუქორწინებელი მშობლები და შვილების სამართლებრივი მდგომარეობა

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების განმარტება სტრასბურგის ორგანოების მიერ გაცადა ფორმალურ ურთიერთობას და მოიცავდა ასევე ფაქტობრივი კავშირები პარტნიორებს შორის.<sup>465</sup> ამდენად, თუ პარტნიორებს ზრდა აქვთ ფორმალური ურთიერთობა, არის თუ არა ასეთი ურთიერთობა ოჯახური ცხოვრება, დამოკიდებული იქნება ფაქტობრივ მდგომარეობაზე. ამ მიმართებით ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალური არსებობის ფაქტზე ...“.<sup>466</sup> საქმეზე – *კროონ ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. Netherlands)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„სასამართლო იხსენებს, რომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახური ცხოვრების“ ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა *de facto* „ოჯახურ კავშირებს“, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. ... თუმცა, როგორც ნესი, ერთად ცხოვრება შეიძლება ასეთი ურთიერთობის მოთხოვნა იყოს, გამოწვეულია სახით სხვა ფაქტორებმა ასევე შეიძლება მოახდინონ იმის დემონსტრირება, რომ ასეთ ურთიერთობას აქვს საკმარისი მდგრადობა, რათა დამყარდეს *de facto* „ოჯახური კავშირები“; ... ასეთი ურთიერთობის შედეგად დაბადებული შვილი არის *ipso jure* „ოჯახური ერთეულის“ ნაწილი მისი დაბადების მომენტიდან და თავად ამ ფაქტის გამო. ...“.<sup>467</sup>

მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრება არ მიიჩნევა ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელ წინაპირობად.<sup>468</sup>

საქმე – *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)* – ეხებოდა დაუქორწინებელი დედის განაცხადს ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით ქორწინებისგარეშე შვილის სტატუსის შესახებ.<sup>469</sup> ამ საქმის განხილვის დროს მოქმედი ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინებისგარეშე შვილების აღიარება მხო-

<sup>465</sup> *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland)*, 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 112; *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 1979 წლის 13 ივნისი, Series A no. 31 და X, Y და Z *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y and Z v. the United Kingdom)*, 1997 წლის 22 აპრილი, EHRR 1997-II.

<sup>466</sup> „კ“ *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (K v. the United Kingdom)*, No. 11468/85, 1986 წლის 15 ოქტომბერი, 50 DR 199; X, Y და Z *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X, Y and Z v. the United Kingdom)*, 1997 წლის 22 აპრილი, EHRR 1997-II, 36-ე პუნქტი.

<sup>467</sup> 1994 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 297-C.

<sup>468</sup> *კროონ ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. Netherlands)*, Series A no. 297-C, 30-ე პუნქტი; ასევე იხ. *ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Berrehab v. Netherlands)*, 1988 წლის 21 ივნისი, Series A no. 138.

<sup>469</sup> 1979 წლის 13 ივნისი, Series A no. 31.



ლოდ მაშინ მოხდებოდა თავიანთი დედის შეილება, თუ დედა ფორმალურად ცნობდა თავის დედობას. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დედასა და შვილს შორის ბიოლოგიური კავშირი ქმნის ოჯახურ ცხოვრებას მე-8 მუხლის გაგებით, რაც ასევე ვრცელდება დედისა და უკანონო შვილის შემთხვევაზე, ვინაიდან კონვენცია არ განასხვავებს „კანონიერ“ და „უკანონო“ შვილებს.<sup>470</sup>

საქმეზე – *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებელ მშობლებსა და მათ შვილებს შორის ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობის ნორმალურად განვითარება მოითხოვს, მათი შვილები ჩაყენებულ იქნენ იმავე სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობაში, რომელშიც არიან დაქორწინებული მშობლების შვილები. მშობელთა ქორწინებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო შვილების განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება იკრძალება კონვენციის მე-8 მუხლით, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მე-14 მუხლთან ერთად.<sup>471</sup>

ოჯახური ცხოვრება ძირითადად ეხება ურთიერთობას მეუღლეებს შორის, მშობლებსა და შვილს შორის, თუმცა ის ასევე მოიცავს ურთიერთობას დამძას,<sup>472</sup> ბებია-ბაბუასა<sup>473</sup> და შვილიშვილს შორის და ურთიერთობას მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის.<sup>474</sup>

#### 4.1.2.2. მეურვეობა და მზრუნველობა

##### 4.1.2.2.1. მეურვეობა

ვინაიდან ოჯახური ცხოვრება მოიცავს სხვადასხვა ურთიერთობას, ერთერთის შეწყვეტა (მაგ., განქორწინების გზით) ავტომატურად არ უნდა ნიშნავდეს ოჯახის ყველა წევრს შორის ურთიერთობის შეწყვეტას. საქმესთან – *ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Berrehab v. Netherlands)* – ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა შეხედულება, რომ, მიუხედავად მშობლების განქორწინებისა, გრძელდება ოჯახური ცხოვრება მამასა და შვილს შორის, ვინაიდან მამა ინარჩუნებდა ურთიერთობას თავის შვილთან.<sup>475</sup>

თუ არსებობს ოჯახური ურთიერთობა მამასა და შვილს შორის, ამ უკანასკნელის გაშვილება მამის თანხმობის ან მამისათვის შეტყობინების გარეშე, მე-

470 31-ე და 45-ე პუნქტები.

471 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 112, 74-ე-76-ე პუნქტები.

472 *ოლსონი შედეთის წინააღმდეგ (Olsson v. Sweden)*, 1988 წლის 24 მარტი, Series A no. 130, 81-ე პუნქტი; *მუსტაკვიმი ბელგიის წინააღმდეგ (Moustaquim v. Belgium)*, 1991 წლის 18 თებერვალი, Series A no. 193, 56-ე პუნქტი.

473 *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 1979 წლის 13 ივნისი, Series A no. 31, 45-ე პუნქტი; *ფრისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Price v. the United Kingdom)*, No. 12402/86, 1988 წლის 14 ივლისი, 55 DR 224, 1988.

474 *სოდერბეკი შვედეთის წინააღმდეგ (Söderbäck v. Sweden)*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, 29 EHRR 95, 1998-VII.

475 1988 წლის 21 ივნისი, Series A no. 138, 21-ე პუნქტი.

მ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების უფლების შელახვაა. საქმის – *კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland)*, რომელიც ეხებოდა ირლანდიის კანონმდებლობას გაშვილების შესახებ, – განხილვისას ევროპულმა სასამართლომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების დარღვევად ჩათვალა ის ფაქტი, რომ ბიოლოგიურ მამას არ ჰქონდა შეილად აყვანის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება.<sup>476</sup>

მე-8 მუხლი არ შეიცავს წესს იმ საკითხის შესახებ, რომელ მშობელს უნდა მიენიჭოს მეურვეობის უფლება განქორწინების შემთხვევაში. ეს საკითხი ეროვნულმა კანონმდებელმა უნდა გადაწყვიტოს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლის გადასაწყვეტია, დედას თუ მამას უნდა მიენიჭოს მეურვეობის უფლება, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ (Hoffmann v. Austria)* – აღნიშნა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ უნდა იქნეს გათვალისწინებული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც მამას მიანიჭა მეურვეობის უფლება, მიღებული იქნა მხოლოდ დედის რელიგიური კუთვნილების (იეჰოვას მოწმე) გამო.<sup>477</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს, რომელ მშობელს უნდა ჰქონდეს შვილზე მეურვეობის უფლება, ევროპული სასამართლო ემხრობა შეხედულებას, რომ მეორე მშობელსაც აქვს შვილთან კონტაქტის უფლება, რათა შეინარჩუნოს კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრება.<sup>478</sup> საქმეში – *ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ (Hokkanen v. Finland)* – მამა ედავებოდა ბებია-ბაბუას თავისი შვილის მეურვეობისა და კონტაქტების დამყარების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ მამას ჰქონდა თავისი შვილის მეურვეობისა და მასთან კონტაქტების დამყარების უფლება, მოპასუხე სახელმწიფომ არ უზრუნველყო ამ უფლებათა განხორციელება. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა შვილთან კონტაქტის უფლება, რასაც ითვალისწინებს მე-8 მუხლი.<sup>479</sup>

#### 4.1.2.2.2. მზრუნველობა

ევროპულმა სასამართლომ ნათელი მოჰფინა იმას, რომ მშობლები უნდა იყვნენ ჩართული თავიანთი შვილების მზრუნველობაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა ისინი უზრუნველყოფილ იყვნენ თავიანთი ინტერესების სათანადო დაცვით. საქმეზე – „ბ“ *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (B v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

<sup>476</sup> 1994 წლის 26 მაისი, Series A no. 290, 55-ე პუნქტი.

<sup>477</sup> 1993 წლის 23 ივნისი, Series A no. 255-C.

<sup>478</sup> *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland)*, 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 112, 57-ე პუნქტი.

<sup>479</sup> 1994 წლის 23 სექტემბერი, Series A no. 299-A.

„ამდენად, საქმის კონკრეტული გარემოებებისა და მისაღები გადაწყვეტილების სერიოზული ხასიათის გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს, იყენებ თუ არა მშობლები საკმარისად ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც აუცილებელი იყო თავიანთი ინტერესების სათანადოდ დასაცავად. თუ არა – მაშინ ვერ იქნება უზრუნველყოფილი ოჯახური ცხოვრების პატივისცემა...“.<sup>480</sup>

მშობლებსა და შვილებს შორის კონტაქტების შენარჩუნება ამ უკანასკნელთა მზრუნველობაში ყოფნის განმავლობაში ის საკითხია, რომელსაც ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ გადაწყვეტილება ბავშვზე მზრუნველობის დანესების შესახებ შეესაბამება კონვენციას, მან ასევე შეიძლება დაადგინოს, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის შეზღუდვა ან აკრძალვა არ აკმაყოფილებს მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ამ მიმართებით გასათვალისწინებელია ორი ინტერესი: მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს, ერთი მხრივ, შვილის ინტერესების დაცვის არსებით და საკმარის მიზეზებს და, მეორე მხრივ, ოჯახის შემდგომი გაერთიანების აუცილებლობას. ურთიერთობის შეზღუდვა უნდა იყოს იმ ინტერესის პროპორციული, რომელსაც ემსახურება შეზღუდვა. საქმეში – *ანდერსონი შეედეთის წინააღმდეგ (Andersson v. Sweden)* – დედა და მისი ვაჟიშვილი ამტკიცებდნენ, რომ 18 თვის განმავლობაში მკაცრად შეზღუდვით ვიზიტებისა და სატელეფონო თუ საფოსტო კონტაქტების უფლება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ გაამართლა შეფარდებული მკაცრი ღონისძიებები, რამაც გამოიწვია მე-8 მუხლის დარღვევა.<sup>481</sup>

საქმეში – *იოჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ (Johansen v. Norway)* – განმცხადებელი ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას მზრუნველობის ორგანოსათვის თავისი ქალიშვილის გადაცემის შესახებ, შემდგომ მისი გაშვილების მიზნით.<sup>482</sup> მეურვეობის კომიტეტმა მიიჩნია, რომ ქ-ნი იოჰანსენის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელი იყო, რომ მას ეზრუნა თავის შვილზე. ამის გამო კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა განმცხადებლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და ბავშვის გადაცემა მზრუნველობის ორგანოსათვის მისი გაშვილების მიზნით. ამასთანავე, კომიტეტის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს აეკრძალა კონტაქტი თავის შვილთან. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა თავისი შვილის მიმართ იყო მე-8 მუხლის დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„ამ ღონისძიებებმა გამოიწვია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები, ვინაიდან მთლიანად წაართვა განმცხადებელს თავის შვილთან ურთიერთობის უფლება, რაც ეწინააღმდეგება მათი ხელახლა გაერთიანების მიზანს. ასეთი ღონისძიებები უნდა გამოიყენონ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მათი

480 1987 წლის 8 ივლისი, 65-ე პუნქტი.

481 1992 წლის 25 თებერვალი, Series A no. 226.

482 1996 წლის 7 აგვისტო, 23 EHRR 33, 1996-III.

გამართლება შეიძლება, თუ მოტივირებულია ბავშვის ინტერესების დაცვის აუცილებლობით...".<sup>483</sup>

საქმე – *ოლსონი შედეთის წინააღმდეგ (Olsson v. Sweden)* – ეხებოდა შედეთის ხელისუფლების გადანაცვეტილებას განმცხადებელთა 3 შვილის (სტეფანი, ჰელენა და თომასი) მზრუნველობაში გადაცემის შესახებ.<sup>484</sup> სტეფანი მოათავსეს მზრუნველების ოჯახში, რომელიც განმცხადებლების საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებული იყო 100 კმ-ით; ჰელენა და თომასი კი სხვადასხვა ოჯახში – 100 კმ-ით დაშორებით ერთმანეთისაგან და 600 კმ-ით დაშორებით განმცხადებლებისაგან. განმცხადებლები ევროპული კომისიის წინაშე ამტკიცებდნენ, რომ მათი შვილების განთავსება მათგან ამ მანძილზე იყო ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„... სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ დგას შვილების გაშვილების საკითხი. ამიტომ, გადანაცვეტილება მზრუნველობის შესახებ დროებით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, რაც შეწყდება გარემოებათა გაუმჯობესებისთანავე, ხოლო გატარებული ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს ოლსონების ოჯახის ხელახლა გაერთიანების მიზანს.

ფაქტობრივად, შედეთის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ეწინააღმდეგება ასეთ მიზანს, რადგან კავშირები ოჯახის წევრებს შორის და მათი წარმატებული გაერთიანება ძალაუვნებურად შესუსტდება, თუ შეიქმნება დაბრკოლებები მათ შორის იოლი და რეგულარული კონტაქტებისათვის. ჰელენასა და თომასის მოთავსება თავიანთი მშობლებისა და სტეფანისაგან ასეთ დიდ მანძილზე უარყოფით გავლენას მოახდენდა მათ შორის ურთიერთობაზე.“<sup>485</sup>

ამდენად, ევროპულმა სასამართლომ ნათელი მოჰფინა იმას, რომ გადანაცვეტილება ბავშვების მზრუნველებისათვის გადაცემის შესახებ ისე უნდა მიიღონ, რომ მან უზრუნველყოს მშობლების იოლი და რეგულარული კონტაქტი შვილებთან.

#### 4.1.2.3. უცხოელები: იმიგრაცია და გაძევება

კონვენციის მე-8 მუხლი არ ანიჭებს უცხოელებს რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოში ცხოვრების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, გააკონტროლოს უცხოელების შესვლა თავის ტერიტორიაზე, კონვენცია სახელმწიფოს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ოჯახური ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით.

საქმე – *მუსტაკვიმი ბელგიის წინააღმდეგ (Moustaquim v. Belgium)* – ეხებოდა განმცხადებლის დეპორტაციას მაროკოში. განმცხადებელი ბელგიაში ჩაიყვანეს 2 წლის ასაკში, სადაც ცხოვრობდა მისი ყველა ახლო ნათესავი. მან მიი-

<sup>483</sup> იხ. 78-ე პუნქტი.

<sup>484</sup> 1988 წლის 24 მარტი, Series A no. 130.

<sup>485</sup> 81-ე პუნქტი.

ლო ბელგიის მოქალაქეობა.<sup>486</sup> განმცხადებელი სკოლაში სწავლობდა ფრანგულ ენაზე და მხოლოდ ორჯერ იმყოფებოდა მაროკოში არდადეგებზე. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი დეპორტაცია მაროკოში არ იყო დასახული მიზნის პროპორციული.

ევროპული სასამართლო განსხვავებულ შეხედულებას ემხრობა, თუ განმცხადებელი ინარჩუნებს გარკვეულ კავშირებს თავისი ნარმოშობის ქვეყანასთან. საქმეზე – ბუგანემი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Boughanemi v. France*) სასამართლომ აღნიშნა: სავარაუდოა, განმცხადებელმა შეინარჩუნა კავშირები ტუნისთან, ვინაიდან იგი არ ამტკიცებდა, რომ არ შეეძლო საუბარი არაბულ ენაზე, ან რომ განეციტა კავშირები ამ ქვეყანასთან.<sup>487</sup> ამ საქმეზე გადანეციტილების მიღებისას სასამართლომ ასევე გაითვალისწინა განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და გადამწყვეტად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ დეპორტაციის ბრძანების მიღების შემდეგ განმცხადებელი ცხოვრობდა ფრანგ ქალთან, რომლისგანაც ჰყავდა შვილი.

ევროპული სასამართლო ითვალისწინებს რამდენიმე ფაქტორს პირის დეპორტაციის შესახებ გადანეციტილების მიღებისას. ეს ფაქტორებია: განმცხადებლის ასაკი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს, დანაშაულის რაოდენობა და ხასიათი, ნარმოშობის ქვეყანაში განმცხადებლის ვიზიტების რაოდენობა, განმცხადებლის მიერ ნარმოშობის ქვეყნის ენის ცოდნა და სხვ.

ის ფაქტი, რომ ოჯახს აქვს შესაძლებლობა, დაბრუნდეს თავისი ნარმოშობის ქვეყანაში, რათა იცხოვროს შვილთან ერთად, ასევე შეიძლება გადამწყვეტი გახდეს. საქმე – გული შვეიცარიის წინააღმდეგ (*Gül v. Switzerland*) – ეხებოდა თურქი ეროვნების მამაკაცის განაცხადს, რომელიც ცხოვრობდა შვეიცარიაში და რომელმაც უშედეგოდ მიმართა ხელისუფლებას, რათა თავისი 12 წლის შვილი ჩასულიყო შვეიცარიაში მასთან საცხოვრებლად.<sup>488</sup> ვინაიდან ბ-ნ გულს არაფერი აბრკოლებდა, ეცხოვრა თავისი ოჯახის წევრთან ერთად თურქეთში, სადაც თავისი შვილი ცხოვრობდა, სასამართლომ დაასკვნა, რომ შვეიცარიას არ დაურღვევია მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები და, შესაბამისად, შვეიცარიის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მე-8 მუხლის დაცვა.

საქმეზე – აჰმუტი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Ahmut v. Netherlands*) – სასამართლომ განაცხადა, რომ ნიდერლანდების ხელისუფლების უარი, იმ ქვეყანაში შესვლის ნება დაერთო ბ-ნი აჰმუტის 15 წლის ვაჟიშვილისათვის, სადაც ბ-ნი აჰმუტი გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა, არ არღვევს კონვენციის მე-8 მუხლს.<sup>489</sup> სასამართლომ დაასაბუთა თავისი პოზიცია იმით, რომ ბიჭმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა მაროკოში, რომელთანაც მას აქვს ენობრივი და კულტურული კავშირები და სადაც იგი აღიზარდა ოჯახის სხვა წევრების მიერ.

ევროპულმა სასამართლომ ცხადყო, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ ირ-

486 1991 წლის 18 თებერვალი, Series A no. 193.

487 1996 წლის 24 აპრილი.

488 1996 წლის 19 თებერვალი.

489 1996 წლის 28 ნოემბერი.

ღვევა, თუ მეუღლეებს შეუძლიათ ერთად ცხოვრება რომელიმე სხვა ქვეყანაში. მე-8 მუხლი შეიძლება დაირღვეს, თუ ორივე მეუღლის სახელმწიფო უარს აცხადებს, უზრუნველყოს მეუღლე, რომელიც არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე, ამ ქვეყანაში კანონიერად ცხოვრების უფლებით.

#### 4.1.3. საცხოვრებელი

ზოგადად „საცხოვრებელი“ ის ადგილია, სადაც პირი მუდმივად ცხოვრობს. საქმეზე – *ნიმიეტი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სამსახურებრივი სათავეს შეიძლება მოცულ იქნეს „საცხოვრებლის“ ცნებით.<sup>490</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან „პროფესიასთან ან მენარმეობასთან დაკავშირებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს პირის კერძო საცხოვრებელი სახლიდან, ხოლო საქმიანობა, რომელიც არ ეხება მას, შეიძლება განხორციელდეს ოფისში ან კომერციულ სათავესში“, „ყოველთვის შესაძლებელი არ არის მათი ზუსტი გამოიჯნა“.<sup>491</sup>

„საცხოვრებლით“ დაცული ინტერესები მოიცავს საცხოვრებლით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას. უფრო კონკრეტულად, იგი მოიცავს საცხოვრებლის დაცვას განზრახ ზიანის მიყენებისაგან და დაცვას ზემოქმედებისაგან, მათ შორის ბუნებრივისაგან.

##### 4.1.3.1. განზრახ ზიანის მიყენებისაგან დაცვა

კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს პირის უფლებას – მისი საცხოვრებელი დაცული იყოს თავდასხმებისაგან სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების მხრიდან. საქმეზე – *აკდივარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Akdivar and Others v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უშიშროების ძალები პასუხისმგებელნი იყვნენ განმცხადებელთა საცხოვრებლების დანევაზე და დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.<sup>492</sup>

##### 4.1.3.2. ზემოქმედებისაგან დაცვა

საცხოვრებლის კონცეფცია მოიცავს საცხოვრებლით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას. საქმეში – *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)* – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თვითმფრინავის ხმის ინტენსივობამ და ხანგრძლივობამ, რომელსაც იწვევდა საჰაერო მიმოსვლა ჰისროუს აეროპორტში, შელახა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. ვინაიდან უნდა დადგინდეს ბალანსი ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესებს შორის, ევროპულმა

<sup>490</sup> 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A no. 251-B, 30-ე პუნქტი.

<sup>491</sup> 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A no. 251-B, 30-ე პუნქტი.

<sup>492</sup> 1996 წლის 16 სექტემბერი, 1996-IV-1193, 1 BHRC 137; ასევე იხ. *სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ (Selcuk and Asker v. Turkey)*, 1998 წლის 24 აპრილი, 26 EHRR 477, 1998-II.

სასამართლომ განაცხადა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.<sup>493</sup>

#### 4.1.3.3. ბუნებრივი ზემოქმედებისაგან დაცვა

საცხოვრებლის კონცეფცია ასევე მოიცავს ბუნებრივი ზემოქმედებისაგან დაცვას. საქმე – *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)* – ეხებოდა საჩივარს სუნიის, ხმაურისა და კვამლით ჰაერის დაბინძურების გამო, რაც მომდინარეობდა განმცხადებლის საცხოვრებელთან ახლომდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროდან.<sup>494</sup> განმცხადებლის მტკიცებით, ისინი არღვევდნენ მისი საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა ჯანმრთელობისათვის ფაქტობრივი ზიანის მიყენება და აღნიშნა, რომ: „გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მართლაც მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ თავიანთი საცხოვრებლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა.“<sup>495</sup>

#### 4.1.3.4. საცხოვრებლის ჩხრეკა

საცხოვრებლის პატივისცემის უფლება მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ჩხრეკის, ამოღებისა და შემონახვისაგან დაცვას. სახელმწიფომ ასეთი მოქმედება უნდა გაამართლოს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებით.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს ისეთი ღონისძიების ჩატარება, როგორცაა საცხოვრებლის ჩხრეკა, რათა მოიპოვოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ნივთმტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ღონისძიებები ზღუდავენ პირადი ცხოვრების ან საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას, სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების გამართლება უნდა იყოს მნიშვნელოვანი, საკმარისი და დასახული მიზნის პროპორციული. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ შესაბამისმა კანონმდებლობამ და პრაქტიკამ მიაწიჭოს პირებს სახელმწიფოს მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან ადეკვატური და ეფექტიანი დაცვის საშუალება.

საქმეში – *კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ (Camenzind v. Switzerland)*, რომელიც ეხებოდა შვეიცარიის კანონმდებლობას საცხოვრებლის ჩხრეკის შესახებ და ამ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვას, – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა შემდეგ ელემენტებზე:<sup>496</sup>

1. ჩხრეკა შეიძლება განხორციელდეს შეზღუდული რაოდენობის მაღალი

<sup>493</sup> 1990 წლის 21 თებერვალი, Series A no. 172, 45-ე პუნქტი.

<sup>494</sup> 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-C.

<sup>495</sup> 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-C, 51-ე პუნქტი.

<sup>496</sup> 1997 წლის 16 დეკემბერი.

თანამდებობის სახელმწიფო მოხელეთა წერილობითი ბრძანებით და იგი შეიძლება ჩაატარონ ამისათვის სპეციალურად მომზადებულმა მოხელეებმა;

2. ეს მოხელეები ვალდებული არიან, აიცილონ ეს საქმე, თუ არსებობს გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მათ მიუკერძოებლობაზე;
3. ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს საცხოვრებელ სახლებსა და სხვა სათავსოებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეჭვმიტანილი იქ იმალება, ან, თუ საგანი ან ფასეულობა, რომელიც ეჭვმდებარება ამოღებას, ან დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება შეიძლება იქნეს აღმოჩენილი;
4. ჩხრეკა არ შეიძლება განხორციელდეს კვირას ან სადღესასწაულო დღეს, ან ღამით, „გარდა მნიშვნელოვანი ან გარდაუვალი საფრთხის შემთხვევისა“;
5. ჩხრეკის დასაწყისში გამომძიებელმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მონმობა და სათავსოს მფლობელს აცნობოს ჩხრეკის მიზანი. ამ უკანასკნელს, მის ნათესავს ან ოჯახის სხვა წევრებს უნდა ეთხოვოთ, დაესწრონ ჩხრეკას;
6. ჩხრეკას ასევე უნდა დაესწროს საჯარო მოხელე, რათა უზრუნველყოს, რომ არ შეიცვალოს ჩხრეკის მიზანი;
7. ჩხრეკის ოქმი დაუყოვნებლივ უნდა შედგეს იმ პირების თანდასწრებით, რომლებიც ესწრებოდნენ ჩხრეკას და თუ ისინი ამას მოითხოვენ, მათ უნდა მიეცეთ ჩხრეკის ორდერისა და ჩხრეკის ოქმის ასლი.
8. დოკუმენტების ჩხრეკა ეჭვმდებარება სპეციალურ შეზღუდვებს.
9. გარემოების მიუხედავად ეჭვმიტანილებს აქვთ წარმომადგენლობის უფლება.
10. ნებისმიერ პირს, რომელსაც შეეფარდა საგამომძიებო მოქმედება და რომელსაც აქვს ინტერესი, რომ ამ ღონისძიების კანონიერება შემომხდეს, უნდა შეეძლოს საჩივრის შეტანა ფედერალურ სასამართლოში.
11. თუ არ დადასტურდა ვარაუდი, „ეჭვმიტანილს“ შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება მიყენებული ზარალისათვის.<sup>497</sup>

შეიცარიის კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა მე-8 მუხლი.

მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, ჩხრეკისათვის საჭიროა სასამართლო ორდერის წინასწარ გაცემა, რათა ეს მოქმედება მიჩნეულ იქნეს მე-8 მუხლით გათვალისწინებული მიზნის პროპორციულად, საქმემ – *ნიმიეტი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany)* – ნათელყო, რომ სასამართლო ორდერის არსებობის ფაქტი ყოველთვის საკმარისი არ არის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დასაცავად. თუ ჩხრეკის ორდერი არ არის გაცემული, ასეთი ღონისძიება მხოლოდ მაშინ შეესაბამება მე-8 მუხლს, როდესაც ჩხრეკის

<sup>497</sup> იქვე, 46-ე პუნქტი.



მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი წესები საკმარისად იცავენ განმცხადებლის უფლებას ამ დებულების მიხედვით.

#### 4.1.4. მიმონერა

პირის მიერ მიმონერის პატივისცემის უფლება სხვებთან უწყვეტი და ცენზურის გარეშე კომუნიკაციის უფლებაა. ტერმინი „მიმონერის“ მნიშვნელობა მოიცავს სატელეფონო კომუნიკაციას<sup>498</sup> და კომუნიკაციას ტელეტექსტის მეშვეობით.<sup>499</sup> ახალი ტექნოლოგიის განვითარებამ შეიძლება კიდევ უფრო გააფართოოს მიმონერის პატივისცემის უფლების შინაარსი.

მიმონერის შემონემა ზოგადად მიიჩნევა როგორც პირადი ცხოვრების, ისე მიმონერის პატივისცემის უფლების შეზღუდვად. ორი ისეთი საკითხი, როგორიცაა მიმონერის შემონემა და სატელეფონო მოსმენა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით.

##### 4.1.4.1. მიმონერის შემონემა

მიმონერის პატივისცემის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაპატიმრებულ პირებთან მიმართებით. საქმეზე – *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრისათვის თავის ადვოკატთან მიმონერაში ხელის შეშლამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი.<sup>500</sup>

საქმეში – *კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell v. the United Kingdom)* – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თავის ადვოკატსა და კომისიასთან მიწერილი წერილები გაიხსნა და წაკითხულ იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრის მიმონერა ადვოკატთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-8 მუხლის მიხედვით და, შესაბამისად, ამ უფლების შეზღუდვა მოითხოვს მნიშვნელოვან გამართლებას. სასამართლომ განაცხადა:<sup>501</sup>

„ეს ნიშნავს, ციხის ადმინისტრაციას შეუძლია გახსნას ადვოკატისაგან პატიმრის სახელზე შემოსული წერილი, როდესაც მას აქვს დასაბუთებული ეჭვი ვარაუდისათვის, რომ წერილი შეიცავს უკანონო მასალას, რომელიც ვერ იქნა აღმოჩენილი შემონემების ჩვეულებრივი საშუალებით. თუმცა წერილი შეიძლება მხოლოდ გაიხსნას, მაგრამ არ უნდა იქნეს წაკითხული. ჯეროვანი გარანტიები უნდა იქნეს დაცული წერილის წაკითხვის წინააღმდეგ – მაგ., წერილის გახსნა პატიმრის თანდასწრებით. ადვოკატისადმი მიმართული პატიმრის წერილე-

<sup>498</sup> *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, Series A no. 28, 41-ე პუნქტი.

<sup>499</sup> *კრისტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Christie v. the United Kingdom)*, 1994 წლის 27 ივნისი, No. 21482/93, 78-A DR 119.

<sup>500</sup> 1975 წლის 21 თებერვალი, Series A no. 18.

<sup>501</sup> 1992 წლის 25 მარტი, Series A no. 233.

ბის ნაკითხვა, მეორე მხრივ, შეიძლება დაიშვას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციას აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ ადვოკატთან მიმონერის უფლებით ბოროტად სარგებლობენ და წერილის შინაარსი საფრთხეს უქმნის ციხის უშიშროებას ან სხვათა უსაფრთხოებას, ან სხვაგვარად დანაშაულებრივი ხასიათისაა. რა მიიჩნევა „დასაბუთებულ ეჭვად“, დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, იგი გულისხმობს ისეთი ფაქტის ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც დააკმაყოფილებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ ადვოკატთან ურთიერთობის გზა ბოროტად გამოიყენება.“<sup>502</sup>

საქმეში – *ნიედალა პოლონეთის წინააღმდეგ (Niedbala v. Poland)* – პატიმარი ამტკიცებდა, რომ ომბუდსმენისათვის გაგზავნილი მისი წერილი შემონმდა და დაგვიანებით გაიგზავნა.<sup>503</sup> პატიმრის მიმონერის მარეგულირებელ კანონთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

- ა) არ არსებობდა სამართლებრივი დებულებები, რომლებიც თავდებით თავისუფლებული პირების მიმონერის ცენზურის ეფექტიანი გასაჩივრების სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა;
- ბ) კანონი ნებას რთავს სისხლის სამართლის საქმით დაკავებულ ორგანოებს, განახორციელონ პატიმართა მიმონერის ავტომატური შემონმება;
- გ) კანონმა არ განსაზღვრა იმ პირთა კატეგორიები, რომლებთანაც პატიმარს შეეძლო მიმონერა და, შესაბამისად, ომბუდსმენთან მიმონერა ასევე ექვემდებარებოდა შემონმებას;
- დ) შესაბამისი დებულებები არ ადგენს შემონმების განხორციელების პრინციპებს, განსაკუთრებით, ისინი არ აზუსტებენ ხერხსა და დროის ფარგლებს, რომელშიც ის უნდა განხორციელდეს;
- ე) ვინაიდან შემონმება ავტომატური იყო, ადმინისტრაცია არ იყო ვალდებული, პატიმრისათვის გაეცნო დასაბუთებული გადაწყვეტილება, შემონმების განხორციელების მიზეზების შესახებ.<sup>504</sup>

რაც შეეხება არაოპორტიული ხასიათის მიმონერას, ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ დაუშვა პატიმრების მიერ სხვადასხვა სახის წერილების მიღებისა და გაგზავნის უფლების შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობა სახელმწიფოს მიერ. საქმეზე – *სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Silver and Others v. the United Kingdom)* – სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ციხის ადმინისტრაციის მიერ წერილის შემონმებამ დაარღვია მე-8 მუხლი. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი შემონმება ექცევა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში „საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისა“ და „უნუსრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილებისათვის“.<sup>505</sup> ამდენად, სახელმწიფოს ენიჭება ფართო უფლებამოსილება, გააკონტროლოს მიმონერა კერძო პირებთან, განსხვავებით იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებთან და შესაბამის ორგანოებთან მიმონერისა.

502 იხ. 48-ე პუნქტი.

503 2000 წლის 4 ივლისი.

504 81-ე პუნქტი.

505 1983 წლის 25 მარტი, Series A no. 61, 83-ე-105-ე პუნქტები.

#### 4.1.4.2. სატელეფონო მოსმენა

საქმეზე – კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Kruslin v. France*), რომელიც ეხება სატელეფონო მოსმენას, – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„სატელეფონო საუბრების მოსმენა, ისევე როგორც სატელეფონო საუბრების სხვაგვარი მიყურადება, პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეზღუდვაა და ამიტომ უნდა ემყარებოდეს „კანონს“, რომელიც განსაკუთრებით ზუსტია. მნიშვნელოვანია ზუსტი, დეტალური წესების არსებობა ამ საკითხზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, განუწყვეტლივ ვითარდება.“<sup>506</sup>

მოთხოვნა, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა უნდა იყოს კანონზე დაფუძნებული, ნიშნავს, რომ ჩარევას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისი კანონი უნდა იყოს საკმარისად ზუსტი, შეიცავდეს საჯარო ხელისუფლების უკანონობისაგან დაცვის გარანტიებს. საქმის – მელონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*) – მიხედვით სახელმწიფომ ვერ დაარწმუნა სასამართლო, რომ სატელეფონო საუბრების მოსმენის მის უფლებამოსილებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი.<sup>507</sup> გაერთიანებულ სამეფოში სატელეფონო საუბრების მოსმენა წესრიგდებოდა ადმინისტრაციული პრაქტიკით, რომლის დეტალებიც არ გამოქვეყნებულა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ არ იყო საკმარისი სიცხადე იმ ფარგლებსა და ხერხებზე, რომლებითაც ხორციელდებოდა სატელეფონო საუბრების საიდუმლო მოსმენის უფლებამოსილება. სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან ეს იყო ადმინისტრაციული პრაქტიკა, იგი შეიძლებოდა ნებისმიერ დროს შეცვლილიყო.<sup>508</sup>

საქმეში – კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Kruslin v. France*) – მოპასუხე მთავრობა დაეყრდნო საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლს, რომელიც ადგენდა, რომ:

„გამომძიებელ მოსამართლეს შეუძლია, კანონის თანახმად, გაატაროს ნებისმიერი საგამომძიებო ღონისძიება, რომელსაც იგი სასარგებლოდ მიიჩნევს ქვემარჩების დასადგენად.“<sup>509</sup>

მართალია, საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ზემოხსენებულ დებულებას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მას ჰქონდა ხარვეზები, ვინაიდან კანონი არ ადგენდა მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის გარანტიებს, კერძოდ, სატელეფონო მოსმენის წესებსა და პროცედურას და მისი ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის გარანტიებს. სასამართლომ ამ მიმართებით აღნიშნა, რომ:

„უწინარეს ყოვლისა, სისტემა არ იძლევა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სხვადასხვა შესაძლო გამოვლენისაგან ადეკვატური დაცვის საშუა-

506 33-ე პუნქტი.

507 1984 წლის 2 აგვისტო, Series A no. 31.

508 79-ე პუნქტი.

509 1990 წლის 24 აპრილი, Series A no. 176-A, მე-17 პუნქტი.

ლებას. მაგალითად, არსად არცაა განსაზღვრული პირთა კატეგორიები, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ სატელეფონო მოსმენას სასამართლო ბრძანებით და იმ დანაშაულების ხასიათით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ასეთი ბრძანება. არაფერი ავალდებულებს მოსამართლეს, დაადგინოს ვადა სატელეფონო მოსმენისათვის. ასევე არ არის დაზუსტებული იმ მოხსენების შედგენის პროცედურა, რომელიც შეიცავს მოსმენილ საუბრებს. ... გარემოებები, რომლებშიც ჩანანერები შეიძლება ან უნდა წაიშალოს, ან ფირები განადგურდეს, განსაკუთრებით, როდესაც ბრალდებულს მოეხსნა ბრალდება გამომძიებელი მოსამართლის მიერ ან განთავისუფლდა სასამართლოს მიერ.<sup>510</sup>

მიუხედავად იმისა, რომ იმ კანონის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს სატელეფონო მოსმენას, ზოგადად განჭვრეტადი უნდა იყოს, ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულებულება, წინასწარ გააფრთხილოს პირი, რომლის სატელეფონო საუბრები შეიძლება მოისმინონ.<sup>511</sup>

---

510 35-ე პუნქტი; ასევე იხ. კლასი გერმანიის წინააღმდეგ (*Klass v. Germany*), 1978 წლის 6 სექტემბერი, Series A no. 28, 50-ე პუნქტი.

511 ლიანდერი შედეთის წინააღმდეგ (*Leander v. Sweden*), 1987 წლის 26 მარტი, Series A no. 116, 51-ე პუნქტი.

## 5. ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით:

„1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან მრწამსის შეცვლის თავისუფლებას და თავისუფლებას როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად და საჯაროდ ან კერძოდ, გამოავლინოს თავისი რელიგია ან მრწამსი აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

2. რელიგიის ან მრწამსის გამოვლინების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი ზნისთვის, ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.“

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება განეკუთვნება ძირითად უფლებებს, რომელთა გარეშე სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს. ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი შედგება ორი პუნქტისაგან: 1-ლი პუნქტი უზრუნველყოფს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას; მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს ამ უფლების მიმართ. ეს შეზღუდვები უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ისინი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ერთ-ერთი კანონიერი მიზნის მისაღწევად (საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საჯარო ზნისთვის, ჯანმრთელობის, ზნეობის დაცვა ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა).<sup>512</sup> ეს პუნქტი ადგენს ბალანსს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე პირის უფლებასა და საზოგადოების ინტერესებს შორის, როდესაც ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

კონვენცია უზრუნველყოფს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას კვალიფიკაციის გარეშე. ამ უფლების ერთადერთი შესაძლო შეზღუდვა ეხება მის გამოვლინებას.<sup>513</sup> მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს შეზღუდვას რელიგიისა და მრწამსის გამოვლინებასთან დაკავშირებით. საქმეზე – *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Kokkinakis v. Greece)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა:

„მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული უფლებების ფუნდამენტური ხასიათი ასევე აისახება იმ პუნქტის ფორმულირებაში, რომელიც ითვალისწინ-

<sup>512</sup> *ვინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wingrove v. the United Kingdom)*, 1995 წლის 25 ნოემბერი, 24 EHRR 1, 1996-V, 53-ე პუნქტი.

<sup>513</sup> P. van Dijk & G.J.H. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998, 541.

ნებს შეზღუდვებს მათ მიმართ. მე-8, მე-10 და მე-11 მუხლების მეორე პუნქტებისაგან განსხვავებით, რომლებიც მოიცავენ ამ მუხლების პირველი პუნქტებით დაცულ ყველა უფლებას, მე-9 მუხლის მეორე პუნქტი მიუთითებს მხოლოდ „რელიგიის ან მრწამსის გამოვლინების თავისუფლებაზე“. ამდენად, ის აღიარებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც რამდენიმე რელიგია თანაარსებობს ერთსა და იმავე მოსახლეობაში, შეიძლება აუცილებელი იყოს ამ თავისუფლებაზე შეზღუდვის დანესება, რათა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები შეეთავსოს ერთმანეთს და უზრუნველყოფილ იქნეს ყველა პირის მრწამსის პატივისცემა.<sup>514</sup>

ამდენად, სახელმწიფოს უფლებამოსილება – მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეზღუდოს მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი გათვალისწინებული უფლება, ეხება რელიგიის ან მრწამსის გამოვლინებას. შესაბამისად, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება, რელიგიის ან მრწამსის შეცვლის ან მათზე უარის თქმის ჩათვლით, არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერთნაირად სტრუქტურირებული მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებისაგან განსხვავებით, მე-9 მუხლი ერთადერთია იმ უფლებათაგან, რომელიც არ რთავენ ნებას სახელმწიფოს, მოიშველიოს „ეროვნული უშიშროება“, რათა გაამართლოს დაცული უფლების შეზღუდვა.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება ნიშნავს, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს მოპყრობას, რომლის მიზანია აზროვნების ნების შეცვლა. იგი ნიშნავს, რომ პირს აქვს უფლება, არა მხოლოდ გამოავლინოს თავისი რელიგია და მრწამსი, არამედ ასევე თავი შეიკავოს მისი გამოვლენისაგან. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს, *inter alia*, თავისუფლებას, პირს ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.<sup>515</sup>

მე-9 მუხლთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე არის *კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ (Kokkinakis v. Greece)*.<sup>516</sup> ამ საქმეში ბ-ნი კოკინაკისი და მისი მეუღლე, რომლებიც იეპოვას მონაგები იყვნენ, სახლში მივიდნენ ქ-ნ კირიაკისთან, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, და გამართეს დისკუსია მასთან. ქ-ნ კირიაკისი მეუღლემ გამოიძახა პოლიცია, რომელმაც დააკავა ბ-ნი და ქ-ნი კოკინაკისები. ორივეს ბრალი დაედო პროზელიტიზმისათვის საბერძნეთის 1363/1938 კანონის მიხედვით. იგი ადგენს, რომ „ნებისმიერ პირს, რომელიც განახორციელებს პროზელიტიზმს, შეეფარდება პატიმრობა და ფულადი ჯარიმა. ... პროზელიტიზმი ნიშნავს, კერძოდ, პირის რელიგიურ მრწამსში ჩარევის ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავს ამ მრწამსის დაკნინებას ნებისმიერი სახის ცდუნების ან მორალური თუ მატერიალური დახმარების დაპირებუ-

514 1993 წლის 25 მაისი, Series A no. 260-A, 33-ე პუნქტი.

515 *ბურკარინი სან-მარინოს წინააღმდეგ (Buscarni v. San Marino)*, 1999 წლის 18 თებერვალი, 30 EHRR 208, 34-ე პუნქტი.

516 1993 წლის 25 მაისი, Series A no. 260-A.

ბის მეშვეობით, მოტყუებით, ან პირის გამოუცდლობით, ნდობით, საჭიროებით, დაბალი ინტელექტით ან გულუბრყვილობით სარგებლობით."

ბ-ნი და ქ-ნი კოკინაკისები დააჯარიმეს და მიუსაჯეს პატიმრობა. აპელაციის შედეგად ქ-ნი კოკინაკისის მსჯავრდება გაუქმდა, მაგრამ სასამართლომ ძალაში დატოვა მისი მეუღლის მიმართ გამოტანილი განაჩენი. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„პირველ რიგში, განსხვავება უნდა გაკეთდეს ქრიატიანული მრწამსის პროპაგანდასა და არასათანადო პროზელიტიზმს შორის. პირველი შეესაბამება ჭეშმარიტ ევანგელიზმს, რომელსაც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ეგიდით შემუშავებული 1956 წლის მოხსენება განსაზღვრავს, როგორც ყოველი ქრისტიანისა და ყოველი ეკლესიის ძირითად მისიასა და პასუხისმგებლობას. ხოლო უკანასკნელი გვევლინება მის არასათანადო და მიუღებელ ფორმად. იმავე მოხსენების მიხედვით, მან შეიძლება მიიღოს ისეთი საქმიანობის ფორმა, რომელიც ცალკეულ პირს სთავაზობს გარკვეულ მატერიალურ თუ სოციალურ უპირატესობას, რათა რომელიმე ეკლესიამ შეიძინოს ახალი მორწმუნეები, ან ახდენს მიუღებელ ზენოლას სასონარკვეთილებაში მყოფ ან გაჭირვებულ პირებზე. მას ასევე შეიძლება მოჰყვეს ძალადობის გამოყენება. უფრო ზოგადად, პროზელიტიზმი შეუთავსებელია სხვა პირთა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების პატივისცემასთან.“<sup>517</sup>

ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ არ დააზუსტა, რა უკანონო საშუალებები იქნა გამოყენებული რელიგიური მრწამსის შესახებ დისკუსიის დროს, მან ვერ დაადგინა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება, რაც მოითხოვდა ბ-ნი კოკინაკისის მსჯავრდებას. ევროპული სასამართლოს აზრით, მსჯავრდება არ იყო კანონიერი მიზნის პროპორციული.<sup>518</sup>

ევროპული სასამართლო მიემხრო მსგავს პოზიციას საქმეში – *ლარისისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Larissis and Others v. Greece)*, რომელშიც გამიჯნა კანონიერი და უკანონო პროზელიტიზმი.<sup>519</sup> მან აღნიშნა, რომ „მე-9 მუხლი არ იცავს ყველა მოქმედებას, რომელიც მოტივირებულია ან შთაგონებულია რელიგიით ან მრწამსით. ის არ იცავს, მაგალითად, უკანონო პროზელიტიზმს, როგორცაა ნივთების ან სოციალური უპირატესობების შთაფაზება, ან უკანონო ზენოლის გამოყენება ეკლესიის ახალ წევრთა მოზიდვის მიზნით.“<sup>520</sup>

საქმეში – *მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Manoussakis and Others v. Greece)* – ევროპულმა სასამართლომ განიხილა საკითხი, რომელიც ეხებოდა იეპოვას მონმეთა მსჯავრდებას ლეთისმსახურების ადგილის დაარსებისა და მოქმედებისათვის, განათლებისა და რელიგიურ საქმეთა მინისტრის ნებართვის გარეშე.<sup>521</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ რელიგიის თა-

517 48-ე პუნქტი.

518 49-ე პუნქტი.

519 1998 წლის 24 თებერვალი, 1998-1, 362.

520 45-ე პუნქტი.

521 1996 წლის 26 სექტემბერი.

ვისუფლებების უფლება გამოორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე უფლება-მოსილებას, განსაზღვროს, კანონიერია თუ არა რელიგიური მრწამსი ან ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან მათ გამოსახატავად. სასამართლოს დასკვნით, მართალია, სახელმწიფოებს აქვთ უფლება, შეამონმონ, ახორციელებს თუ არა მოძრაობა ან გაერთიანება საქმიანობას, რომელიც საზიანოა მოსახლეობისათვის,<sup>522</sup> მან ნათელი მოჰფინა იმას, რომ რელიგიის თავისუფლების უფლება „გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე უფლებამოსილებას, განსაზღვროს, კანონიერია თუ არა რელიგიური მრწამსი ან ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან მათ გამოსახატავად.“<sup>523</sup>

კონვენციის მე-9 მუხლი იცავს არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ არარელიგიურ მრწამსს. პაციფიზმი აღიარებულია მრწამსად, რომელიც დაცულია მე-9 მუხლით. საქმესთან – *ეროუსმისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Arrowsmith v. the United Kingdom)* – დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ „პაციფიზმი, როგორც ფილოსოფია, ხვდება აზრისა და მრწამსის თავისუფლების უფლების მოქმედების სფეროში. ამიტომ პაციფიზმის მიმართ დამოკიდებულება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მრწამსი, რაც დაცულია მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით.“<sup>524</sup>

რელიგიის ან მრწამსის გამოვლენის თავისუფლება არ არის მხოლოდ ინდივიდუალური უფლება – ის შეიძლება განხორციელდეს კოლექტიურად, როგორც ეს აღიარებულია მე-9 მუხლით გათვალისწინებული სიტყვებით: „სხვებთან ერთად“.

ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვა. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს რელიგიური მრწამსის მქონე პირებისათვის კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლების მშვიდობიანი სარგებლობა. საქმეზე – *ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Otto-Preminger-Institut v. Austria)* – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „პირებს, რომლებიც ავლენენ თავიანთ რელიგიას, მიუხედავად იმისა, ისინი განეკუთვნებიან რელიგიურ უმრავლესობას თუ უმცირესობას, არა აქვთ გონიერული საფუძველი ვარაუდისა, რომ ისინი არ იქნებიან გაკრიტიკებულნი. მათ უნდა მოითმინონ და შეეგუონ იმას, რომ სხვა რელიგიურმა ჯგუფმა შეიძლება უარყოს მათი რელიგიური მრწამსი და გაავრცელონ კიდევ სწავლება, რომელიც ეწინააღმდეგება მათ მრწამსს. თუმცა კრიტიკის ხერხებმა ან რელიგიური სწავლებისა და მრწამსის უარყოფამ შეიძლება გამოინვიოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს მე-9 მუხლით გარანტირებული უფლების მშვიდობიან სარგებლობას ყველასათვის, ვინც ემ-

522 მე-40 პუნქტი.

523 47-ე პუნქტი.

524 კომისიის მოხსენება, 1978 წლის 10 ოქტომბერი, 69-ე პუნქტი. ევროპული კონვენციის საზედამუხედულო სისტემის რეფორმამდე (1998 წელი) განაცხადთა დასაშვებობას იხილავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, რომელიც იღებდა ინდივიდუალურ განაცხადებს.



ხრობა ამ სწავლებასა და მრწამსს. ექსტრემალურ შემთხვევებში კრიტიკის ან რელიგიური მრწამსის უარყოფის შედეგი შეიძლება ისეთი იყოს, რომ ხელი შეუშალოს ამ პირთა მიერ თავიანთი მრწამსის მიმდევრობას ან გამოხატვას.<sup>525</sup>

მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების ფუნდამენტური ასპექტია.<sup>526</sup> მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლების განხორციელება სამი ათეული წლის განმავლობაში ევროპის საბჭოს მუდმივი ზრუნვის საგანია.<sup>527</sup> ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ გაითვალისწინა მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება თავიანთ კონსტიტუციებში ან კანონმდებლობაში.<sup>528</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავის 1987 წელს მიღებულ რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ „ნებისმიერ სამხედროვალდებულ პირს, რომელიც მრწამსის გამო უარს აცხადებს იარაღის გამოყენებაზე, აქვს უფლება, განთავისუფლდეს ასეთი სამსახურის გავლის ვალდებულებისაგან, დადგენილი პირობების გათვალისწინებით. ასეთ პირებს შეიძლება დაეკისროთ ალტერნატიული სამსახურის შესრულება.“<sup>529</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია მიემხრო მოსაზრებას, რომ კონვენცია არ აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, გაათავისუფლოს ეს პირები სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან. ამ საკითხზე ევროპულმა კომისიამ მოიშველია კონვენციის მე-4 მუხლის მე-3(ბ) პუნქტის ფორმულირება: „ქვეყნებში, სადაც ის პირები, რომლებიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურის გავლაზე, აღიარებულნი არიან“. ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია ევროპული კონვენციის დარღვევად შევიცარიის მიერ შეფარდებული სისხლისსამართლებრივი სასჯელი პირისადმი, რომელმაც ამ მიზეზით უარი განაცხადა სამხედრო სამსახურის გავლაზე.<sup>530</sup>

თუმცა მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარი არ ანიჭებს პირს უფლებას, განთავისუფლდეს სამოქალაქო სამსახურისაგან. პირს შეიძლება დაეკისროს მისი გავლა, როგორც სამხედრო სამსახურის შემცველისა. ამდენად, სახელმწიფოს შეუძლია დაანსოს სამოქალაქო სამსახურის გავლა და დააკისროს პასუხისმგებლობა მათ, ვინც უარს აცხადებს, გაიაროს ეს სამსახური.

ხანდახან დავის საგანი ხდება განსხვავება დროში სამხედრო სამსახურსა

525 1994 წლის 20 სექტემბერი, Series A no. 295-A, 47-ე პუნქტი.

526 Para. 2, Recommendation 1518 (2001) on "Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States".

527 Para. 1, Recommendation 1518 (2001) on "Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States".

528 Para. 3, Recommendation 1518 (2001) on "Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States".

529 Recommendation No. R(87)8. See also Resolution No. 337 (1967) of the Parliamentary Assembly of the Council of Europe and Recommendation 1518 (2001) on "Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States".

530 1977 წლის 5 ივნისი, N7705/76.

და ალტერნატიულ სამსახურს შორის.<sup>531</sup> გამოთქმულია შეხედულება, რომ გაუმართლებელია სამხედრო სამსახურთან შედარებით ალტერნატიული სამსახურისათვის უფრო ხანგრძლივი დროის დანესება. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მხარი არ დაუჭირა ამ მოსაზრებას – სამხედრო სამსახურზე ორჯერ უფრო ხანგრძლივი სამსახურიც კი არ იქნა მიჩნეული კონვენციის დარღვევად.<sup>532</sup>

---

531 Concluding Observations of the Human Rights Committee on the Second Report of Georgia under the ICCPR, 19 May 2002, para. 18.

532 აუტოი ფინეთის წინააღმდეგ (*Autio v. Finland*), 1991 წლის 6 დეკემბერი, N17086/90.

## 6. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი – გამოხატვის თავისუფლება

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება სიტყვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ასევე პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც მას თან ახლავს ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობისათვის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.“

### 1. შესავალი

ევროპული კომისიისა და სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ორგანო სიტყვის თავისუფლების, ინფორმაციის გავრცელებისა და მოპოვების უფლების თანმიმდევრული დამცველია. ამ უფლების მნიშვნელობის თაობაზე მე-10 მუხლის კონტექსტში განხილულ თითქმის ყველა საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ გამოხატა როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალური ჟღერადობის ზოგადი ამოსავალი პოზიცია

„სიტყვისა და აზრის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი და დემოკრატიული საზოგადოების პროგრესისა და ცალკეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.“<sup>533</sup> მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ეს უფლება შეეხება არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელსაც სახელმწიფო კეთილგანწყობით იღებს,

<sup>533</sup> პენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Handyside v. United Kingdom*), 1976 წლის 7 დეკემბერი.

არამედ ისეთსაც, რომელიც მიუღებელია ხელისუფლების ან მოსახლეობის ნაწილისათვის. ამას მოითხოვს პლურალიზმის, ლიბერალიზმისა და ტოლერანტობის პრინციპები, რომელთა გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.

აზრის გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიის აღმშენებლობაში, ვინაიდან ამ უფლების გარეშე შეუძლებელია კონვენციით გარანტირებული სხვა უფლებების განხორციელება. მე-10 მუხლი 2 ნაწილისაგან შედგება: ა) გარანტირებული თავისუფლებანი; ბ) პირობები, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია კონკრეტულ საფუძველზე შეზღუდოს ამ უფლებების მოქმედება.

## 2. მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გარანტიები

2.1. ტერმინი „გამოხატვა“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი და ზეპირი ფორმით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოთქმასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული: ინფორმაციის ნარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები – ბეჭდვითი მასალები, რადიომომუხებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები და ცულობა მე-10 მუხლით. სასამართლო ითვალისწინებს ასევე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფაქტორებსაც.

2.2. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს გამოხატვის თავისუფლების 3 ელემენტს:

- ა) საკუთარი აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლებას;
- ბ) ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას;
- გ) ინფორმაციის მიღების თავისუფლებას.

ა) მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებათა განხორციელების უპირველესი პირობაა საკუთარი აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლება. ამ უფლების დაცვას აბსოლუტური ხასიათი აქვს, ვინაიდან ის შეზღუდვები, რომლებიც ჩამოთვლილია მე-2 პუნქტში, მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება. ამ უფლებასთან მიმართებით ნებისმიერი შეზღუდვა შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ბუნებასთან. მოქალაქეები არ უნდა განიცდიდნენ იდეოლოგიურ დამუშავებას სახელმწიფოს მხრიდან. მით უფრო, დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, საკუთარი აზრის ქონის თავისუფლების სერიოზულ და მიუღებელ ნინაალმდეგობას ნიშნავს.

აღნიშნული თავისუფლება მოიცავს ასევე გარანტიას იმისას, რომ პირზე, მისგან განსხვავებული აზრის გამოთქმის მიღების მიზნით, არ განხორციელდება ზენოლა;

ბ) ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება გავლენას ახდენს დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობასა და მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. (შეუძლებელია ამ უფლების არსებობის გარეშე მთავრობის თავისუფალი კრიტიკა, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და სხვა).

მთავრობის გაკრიტიკების უფლება ცალსახად მხარდაჭერილია სასამართლოს მიერ.<sup>534</sup> ასევე მე-10 მუხლით გარანტირებულია ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის გავრცელება (ე.წ. კომერციული ინფორმაცია). სასამართლომ დაადგინა, რომ კომერციული ხასიათის საკითხებთან მიმართებით ეროვნულ ხელისუფლებას უფრო ფართო შეხედულება აქვს.

მხატვრული ნიმუშის შექმნა, აგრეთვე მისი გავრცელება, ინფორმაციის გავრცელების ელემენტია. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამსახიობო თავისუფლების, მხატვრული ნამუშევრების გავრცელების შეზღუდვა მხოლოდ არადემოკრატიული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. „შემოქმედი თავის ნაწარმოებებში გამოხატავს არა მარტო პირად მსოფლმხედველობას, არამედ აზრს იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც იგი ცხოვრობს. ამ გაგებით, ხელოვნება ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და საზოგადოების წინაშე აყენებს აქტუალურ საკითხებს.“<sup>535</sup> მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ ხვდება უხეში, უტირირებული ფორმითაც გამოთქმული აზრი. დაცვის ხარისხი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმ კონტექსტზე, რომელშიც გამოყენებულია ეს ინფორმაცია და, მეორე მხრივ, იმ მიზნებზე, რომელთაც მოცემული კრიტიკა ემსახურება.

შეფასებითი მსჯელობა, რომელიც პოლიტიკური ხასიათის მოვლენათა სფეროს შეეხება, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს, ვინაიდან სწორედ ასეთი აზრი ხდება საზოგადოებაში პლურალიზმის არსებობის წინაპირობა. პოლიტიკური ბრძოლის ან საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მიმართ სასამართლო ბევრად უფრო მეტ ტოლერანტობას ამჟღავნებს. საქმეზე – *ტორგიერსენი ისლანდიის წინააღმდეგ*<sup>536</sup> (*Thorgiersen v. Iceland*) – სასამართლომ განაცხადა: მართალია, ჟურნალისტიკის პუბლიკაციები მოიცავდა უხეში ფორმით გამოთქმულ შეფასებებს, მაგრამ მათი მიზანი პოლიტიკის რეფორმების მოწოდებაა, ამიტომ ეს პუბლიკაციები მე-10 მუხლით გარანტირებული უფლებებიდან გამომდინარეობს;

გ) ინფორმაციის მიღების თავისუფლება ორი ასპექტით ვლინდება:

I. მასშედის წარმომადგენელთა მიერ ინფორმაციისა და იდეის მიღების თავისუფლებით, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, აცნობონ აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებას;

II. საზოგადოების უფლებით – მიიღოს ინფორმაცია, კერძოდ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს.

534 *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ* (*Lingens v. Austria*), 1986 წლის 8 ივლისი.

535 *ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ* (*Otto-Preminger Institute v. Austria*) 1994 წლის 20 სექტემბერი.

536 1992 წლის 25 ივნისი.

## 2.2.1. ბეჭდვის თავისუფლება

სასამართლოს პრეცედენტული სამართლით მე-10 მუხლის ჭრილში შემუშავებული პრინციპების მიხედვით, პრესას განსაკუთრებული სტატუსი ენიჭება. სასამართლომ განაცხადა, რომ ბეჭდვის თავისუფლება საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა და ფორმირების საუკეთესო საშუალებაა, შესაბამისად კი, პოლიტიკური დებატები დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. პრესამ არ უნდა გადააჭარბოს იმ საზღვრებს, რომლებიც დადგენილია, *inter alia*, სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. პრესას აკისრია პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გავრცელების მისია. თუ პრესას ინფორმაციის გავრცელების ამოცანა აკისრია, საზოგადოებას, თავის მხრივ, აქვს უფლება, მიიღოს იგი.<sup>537</sup> ბეჭდვის თავისუფლება მნიშვნელოვან სტატუსს იძენს, თუ მისი მეშვეობით განსაკუთრებით საინტერესო საკითხები შუქდება. მაგალითად, საქმის – *ტორგიერსენი ისლანდიის წინააღმდეგ (Thorgersen v. Iceland)* – თაობაზე განმცხადებელი პრესის მეშვეობით გამოვიდა პოლიციაში არსებული სისასტიკის წინააღმდეგ. ეროვნულ დონეზე ტორგიერსენი ბრალეულად იქნა ცნობილი დიფამაციაში. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებელი შეეხო პოლიციაში არსებულ სისასტიკის პრობლემას და ამ მოტივით მისი ბრალდებულად ცნობა დააბრკოლებს ღია დისკუსიის ჩატარებას.

პრესის თავისუფლების კონტექსტში დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც ვარაუდს ან ჭორს ეყრდნობიან. ჟურნალისტური ინფორმაციის წყარო ასევე ექცევა მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ. სასამართლომ განაცხადა, რომ ბეჭდვის თავისუფლების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პირობად ჟურნალისტური ინფორმაციის წყარო გვევლინება.

საქმეში – *გუდვინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*<sup>538</sup> (*Goodwin v. the United Kingdom*) – სასამართლომ განაცხადა: „დაცვის არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის წყაროები არ შეუწყობენ ხელს იმ საკითხების ინფორმირებას, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს. ასეთი ვითარება კი უარყოფითად იმოქმედებს ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობებზე.“

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება „სახელმწიფოს ხელს არ უშლის, შემოიღოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინონარმობის ლიცენზირება.“ სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს სალიცენზიო მოთხოვნები და პრაქტიკა. ეროვნულ ხელისუფლებას ლიცენზირების მექანიზმის შემოღება მხოლოდ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია და ეს ზომები ხელს არ უნდა უშლიდეს გამოხატვის თავისუფლებას (გარდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში არსებული მოთხოვნებისა). საქმეზე – *გროპერა რადიო და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Groppera Radio AG and Others v. Switzerland)* – სასამართლომ განაცხადა: „სახელმწიფომ შეიძლება გააკონტროლოს

<sup>537</sup> *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria)*, 1986 წლის 8 ივლისი.

<sup>538</sup> 1996 წლის 27 მარტი.

მაუნყებლობის ორგანიზაციული და ტექნიკური ასპექტები, მაგრამ ლიცენზირების პირობები უნდა გამომდინარეობდეს ყველა იმ დებულებიდან, რომლებიც მე-10 მუხლის მეორე პუნქტშია მოცემული.<sup>539</sup>

სასამართლო თვლის, რომ აუდიოვიზუალურ საშუალებებზე სახელმწიფო მონოპოლიის დანესება ეწინააღმდეგება მე-10 მუხლს. ამგვარი მონოპოლიზაცია არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და არ შეიძლება გამართლებული იყოს გადაუდებელი სოციალური მოთხოვნებით.

საზოგადოებრივ მოთხოვნათა მრავალფეროვნება არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერთი სამაუნყებლო კომპანიის მეშვეობით. დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს წყაროების მრავალფეროვნება, რათა პლურალიზმის პრინციპები იქნეს დაცული.<sup>540</sup> მე-10 მუხლის შინაარსი მოიცავს ასევე მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალური საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით გაშვებულ კომერციულ რეკლამასაც. თუმცა ამ სფეროში სახელმწიფოს შეზღუდვების დანესების ბევრად უფრო მეტი უფლება აქვს.

სასამართლო საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის მორალური ფასეულობები, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფოს მონყობის სანინდარია – რეკლამა, რომელიც ბავშვებისათვის არის განკუთვნილი, არ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც მათ ზიანს მიაყენებს. ასეთმა რეკლამამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვების ფიზიკური, ფსიქიკური თუ სულიერი განვითარების დონე.

### 2.2.2. სიტყვის თავისუფლება კომერციის სფეროში

მე-10 მუხლით დადგენილი გარანტიები შეეხება კომერციულ სფეროსაც. საქმეში – „მარკტ ინტერნ ფერლაგ GmbH“ და კლაუს ბერმანი გერმანიის წინააღმდეგ<sup>541</sup> (*Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany*) – ნარმოდგენილი მასალებით, ერთ-ერთ პუბლიკაციაში გაკრიტიკებული იყო მსხვილი კომპანიის საქმიანობა კონკრეტულ ინციდენტთან დაკავშირებით. პუბლიკაცია მოუწოდებდა მკითხველს, მიეწოდებინათ ინფორმაცია გამომცემლობისათვის მსგავსი ინციდენტების შესახებ. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი უსამართლოდ იქცეოდა და აკრძალა შემდგომში ასეთი პუბლიკაციების გამოქვეყნება.

ევროპულმა სასამართლომ მართლზომიერად ცნო ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან, მისი აზრით, გადაუმონმებელ ინფორმაციას შეეძლო ზიანი მიეყენებინა კომპანიისათვის.

საქმის – იაკუბოვსკი გერმანიის წინააღმდეგ (*Jacobowski v. Germany*) – განმცხადებელი გადაყენებულ იქნა საინფორმაციო სააგენტოს მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან. ამის შემდეგ მან კოლეგებს შორის გააერცელა წერილი, რომელშიც ყოფილ დამქირავებელს აკრიტიკებდა. იმავდროულად

539 1990 წლის 28 მარტი.

540 *Informationsverein Lentia v. Austria*, 1993 წლის 24 ნოემბერი.

541 1989 წლის 20 ნოემბერი.

მან წამოიწყო საქმიანობა იმავე სფეროში, რომელშიც მისი ყოფილი დამქირავებელი მოღვაწეობდა. ამ უკანასკნელმა შესაბამისი კანონის საფუძველზე, რომელიც კეთილსინდისიერ კონკურენციას შეეხებოდა, ეროვნულ სასამართლოში საქმე აღძრა განმცხადებლის წინააღმდეგ.

გერმანიის სასამართლომ შეისწავლა გამოთქმის თავისუფლებისა და თავისუფალი კონკურენციის ინტერესებს შორის არსებული ბალანსი და განმცხადებელს შემდგომში ასეთი ფორმით მასალების გავრცელება აუკრძალა.

ევროპულმა სასამართლომ არ ცნო მე-10 მუხლის დარღვევა, ვინაიდან, „სასამართლო გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ეკრძალება მხოლოდ კონკრეტული ფორმით თავისი აზრის გამოხატვა, ე.ი. მას არ ეკრძალება გამოხატოს თავისი მოსაზრებები სხვა საშუალებებით.“<sup>542</sup>

### 3. მე-10 მუხლით დაშვებული შეზღუდვები

#### 3.1. შესავალი

სასამართლოს მიერ მე-10 მუხლის მეორე პუნქტის ჭრილში განხილულ საქმეთა უმრავლესობა ეხება შემდეგ საკითხს: შეიძლება თუ არა, შეზღუდვა ითვალისწინებდეს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. მაგალითად, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს განსაკუთრებული მოვალეობები და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ, რაც მათ სტატუსთან არის დაკავშირებული. ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ გარემოებებში სამხედრო მოსამსახურეებს შეიძლება შეეზღუდოთ აზრის გამოხატვა, მაგალითად, შეიარაღებული ძალების მისამართით გამოთქმული ისეთი კრიტიკა, რომელსაც პოტენციურად შეუძლია შეარყიოს სამხედრო ნაწილებში არსებული დისციპლინა.

უფრო მეტად მნიშვნელოვანია ისეთი გარემოებანი, როდესაც სახელმწიფო მოხელეები (პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლები, სამხედრო პირები) საიდუმლო ინფორმაციას ფლობენ. თუ მათი აზრის გამოთქმის უფლება არ შეიზღუდება, მათ შეეძლება ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება. ამგვარი ვითარება შეიძლება საზოგადოების ინტერესების სანინააღმდეგო გახდეს. ასეთ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია საიდუმლო ინფორმაციის გაუფრცვლელბობის პრინციპის დაცვა, ვიდრე ინფორმაციის გავრცელების პირადი თავისუფლების განხორციელება. ეს პრინციპი გამოიყენება სახელმწიფოს ყველა მოხელის მიმართ, რომელთაც საიდუმლო ან კონფიდენციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალება აქვთ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში „აზრის გამოთქმის თავისუფლების“ განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს დადგენილი.

<sup>542</sup> იაკუბოვსკი გერმანიის წინააღმდეგ (*Jacobowski v. Germany*), 1994 წლის 23 ივნისი.



კანონით დადგენილი ნიშნავს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი უნდა მოიცავდეს დეტალურ დებულებებს, რომლებითაც დაკონკრეტებულია ამგვარი შეზღუდვები. დებულებები მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, მათი შინაარსი გასაგები და არაორაზროვანი უნდა იყოს, რათა შეიძლებოდეს მათი ადეკვატურად შეფასება და აღქმა. ეს აძლევს საშუალებას მოქალაქეებს, იცოდნენ, რა ქმედებებზე ვრცელდება შეზღუდვები.<sup>543</sup> მართალია, ზოგიერთი ცნების აღწერა მკაფიოდ და ერთგვაროვნად შეუძლებელია, მაგალითად, ისეთი ცნებებისა, როგორცაა: „უკადრის“ ან „ღვთისმგმობელი“.

„დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“ ნიშნავს: 1) დასახული მიზნის პროპორციულობას; 2) ცალკეული პირისა და ფართო საზოგადოების უფლებათა შორის პროპორციული ბალანსის დადგენას.

### 3.2. კანონის მიზანი

შიდასახელმწიფოებრივი კანონი ნიშნავს საკანონმდებლო ორგანოს მიერ სათანადო წესით მიღებულ და გამოქვეყნებულ კანონს.

საქმეზე – *მელოუნი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*<sup>544</sup> (*Malone v. the United Kingdom*) – სასამართლომ განაცხადა: „კანონით გათვალისწინებული“ ნიშნავს, რომ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში უნდა არსებობდეს სამართლებრივად ცხადი ნორმა, რომელიც სახელისუფლებო ორგანოს მიერ თვითნებური ჩარევისაგან იურიდიული დაცვის საშუალებას იძლევა.

ამგვარად, ეროვნული სასამართლოები ზედმინევენით უნდა აანალიზებდნენ კანონებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების ხარისხს, რომლებიც შეზღუდვას დაედო საფუძველად. გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა კანონიერი მიზანს უნდა ემსახურებოდეს. კანონიერია მიზნები, თუ ისინი ემსახურებიან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, ტერიტორიულ მთლიანობას, საზოგადოებრივი უნესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთას, ჯანმრთელობის, მორალის, სხვა პირთა რეპუტაციის დაცვას, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებას, სასამართლო ხელისუფლების ძალაუფლებისა და მიუკერძოებლობის მხარდაჭერას.

გამოთქმის თავისუფლების შეზღუდვათა შესაძლებელი საფუძველების ჩამონათვალი ამომწურავი ხასიათისაა. ეროვნულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა გამოთქმის თავისუფლების შეზღუდვა იმ ფასეულობებს, და მიზნებს, რომლებიც მეორე პუნქტში არის მოცემული. მაგალითად, ჟურნალისტიკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმის აღძვრის, სხვა პირთა რეპუტაციის შელახვის საფუძველზე გამართლებული მიზანია „სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვა“. გაზეთის მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოქვეყნების საფუძველზე მისი საქმიანობის აკრძალვა შეიძლება

<sup>543</sup> *სანდი თაიმსი გერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Sunday Times v. the United Kingdom*), 1976 წლის 26 აპრილი.

<sup>544</sup> 1984 წლის 2 აგვისტო.

გამართლებული იყოს „ეროვნული უსაფრთხოების“ მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობდა რეალური ინტერესებისა და მიზნების დაცვა და არა გაურკვეველი, დაუსაბუთებელი ვარაუდი.

### **3.3. დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი**

ამ ცნების დადგენისას მნიშვნელობა ენიჭება გამონათქვამის (მსჯელობის) შინაარსს. მაგალითად, პოლიტიკური ხასიათის გამონათქვამებზე შეზღუდვების დანების დასაბუთება უფრო კონკრეტული უნდა იყოს, ვიდრე სხვა სახის გამონათქვამებზე (მაგ., მხატვრულზე). ყურადღება ექცევა ასევე ინფორმაციის გადაცემის საშუალებებს. ინფორმაცია, რომელიც ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცემა, უფრო დიდ აუდიტორიაზე ვრცელდება, ვიდრე პრესით გამოქვეყნებული. შესაბამისად, ეს ინფორმაცია ზედმინუნით შემოწმებას მოითხოვს. შეზღუდვების დასაბუთებისას მნიშვნელობას იძენს გამოყენებული აკრძალვის ხასიათი. სასამართლო ყურადღებას აქცევს, არსებობდა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მსუბუქი ფორმის აკრძალვის შემოღების ალტერნატივა, ვიდრე სახელმწიფომ დაანება. შეზღუდვა სოციალური აუცილებლობის ადეკვატური უნდა იყოს.

### **3.4. სასამართლო ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება**

სასამართლოს დამოუკიდებლობა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი პრინციპია. სასამართლო ხელისუფლება დაცული უნდა იყოს დესტრუქციული, გაუმართლებელი თავდასხმისაგან, რათა მან სამართლიანად განახორციელოს მართლმსაჯულება. მით უფრო, რომ მოსამართლეს, პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ხშირ შემთხვევაში, არ ენიჭება უფლება, პასუხი გასცეს მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. ეს როდი ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირება ვაკუუმში ხდება და საზოგადოებას არა აქვს უფლება, სამსჯავროზე გამოიტანოს ის საკითხები, რომლებიც მართლმსაჯულებას ეხება.

საქმეებში, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ გამოთქმულ კრიტიკას შეეხება, ეროვნულმა სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ყველა მხარის ინტერესებსა და მიზნებზე. მნიშვნელოვანია მოიძებნოს ბალანსი შესაბამისი მოსამართლის ღირსების დაცვის უფლებასა და პრესის თავისუფლებას შორის და განისაზღვროს, რა უფრო პრიორიტეტულია დემოკრატიულ საზოგადოებაში. უდავოა, თუ კრიტიკის მიზანი სასამართლო ხელისუფლების შეურაცხყოფა ან დიფამაციაა, გამოთქმის თავისუფლების ხარისხი ასეთ შემთხვევაში შეზღუდული უნდა იყოს.

### **3.5. აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების დაცვა**

სასამართლო აღიარებს, რომ არ არსებობს მორალისა და ზნეობის განსაზღვრის ერთიანი ევროპული სტანდარტები. ყოველი სახელმწიფო განსაზ-

ღვრავს ამ ცნებებს მოცემული ქვეყნის კულტურული და ისტორიული ფასეულობების საფუძველზე. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულ კრიტერიუმებს ფლობს, რომელთა საფუძველზეც შეზღუდვის განსხვავებული ხარისხი დგინდება. თუმცა ევროპული სასამართლო მზად არის, ჩაერიოს, თუ ამგვარი შეზღუდვა ზედმეტად ფართოა.

3.5.1. ძალზე ხშირად ხელისუფლება „სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების“ შელახვის მოტივით დევნას განახორციელებს პოლიტიკოსებისა თუ სახელმწიფო მოხელეთა დასაცავად მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკისაგან. სასამართლოს ამ პრობლემის ირგვლივ შემუშავებული აქვს ვრცელი პრეცედენტული სამართალი.

სასამართლო არ უარყოფს პოლიტიკოსთა თუ სახელმწიფო მოხელეთა დაცვის უფლებას, მაგრამ აღნიშნავს: „ამგვარი დაცვის საპირწონედ გვევლინება საზოგადოების ინტერესი პოლიტიკურ საკითხებზე დისკუსიისადმი“. „ბეჭდვის თავისუფლება ანიჭებს საზოგადოებას საშუალებას, შეიტყოს და შეიქმნას ნარმოდგენა პოლიტიკური ლიდერების იდეებისა და პოზიციების შესახებ. პოლიტიკური დისკუსიის შესაძლებლობა დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ქვაკუთხედი. შესაბამისად, პოლიტიკოსებისადმი გამოთქმული კრიტიკის არეალი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირების მიმართ. პოლიტიკოსებს მეტი მოთმინება მართებთ მათდამი საზოგადოებისა და ყურნალების მხრიდან გამოთქმული ინტერესისადმი. ყველა ამ პრინციპმა, რომელიც სასამართლომ ცნობილ საქმეში – *ლინგენსი ავსტრიის ნინალმდეგ (Lingens v. Austria)* – ჩამოაყალიბა, განვითარება პოვა მრავალ სხვა საქმეში. ასე მაგალითად, საქმეზე – *დალბანი რუმინეთის ნინალმდეგ*<sup>545</sup> (*Dalban v. Romania*) – სასამართლომ აღნიშნა: „მიუღებელია ვითარება, როდესაც ყურნალისტს კრიტიკული აზრის გამოთქმის საშუალებას ართმევენ მხოლოდ იმოტომ, რომ მას არ შეუძლია დაამტკიცოს ამ გამოთქმათა სისწორე“.<sup>546</sup>

ზოგადი დასკვნა, რომელიც სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს, ასეთია: ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი კანონი, რომელიც პოლიტიკურ თუ სახელმწიფო მაღალი თანამდებობის პირთა რეპუტაციის დასაცავად განსაკუთრებულ, მკაცრ სანქციებს აწესებს (განსაკუთრებით პრესის მხრიდან), შეუთავსებელია მე-10 მუხლის შინაარსთან. იქ, სადაც ამგვარი სანქციები მოქმედებს, ეროვნულმა სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს მათი გამოყენებისაგან.

3.5.2. „სხვა პირთა უფლებების“ დაცვის კონტექსტში სასამართლო განიხილავს რელიგიური მრწამსის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მოქალაქეთა რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით „აუცილებელი ჩარევის“ შეფასება მნიშვნელოვანწილად სა-

545 1999 წლის 28 სექტემბერი.

546 *ობერშლიკი ავსტრიის ნინალმდეგ (Oberschlik v. Austria)*, 1991 წლის 23 მაისი.

ხელმწიფოზე დამოკიდებული. პირველ რიგში, ეროვნულმა ხელისუფლებამ (რომელიც უფრო მომგებიან პოზიციაში იმყოფება), და არა საერთაშორისო სასამართლომ, შეფასება უნდა მისცეს არსებულ ვითარებას.<sup>547</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიური ჯგუფების (მიუხედავად იმისა, არიან ისინი რელიგიური უმრავლესობა თუ უმცირესობა) მიმართ შეიძლება გამოითქვას კრიტიკა. რელიგიური ჯგუფები მოთმინებით უნდა ეკიდებოდნენ მათი მისამართით ასეთ პირთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს. ასევე უნდა შეეგუონ იმ გარემოებას, რომ საზოგადოებაში გავრცელებული იქნება ისეთი მოძღვრება, რომელიც მათ რწმენას ეწინააღმდეგება.

რელიგიური მოძღვრების უარყოფა ან კრიტიკის გარკვეული ხერხების დაშვების ნებართვა გამოიწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს, თუ ეს უკანასკნელი არ უზრუნველყოფს მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებების მშვიდობიან განხორციელებას“.

საქმეებში – *ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Otto-Preminger-Institute v. Austria)*, (1994 წელი); *უინგროუვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wingrove v. the United Kingdom)*,<sup>548</sup> (1996 წელი) – სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა, როდესაც სახელმწიფომ აკრძალა ისეთი ფილმების ჩვენება, რომლებიც არასათანადოდ წარმოაჩენდნენ ქრისტიანულ აღმსარებლობას და ფილმის ცალკეულ პერსონაჟებს. ამგვარად, სასამართლო ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ, თუ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობა „სხვა პირთა დაცვას“ ემსახურება, ასეთი ქმედება მართლზომიერია.

გამოთქმის თავისუფლება დემოკრატიულ საზოგადოებას „ავალდებულებს, თავი აარიდონ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც უსაფუძვლოდ შეურაცხმყოფელია და სხვა პირთა უფლებებს ლახავს. თვით საჯარო განხილვა კი არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაც საზოგადოების პროგრესს შეუწყობდა ხელს.“

#### 4. მე-10 მუხლი და კონვენციის სხვა მუხლები

მე-10 მუხლით გარანტირებული უფლებების შეზღუდვა, გარდა მეორე პუნქტში მოცემული ჩამონათვალისა, სახელმწიფოს შეუძლია დაასაბუთოს კონვენციის სხვა დებულებებზე დაყრდნობით. მაგალითად, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში დადგენილია სასამართლო დარბაზში პრესის წარმომადგენელთა დასწრების აკრძალვა. პირველი შეხედვით, ეს დებულება ეწინააღმდეგება მე-10 მუხლით დადგენილ გარანტიებს. სასამარ-

<sup>547</sup> *ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Otto-Preminger-Institute v. Austria)*.

<sup>548</sup> 1996 წლის 25 ნოემბერი.

თლოს აზრით, სახელმწიფოს შეეძლება შეზღუდოს სასამართლო პროცესზე დასწრება, თუ აკრძალვა გამომდინარეობს, ერთი მხრივ, მე-6 მუხლისა და, მეორე მხრივ, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მასაზრებებიდან (მართლმსაჯულების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა.)

ერთ-ერთ პირველ საქმეში, რომელიც კომისიამ განიხილა, განმცხადებელი დავობდა, რომ მისთვის საგამომცემლო საქმიანობის სამუდამოდ აკრძალვა, როგორც სასჯელის დამატებითი ზომა, იყო მე-10 მუხლით გარანტირებული გამოთქმის თავისუფლების დარღვევა.<sup>549</sup> სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ დაწესებული სანქცია გამართლებულია კონვენციის მე-2, მე-4 და მე-5 მუხლებით, რომელთაგანაც თითოეული ითვალისწინებს სანქციების გამოყენების შესაძლებლობას. კომისიამ უარყო ეს არგუმენტი და განაცხადა: „სისხლის სამართლის სანქციის გამოყენების გამართლება შესაძლებელია აღნიშნულ მუხლებთან მიმართებით, რომლებიც ეხება სიცოცხლის, პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების და იძულებითი შრომისაგან თავისუფლების უფლებებს, და არა მე-10 მუხლს. ასეთი სანქციების დაწესება გამოთქმის თავისუფლების მიმართ, ეწინააღმდეგება კონვენციის საერთო მიზანსა და მეთოდოლოგიას. ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-10 მუხლის დებულებები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, ვინაიდან სადავო საკითხი სხვა უფრო კონკრეტული მუხლის მოქმედების ქვეშ ექცევა. მაგალითად, მე-10 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებაზე, ვინაიდან ეს საკითხი ჯეროვნად არის დარეგულირებული კონვენციის 1-ლი ოქმის მე-3 მუხლით. სასამართლო იყენებს *lex specialis*-ის პრინციპს. სასამართლოს არაერთხელ მიუთითებია: გამოთქმის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ არსებობს ვითარება, როდესაც ეს მუხლი *lex generalis*-ის დატვირთვას იძენს კონკრეტული საკითხის შესწავლისას. უფრო ხშირად, ამ მუხლის *lex generalis*-ის ბუნება მე-8, მე-9 და მე-11 მუხლებთან მიმართებით დგინდება.

საქმეზე – *სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>550</sup> (*Silver and Others v. the United Kingdom*) – სასამართლომ განაცხადა: სახელმწიფოს მიერ დაწესებული ცენზურა პატიმართა მიმონერაზე შეეხება არა მე-10 მუხლის, არამედ მე-8 მუხლით გარანტირებულ კორესპონდენციის პატივისცემის უფლებას. საქმეში – *ეზელინი საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>551</sup> (*Ezelin v. France*) – განმცხადებელმა – ადვოკატთა კავშირის თავმჯდომარემ – მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში, რომლის მოთხოვნა დამოუკიდებელი მოძრაობის ლიდერის განთავისუფლება იყო. დემონსტრაციის მსვლელობისას გაისმოდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები მართლმსაჯულების მისამართით. მოგვიანებით, პროკურორის ინიციატივით, განმცხადებლის წინააღმდეგ ინიცირებულ იქნა დისციპლინური განხილვა. აღნიშნულ შემთხვევაში სასამარ-

549 *დე ბეკერი ბელგიის წინააღმდეგ (De Becker v. Belgium)*, 1962 წლის 27 მარტი.

550 1983 წლის 25 მარტი.

551 1991 წლის 26 აპრილი.

თლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლი განხილულ უნდა იქნეს, როგორც *lex generalis*, ხოლო *lex specialis*-ს ამ შემთხვევაში მე-11 მუხლი წარმოადგენს. „შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საჭიროება, საქმე განხილულ იქნეს მე-10 მუხლის ქრილში.“

გამოხატვის თავისუფლების სხვა მუხლებთან შეფარდების პრობლემის განხილვისას ყურადსაღებია მე-16 მუხლი, რომლითაც სახელმწიფოს ენიჭება უფლება, შეზღუდოს უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობა (მათ შორის პოლიტიკური აზრის გამოთქმის თავისუფლება). საქმეში – *პიერმონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Piermont v. France)* – ხელისუფლება თავისი პოზიციების გასამართლებლად სწორედ მე-16 მუხლს ეყრდნობოდა. განმცხადებელმა – ევროკავშირის პარლამენტის დეპუტატმა, გერმანიის მოქალაქემ – მონაწილეობა მიიღო სამშვიდობო დემონსტრაციაში, რომელიც საფრანგეთის მიერ პოლინეზიაში ბირთვული ცდების წინააღმდეგ იყო მიმართული. სასამართლომ აღნიშნა: „ამ შემთხვევაში, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მე-16 მუხლი, რადგან ეს კატეგორია არ მოიცავს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ განახორციელონ გამოხატვის თავისუფლება, როგორც კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს.“<sup>552</sup>

## 5. ზოგადი დასკვნა

ყველა, ვინც სარგებლობს გამოთქმის თავისუფლების უფლებით, გარკვეულ ვალდებულებებსაც უნდა ემორჩილებოდეს: რამდენადაც შესაძლებელია, თავი უნდა აარიდონ ისეთი გამონათქვამების ან მსჯელობის გამოყენებას, რომელიც შეურაცხყოფელია სხვა პირთათვის. სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეული შეზღუდვები დაანესოს გამოთქმის თავისუფლებებზე, იმ პირობით, რომ ეს შეზღუდვები პროპორციული ხასიათისაა.

ნაციონალისტური გამონათქვამები ეწინააღმდეგება ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, რომელთაც კონვენცია ემსახურება. ასეთი გამონათქვამების შეზღუდვის დასაბუთება ბევრად უფრო ადვილია. ისინი ინვევენ ძალადობას, შუღლს, სიძულვილს გარკვეული ჯგუფების მიმართ.

<sup>552</sup> 1995 წლის 27 აპრილი.

## 7. ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი – შეკრებისა და ბაერთიანების თავისუფლება

ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი ადგენს:

„1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების ჩათვლით.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დანესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებათა განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვების დანესებას.“

### 1. შესავალი

მე-11 მუხლით გარანტირებული უფლებები დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ ფასეულობებთან არის დაკავშირებული. ეს მუხლი მჭიდრო კავშირშია კონვენციის მე-9 და მე-10 მუხლებთან.

მე-9 მუხლი არაპირდაპირ შეეხება გაერთიანებისა და შეკრების უფლებას: „რელიგიის და რწმენის გაცხადების თავისუფლება ... სხვებთან ერთად კავშირში ... საჯაროდ“.

მე-10 მუხლი შეეხება ჯგუფურ საქმიანობას, როგორცაა დემონსტრაციები.<sup>553</sup> (თუმცა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მხოლოდ მე-11 მუხლს განიხილავს როგორც *lex specialis*-ს). მე-11 მუხლი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის უნივერსალურ ნორმებს – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლსა და 23-ე მუხლის მე-4 პუნქტს.

მე-20 მუხლის თანახმად, არავინ არ შეიძლება აიძულოს განეკრიანდეს ასოციაციაში. სწორედ ამ დებულებას დაეყრდნო ევროპული სასამართლო საქმესთან – *იანგი, ჯეიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Young, James, and Webster v. the United Kingdom)*<sup>554</sup> – დაკავშირებით. განმცხადებლებს დაემუქრნენ სამსახურიდან დათხოვნით, თუ ისინი არ განეკრიანდებოდნენ პროფკავშირებში.

<sup>553</sup> თუმცა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მხოლოდ მე-11 მუხლს განიხილავს, როგორც *lex specialis*-ს.

<sup>554</sup> 1987 წლის 13 აგვისტო.

დეკლარაციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი შინაარსობრივად ემთხვევა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დასკვნით დებულებებს.

ამავე უფლებებს იცავს 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (21-ე და 22-ე მუხლები). ამ უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით ყურადსაღებია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი ბაზა, მაგალითად, 1948 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია გაერთიანების თავისუფლებისა და ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ ამ დოკუმენტში არ არის მოცემული ტერმინ „მშვიდობიანის“ დეფინიცია.<sup>555</sup>

## 2. მშვიდობიანი შეკრების უფლება

მე-11 მუხლი უზრუნველყოფს მშვიდობიანი შეკრების უფლებას. ტერმინი „შეკრება“ აღნიშნავს არაფორმალურ დაჯგუფებაში შეხვედრას მოსაზრებების გაცვლის მიზნით.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მშვიდობიანი შეკრების მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში. „მშვიდობიანი შეკრების უფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი. იგი მოიცავს როგორც კერძო შეხვედრებს, ასევე შეხვედრებს საზოგადოებრივ ადგილებში“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს წინასწარი ნებართვის პროცედურა, რათა შეძლოს შეხვედრის მშვიდობიანი ბუნების უზრუნველყოფა. ასეთი პროცედურის დადგენა არ არის ამ უფლებით სარგებლობაში ჩარევა.<sup>556</sup>

სახელმწიფოს შეუძლია, დროებით აკრძალოს საზოგადოებრივი დემონსტრაციები, თუ არსებობს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დარღვევის სერიოზული საფრთხე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. როგორც წესი, ასეთ აკრძალვას დროებითი ხასიათი აქვს და მოქმედებს შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში.<sup>557</sup> სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ნებადართული შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოება სხვა პირთა მიერ ექსტრემისტული ან სხვაგვარი ქმედებისაგან.

საქმის – *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ*<sup>558</sup> (*Plattform „Ärzte für das Leben“ v. Austria*) – განხილვის შედეგად ავსტრიის ხელისუფლებამ დართო ნება ამ ორგანიზაციას, ჩაეტარებინა დემონსტრაცია განსაზღვრულ ადგილას. მოგვიანებით ორგანიზაციამ მოითხოვა დემონსტრაციის ჩატარების ადგილის შეცვლა. ხელისუფლებამ თხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა

<sup>555</sup> Human Rights and Protection of Refugees. UNHCR publication. 1996. RLD 5, 5-6.

<sup>556</sup> განაცხადი, 8191/71.

<sup>557</sup> განაცხადი, 8440/78.

<sup>558</sup> 1988 წლის 21 ივნისი.



განუცხადა ორგანიზატორებს, რომ ამ ადგილზე პოლიცია ვერ დაიკავდა დემონსტრანტებს ბრბოსაგან – ეს პრობლემა წარმოიშვა კიდევ.

სასამართლომ დაადგინა: „ხელისუფლებას აკისრია პოზიტიური ვალდებულება, დაცვით უზრუნველყოს ცალკეული ჯგუფები. დემონსტრაციამ შეიძლება შეურაცხყოფს ან გააღიზიანოს სხვა პირები, რომლებიც არ იზიარებენ დემონსტრანტების იდეებსა და მოსაზრებებს. დემონსტრაციის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ დემონსტრაციის ჩატარება ყოველგვარი შიშის გარეშე, ისე, რომ მათ წინააღმდეგ ოპონენტების მხრიდან ძალადობა არ იქნეს. ასეთმა საფრთხემ შეიძლება ხელი შეუშალოს გაერთიანებებს ან სხვა დაჯგუფებებს საკუთარი იდეების საჯაროდ გამოხატვაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში კონტრდემონსტრაციების ჩატარების უფლება არ შეიძლება გაფართოვდეს იმდენად, რომ დააბრკოლოს შეკრების უფლებით სარგებლობა“. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობა შეფასდება როგორც მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი და ეფექტიანი უფლების დარღვევად. ამასთან ერთად, სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლები აქვს.

სასამართლო არ უარყოფს, რომ შეკრებასთან დაკავშირებით არსებობს პრაქტიკული სიძნელები, რომელთა მოგვარების შესაძლებლობას სახელმწიფოს უტოვებს – ნებართვის გაცემა, პოლიციის მიერ დაცვის უზრუნველყოფა და სხვა. ზემოხსენებულ საქმეზე – *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ (Platform „Ärzte für das Leben“ v. Austria)* – სასამართლომ არ დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა შესაბამისი ღონისძიება დემონსტრანტების დასაცავად.

საქმეზე – *ეზელინ საფრანგეთის წინააღმდეგ (Ezelin v. France)* სასამართლომ მე-11 მუხლთან მიმართებით აღნიშნა, რომ შეკრების (დემონსტრაციის) შემდეგ მიღებული ზომები არ ხდება მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების ქვეშ ... შესაბამისად, სახეზე იყო მე-11 მუხლის დარღვევა: სახელმწიფოს არ უნდა გამოეყენებინა დისციპლინური ზომები განმცხადებლის მიმართ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ არ იყო ამის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

### 3. გაერთიანების თავისუფლება, პროფკავშირთა უფლებები

შეკრებისაგან განსხვავებით, გაერთიანება უფრო ორგანიზებული და ფორმალური ხასიათისაა. გაერთიანება აღნიშნავს საერთო მიზნის მისაღწევად შექმნილ ნებაყოფლობით გაერთიანებას. გარდა ამისა, გაერთიანებად არ ჩაითვლება ერთი და იმავე დამქირავებლის მიერ აყვანილ მუშა-მოსამსახურეებს შორის არსებული ურთიერთობანი, ვინაიდან ასეთი ურთიერთობა დამოკიდებულია ხელშეკრულებით გაფორმებულ შეთანხმებაზე. რადგან მე-11 მუხლი იცავს გაერთიანების უფლებას, ამავე დროს, გაერთიანების კონკრეტულ სახეობას – პროფკავშირებს (რაც, თავის მხრივ, უკავშირდება გარკვეულ ეკონომიკურ თუ

სოციალურ უფლებათა დაცვის საკითხებს), ევროპული სასამართლო ამ უფლების განმარტებისათვის იშველიებს სხვა საერთაშორისო დოკუმენტებსაც. ასეთ დოკუმენტთა რიცხვს მიეკუთვნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 87-ე კონვენცია (გაერთიანების თავისუფლება და ორგანიზაციის უფლებათა დაცვა), 98-ე (კოლექტიური ხელშეკრულების დადება), ევროპული სოციალური ქარტიის მე-6 მუხლი, რომელიც კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებას შეეხება. სასამართლომ პროფკავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლებას სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაცია მისცა. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ეს მუხლი დაცულია, თუ არსებობს პროფკავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების შესაძლებლობა. სასამართლო სახელმწიფოსაგან არ ითხოვს პროფკავშირების საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას. სახელმწიფოს შეუძლია თვითონ აირჩიოს პროფკავშირების დაცვის რეჟიმი.

საქმეში – ბელგიის პოლიციის ეროვნული კავშირი ბელგიის წინააღმდეგ (*National Union of Belgium Police v. Belgium*) – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების მიერ საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ გაერთიანებებთან გამართული კონსულტაციები ბელგიის პოლიციის კავშირის მონაწილეობის გარეშე, მე-11 მუხლის დარღვევა იყო.<sup>559</sup>

სასამართლომ განაცხადა, რომ პროფკავშირების საქმიანობის ეფექტიანობა არ არის დამოკიდებული კონსულტაციების გამართვაზე.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მე-11 მუხლი არ იცავს გაფიცვის უფლებას, ვინაიდან უტოვებს „სახელმწიფოს გამოსაყენებელი საშუალებების თავისუფალ არჩევანს ამ კონტექსტში. გაფიცვის უფლება, მართალია, ამ საშუალებებიდან ერთ-ერთია, მაგრამ არსებობს სხვა ხერხებიც. გაფიცვის უფლება არ არის დაცული პირდაპირ მე-11 მუხლით და შეიძლება დაექვემდებაროს ეროვნული სასამართლოს რეგულირებას, რომლითაც იგი შეიზღუდება ცალკეულ შემთხვევაში“.<sup>560</sup> მე-11 მუხლი ასევე არ იცავს კოლექტიური შეთანხმების დადებას უფლებას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არსებული რამდენიმე საქმე შეეხებოდა პროფკავშირებში არგანეერიალების უფლებას. საქმეში – იანგი, ჯეიმსი, ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Young, James and Webster v. the United Kingdom*) – განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ბრიტანეთის კანონით ნებადართული ე.წ. „დახურული სააქროების“ (closed shop) შექმნა, რომლითაც ყველა რკინიგზელი ვალდებულია, პროფკავშირების წევრი იყოს, ეწინააღმდეგება მე-11 მუხლს. ჯეიმსი მიიჩნევდა, რომ პროფკავშირები არ იცავდნენ მის უფლებებს, იანგი და ვებსტერი კი ამ ნაბიჯის წინააღმდეგნი პოლიტიკური მოსაზრებების გამო იყვნენ. სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანების თავისუფლება მოიცავს გაერთიანებაში აგრეთვე განეერიალებისაგან თავის შეკავების უფლებას. „პროფკავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება არის გაერთიანების თავისუფლების განსაკუთრებული

<sup>559</sup> 1975 წლის 27 ოქტომბერი.

<sup>560</sup> შმიდტი და დალსტრომი შვედეთის წინააღმდეგ (*Schmidt and Dahlström v. Sweden*), 1976 წლის 6 თებერვალი.

ასპექტი ... თავისუფლების ცნება გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას მისი განხორციელების მიმართაც. პროფკავშირების შექმნის უფლება მოიცავს, მაგალითად, მათ მიერ საკუთარი წესების შემუშავებას, უფლებას – დამოუკიდებლად აწარმოონ მოლაპარაკებები, შექმნან ფედერაციები და ა.შ.”

პროფკავშირების საქმიანობა ამ სფეროებში უნდა იზღუდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან. ამ დებულებით უზრუნველყოფილი დაცვა მიმართულია, პირველ რიგში, სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მე-11 მუხლი ამ შემთხვევაში დარღვეული იყო არ მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობდა „დახურული“ შეთანხმება, არამედ იმიტომ, რომ კითხვის ქვეშ დგებოდა განმცხადებლების დასაქმების საკითხი. მსგავსი ვითარება შეიქმნა საქმესთან – *სიგურიონსონი ისლანდიის წინააღმდეგ (Sigurjonsson v. Iceland)* – დაკავშირებით.<sup>561</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ კერძო გაერთიანებებში განვერიანების მოთხოვნა, როგორც ლიცენზიის მიღების პირობა, მისაღწევი მიზნის არათანაზომიერი საშუალებაა.

ამ დებულებათა მართლზომიერების შეფასებისას სასამართლო ყურადღებას აქცევს განვერიანების უფლების გამოყენების „საერთო მიზანს“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეცედენტულმა პრაქტიკამ არ დაადგინა „საერთო მიზნის“ შეფასების კრიტერიუმები.

საქმეზე – *ლე კომპტი, ვან ლეენი და დემეიერი ბელგიის წინააღმდეგ*<sup>562</sup> (*Le Compte, Van Leuven and de Meyere v. Belgium*) – სასამართლომ განაცხადა: ბელგიის ექიმებს შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება, გაერთიანდნენ „ექიმთა ორდენში, რომლის მიზანია სამედიცინო ეთიკისა და მისი წევრების პატივის, თავისუფლების, სანდოობისა და ღირსების დაცვა“. ორდენი ასრულებდა სახელმწიფო რეგულირების ფუნქციებს სამედიცინო სფეროში, შესაბამისად, განვერიანების მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება მე-11 მუხლის შინაარსს, მით უფრო, რომ მათ წევრებს არ ეკრძალებოდათ სხვა გაერთიანებაში განვერიანება.

გაერთიანებაში განვერიანებასთან დაკავშირებით, სასამართლო ძირითად ყურადღებას აქცევს ორ ელემენტს – „ნებაყოფლობას“ და „საერთო მიზანს“.

განსხვავებით სხვა მუხლებისაგან, რომელთა დებულებებიც სახელმწიფოს მხრიდან უფლების გამოყენებაზე შეზღუდვებს აწესებს, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი მოიცავს დებულებას, რომლითაც გაერთიანების თავისუფლება შეიძლება შეეზღუდოს პირთა გარკვეულ კატეგორიებს. ესენია: შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრები.

შეზღუდვების დაწესება გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან, რომელიც ერწყმის დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს და ისახავს კანონიერ მიზანს. სასამართლო ძირითადად ყურადღებას აქცევს სწორედ „კანონიერების“ კრიტერიუმს. შეზღუდვა ყოველთვის უნდა იქნეს კონკრეტულად დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით. ამგვარი ზომების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან ექვემდებარება ევროპული სასამართლოს კონტროლს.

561 1993 წლის 30 ივნისი.

562 1981 წლის 23 ივნისი.

## 8. ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი – საკუთრების უფლება

ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით:

„ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება მშვიდობიანად მოიხმაროს თავისი საკუთრება. არაფის შეიძლება ჩამოერთვას მისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესებში და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.

თუმცა, ზემოხსენებული დებულებები არასგზით არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, აღასრულოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების ან სხვა შენატანების თუ ჯარიმების გადახდა.“

### 1. ზოგადი მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებულია ქონების დაუბრკოლებლად მოხმარების უფლება.<sup>563</sup> სახელმწიფოს ძალზე ფართო შესაძლებლობები აქვს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, რაც გავლენას ახდენს საკუთრების უფლების მოცულობაზე.<sup>564</sup>

1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი მოიცავს სამ ძირიდად დებულებას:

- პირველი – ქონების დაუბრკოლებლად მოხმარება – ზოგად ხასიათს ატარებს;
- მეორე შეეხება ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ პირობებს.
- მესამე, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ანიჭებს საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების უფლებას.

### 2. ქონების დაუბრკოლებლად მოხმარება

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ქონების ან მფლობელობის კონცეფცია ფართოდ არის ინტერპრეტირებული. იგი მოიცავს ეკონომიკური სფეროს

<sup>563</sup> ხშირად ამ მუხლით გარანტირებულ უფლებას საკუთრების უფლებად მოიხსენიებენ, მაგრამ კონვენციაში არ არის მოცემული საკუთრების განსაზღვრება, ასევე სასამართლოს არ შეუძლია შეცვალოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით განსაზღვრული საკუთრების დეფინიცია.

<sup>564</sup> *ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (James and Others v. the United Kingdom)*, 1986 წელი.

ვრცელ დიპაზონს. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედება ვრცელდება უძრავ და მოძრავ ქონებაზე; მატერიალურ და არამატერიალურ ინტერესებზე, როგორცაა: ნილები, პატენტები, სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შეღავათები, მათ შორის პენსიები; მესაკუთრის უფლებებზე; მართვასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ინტერესებზე; პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლებებზე, ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებულ უფლებებზე და სხვა.

1-ლი მუხლის დებულებები ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე.

ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება რეალურად არსებულ ქონებაზე და არა მომავალში საკუთრების შექმნის უფლებაზე (მომავალში შექმნის მოლოდინი, მაგალითად, მემკვიდრეობის მემკვიდრით, არ ექვემდებარება ამ მუხლის დაცვას).<sup>565</sup>

სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კონვენცია მოითხოვს ბალანსის დაცვას საზოგადოების ინტერესებსა და პირის უფლებებს შორის. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო არ აძლევს პირს შესაძლებლობას, ფლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას, სახეზე იქნება ქონების დაუბრკოლებლად მოხმარების უფლების დარღვევა.

### 3. სახელმწიფოს კომპეტენცია საკუთრების უფლებასთან მიმართებით

სახელმწიფოს პირის მიერ საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევის მრავალი შესაძლებლობა აქვს. ევროპული სასამართლო საქმის განხილვისას ჩარევის მართლზომიერებას აფასებს. სასამართლო პრაქტიკაში მოიძებნება მრავალი საქმე, რომლებითაც დადგინდა, რომ სახელმწიფომ გადააჭარბა თავისუფალი შეფასების ფარგლებს.

სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევა დასაშვებია თუ: ა) ჩარევა ემსახურება კანონიერ მიზანს; ბ) მიღებული ზომები პროპორციულია შესაბამისი მიზნების მიღწევასთან. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ „უნდა განისაზღვროს, დაცული იყო თუ არა სასამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო პრინციპების მოთხოვნასა და ინდივიდის უფლებების დაცვის საჭიროებას შორის.“<sup>566</sup>

მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს, რამდენად არღვევს საკუთრების უფლებაში ჩარევა სამართლიან ბალანსს საერთო ინტერესების მოთხოვნასა და ინდივიდის უფლებების დაცვის საჭიროებას შორის. ბალანსი ვერ იქნება დაცული, თუ აშკარაა, რომ ქონების მესაკუთრეს „გადაჭარბებული ტვირთი ეკისრება“.<sup>567</sup>

<sup>565</sup> *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 1976 წელი.

<sup>566</sup> *სპორონგი და ლონროსი შვედეთის წინააღმდეგ (Sporrong and Lonroth v. Sweden)*, 1982 წელი.

<sup>567</sup> *ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (James and Others v. the United Kingdom)*, 1986 წელი.

ჩარევა კანონიერ საფუძველზე უნდა მოხდეს. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს როგორც თავად 1-ლი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნებიდან – „კანონის საფუძველზე“, ასევე მთლიანად კონვენციის შინაარსიდან. „კანონის“ განმარტებისას ევროპული სასამართლო აქცევს ყურადღებას, რამდენად უფლებამოსილი ორგანოს მიერ არის გამოცემული აქტი, რომელიც აკმაყოფილებს სამართლებრივი სიცხადის მოთხოვნას.

ემსახურებოდეს „კანონიერ მიზანს“ – ნიშნავს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით კონკრეტულად და ადეკვატურად განისაზღვროს ის ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს ენიჭება ქონების უფლების შეზღუდვის უფლებამოსილება.

კონვენციის მიზანია, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით მკაფიოდ დადგინდეს „კანონის“ მოთხოვნები, რათა შესაძლებელი გახდეს ინდივიდის უფლებების ეფექტურად დაცვა სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისაგან.

#### 4. კომპენსაცია საკუთრების უფლებაში ჩარევისათვის

ევროპული კონვენცია არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას, თუ ეს გამომდინარეობს საზოგადოებრივი ინტერესებიდან. ამასთან ერთად, 1-ლი მუხლი არ ანიჭებს პირს კომპენსაციის მიღების გარანტიას, თუმცა საკუთრების უფლების შეზღუდვებთან დაკავშირებულ საქმეთა უმრავლესობის განხილვისას მსჯელობის საგნად კომპენსაციის საკითხი ხდება. სასამართლო აღნიშნავს, რომ კომპენსაციის საკითხთან მიმართებით მისი უფლებამოსილება შემოიფარგლება იმის დადგენით, თუ რამდენად სწორად მოქმედებდა სახელმწიფო თავისუფალი შეფასების ფარგლებში და რამდენად შეესაბამება მისი ქმედებები ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.<sup>568</sup> სასამართლო ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა საკუთრების შეზღუდვის და ამისათვის კომპენსაციის მარეგულირებელი კანონები,<sup>569</sup> პროცედურების ხანგრძლივობა, მიყენებული ზარალი.

სასამართლომ დაადგინა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სახელმწიფო შიდასახელმწიფოებრივ კანონებზე დაყრდნობით არ უხდოდა კომპენსაციას ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ, ან შეცვალა ან გააუქმა კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულება მიყენებული ზარალისათვის კომპენსაციის გადახდის გარეშე.

<sup>568</sup> ლისგო და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Lithgow and Others v. the United Kingdom*), 1987 წელი.

<sup>569</sup> ზუბანი იტალიის წინააღმდეგ (*Zubani v. Italy*), 1996 წელი.

## IX. პიპოტიზური საქმეები

### 1. კონვენციის მე-3 მუხლი – ნაგების აპრძალვა

გიორგი ცნობილი მოკრივეა. ის არაერთხელ გახდა ეროვნული და საერთაშორისო ჩემპიონატების პრიზიორი. გიორგი 26 წლისაა. იგი შარშან გასცილდა თავის მეუღლეს – ჟუჟუნას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხშირად ჰქონდა გიორგისთან ოჯახური კონფლიქტები, რაც რამდენჯერმე მისი ფიზიკური შეურაცხყოფითაც კი დასრულდა.

წელს გიორგიმ თავისი მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნო მაგდა. რამდენიმე თვის შემდეგ მათ დაიწყეს ერთად ცხოვრება, თუმცა არ დაქორწინებულან. მაგდას ოჯახის წევრები, განსაკუთრებით მისი ძმა – ფრიდონი, წინააღმდეგი იყო, რომ მაგდა საცხოვრებლად გადასულიყო გიორგისთან. ფრიდონის აზრით, გიორგი გაუნონანსორებელი ადამიანია, გამოირჩევა აგრესიით და ნაცნობებს შორის ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. იგი ასევე თვლიდა, რომ ის მაგდას დროებითი გატაცება იყო და რომ ისინი მყარ ოჯახს ვერ შექმნიდნენ.

გიორგი ემზადებოდა ჩემპიონატისათვის, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი პროფესიული კარიერისათვის. ჩემპიონატის ფინალში გიორგი დამარცხდა სხვა ცნობილ მოკრივესთან, მეტსახელად „ჩაქუჩასთან“, შეჯიბრში. იმ საღამოს გიორგი ცუდ გუნებაზე დაბრუნდა სახლში. მეორე დღით მაგდა უნდა წასულიყო თავის მეგობართან – ეკასთან. იმ დღით გიორგის სახლთან ჩასაფრებული იყო ჟურნალისტი, რომელსაც წინა დღის დამარცხებასთან დაკავშირებით გიორგისთან ინტერვიუს ჩანერა უნდოდა. როდესაც მაგდა სახლიდან გამოვიდა, ჟურნალისტმა მის სახეზე სისხლჩაქცევები შენიშნა და მას სურათი გადაუღო.

მეორე დღეს გაზეთში – „სპორტული სკანდალი“ – გამოქვეყნდა სტატია გიორგის დამარცხების შესახებ. სტატიასთან ერთად გაზეთში განთავსდა მაგდას სურათი. სტატიაში ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ გიორგი აგრესიული პიროვნებაა და გამოთქვამდა ეჭვს, შესაძლოა, რინგზე წარუმატებლობის გამო მან თავის მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ამ საგაზეთო პუბლიკაციას როცა მაგდას ძმა – ფრიდონი გაეცნო, ჩათვალა, რომ გიორგის პასუხი უნდა ეყო თავისი საქციელისათვის. იგი მივიდა პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა, რომ მისი და – მაგდა მეუღლემ სასტიკად სცემა. პოლიციის განყოფილების თანამშრომელმა ფრიდონს განუცხადა, რომ მაგდას არ მიუმართავს პოლიციისათვის ამ ფაქტის შესახებ, რის გამოც

სისხლის სამართლის საქმე ვერ აღიძვრება. ასეთმა პასუხმა მოთმინებიდან გამოიყვანა ისედაც გაღიზიანებული ფრიდონი და მან მუშტი დაარტყა პოლიციის განყოფილების თანამშრომელს. ხმაურზე კაბინეტში სხვა პოლიციელები შემოცვივდნენ და ფრიდონი დააკავეს. იგი წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩასვეს. ფრიდონს კანონით დადგენილი წესით ბრალდება წაეყენა. მისი ქმედება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის წარმომადგენლის მიმართ ძალადობით დაკვალიფიცირდა.

დაინიშნა სასამართლოს პირველი სხდომა. ფრიდონი მიიყვანეს პროცესზე. აშკარა იყო, რომ იგი კოჭლობდა და სახეზე სისხლჩაქცევები ეტყობოდა. პოლიციის მუშაკმა სასამართლოზე აღნიშნული იმით ახსნა, რომ ფრიდონი საკნოდან დაკითხვაზე მიყვანის დროს გაქცევას შეეცადა. 3 დღის შემდეგ ფრიდონის ადვოკატმა პროკურატურას წერილობითი განცხადებით მიმართა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მას პოლიციის თანამშრომლები სასტიკად მოეპყრნენ და სხეულებრივი ზიანი მიაყენეს. პროკურატურამ უარი განაცხადა, დაეწყო გამოძიება ამ ფაქტზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება პოლიციელების მხრიდან თავდასხმის საფუძვლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

გთხოვთ, სამართლებრივი შეფასება მისცეთ ამ საქმეს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით.



## 2. კონვენციის მე-5 მუხლი – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

34 წლის გაიოზი დედაქალაქში ქიმიის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. 1996 წელს მას სამსახური შესთავაზეს ქიმიური ნოვითიერებების გადამამუშავებელ კომპანიაში, რომელიც ერთ-ერთ რეგიონში, დასახლებული პუნქტის მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარეობდა. გაიოზმა შეთავაზება მიიღო და კომპანიის მახლობელ დაბაში ახალდაქორწინებულ მეუღლესთან – მაყვალასთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად. მალე მაყვალას უცნაური სიმპტომები დაენყო და მისი ჯანმრთელობა უკიდურესად გაუარესდა – მაყვალას მოკლე ხანში მეტყველების მოშლა და კოორდინაციის დარღვევა განუვითარდა. ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმმა დიაგნოზი – ტყეით მონამვლა – დაადგინა და ისიც აღნიშნა, რომ ეს სიმპტომები მათ დაბაში ჩვეული მოვლენა იყო. სასონარკვეთილმა გაიოზმა, რომელსაც მეუღლის მეტი არაფერ ჰყავდა, მასობრივი მონამვლის მიზეზების დადგენა განიზრახა. მან მალე გამოარკვია, რომ მისი კომპანიის მიერ ნარმოებული ქიმიური გადამუშავების ნარჩენები კომპანიის ხელმძღვანელობის საიდუმლო განკარგულებით დაბის წყალმომარაგებელ მდინარეში იყრებოდა. აღნიშნული მან კომპანიის გასაიდუმლოებულ საცავში შეღწევით შეძლო, რისთვისაც გაიოზს დარაჯის თავის არეში დარტყმით გათიშვა მოუხდა. გაიოზის გამოძიება კომპანიის ხელმძღვანელობისათვის უცნობი არ დარჩენილა. მათ მიმართეს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც კომპანიასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ.

1997 წლის დასაწყისში გაიოზი, როგორც სულით ავადმყოფი, დაბის პოლიციის განყოფილების უფროსის ბრძანებით, ადგილობრივ საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. ოფიციალურ მიზეზად ის დასახელდა, რომ იგი პარანოიით – დეენის მანიით – შეპყრობილი „სრულ ჭკუაზე არ იყო“. გაიოზს კომპეტენტურ სპეციალისტთან შესაბამისი სამედიცინო-ფსიქიატრიული გამოკვლევა არ გაუვლია, ვინაიდან დაბის საავადმყოფოს პერსონალში ფსიქიატრის შტატი, უსახსრობის გამო, გათვალისწინებული არ იყო. გაიოზი შენობის ერთ-ერთ ოთახში იყო გამომწყვდეული. მიუხედავად იმისა, რომ იგი დაჟინებით მოითხოვდა სასამართლოს წინაშე წარდგენას და პოლიციის განყოფილების უფროსის ბრძანების კანონიერების შემოწმებას, მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნა.

1998 წელს გაიოზმა საავადმყოფოდან გაქცევა მოახერხა. გამოცხადდა მისი ძებნა და დაკავების შესახებ ბრძანება გაიცა. ამასობაში გაიოზი დედაქალაქში დაბრუნდა და დაუკავშირდა მასმედიის ნარმომადგენლებს, რომლებსაც კომპანიის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისა და მის მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ აცნობა. ტელევიზიისათვის მიცემული ინტერვიუს შემდეგ სამართალდამცავმა ორგანოებმა მისი ადგილმდებარეობა დაადგინეს.

გაიოზი 1998 წლის 13 აპრილს დააკავეს და ისევ დაბის საავადმყოფოში, თავის პალატაში დააბრუნეს. მაგრამ საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი იყო

მის შესახებ და საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერივნენ. მათ გაი-  
ოზის სასამართლოს წინაშე წარდგენა მოითხოვეს.

ბრალდების მხარემ სასამართლოს წინაშე გაიოზის მიმართ წინასწარი პა-  
ტიმრობის აღკვეთის ღონისძიებად შეფარდების თაობაზე იშუამდგომლა. მათ  
განაცხადეს, რომ გაიოზს ბრალი ედებოდა კომპანიის დარაჯისათვის ჯან-  
მრთელობის განზრახ ნაკლებადმძიმე დაზიანების მიყენებაში და საზოგადოე-  
ბაში შიშის გავლევებისა და პანიკის დათესვის მცდელობაში. მათ მიუთითეს,  
რომ გაიოზი ერთხელ უკვე გაიქცა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან და  
ამიტომ ხელახალი მიმალვის თავიდან არიდების მიზნით მისი დაპატიმრება  
აუცილებელი იყო.

გაიოზმა განაცხადა, რომ აღნიშნული ბრალდების შესახებ მისთვის მხო-  
ლოდ სასამართლო სხდომაზე გახდა ცნობილი. დაცვამ განაცხადა, რომ სასა-  
მართლო პროცესი თავად განსასჯელის ინტერესებში იყო, რომ მან სწორედ  
ქვეყნის დასადგენად მისცა ინტერვიუ მასმედიის წარმომადგენლებს.  
დაცვამ განსასჯელის გირაოს საფუძველზე გაათავისუფლება მოითხოვა.

სასამართლომ მხარეთა მოსმენის შემდგომ გირაოს თანხად 100 000 ლარი  
განსაზღვრა. გაიოზმა აღნიშნული თანხის გადახდა ვერ შეძლო. მას წინასწარი  
პატიმრობა შეეფარდა.

აღკვეთის ღონისძიება უცვლელი დარჩა სამართალში მიცემის შემდეგაც.  
სასამართლო განხილვა ორ წელიწადსა და 10 თვეს გაგრძელდა. საბოლოოდ  
სასამართლომ განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და  
სასჯელად დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა ისეთი ვადით, რომელიც არ  
აღემატებოდა წინასწარ პატიმრობაში მის ფაქტობრივ ყოფნას. გაიოზი სასა-  
მართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლეს.

გაიოზმა უკანონო პატიმრობისათვის ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

გთხოვთ, სამართლებრივი შეფასება მისცეთ ამ საქმეს ევროპული კონვენ-  
ციის მე-5 მუხლთან მიმართებით.

### 3. კონვენციის მე-6 მუხლი – სასამართლიანი სასამართლოს უფლება

ეროვნებით ბერძენი, საქართველოს მოქალაქე X, ყოფილი მაღალი თანამდებობის პირია. 1995 წელს მან დატოვა საქართველოს ტერიტორია და სახელმწიფო - ში გაემგზავრა, სადაც თავშესაფარი ითხოვა. თავშესაფარზე მას უარი ეთქვა. სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს მხარემ ჩაატარა სპეციალური დანიშნულების ოპერაცია, რის შედეგადაც X დაკავებულ და გადმოყვანილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე.

მოქალაქე X ამტკიცებს, რომ დაკავებული იყო 2 თვის განმავლობაში ბრალის წაყენების გარეშე, ხოლო მას შემდეგ, რაც ბრალი წაეყენა, გადაყვანილ იქნა პოლიციის განყოფილების სამართლო საკანში, რომელშიც თვეზე მეტი დაყო. მოქალაქე ამტკიცებს, რომ მისი დაკავება უკანონოა, ვინაიდან მასზე, როგორც თანამდებობის პირზე, იმუნიტეტი ვრცელდება.

● სასამართლოს წინაშე X წარდგა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობის ბრალდებით. X ამტკიცებს, რომ მას უარი ეთქვა მისთვის გასაგებ ენაზე, კერძოდ რუსულად, საბრალდებო დასკვნის მიღებაზე, რაც კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. X ასევე ამტკიცებს, რომ მას არ მიუღია ბრალდებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ასლი.

მთავრობა ამტკიცებს, რომ X ფლობს ქართულ ენას, მას წინასწარი გამოძიებისას არ მოუთხოვია თარჯიმანი, ამავდროს, მას ქართველი ადვოკატი უყავდა.

მთავრობამ განაცხადა, რომ წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ, X-სა და მის ადვოკატს მიეცათ საშუალება, გასცნობოდნენ ყველა შეგროვილ მასალას და არ დაუყენებიათ შუამდგომლობა სხვა მასალების გაცნობის მოთხოვნის თაობაზე.

სასამართლოზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ ჩვენება, რომელიც მან წინასწარი გამოძიებისას მისცა, იძულების გზით იყო მოპოვებული. სასამართლო პროცესის მსვლელობისას X-მა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი დარბაზს. მისი აზრით, სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და პოლიტიკური ძალების ზენოლის ქვეშ იმყოფება. შესაბამისად, მისი აზრით, საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის პერსპექტივა არ არსებობს.

ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ X-მა არაერთხელ ჩაშალა სასამართლო პროცესი თავისი ქმედებით: ხმამაღლა ყვიროდა, უსტვენდა, არ ემორჩილებოდა ბაღრაგის ბრძანებებს, ცდილობდა დარბაზიდან კამერისაკენ გაქცევას. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, განსასჯელის სასამართლო პროცესზე დასწრების გარეშე გაეგრძელებინა სასამართლო განხილვა.

X ამტკიცებს, რომ არერთხელ ითხოვა მოსამართლისაგან თავის ადვოკატთან შეხვედრის ნებართვა, რაზეც მას მრავალჯერ ეთქვა უარი. X ასევე ამტკიცებს, რომ სასამართლო სხდომა დახურული იყო და საზოგადოებას არ მიეცა საშუალება, ედევნებინა თვალყური სასამართლო პროცესისასთვის.

მთავრობამ განაცხადა, რომ სასამართლო პროცესი საჯარო ხასიათს ატა-

რებდა. შეზღუდვა დანესდა მხოლოდ პროცესის რამდენიმე სხდომაზე, რომელზეც სახელმწიფო მნიშვნელობის გასაიდუმლოებული საკითხები იხილებოდა. ამგვარ სხდომებზე აიკრძალა მასშედიისა და საზოგადოების დასწრება. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სასამართლო პროცესზე დასწრება არ იზღუდებოდა, თუმცა მსურველთა რაოდენობა აღემატებოდა დარბაზში არსებულ ადგილთა რიცხვს.

1998 წელს, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს უმაღლესმა სასამართლო ორგანომ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა, X-მა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განცხადებით, რომელშიც ამტკიცებს სამართლიან სასამართლოზე თავისი უფლების დარღვევას.

გთხოვთ, სამართლებრივი შეფასება მისცეთ ამ საქმეს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით.

#### 4. კონვენციის მე-8 მუხლი – პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უზღვაა

ვახტანგი და მზექალა 1993 წლის სექტემბერში დაქორწინდნენ. ისინი დედა-ქალაქში ცხოვრობდნენ. 1994 წელს მათ ქალიშვილი ეყოლათ, რომელსაც ქეთევანი დაარქვეს. რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი ურთიერთგაგებით ცხოვრობდნენ და მათი ოჯახი სამაგალითოდ ითვლებოდა. ვახტანგი პროფესიით ინჟინერი იყო და მუშაობდა ერთ-ერთ დიდ კორპორაციაში, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების ოპტიკური სისტემების შემუშავებაზე სპეციალიზდებოდა. 2002 წლის 13 აპრილს, როდესაც იგი სამსახურში გამოცხადდა, მას ამცნეს, რომ კორპორაცია გაკოტრდა და რომ ყველა თანამშრომელი დათხოვილია სამსახურიდან.

მიუხედავად ვახტანგის არაერთი მცდელობისა, მან შესაფერისი სამსახური ვერ იშოვა. მას შემოსავლის არანაირი წყარო აღარ გააჩნდა, რაც ხშირად კონფლიქტებს იწვევდა ოჯახში. საბოლოოდ ვახტანგმა და მზექალამ განქორწინება გადაწყვიტეს. სასამართლომ მეურვეობის უფლება მზექალას მიანიჭა, თუმცა ვახტანგს შვილის მონახულების უფლება კვირაში ერთი საათით მიეცა.

მზექალა ძალზე განანწყენებული იყო თავის მეუღლეზე. იგი ითხოვდა, რომ ვახტანგს, თუ ოჯახის შენახვა არ შეეძლო, თავისი შვილი მაინც უზრუნველყო მატერიალურად. მცდელობების მიუხედავად, ვახტანგმა მაინც ვერ იშოვა სამსახური ამ პერიოდის განმავლობაში, რის გამოც თავის შვილს მატერიალურად ვერ ეხმარებოდა. ამის გამო რამდენიმე თვეში მზექალამ საერთოდ აუკრძალა ვახტანგს ქეთევანთან შეხვედრა. ერთ-ერთ კვირა დღეს, როდესაც ვახტანგი მივიდა მზექალას სახლთან ქეთევანის მოსანახულებლად, მზექალას თხოვნით რამდენიმე მამაკაცი თავს დაესხა ვახტანგს და სასტიკად სცემეს იგი. მიღებული მძიმე დაზიანებების შედეგად ვახტანგი საავადმყოფოში მოათავსეს. ვახტანგთან დაკავშირებით ექიმმა განაცხადა, რომ მცირე იყო მისი გადარჩენის ალბათობა.

აღნიშნულის გამო მზექალამ ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო, ვინაიდან მას მხოლოდ მეუღლის დაშინება სურდა და არა მისი ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება. მზექალა აღარც საკვებს იღებდა და აღარც შვილს აქცევდა ყურადღებას. პრაქტიკულად იგი მთელი დღეების განმავლობაში თავის ოთახში იყო ჩაკეტილი და ტიროდა.

მეზობლებმა გაიგეს მზექალას ასეთი მდგომარეობის შესახებ. ისინი ასევე ხედავდნენ, რომ ქეთევანს სათანადო ყურადღება აღარ ექცეოდა. ამის გამო მეზობლებმა გადაწყვიტეს, სასამართლოსათვის მიემართათ, რათა ქეთევანი დროებით მაინც გადასცემოდა არასრულწლოვანთა მზრუნველობის დანესებულებას.

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დროებით (18 თვით) ქეთევანის არასრულწლოვანთა მზრუნველობის დანესებულებისათვის გადაცემის შესახებ, რის შემდეგაც ქეთევანი დედასთან უნდა დაბრუნებულიყო. სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების შესახებ მზექალას მოგვიანებით შეატყობინეს.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ქეთევანი მოათავსეს არასრულწლოვანთა მზრუნველობის დანესებულებაში, რომელიც დედაქალაქიდან 550 კილომეტრით იყო დაშორებული. დიდი მანძილის გამო მზექალამ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან 14 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოახერხა ქეთევანის მონახულება, ისიც მხოლოდ რამდენიმე საათით. ამ შეხვედრის დროს ქეთევანი დედის მიმართ უყურადღებობის გამო, აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა. დედის არგუმენტები, რომ ქეთევანი ძალზე დიდ მანძილზე იმყოფებოდა დედაქალაქიდან, რის გამოც ვერ ნახულობდა მას, შვილისათვის არ იყო დამაჯერებელი.

გთხოვთ, სამართლებრივი შეფასება მისცეთ ამ საქმეს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით.

## 5. კონვენციის მე-9 მუხლი – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

დურმიშხანი სახელმწიფო გურიტანიაში მუდმივად ცხოვრობს, თუმცა სახელმწიფო ზამბას მოქალაქეა. იგი პროფესიით მხატვარია. დურმიშხანი ერთ-ერთი ახალი რელიგიის მიმდევარია. იგი 1989 წლიდან ნევრია ორგანიზაცია „ახალი აღმსარებლობისა“, რომელიც ამ რელიგიური მიმდინარეობის იდეებს ქადაგებს.

ვინაიდან გურიტანიაში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ტრადიციული რელიგიის მიმდევარია, 1993 წელს ეს რელიგია სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამის შედეგად ტრადიციულ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დაიდო კონსტიტუციური ხელშეკრულება, რომელიც ადგენს სახელმწიფოში ამ ტრადიციული ეკლესიის სტატუსს, ანიჭებს მას ზოგიერთ უპირატესობას სხვა რელიგიებთან შედარებით, მათ შორის ათავისუფლებს გადასახადებისაგან ეკლესიასა და მის მრევლს.

მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია ტრადიციულ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური ხელშეკრულების დადების შესახებ, ორგანიზაცია „ახალი აღმსარებლობის“ წევრებმა (მათ შორის დურმიშხანმა) კანონით დადგენილი წესით მოაწყვეს შეკრება და განაცხადეს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ შეიძლება ერთ რელიგიურ მიმდინარეობას მიენიჭოს უპირატესობა სხვა რელიგიურ მიმდინარეობასთან შედარებით.

როცა შეიტყვეს ასეთი მიტინგის შესახებ, ტრადიციული რელიგიის მიმდევრები მივიდნენ შეკრების ადგილზე და შეეცადნენ მის ჩაშლას, დაიწყეს ქვების სროლა ორგანიზაცია „ახალი აღმსარებლობის“ წევრების მიმართულებით და ხმის გამაძლიერებლების მეშვეობით ხელს უშლიდნენ შეკრების ჩატარებას. შეკრებას ესწრებოდნენ ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები და თვალყურს ადევნებდნენ მის მსვლელობას. დროთა განმავლობაში მდგომარეობა იძაბებოდა.

იმით გაღიზიანებულებმა, რომ ვერ ჩაშალეს შეკრება, ტრადიციული რელიგიის მიმდევრებმა შეკრების ჩასაშლელად მიმართეს სხვა, მათი აზრით, უფრო ეფექტიანი საშუალებებს – გამოიყენეს ხელკეტები და დაარბიეს შეკრება. დურმიშხანმა მაშინვე მიმართა პოლიციის ქვედანაყოფის უფროსს, რათა აღკვეთილი ყოფილიყო მათზე ტრადიციული რელიგიის მიმდევრების თავდასხმა, მაგრამ პოლიციის ქვედანაყოფის უფროსის პასუხი არაორაზროვანი იყო: „ურთიერთობა მხარეებმა თავად უნდა გაარკვიონ, პოლიცია ამაში ვერ ჩაერევა.“

კონფლიქტის შედეგად ორგანიზაცია „ახალი აღმსარებლობის“ მრავალი წევრი დაზარალდა. ზოგიერთ მათგანს ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

ამ ფაქტის შემდეგ ორგანიზაცია „ახალი აღმსარებლობის“ წევრებმა საჩივარი შეიტანეს რაიონულ სასამართლოში, სადაც ეს საჩივარი იხილებოდა 7 წლის განმავლობაში. ამასობაში ორგანიზაცია „ახალი აღმსარებლობის“ წევრებზე გრძელდებოდა თავდასხმები ტრადიციული რელიგიის მიმდევრების მხრიდან, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ჯერჯერობით არ

ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება ამ საქმეზე, ორგანიზაცია „ახალი აღმსარებლობის“ წევრებმა (მათ შორის დურმიშხანმა) შეიტანეს განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-6, მე-8, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები, ისევე როგორც გურიტანიის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები.

აღსანიშნავია, რომ გურიტანია 1992 წლიდან არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე.

გთხოვთ, სამართლებრივი შეფასება მისცეთ ამ საქმეს კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით.



## 6. კონვენციის მე-10 მუხლი – გამოხატვის თავისუფლება

პეტრე დამოუკიდებელ გაზეთ „ფაბრიკის“ ურნალისტიკა. გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს საზოგადოებისათვის აქტუალურ პრობლემებზე. მთავრობას არ მოსწონს გაზეთის საქმიანობა, მაგრამ სამართლებრივ საფუძვლებს მისი საქმიანობის აღკვეთისათვის ვერ პოულობს.

2000 წელს გაზეთში გამოქვეყნდა ციკლი სტატიებისა, რომელთა ავტორი პეტრეა. სტატიებში ურნალისტი ამხელს დაზვერვის სამსახურის მაღალი თანამდებობის პირებს კონტრაბანდის შემოტანის ხელშეწყობაში.

ერთ-ერთ სტატიაში ასახული მასალები ეყრდნობა სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თანამშრომლის ლევანის მიერ მონოდებულ ინფორმაციას. ინფორმატორის თქმით, იგი დაითხოვეს სამსახურიდან მას შემდეგ, რაც შეეცადა აღეკვეთა უკანონო კონტრაბანდის შემოტანა სახელმწიფოში და ემხილებინა ის პირები, რომლებიც ჩართული არიან ამ პროცესში. მისთვის ცნობილი ფაქტების შესახებ ლევანი აპირებდა მიემართა განცხადებით პროკურატურისათვის. ვინაიდან მისი და მისი ოჯახის წევრების მისამართით არაერთხელ გაისმა მუქარა ტელეფონით, მან გადაიფიქრა პროკურატურაში განცხადების შეტანა.

როცა ამ ფაქტების შესახებ ცნობილი გახდა პეტრესათვის, მან აღუთქვა ლევანს, რომ არ გაამხელდა მის ვინაობას სტატიებში, თუ იგი დაასახელებდა კონკრეტულ გვარებს.

ერთ-ერთ სტატიას თან ახლდა კარიკატურა, რომელზეც სტატიაში მოხსენიებული ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ადვილად ამოცნობა შეიძლებოდა. იგი გამოსახული იყო შინაური ფრინველის სახით, რომელსაც მებაჟის ქუდი ეხურა თავზე, ფრინველს გაშლილი ჰქონდა ფრთები – ერთით გზას უღობავდა სატვირთო მანქანას, ხოლო მეორეთი ფულის კუპიურები ეკავა.

ამ თანამდებობის პირმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, რომელშიც ურნალისტსა და გაზეთს ცილისწამებასა და ღირსების შელახვაში სდებდა ბრალს. სასამართლომ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ურნალისტს გაზეთის მეშვეობით ბოდიშის მოხდა დაევალა და დამატებითი სანქციის სახით აეკრძალა პროფესიული საქმიანობის განხორციელება სამი თვის განმავლობაში. გაზეთს დააკისრეს ჯარიმის გადახდა გადაუმონმებელი ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის. ჯარიმა აღემატება სახელმწიფოში არსებული მინიმალური ხელფასის ოდენობას 1500-ჯერ.

ურნალისტმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

გთხოვთ, ეს საქმე სამართლებრივად შეაფასოთ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით.

## 7. კონვენციის მე-11 მუხლი –

### შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

თავისუფალი პროფესიული კავშირი „ერთობა“ შეიქმნა 1993 წელს. გურამი მისი აქტიური წევრია დაარსების დღიდან. მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა „ერთობის“ მიერ მოწყობილ მშვიდობიან დემონსტრაციებში, სადაც აქტიურად გამოდიოდა მუშა-მოსამსახურეთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით.

1997 წელს პროფკავშირის ხელმძღვანელობამ შესთავაზა წევრებს, ვითომდა ნებაყოფლობით, სანევროების გადასახადის 0.2%-ით გაზრდა. ამის სანაცვლოდ დაჰპირდა, რომ მათ პენსიაზე გასვლის შემდეგ პენსიაზე დანამატი დაენიშნებოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ „რბილად“ მიუთითეს, რომ გაირიცხებოდნენ პროფკავშირებიდან.

გურამი დათანხმდა ნამოყენებულ პირობებს.

1999 წელს პროფკავშირების ხელმძღვანელობის გადარჩევის შემდეგ „ერთობა“ აქტიურად იწყებს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიის „ნიკეს“ მხარდაჭერას. პროპაგანდის გარდა, „ერთობის“ სანევროთა ნაწილი ხმარდება პარტიის მიზნებს.

გურამი არ არის ამ პარტიის არც წევრი და არც გულშემატკივარი. მას მიაჩნია, რომ ის სანევროები, რომელსაც იგი „ერთობაში“ იხდის, არ უნდა ხმარდებოდეს „ნიკეს“.

გურამმა მოითხოვა სანევროს 0.2%-ით მომატებული თანხის გაუქმება. მას ამის ნიადაგზე უთანხმოება მოუვიდა ხელმძღვანელობასთან. ლიდერების აზრით, გურამმა უნდა დატოვოს „ერთობა“, თუმცა მას არ სურს ამის გაკეთება, ვინაიდან მიაჩნია, რომ საკმაოდ ბევრი გააკეთა ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება-გაძლიერებისათვის.

სახელმწიფოში ახლოვდება არჩევნები. გურამმა სხვა მეგობრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო წინასაარჩევნოდ მოწყობილ შეხვედრაში. შეხვედრა ჩაატარა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილმა პარტიამ. იგი სმონტანურად დაიგეგმა და ჩატარდა ქალაქის გარეუბნის სტადიონზე. მისი ჩატარება არ არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს.

პროფკავშირების ლიდერებმა როცა შეიტყვეს, გურამი ამ შეხვედრას ესწრებოდა, გარიცხეს პროფკავშირებიდან იმ საბაბით, რომ იგი არ იხდიდა დადგენილ სანევროებს.

გურამმა სარჩელი შეიტანა ეროვნულ სასამართლოში მისი უფლებების შელახვის თაობაზე. ეროვნულმა სასამართლომ არ გაიზიარა შეკრებისა და ასოციაციის უფლების დარღვევის ფაქტი გურამთან მიმართებით.

გთხოვთ, სამართლებრივი შეფასება მისცეთ ამ საქმეს ევროპული კონვენციის მე-11 მუხლთან მიმართებით.

## 8. კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი – საკუთრების უფლება

სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე მინა სახელმწიფო საკუთრებად ითვლება. მისი გაყიდვა, როგორც კერძო საკუთრებისა, დაუშვებელია.

1995 წელს პეტრე გიორგობიანი და გიორგი ივანიძე ერთ-ერთ სოფელში სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი იჯარით აიღეს. ორი წლის განმავლობაში ისინი ამუშავებდნენ ნაკვეთს და მიღებულ მოსავალს შპს „რიონს“ აბარებდნენ.

1997 წელს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე კერძო პირების მიერ სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი მიწის შეძენა გახდა შესაძლებელი.

სახელმწიფომ პირველ რიგში აუქციონზე გამოიტანა მიწის ყველა ის ნაკვეთი, რომლებიც იჯარით ჰქონდა გაცემული კერძო პირებზე.

შპს „რიონმა“ კი შეისყიდა მიწის ის ნაკვეთი, რომელიც პეტრე გიორგობიანსა და გიორგი ივანიძეს ჰქონდათ იჯარით აღებული. ამ უკანასკნელთათვის აუქციონის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. მათ სარჩელი შეიტანეს საერთო სასამართლოში.

სასამართლოს მიერ დავის განხილვა სამი წლით გაინელა. ამ პერიოდის განმავლობაში გიორგობიანსა და ივანიძეს არ ჰქონდათ მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესაძლებლობა, რამაც მათ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან ივანიძესა და გიორგობიანს არ მიეცათ აუქციონზე მონაწილეობის შესაძლებლობა, აღნიშნული ნაკვეთი ხელახლა უნდა იქნეს გამოტანილი გასაყიდად, ხოლო შპს „რიონს“ დაუბრუნდეს ის თანხა, რომელიც მათ გადაიხადეს მიწის ნაკვეთში. თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე.

გთხოვთ, სამართლებრივი შეფასება მისცეთ ამ საქმეს ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებით.

## ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები

ა) გაეროს ფარგლებში მიღებული ხელშეკრულებები

საერთაშორისო ხელშეკრულება	საქართველოსათვის ძალაში შევიდა
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წლის 16 დეკემბერი)	1994 წლის 3 აგვისტო
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი	1994 წლის 3 აგვისტო
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიმართული მეორე ფაკულტატიური ოქმი	1999 წლის 22 ივნისი
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966 წლის 16 დეკემბერი)	1994 წლის 3 აგვისტო
კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979 წლის 18 დეკემბერი)	1994 წლის 25 ნოემბერი
კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი)	1994 წლის 2 ივლისი
კონვენცია ნამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (1984 წლის 10 დეკემბერი)	1994 წლის 25 ნოემბერი
საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	1999 წლის 2 ივლისი

ბ) ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ხელშეკრულებები

საერთაშორისო ხელშეკრულება	საქართველოსათვის ძალაში შევიდა
ევროპული კონვენცია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ (1950 წლის 4 ნოემბერი)	1999 წლის 20 მაისი
ევროპული კონვენციის პირველი ოქმი	2002 წლის 7 ივნისი
ევროპული კონვენციის მეოთხე ოქმი	2000 წლის 13 აპრილი
ევროპული კონვენციის მეექვსე ოქმი	2000 წლის 1 მაისი
ევროპული კონვენციის მეშვიდე ოქმი	2000 წლის 1 ივლისი
ევროპული კონვენციის მეთორმეტე ოქმი	ოქმი არ შესულა ძალაში
ევროპული კონვენციის მეცამეტე ოქმი	2003 წლის 1 სექტემბერი
ევროპული კონვენცია ნამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აღკვეთის შესახებ	2000 წლის 1 ოქტომბერი
ევროპული სოციალური ქარტია	საქართველოს არ მოუხდენია ქარტიის რატიფიცირება
ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ	საქართველოს არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება

# ქირითადი ლიტერატურა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, შესახებ

## ა) ქართულენოვანი ლიტერატურა

**ბოძაშვილი ლ.**, ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, თბილისი, 1998 წელი;

**ბოძაშვილი ლ.**, როგორ მიემართოთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, თბილისი, 2002 წელი;

**გომიენი დ.**, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური, თბილისი, 2002 წელი;

**ვილდჰაბერი ლ.**, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ყურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2002 წელი;

**ვულფი (ლორდი),** მოხსენება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საზეიმო სხდომა სასამართლოს წლის გახსნასთან დაკავშირებით, ყურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2003 წელი;

**კახნიაშვილი ა.**, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკონვენციასთან, თბილისი, 2002 წელი;

**კორკელია კ.**, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ევროპის კონვენციასთან საქართველოს შეერთების სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები, ყურნალი „პოლიტიკა“, N7/9, 1997 წელი;

**კორკელია კ.**, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი, 1998 წელი;

**კორკელია კ.**, სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაში, ყურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998 წელი;

**კორკელია კ.**, ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N3/4, 2000 წელი;

**კორკელია კ.**, კრიზისის საფრთხე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში: საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე გასაპარებელი ღონისძიებები არსებული მდგომარეობის დასაძლევად, (ქართულ და ინგლისურ ენებზე),

- „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N3/4, 2001 წელი;
- კორკელია კ., საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, „საქართველო და საერთაშორისო სამართალი“, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2001 წელი;
- კორკელია კ., საერთაშორისო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობა საქართველოში: ზოგიერთი სამართლებრივი სიახლე, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 2002 წელი;
- კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2002 წელი;
- კორკელია კ., ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5, N1, 2002 წელი;
- კორკელია კ., სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5, N2-3, 2002 წელი;
- კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის განმარტების პრინციპები, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5, N4, 2002 წელი;
- კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი როგორც კონსტიტუციის განმარტების საშუალება, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, N2;
- კორკელია კ., აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6, N1, 2003 წელი;
- კორკელია კ., იერარქიული უპირატესობის პრინციპის გამოუყენებლობა ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის პრინციპის მიმართ, ურნალი „სამართალი“, N1, 2003 წელი;
- მიქაბერიძე ა., ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, თბილისი, 2000 წელი;
- ფაფიაშვილი ლ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2001 წელი;
- ცნობილაძე პ., ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედება, „საქართველო და საერთაშორისო სამართალი“, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2001 წელი;
- ქამუკაშვილი მ., ადამიანის უფლებები, რომელთა დარღვევისას უნდა მივმართოთ ევროპის სასამართლოს, არასამთავრობო ორგანიზაციის – „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – გამოცემა, თბილისი, 2002 წელი;
- საქართველო და საერთაშორისო სამართალი, სტატიათა კრებული, კ. კორკელია (რედ.), თბილისი, 2001 წელი;

გამოხატვის თავისუფლება ევროპაში: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2002 წელი.

## ბ) უცხოენოვანი ლიტერატურა

**Алексеева Л., Жуйков В., Лукашук И.,** Международные нормы о правах человека и применение их судами Российской Федерации, Москва, 1996 г.;

**Alkema E.,** Responsibilities Deriving from the Implementation of the European Convention on Human Rights: Responsibilities for States Parties to the Convention, in: Proceedings of the Sixth International Colloquy about the European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988;

**Alkema E.,** The Third-Party Applicability or "Drittwirkung" of the European Convention on Human Rights, in: Protecting Human Rights: The European Dimension, Studies in Honour of G. Wiarda, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1988;

**Arabadjiev A.,** Bulgaria, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;

**Бауринг Б.,** Долгий путь Великобритании к европейским стандартам прав человека: в авангарде и далеко позади, в: Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение, N1(38), 2002;

**Bernhardt R.,** The Convention and Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;

**Bernhardt R.,** Thoughts on the Interpretation of Human-Rights Treaties, in: Protecting Human Rights: The European Dimension, Studies in Honour of G. Wiarda, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1988;

**Bernhardt R.,** Human Rights and Judicial Review: The European Court of Human Rights, in: Human Rights and Judicial Review: A Comparative Perspective, D. Beaty (Ed.), 1994;

**Blackburn R.,** The Institutions and Processes of the Convention, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;

**Boiko V.,** European Convention on Human Rights and Freedoms in Judicial Legal Reform in Ukraine, in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000;

**Bratza N.,** The Treatment and Interpretation of the European Convention on Human Rights by the English Court, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993;

**Buergenthal T.,** International Tribunals and National Courts: The Internationali-



- zation of Domestic Adjudication, in: *Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Festschrift für Rudolf Bernhardt*, 1995;
- Бургенталь Т.**, Международные права человека, (пер. с англ.), Алматы, 1999 г.;
- Carrilo Salcedo J. A.**, *The European System of Protection of Human Rights, in: Judicial Protection of Human Rights at the National and International Level*, vol. I, 1991;
- Clements L., Mole N. & Simmons A.**, *European Human Rights: Taking a Case Under the Convention*, 1999;
- Cohen-Jonathan G.**, *Respect for Private and Family Life*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;
- Cremona J.**, *The Proportionality Principle in the Jurisprudence of the European Court of Human Rights*, *Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Festschrift für Rudolf Bernhardt*, U. Beyerlin, M. Bothe, R. Hofmann & E.-U. Petersmann, 1995;
- Danilenko G.**, *Implementation of International Law in CIS States: Theory and Practice*, 10 *European Journal of International Law* 1, 1999;
- van Dijk P. & van Hoof G.**, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998;
- Dzremczewski A.**, *European Human Rights Convention in Domestic Law: A Comparative Study*, 1996;
- Dugard J.**, *The Role of Human Rights Treaty Standards in Domestic Law: The Southern African Experience*, *The Future of UN Human Rights Treaty Monitoring*, P. Alston & J. Crawford (Eds.), 2000;
- Dupré C.**, *France*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Eissen M.-A.**, *The Principle of Proportionality in the Case-Law of the European Court of Human Rights*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;
- Francioni F.**, *The Jurisprudence of International Human Rights Enforcement: Reflections on the Italian Experience*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997;
- Frowein J.**, *The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe*, in: *Collected Courses of the Academy of European Law*, 1990, vol. I(2) 1992;
- Gomien D., Harris D. & Zwaak L.**, *Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter*, 1996;
- Гомиен Д.**, *Путеводитель по Европейской Конвенции о защите прав человека*, Страсбург, 2000 г.;
- Greer S.**, *The Margin of Appreciation: Interpretation and Discretion under the European Convention on Human Rights*, 2000;

- Gulmann C.**, Denmark, in: *The Effect of Treaties in Domestic Law*, F. Jacobs & S. Roberts (Eds.), 1987;
- Гусейнов Л.**, Международная ответственность государств за нарушения прав человека, Киев, 2000 г.;
- Harris D., O'Boyle M. & Warbrick C.**, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995;
- Henkin L.**, International Human Rights Standards in National Law: The Jurisprudence of the United States, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997;
- Iwasawa Y.**, The Domestic Impact of International Human Rights Standards: The Japanese Experience, *The Future of UN Human Rights Treaty Monitoring*, P. Alston & J. Crawford (Eds.), 2000;
- Jacobs F. & White R.**, *The European Convention on Human Rights*, 1996;
- Килкэли У., Черфанова Е.**, Европейская конвенция о защите прав человека: право на уважение частной и семейной жизни, жилища и корреспонденции, Москва, 2001 г.;
- Klein E.**, Should the Binding Effect of the Judgements of the European Court of Human Rights be Extended? in: *Protecting Human Rights: The European Perspective*, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000;
- Korkelia K.**, New Challenges to the Regime of Reservations under the International Covenant on Civil and Political Rights, *European Journal of International Law*, vol. 13, N2, 2002;
- Korkelia K.**, International Law in the Georgian Legal Order, *The Journal of East European Law*, vol. 6, N4, 1999;
- Kūris P.**, The Impact of the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms on the Legislation of the Republic of Lithuania, in: *Protecting Human Rights: European Perspective: Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.)*, 2000;
- Куусимяки Р.**, О статьях пятой и шестой Европейской Конвенции о защите прав человека, *Московский журнал международного права*, N4/1997/28;
- Lester A.**, Freedom of Expression, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;
- Loizou A.**, Cyprus, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Loucaides L.**, *Essays on the Developing Law of Human Rights*, 1995;
- Лукашук И.**, Конституция России и международное право, *Московский журнал международного права*, N2, 1995 г.;
- Macdonald R.**, The Margin of Appreciation, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;

- Macovei M.**, Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001;
- Madureira J.**, Portugal, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Маковой М., Черфанова Е.**, Европейская конвенция о защите прав человека: право на свободу выражения своего мнения, Москва, 2001 г.;
- Maruste R.**, Status of the European Convention on Human Rights in the Estonian Legal System, in: Protecting Human Rights: European Perspective: Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000;
- Matscher F.**, Methods of Interpretation of the Convention, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;
- McBride J.**, The Role of Individual Petitions in the European Convention System, in: The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights, 28-29 October, 1988, 1989;
- McGoldrick D.**, The United Kingdom's Human Rights Act 1998 in Theory and Practice, in: International and Comparative Law Quarterly, vol. 50, N4, 2001;
- Merigiola E.**, Italy, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Mikkelsen N.**, The Implementation in National Law of the Rights and Freedoms Embodied in the European Convention on Human Rights, in: The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights, Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights, 28-29 October, 1988, 1989;
- Morawa A. & Schreuer C.**, The Role of Domestic Courts in the Enforcement of International Human Rights-A View from Austria, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997;
- Моул Н., Харби К., Алексеева Л.**, Европейская конвенция о защите прав человека: право на справедливое судебное разбирательство, Москва, 2001 г.;
- Mowbray A.**, Cases and Materials on the European Convention on Human Rights, 2001;
- Norgaard C.**, The Implementation of International Human Rights Agreements within a Domestic Legal System, The Relationship between International and Domestic Law: Proceedings of the UniDem Seminar (1993), 1993;
- Nowak M.**, Limitations on Human Rights in a Democratic Society, in: The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe, E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski & J. Schokkenbroek (Eds.), 1993;

- O'Boyle M.**, Extradition and Expulsion under the European Convention on Human Rights: Reflection on the Soering Case, in: Human Rights and Constitutional Law, Essays in Honour of Brian Walsh, J. O'Reilly (Ed.), 1992;
- O'Connell D.**, Ireland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Özdek Y. & Karacaoğlu E.**, Turkey, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Petzold H.**, The Convention and the Principle of Subsidiarity, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;
- Polakiewicz J.**, The Status of the Convention in National Law, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Polakiewicz J.**, The Execution of Judgments of the European Court of Human Rights, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001;
- Plowden P. & Kerrigan K.**, Advocacy and Human Rights: Using the Convention in Courts and Tribunals, 2002;
- Ress G.**, The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993;
- Robertson A. & Merrills J.**, Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights, 1993;
- Rodríguez Á.**, The European Convention on Human Rights in the Domestic Legal Order of Italy and Spain: A Comparison, in: 49 Jahrbuch Des Öffentlichen Rechts Der Gegenwart, 2001;
- Scheinin M.**, International Human Rights in National Law, An Introduction to the International Protection of Human Rights (Eds. R. Hanski & M. Suksi), 1999;
- Schreuer C.**, The Interpretation of Treaties by Domestic Courts, 45 British Yearbook of International Law, 1971;
- Scovazzi T.**, The Application by Italian Courts of Human Rights Treaty Law, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997;
- Simma B., Khan D.-E., Zöckler M. & Geiger R.**, The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997;
- Starmer K.**, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999;
- Stein E.**, International Law and Internal Law in the New Constitutions of Central-

Eastern Europe, in: *Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Festschrift für Rudolf Bernhardt*, 1995;

**Steiner H. & Alston P.**, *International Human Rights in Context: Law, Politics, Morals*, 1996;

**Steinberger H.**, *Reference to the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights Before National Courts*, in: *Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights*, 13-16 November 1985, 1988;

**Velu J.**, *Report on Responsibilities for States Parties to the European Convention*, in: *Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights*, 13-16 November 1985, 1988;

**Wildhaber L.**, *Precedent in the European Court of Human Rights*, in: *Protecting Human Rights: The European Perspective*, *Studies in Memory of R. Rysdsal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.)*, 2000;

**Wildhaber L.**, *The Rights to Offend, Shock or Disturb? – Aspect of Freedom of Expression under the European Convention on Human Rights*, *26 Irish Jurist* 2001;

**Wyrozumska A.**, *Impact of the Case-Law of the Organs of the European Convention on Human Rights on Domestic Law and the National Judge*, *Judge and International Law*, 1998;

**Yotopoulos-Marangopoulos A.**, *The Hellenic Experience concerning the Protection of Human Rights and Particularly the Implementation of the Rights and Freedoms Embodied in the European Convention*, in: *The Implementation in National Law of the European Convention on Human Rights*, *Proceedings of the Fourth Copenhagen Conference on Human Rights*, 28-29 October, 1988, 1989;

**Zwaak L.**, *The Netherlands*, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, *R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.)*, 2001;

Европейский Суд по правам человека: Избранные решения, 2 тома, Москва, 2001 г.

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები ქართულ ენაზე

### ა) პუბლიკაციები

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2001 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2001 წელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა მიმოხილვა (შეადგინა ე. გოცირიძემ), თბილისი, 2001 წელი.

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: რჩეული გადაწყვეტილებები“, საქართველოს ევროპის საბჭოს მიზნების მხარდამჭერი ასოციაციის გამოცემა, ტომი I, თბილისი, 2001 წელი.

„სამართლიანი სასამართლოს უფლება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2001 წელი.

„სიტყვის თავისუფლება“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2002 წელი.

## **ბ) ცალკეული გადაწყვეტილებები**

კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 2000 წელი, გვ. 133-149;

ჯეიმსი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 2001 წელი, გვ. 115-123; ამავე საქმის გაგრძელება, იქვე, N3, 2001 წელი, გვ. 124-139;

ტელფრენი ავსტრიის წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4, 2001 წელი, გვ. 111-117;

რეჟენი უნგრეთის წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2002 წელი, გვ. 142-162;

ბენსაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 2002 წელი, გვ. 190-207;

ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2002 წელი, გვ. 162-191;

ლიანდერი შვედეთის წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4, 2002 წელი, გვ. 161-184;

ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 2003 წელი, გვ. 144-171;

„ა“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1998 წელი), ურნალი „სამართალი“, N4, 1999 წელი;

ჩილაკლარი თურქეთის წინააღმდეგ (1998 წელი), ურნალი „სამართალი“, N5, 1999 წელი;

ბელციუკი პოლონეთის წინააღმდეგ (1998 წელი); მეჰემი საფრანგეთის წინააღმდეგ (1997 წელი), ურნალი „სამართალი“, N6-7, 1999 წელი;

კატიკარიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ (1997 წელი), ურნალი „სამართალი“, N1, 2000 წელი;

კანეას კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ (1997 წელი), ურნალი „სამართალი“, N2, 2000 წელი;

ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ (1996), ურნალი „სამართალი“, N3,

2000 წელი;  
ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (1986 წელი), ჟურნალი „სამართალი“, N4-5, 2000 წელი;  
ზანა თურქეთის წინააღმდეგ (1997 წელი), ჟურნალი „სამართალი“, N6-7, 2000 წელი.

## **დამატებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ**

**1. მინესოტის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ელექტრონული ბიბლიოთეკა (ინგლისურ და რუსულ ენებზე)**

<http://www1.umn.edu/humanrts/>

**2. გაერო-ს დოკუმენტები ადამიანის უფლებათა სფეროში**

<http://www.un.org/rights/index.html>

**3. ევროპის საბჭო**

<http://www.coe.int> (ინგლისურ და ფრანგულ ენებზე)

<http://www.coe.ge> (ქართულ და ინგლისურ ენებზე)

<http://www.coe.int/T/E/Human-Rights/Awareness>

<http://echr.coe.int> – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინტერნეტ-გვერდი. გვერდზე ხელმისაწვდომია ევროპული კომისიისა და სასამართლოს ყველა გადანყვეტილება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

<http://www.humanrights.coe.int/aware/GB/publi/caselawdtb.asp> – (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების საძიებო სისტემა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ენებზე, მათ შორის ქართულ ენაზე).

## ავტორთა შესახებ

*კონსტანტინე კორკელია* – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი; საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ნარჩინებით), (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოცენტი; სამოსამართლო სწავლების ცენტრის ლექტორი.

*ირინე ქურდაძე* – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ლექტორი; სამოსამართლო სწავლების ცენტრის ლექტორი.